ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი

ემზარ მაკარაძე

თურქეთის ისტორია

1918-2018 წლები

სალექციო ჩანაწერები

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2019

თურქეთის ისტორია 1918–2018 წლებში (სალექციო ჩანაწერები) ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქეთისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო კურსია. სახელმძღვანელო განხილულია აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის სხდომაზე, №8. 12 დეკემბერი, 2018.

სახელმძღვანელოში განხილულია თურქეთის 1918–2018 წლების ისტორია.

სახელმძღვანელო განკუთვნილია თურქოლოგების, აღმოსავლეთმცოდნეების, ისტორიკოსების, სტუდენტებისა და შესაბამისი საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: **გიორგი სანიკიძე**
გიორგი წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი
რევაზ დიასამიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რეცენზენტები: **მირიან მახარაძე**
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
გიორგი ჭიღვარია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ზაზა შაშიკაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

© ე. მაჯარაძე, 2019

გამომცემლობა „უნივერსალი", 2019
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-438-2

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინათქმა 4

თავი I. თურქეთი 1918-1923 წლებში. ეროვნულ-
განმათავისუფლებელი მოძრაობა 5

თავი II. ქემალიზმის პრინციპები რესპუბლიკურ
თურქეთში 39

თავი III. თურქეთის რესპუბლიკა 1923-1929 წლებში.....66

თავი IV. თურქეთის რესპუბლიკა 1929 -1938 წლებში 74

თავი V. თურქეთის რესპუბლიკა 1939-1945 წლებში 86

თავი VI. დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობა
თურქეთში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.
ტრუმენის დოქტრინა და მარშალის გეგმა.....104

თავი VII. თურქეთის რესპუბლიკა XX საუკუნის
50-60-იან წლებში.....114

თავი VIII. თურქეთის რესპუბლიკა XX საუკუნის
70-იან წლებში 135

თავი IX. თურქეთის რესპუბლიკა XX საუკუნის
80-იან წლებში 143

თავი X. თურქეთის საშინაო პოლიტიკა XX საუკუნის
90-იან წლებში 169

თავი XI. თურქეთის რესპუბლიკა 2001-2018 წლებში 219

ქრონოლოგია.....281

ბიბლიოგრაფია 287

ბიოგრაფიული ცნობები 295

წინათქმა

თურქეთის ისტორია, 1918-2018 წლები, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის თურქეთისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო კურსია. სალექციო ჩანაწერები შექმნილია მოქმედი სილაბუსის მიხედვით და მისი მიზანია სტუდენტებს გააცნოს თურქეთის უახლესი ისტორიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის პრობლემები 1918 - 2018 წლებში.

სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის ჯამს: შუალედური გამოცდა - 20 ქულა; მიმდინარე შეფასებები – 40 ქულა (წერითი გამოკითხვები – 10 ქულა, ზეპირი გამოკითხვები – 20 ქულა, პრეზენტაცია – 10 ქულა); დასკვნითი გამოცდა – 40 ქულა.

სახელმძღვანელო თურქეთის ისტორია, 1918-2018 წლები, შემოთავაზებულია სალექციო ჩანაწერების სახით და ბუნებრივია, იგი სრულყოფილი ვერ იქნება, თუმცა უდავოდ წარმოადგენს საფუძველს სამომავლოდ თანამედროვე თურქეთის ისტორიაში ფუნდამენტური სახელმძღვანელოს მომზადებისათვის. მასში ფართოდაა გამოყენებული თანამედროვე თურქეთის ისტორიისადმი როგორც თურქულ, ისე ქართულ, რუსულ და ევროპულ ენებზე მიძღვნილი სტატიები და მონოგრაფიები, შესაბამისად, სახელმძღვანელოს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურა და მდიდარი ბიბლიოგრაფია.

სალექციო ჩანაწერების მომზადებისას, მართალია, ჩვენ ფართოდ გამოვიყენეთ სხვადასხვა ავტორის პუბლიკაციები – სტატიები და მონოგრაფიები, თურქულენოვანი დარგობრივი ჟურნალები, ბუკლეტები, პერიოდული გამოცემები, ინტერნეტ მასალები, მაგრამ ეს მდიდარი მასალა დავალაგეთ სათანადო თემატური პრინციპის საფუძველზე, რათა ისინი მაქსიმალურად დაგვხმარებოდა გადმოსაცემი პრობლემის არსის გააზრებაში.

თავი I. თურქეთი 1918-1923 წლებში. ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობა

პირველ მსოფლიო ომში (1914 -1918) ოსმალეთის სახელმწიფო გერმანიის მხარეზე გამოვიდა. ახალგაზრდა თურქეთის ლიდერები (ენვერ ფაშა და თალაათ ფაშა) გერმანიის მომხრეები იყვნენ და მისი დახმარებით იმედოვნებდნენ განეხორციელებინათ თავიანთი ამბიციური გეგმები, კერძოდ, ხელთ ეგდოთ კავკასია, ყირიმი, ვოლგისპირეთი და ცენტრალური აზია, მათ აგრეთვე სურდათ, აღედგინათ თავიანთი ბატონობა აფრიკის დაკარგულ ტერიტორიებზე.

ომში ჩაბმისთანავე, ოსმალეთი სასტიკად დამარცხდა კავკასიის ფრონტზე, სარიყამიშთან. გამარჯვების შემთხვევაში კი აპირებდა რეალურად კავკასიაში შეჭრას, რასაც მოჰყვა რუსეთის ჯარების შემოტევა და აქედან ოსმალეთის რეგულარული არმიის უკან დახევა. მარცხით დამთავრდა, აგრეთვე, მისი მცდელობა, დაეკავებინა სუეცის არხი, ეგვიპტე და აღედგინა იქ თავისი ბატონობა.

ომში ჩაბმისთანავე ანტანტის სახელმწიფოებმა დაიწყეს მოლაპარაკება ოსმალეთის ტერიტორიების გადანაწილებაზე. 1915 წელს რუსეთი, საფრანგეთი და ინგლისი შეთანხმდნენ ქალაქ კონსტანტინოპოლისა და სრუტეების (ბოსფორისა და დარდანელის) დანაწილებაზე, ხოლო 1916 წელს - ოსმალეთის აზიური ნაწილის გაყოფაზე.

1917 წლის 4 აპრილს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ომი გამოუცხადა გერმანიას, 13 აპრილს კი ყოველგვარი დიპლომატიური კავშირი გაწყვიტა ოსმალეთთან. ამ ვითარებამ უკვე ნათელი გახადა, რომ გამარჯვება, აშკარად, მოკავშირეთა მხარეს გადაიხარა და გერმანიის და მისი მომხრეების გარდაუვალი დამარცხება მხოლოდ დროის საკითხი იყო.

დაიწყო ოსმალეთის დამარცხებების სერია: 15 სექტემბერს მოკავშირეთა ჯარებმა გაარღვიეს ოსმალეთ - ბულგარეთის ფრონტი მაკედონიაში; 19 სექტემბერს ინგლისის ჯარებმა

წარმატებით დაიწყეს წინსვლა პალესტინაში; 29 სექტემბერს ბულგარეთმა თავი დამარცხებულად სცნო; 1 ოქტომბერს ინგლისმა ხელთ იგდო დამასკო, შემდეგ ალეპო, ოქტომბრის შუა რიცხვებში ინგლისის არმია მიუახლოვდა მოსულს და 3-8 ნოემბერს აიღო კიდეც ქალაქი.

როცა ოსმალეთის იმდროინდელი მთავრობა მიხვდა, რომ გამარჯვების ოდნავი შანსიც კი არ დარჩათ, 4 ოქტომბერს ზავი შესთავაზა ანტანტის მოკავშირეებს, მაგრამ ისინი მათთან კომპრომისზე არ წავიდნენ. ოსმალეთის იმდროინდელმა მთავრობამ სხვა გამოსავალი ვერ იპოვა და გადადგა. ახალ მთავრობას სათავეში ჩაუდგა მარშალი აჰმედ იეზიდ ფაშა, ხოლო ძველი მთავრობა გერმანიაში წავიდა ემიგრაციაში. ახალმა მთავრობამ, წინამორბედის მსგავსად, მოკავშირეებს ზავი სთხოვა, რომელსაც ამჯერად დასთანხმდნენ, რადაგან დარწმუნებული იყვნენ, რომ განადგურების პირას მდგარი ოსმალეთი მათ ნებისმიერ პირობას მიიღებდა. ასეც მოხდა. 1918 წლის 30 ოქტომბერს, მუდროსის ყურეში, ინგლისის სამხედრო გემ „აგამემნონზე“ ოსმალეთის დელეგაციამ ხელი მოაწერა კაპიტულაციის აქტს.

ოსმალეთს ადრეც ჰქონდა ომიდან გამოთიშვის სურვილი, რაც იმით იყო განპირობებული, რომ გერმანიასთან მისი კავშირი ნელ-ნელა არასასურველი ხდებოდა. გერმანია ოსმალეთს თავის სატელიტად განიხილავდა და ცდილობდა მისგან რაც შეიძლება მეტი სარგებელი მიეღო, როგორც რესურსების, ასევე სამხედრო თვალსაზრისითაც.

1916 წელს გერმანიამ ოსმალეთს მოსთხოვა ჯარის ევროპაში გაგზავნა. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთი ამ დროს თვითონ უჩიოდა ჯარების ნაკლებობას, საიდუმლო მოლაპარაკების შემდეგ ენვერ ფაშამ 12000 ჯარისკაცი მაინც გაგზავნა

ევროპაში. ოსმალეთში დღითიდღე იზრდებოდა უკმაყოფილება გერმანელთა მიმართ. 1917 წელს პოლიტიკურ მოღვაწეთა დიდი ნაწილი დარწმუნდა იმაში, რომ გერმანიასთან კავშირი ქვეყანას დაღუპვამდე მიიყვანდა. გერმანიაშიც ხვდებოდნენ, რომ სიტუ-

ვილჰემ II

აცია თანდათან იძაბებოდა და ვითარების განსამუხტავად სტამბოლში მეგობრული ვიზიტით ჩავიდა გერმანიის მეფე ვილჰემ II (1888-1918). ამ ვიზიტს რაიმე დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. 1917-1918 წლის ზამთარში გერმანიას საპასუხო ვიზიტით ოსმალეთის პრინცი ვაჰიდ ედინი ეწვია. მას თან ახლდა შემდეგში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულის-ჩამდგმელი მუსტაფა ქემალ ათათურქი (1881-1938), რომელმაც დაათვალიერა გერმანელთა სამხედრო გარნიზონები და განაცხადა, რომ გერმანიის დამარცხება გარდაუვალი იყო, ამიტომ ოსმალეთი დაუყონებლივ უნდა ჩამოშორებოდა მას.

მუდროსის ზავი თურქეთისათვის მძიმე იყო. საზავო პირობების მიხედვით, ოსმალეთი მთლიანად ექცეოდა გამარჯვებული სახელმწიფოების გავლენის ქვეშ.

მუდროსის ხელშეკრულება შედგებოდა 25 მუხლისაგან. პირველი მუხლი ითვალისწინებდა სრუტეების გახსნას მოკავშირეთა ფლოტისათვის და მათ მიერ შავი და მარმარილოს ზღვებისა და სრუტეების პორტების ოკუპაციას.

მე-5 მუხლის თანახმად, ოსმალეთი ვალდებული იყო მოეხდინა არმიის დემობილიზაცია.

მე-7 მუხლით - ანტანტის სახელმწიფოებს საჭიროების შემთხვევაში, შეეძლოთ მოეხდინათ ოსმალეთის ტერიტორიის ნებისმიერი ნაწილის ოკუპაცია.

მე-8 – მე-9 მუხლები ითვალისწინებდა ანტანტის სახელმწიფოებისათვის სამხედრო აღჭურვილობისა და გერმანიის მიერ გადაცემული საბრძოლო გემების ჩაბარებას და სხვა.

მე-20 მუხლი პორტას ავალდებულებდა ჩაებარებინა მოკავშირეებისათვის მთელი სამხედრო შეიარაღება და სამხედრო აღჭურვილობა.

მუდროსის ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლი ეხებოდა ამიერკავკასიას: მე-11 მუხლით, თურქეთის ჯარებს უნდა დაეტოვებინა დაღესტანი, აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო, რომლებიც ოკუპირებული იქნებოდა ინგლისის ჯარების მიერ.

მე-15 მუხლის მიხედვით, ინგლისის ჯარებს უფლება ეძლეოდა ბათუმის, ბაქოსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქების ოკუპაციისა, ხოლო პორტას ამ საქმეში მისთვის ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოეჩინა.

1918 წლის 13 ნოემბერს მოკავშირეთა სამხედრო-საზღვაო ესკადრა (ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, საბერძნეთის და უფრო გვიან, აშშ-ის) ოქროს ყურეში შევიდა და ღუზა თურქეთის სულთნის სასახლის წინ ჩაუშვა.

მალე ინგლისის კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა მთელი ანატოლია - მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი, სამხრეთი ანატოლია და კილიკია.

შავი და ხმელთაშუა ზღვების ნავსადგურებს აკონტროლებდა ინგლისის ფლოტი. ტრაპიზონსა და სამსუნში გადასხეს ინგლისის სამხედრო რაზმები.

საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს ადანის ოლქი და აღმოსავლეთ თრაკიის დიდი ნაწილი.

1919 წლის იანვარში პარიზში გაიხსნა კონფერენცია, რომელსაც უნდა შეემუშავებინა საზავო ხელშეკრულებები დამარცხებულ სახელმწიფოებთან.

1919 წლის 30 იანვარს, საბერძნეთის მთავრობამ პარიზის კონფერენციას გაუგზავნა მემორანდუმი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ანატოლიაში ცხოვრობს 2.5 მილიონი ბერძენი, რომლებიც ოცნებობენ საბერძნეთთან გაერთიანებაზე, ხოლო შავი ზღვის ჩრდილო - აღმოსავლეთ რაიონში მცხოვრებ ბერძნებს სურთ შექმნან პონტოს სახელმწიფო, საბერძნეთის პროტექტორატის ქვეშ. საბერძნეთი ასევე მოითხოვდა, გადაეცათ მისთვის

იზმირი და კონსტანტინეპოლზე დაეწესებინათ ერთა ლიგის კონტროლი.

პარიზის კონფერენციაზე იტალიის წარმომადგენელმა, ორლანდომ, პროტესტი განაცხადა და აღნიშნა, რომ ლონდონის ხელშეკრულებით იზმირი იტალიას უნდა გადასცემოდა.

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა საბერძნეთის განზრახვა იზმირთან მიმართებით, იტალიელებმა გადაწყვიტეს დაესწროთ საბერძნეთისათვის და 1919 წლის 4 მაისს თავისი ჯარები გადასხა კუშადასიში, იზმირიდან 60 კილომეტრის დაშორებით. მალე მათ დაიკავეს იზმირთან ახლო მდებარე რაიონები.

იტალიელებს არც ბერძნები ჩამორჩნენ. 1919 წლის 15 მაისს საბერძნეთმა დაიწყო არმიის გადასხმა იზმირში და მოკლე ხანში დაიკავა მთელი იზმირის ვილაიეთი.

1919 წლის 29 ივლისს, ინგლისის მონაწილეობით, მიაღწიეს შეთანხმებას იტალიასა და საბერძნეთს შორის - ანატოლიასა და ბალკანეთში გავლენის სფეროების განაწილების შესახებ.

ფაქტობრივად, ოსმალეთის სახელმწიფოს ბედი გადაწყვეტილი იყო ანტანტის სახელმწიფოების მიერ. თავიანთი გეგმების რეალიზაციის მიზნით, მათ თურქეთის ტერიტორიაზე ჰყავდათ 100000-იანი არმია.

- **ეროვნულ - განმანთავისუფლებელი მოძრაობის დაწყება**

ანტანტის მიერ ოსმალეთის სახელმწიფოს დაპყრობის შემდეგ, მისმა მოსახლეობამ, ქვეყნის სხვადასხვა ნაწილის დაცვის მიზნით, დაიწყო პოლიტიკური ორგანიზაციების დაარსება. 1918 წლის ბოლოს თრაკიაში, იზმირსა და კილიკიაში შეიქმნა უფლებათა დაცვის საზოგადოება, ასევე დაარსდა აღმოსავლეთის ვილაეთების დაცვის საზოგადოება. პოლიტიკური პარტიები არც სტამბოლში იყვნენ გულხელდაკრეფილნი, ამ პერიოდისათვის გამოცოცხლდა რამდენიმე პოლიტიკური პარტია, რომლებსაც უფრო ფართომასშტაბიანი გეგმები ჰქონდათ. ისინი მიზნად ისახავდნენ, შეექმნათ ერთიანი ეროვნული ბლოკი, რომელიც დაიცავდა ოსმალეთის ტერიტორიულ მთლიანობას. საზოგადოებები და დაჯგუფებები თავიდან პაციფისტური

გრძნობებით იყვნენ განმსჭვალული და ლმობიერი პოლიტიკით ცდილობდნენ მძიმე სიტუაციიდან გამოსვლას. მათ იმედი ჰქონდათ, რომ მშვიდობიანი გზებით შესაძლებელი იყო სასურველი მიზნის მიღწევა. ოსმალეთის პოლიტიკური პარტიების ასეთი ოპტიმისტური რწმენა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ თომას ვუდრო ვილსონის 14 პუნქტიანი დეკლარაციით იყო გამყარებული, მაგრამ 1919 წლისათვის ნათელი გახდა, რომ მშვიდობიანი პოლიტიკით თურქეთი ვერაფერს გააწყობდა და ამ გზის გაგრძელების შემთხვევაში უფსრკულში აღმოჩნდებოდა. 1919 წლიდან თურქებმა რადიკალურად შეცვალეს თავიანთი პოლიტიკა და გადავიდნენ შეიარაღებულ ამბოხებებსა და მკაცრი ხასიათის დემონსტრაციებზე. ქვეყანაში მომზადდა იმის ყველა პირობა, რომ დაწყებულიყო ანტიიმპერიული მოძრაობა, რადგან ოსმალეთის სულთანი ოკუპანტების ზეგავლენის ქვეშ მოექცა. სულთნის მთავრობა კი, ფერიდ ფაშას მეთაურობით, ოკუპანტების პოლიტიკის გამტარებელი აღმოჩნდა.

მუსტაფა ქემალ ათათურქი

ასეთი ორგანიზაციის შექმნა დაისახა მუსტაფა ქემალმა. ფაშას ტიტული მან პირველი მსოფლიო ომის დროს მიიღო.

როცა თურქეთის ისტორიის ამ პერიოდზე ვსაუბრობთ, შეუძლებელია მუსტაფა ქემალის შესახებ მხოლოდ ორიოდე სიტყვით შემოიფარგლო, ამიტომ შევეცდებით მოკლედ შევეხოთ ამ ადამიანის ბიოგრაფიას.

მუსტაფა ქემალი დაიბადა 1881 წელს საბერძნეთის ქალაქ სალონიკში, მოსამსახურის ოჯახში. სახელი ქემალი მას სამხედრო სასწავლებელში შეარქვეს განსაკუთრებული მათემატიკური შესაძლებლობების გამო. მამა ადრეულ ასაკში გარდაეცვალა. 1893 წელს მუსტაფა ქემალი შევიდა სამხედრო სასწავლებელში. შემდეგ სწავლა განაგრძო გენერალური შტაბის სამხედ-

რო სასწავლებელში, რომელიც 1905 წელს დაამთავრა და მიიღო კაპიტნის ჩინი. ამის შემდეგ ჩაირიცხა სამხედრო ნაწილში. 1906 წელს საიდუმლო პატრიოტულ წრეებში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს. მას ბრალად ედებოდა ნაბუქ ქემაქლის აკრძალული პიესის „სამშობლოს“ წაკითხვა. 1906 წელს, 3 თვის პატიმრობის შემდეგ, იგი გაათავისუფლეს და დანიშნეს დამასკოს საკავალერიო ნაწილში. აქ იგი უკავშირდება ახალგაზრდა ოფიცრების მიერ დაარსებულ ანტიიმპერიულ ორგანიზაციას. ეს ორგანიზაცია, ფაქტობრივად, პირველი სერიოზული დაჯგუფება იყო სულთან აბდულ ჰამიდის წინააღმდეგ. დამასკოდან მუსტაფა ქემალი მაკედონიაში გადავიდა და საიდუმლოდ შეხვდა ახალგაზრდა თურქთა ლიდერებს. ამ პერიოდისათვის ახალგაზრდა თურქთა შტაბი მაკედონიაში იმყოფებოდა. 1907 წელს მუსტაფა ქემალი მაკედონიაში გადაიყვანეს, ამის შემდეგ მან უფრო გაამყარა კავშირები ახალგაზრდა თურქთა ლიდერებთან. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ მუსტაფა ქემალმა 1908 წელს ახალგაზრდა თურქთა რევოლუციაში მიიღო მონაწილეობა. მისი კავშირი ახალგაზრდა თურქთა ორგანიზაციასთან დიდხანს არ გაგრძელებულა. მას უთანხმოება მოუვიდა ლიდერებთან და პარტიის რიგებიდან გავიდა. 1908 წლის მეორე ნახევრიდან იგი საერთოდ ჩამოსცილდა პოლიტიკურ მოღვაწეობას.

მუსტაფა ქემალი ჯარში თავიდანვე დიდი სიმამაცით და წარმატებებით გამოირჩეოდა, რამაც ხელი შეუწყო მის სწრაფ კარიერულ წინსვლას. 1911 -1912 წლებში იგი მონაწილეობდა ტრიპოლიტანიის ომში 1912 -1913 წლებში ბალკანეთის ომში, 1911 წელს მას მაიორის ჩინი მიენიჭა. 1914 წელს, როდესაც იგი იყო სამხედრო ატაშე ბელგრადში, ვიცე - პოლკოვნიკის ჩინი უბოძეს. მუსტაფა ქემალმა განსაკუთრებით პირველ მსოფლიო ომში გამოიჩინა თავი. ომში ჩაბმისთანავე იგი დაინიშნა მე-19 დივიზიის მეთაურად. ის ბევრ ცნობილ ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას, მაგრამ განსაკუთრებით თავი ბალკანეთის ბრძოლაში გამოიჩინა. აქ მან მიიღო პოლკოვნიკის ჩინი. 1916 წლის მარტში იგი კავკასიის ფრონტზე

იბრძოდა, სადაც მას მიანიჭეს ბრიგადის გენერლობა. 1917 წელს იგი დანიშნეს მე-7 არმიის სარდლად. 1917 წლის დეკემბრიდან 1918 წლის 5 იანვრამდე იგი ბერლინში ახლდა უფლისწულ ვაჰიდედინს. 1918 წლის აგვისტოში იგი კვლავ დაინიშნა არმიის სარდლად. აქ მას მუდროსის ზავმა მოუსწრო. ზავის შემდეგ მუსტაფა ქემალმა მოახდინა ჯარების ევაკუაცია კილიკიაში და შეუდგა მოსულის დაცვას, რომელსაც ინგლისის ჯარები უტევდნენ, მაგრამ მან მთავრობისაგან ვერ მიიღო მხარდაჭერა და გადადგა. 1918 წლის 10 ნოემბერს მუსტაფა ქემალი დაბრუნდა სტამბოლში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მუსტაფა ქემალმა მიზნად დაისახა ერთიანი ანტიიმპერიული ორგანიზაციის შექმნა. მან თავის გარშემო დაიწყო იმ ადამიანების შემოკრება, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ არსებული ვითარებით და არ აპირებდნენ მხარი დაეჭირათ სულთნისათვის. მუსტაფა ქემალს სჯეროდა, რომ ამ მძიმე სიტუაციიდან გამოსავალი იყო ახალი ქმედითუნარიანი მთავრობის შექმნა, რომელიც ქვეყნის ინტერესების დასაცავად გადამჭრელ ზომებს მიიღებდა. სულთნის კარზე მოკალათებულმა კორუმპირებულმა ჩინოვნიკებმა ყურადაც არ იღეს მუსტაფა ქემალის მოსაზრებები.

ასეთ მძიმე ვითარებაში, როცა მუსტაფა ქემალმა დაინახა, რომ მთავრობისაგან არანაირი იმედი არ უნდა ჰქონოდა, მან მიიღო სწორი გადაწყვეტილება, რომ სასწრაფოდ უნდა მომხდარიყო ეროვნული ძალების გაერთიანება, მაგრამ ის არ უნდა მომხდარიყო სტამბოლთან ახლოს. ქემალის აზრით, გაერთიანება აუცილებლად ანატოლიის ტერიტორიაზე უნდა მომხდარიყო. მოცემული ტერიტორია მუსტაფა ქემალს შემთხვევით არ აურჩევია. ის ხელსაყრელი იყო როგორც პოლიტიკური, ასევე სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისითაც, რადგან აქ ოკუპანტებს ჯერ კიდევ ნაკლებად მიუწვდებოდათ ხელი.

მუსტაფა ქემალი ნელ - ნელა შეუდგა ანატოლიის ტერიტორიაზე ფეხის მოკიდებას. 1919 წლის მაისში გავლენიანი ახლობლების ჩარევითა და დიდი ძალისხმევით იგი ანატოლიაში მე-9 არმიის ინსპექტორად დაინიშნა და 1919 წლის 19 მაისს

სამსუნში ჩავიდა. სწორედ ეს თარიღი ითვლება ისტორიაში თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყების თარიღად. ამბობენ, როცა მუსტაფა ქემალს ეკითხებოდნენ, როდის დაიბადეო, ის ხუმრობით პასუხობდა 1919 წლის 19 მაისსო. მუსტაფა ქემალი თავიდან მიიჩნევდა, რომ ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობა უნდა დაწყებულიყო ფადიშაჰის წმინდა დროშის ქვეშ. სულთან მეჰმედ VI-ის მეთაურობით. ანტიიმპერიული მოძრაობის მთავარ მამოძრავებელ ძალას შეადგენდნენ გლეხები და მუშები, რომლებიც საკმაოდ მცირერიცხოვანი იყვნენ, ამიტომ ასეთ ვითარებაში ეროვნული მოძრაობის მართვის სადავეები ეროვნული ბურჟუაზიის ხელთ აღმოჩნდა. მას ანატოლიის სამრეწველო და სავაჭრო ბურჟუაზია წარმოადგენდა. ერთი სიტყვით, ანატოლიაში უკვე მომწიფდა საკმაო პირობები იმისა, რომ შექმნილიყო ძლიერი ბირთვი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა.

ანატოლიაში ჩასვლისთანავე მუსტაფა ქემალი შეუდგა ერთიანი ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბებას. მან მიზნად დაისახა პირველ რიგში ოსმალეთის სხვადასხვა ტერიტორიებზე არსებული სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და პატრიოტული გაერთიანების შექმნა, რომელიც გახდებოდა ანატოლიისა და თრაკიის უფლებათა დაცვის ორგანიზაციის ერთიანი ხელმძღვანელი ორგანო.

მუსტაფა ქემალი მოუწოდებდა ხალხს: „სამშობლოს ხელშეუვალობა და დამოუკიდებლობა საფრთხეშია, მთავრობა ვერ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ამის გამო საჭიროა მოვიწვიოთ ეროვნული ყრილობა, რომელიც დამოუკიდებელი იქნება ყოველგვარი გავლენისაგან“.

მისი მომხრეების რიგები იზრდებოდა საკმაოდ გავლენიანი ადამიანებით, როგორებიც იყვნენ:

დივიზიებისა და შტაბების მეთაურები, ზოგიერთი გუბერნატორი, მაღალი სასულიერო პირები და სხვა. გავლენიანი პირების დახმარებით მუსტაფა ქემალი უკავშირდებოდა სხვადასხვა ორგანიზაციების ლიდერებს. თავისი მოწოდებით ის მიისწრაფოდა დაემტკიცებინა, რომ თურქეთის პოლიტიკური და ეროვნული არსებობა არ შეწყვეტილა და ხალხი მზადაა დაიცვას თავიანთი უფლება და დამოუკიდებლობა.

მუსტაფა ქემალის მოქმედებები საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა. 1919 წლის 20 ივნისს ამასიაში შედგა საიდუმლო თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ მუსტაფა ქემალ ფაშა, ყოფილი საზღვაო მინისტრი ჰუსეინ რაუფ ბეი, მე - 20 სამხედრო კორპუსის მეთაური ალი ფუად ფაშა და პოლკოვნიკი ქაზიმ ბეი. აქ მათ განიხილეს შემდგომი უფრო ფართომაშტაბიანი შეხვედრის გეგმა. ეს შეხვედრა იქნებოდა სივასის კონგრესი, რომელზეც წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ყველა პოლიტიკური პარტია და საზოგადოება, რომლებსაც ხმა მიაწვდინა მუსტაფა ქემალმა და რომლებმაც გამოთქვეს სურვილი მასთან ერთად დახმარებოდნენ სამშობლოს. ამ კონგრესზე შემუშავებული უნდა ყოფილიყო შემდგომი სამოქმედო გეგმა. თათბირზე უმრავლესობამ მხარი დაუჭირა აღმოსავლეთის ვილაეთების უფლებათა დაცვის საზოგადოების ინიციატივას, ჩაეტარებინათ შემდეგი კონგრესი. თათბირის ოქმს ხელი მოაწერეს მე-3 კორპუსის მეთაურმა ქიაზიმ ბეიმ და მე-8 კორპუსის მეთაურმა ჯემალ - ბეიმ.

ამრიგად, ამასიაში შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც თავის თავზე იღებდა მთელი პატრიოტული ძალების გაერთიანებას და ერთიანი ფრონტის შექმნას.

მუსტაფა ქემალი, საინიციატივო ჯგუფის სახელით, იწყებს მოქმედებას. მან 1919 წლის 22

ივლისს მოსაწვევი გაუგზავნა თითქმის ყველა გავლენიან პატრიოტულ საზოგადოებასა თუ უბრალოდ გავლენიან ადამიანებს, რათა მიეღოთ მონაწილეობა სივასის კონგრესის მუშაობაში. მუსტაფა ქემალის მიერ ჩამოყალიბებული ორგანიზაციის სახელი, მისი მოქმედებებიდან გამომდინარე, სწრაფად გასცდა ანატოლიის საზღვრებს. ასეთი რამ არ დარჩენილა სასახლის კარისა და ოკუპანტების მიერ შეუმჩნეველი. მათ უმალვე დაიწყეს მოქმედებები ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაშლელად.

მოკავშირეთა მთავარსარდალმა, ინგლისელმა გენერალმა მილნმა, ოსმალეთის სამხედრო მინისტრს დაუყონებლივ მოსთხოვა მუსტაფა ქემალი სტამბოლში დაებრუნებინა. სამხედრო მინისტრმა, მართლაც, გამოიწვია ქემალი დედაქალაქში და მას დაუყონებლივ სტამბოლში ჩასვლა დაავალა, რაზეც კატეგორიული უარი მიიღო. სამხედრო მინისტრის ბრძანების შეუსრულებლობის შემდეგ მუსტაფა ქემალი, რა თქმა უნდა, ვეღარ დარჩებოდა თავის თანამდებობაზე და იგი გადადგა. ამის მიუხედავად, მუსტაფა ქემალის ავტორიტეტი დღითიდღე იზრდებოდა ქვეყანაში.

1919 წლის 23 ივლისიდან 7 აგვისტომდე ერზურუმში ჩატარდა აღმოსავლეთის ვილაიეთების კონგრესი, რომელსაც 35 დელეგატი დაესწრო. კონგრესმა ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, დაეცვათ აღმოსავლეთის ვილაეთები, მაგრამ კონგრესის მონაწილეებმა აღიარეს თავიანთი ერთგულება სულთნისა და ხალიფატისადმი, რაც სავსებით სწორი გადაწყვეტილება იყო, რათა არ მიეცათ მთავრობისათვის შეიარაღებული შეტევის საბაბი. ერზრუმის კრებამ დიდი როლი შეასრულა ერთიანი ეროვნული ცენტრის საბოლოო ფორმირებაში.

1919 წლის 4 -12 სექტემბერს სივასში ჩატარდა

დაგეგმილი კონგრესი, რომელიც ყველაზე ფართომასშტაბიანი იყო აქამდე ჩატარებულ კრებებს შორის როგორც რიცხვობრივი, ასევე მნიშვნელობის თვალსაზრისითაც. ეს იყო სრულიად თურქეთის კონგრესი. მასში მონაწილეობდა თურქეთის მოსახლეობის თითქმის ყველა ფენის წარმომადგენლები, მსხვილი მიწათმფლობელები, ვაჭრები, შეიხები, მოლები, ოფიცრები, სხვადასხვა წვრილი სახელმწიფო მოხელეები, ექიმები, იურისტები და სხვა.

სივასის კონგრესი ძალზე დაძაბულ ვითარებაში ჩატარდა, რადგან, როგორც აღინიშნა, მოკავშირეებს უყურადღებოდ არ დარჩენიათ ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობის ქმედებები. მათ ძალზე აშფოთებდათ მცირე აზიაში შექმნილი ვითარება. კერძოდ, დასავლეთ ანატოლიაში ბერძენთა არმია მიიწევდა წინ, მერსინში გადასვეს საფრანგეთის ჯარები, ანატოლიის შავი ზღვის სანაპიროზე ინგლის - საფრანგეთის ფლოტი ბატონობდა. საბერძნეთი კი პონტოს სახელმწიფოს დაარსების მომხრეებს იარაღით ამარაგებდა. ამის პარალელურად, სტამბულში გამოქვეყნდა სულთნის ბრძანება მუსტაფა ქემალის სამხედრო ტრიბუნალზე გადაცემის შესახებ. 9 აგვისტოს ტრიბუნალმა იგი მეამბოხე გენერლად გამოაცხადა და გარიცხა არმიის რიგებიდან, ასევე ჩამოართვა მას ყოველგვარი სამხედრო ტიტული, უფლება და პრივილეგიები. საბოლოოდ სტამბოლიდან გამოგზავნილ რაზმს მისი დაპატიმრება ჰქონდა დავალებული.

მოკავშირეები ყველანაირად ცდილობდნენ სივასის კონგრესის განეიტრალებას. შარფუტის გუბერნატორს დაევალა სივასის კონგრესის წინააღმდეგ ქურთთა შეიარაღებული ამბოხის მოწყობა, ფრანგ ოფიცრებს კი -საფრანგეთის მთავრობის მიერ ხმების გავრცელება, თითქოს აპირებდნენ სივასის ოკუპაციას. სივასში იტალიელებიც ჩავიდნენ, მაგრამ ისინი სახალხო რაზმელებმა უკან გააბრუნეს. ამ მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, სივასის კონგრესი მაინც წარმატებით დასრულდა.

ამ პერიოდისათვის მთლიანად თურქეთში ძალზე დიდი გამოხმაურება მოჰყვა იმას, რომ თურქეთი ამერიკის შეერთებულ

შტატებს სამანდატო ქვეყნად უნდა გადასცემოდა. მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი მომხრე იყო ამ მანდატისა, რადგან ისინი მიიჩნევდნენ, რომ ქვეყნისათვის უკეთესი იქნებოდა მასზე ამერიკის მანდატი გავრცელებულიყო, ვიდრე ანტანტის სახელმწიფოებს დაენაწილებინათ იგი. სივასის კრების მონაწილეებს შორის საკმაოდ ბევრი იყო ამერიკის მანდატის მომხრეებიც და, ასევე, ამერიკის წარმომადგენლებიც, რომლებიც ცდილობდნენ აგიტაცია გაეწიათ კონგრესისთვის. საბოლოო ჯამში, კრებამ არანაირი მანდატი არ მიიღო. სივასის კრება, ისევე როგორც ერზრუმისა, ჩატარდა ქვეყნის გადარჩენის ლოზუნგით. კრებაზე შეიმუშავეს ბრძოლის ძირითადი პრინციპები და მიიღეს უფრო ფართო სამოქმედო პროგრამა. ქვეყანა, 1918 წლის მუდროსის ზავის მიხედვით, განსაზღვრულ ტერიტორიებში უნდა დარჩენილიყო. კრება სულთნისაგან მოითხოვდა სასწრაფოდ მოეწვია მეჯლისი და გადაეყენებინა ფერად ფაშას მთავრობა, რომელიც შემრიგებლურ პოლიტიკას აწარმოებდა ოკუპანტ ქვეყნებთან. კონგრესმა აირჩია წარმომადგენლობითი კომიტეტი 13 კაცის შემადგენლობით. როგორც აღვნიშნეთ, მუსტაფა ქემალი კრების თავმჯდომარედ აირჩიეს. სივასის კრებამ სულთანსა და ასევე სტამბულში მყოფ სხვა დიპლომატიურ კორპუსებს გაუგზავნა მიმართვა, სადაც დასაბუთებული იყო, რომ ანატოლიაში შექმნილ ეროვნულ მოძრაობას კანონიერი ხასიათი ჰქონდა.

- **სტამბოლის მეჯლისის მოწვევა**

სივასის კონგრესის გადაწყვეტილების შესაბამისად, ერთიანმა ეროვნულ - განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მიიღო გადაწყვეტილება, 1919 წლის 12 სექტემბერს გაეწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობა მთავრობასთან. სულთანმა კომიტეტის მოთხოვნაზე, გადაეყენებინა ფერად ფაშას მთავრობა, უარი განაცხადა, მაგრამ თურქეთში დღითიდღე იზრდებოდა ანტისამთავრობო გამოსვლები და სიტუაცია ძალზე იძაბებოდა. ასეთ ვითარებაში სულთანი იძულეუბლი იყო ქემალისტების მოთხოვნებს საკადრისად მოქცეოდა. 1919 წლის 2 ოქტომბერს გადადგა ფერად ფაშას მთავრობა და დაინიშნა ახალი მთავრობა

ალი რიზა ფაშას მეთაურობით. სულთანი დიდ იმედებს ამყარებდა ალი რიზა ფაშას მთავრობაზე. კერძოდ, იმ მიმართულებით, რომ იგი გააუქმებდა უფლებათა დაცვის საზოგადოებას, დაშლიდა პატრიოტულ რაზმებს, ჩაატარებდა მშვიდობიან აქციას პარლამენტში და ხელს მოაწერდა მოკავშირეთა მიერ შემუშავებულ საზავო ხელშეკრულებას. ძველი მთავრობის გადაყენების შემდეგ, 1919 წლის 20 - დან 22 ოქტომბრამდე ამასიაში მიმდინარეობდა მოლაპარაკება ძველი მთავრობის დელეგატებსა და წარმომადგენლობითი კომიტეტის ხელმძღვანელებს შორის. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: მუსტაფა ქემალი, რეფიკ ბეი და ბექირ სამი ბეი. მოლაპარაკება საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა ორივე მხარისათვის. კერძოდ, შედგენილი 5 ოქმიდან 3-ს ხელი მოაწერეს ორივე მხარის წარმომადგენელმა, ხოლო დარჩენილ ორს - მხოლოდ სულთნის მთავრობის წარმომადგენლებმა. ქემალისტები აპირებდნენ მონაწილეობა მიეღოთ ახალ პარლამენტში და იქიდან უფრო მეტი ზეგავლენა მოეხდინათ ქვეყნის ტერიტორიების დაცვის კონტროლზე, მაგრამ მთავრობის დელეგატებსა და კომიტეტის წევრებს ერთი საკითხი კვლავ მოუგვარებელი დარჩათ, კერძოდ: მუსტაფა ქემალი ითხოვდა, რომ პარლამენტი მოეწვიათ ანატოლიის რომელიმე ქალაქში, სულთნის მთავრობა კი ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყო და პარლამენტის მოწვევას სტამბოლში აპირებდა. გასაგებია მუსტაფა ქემალის ასეთი პოზიცია. მათი უმრავლესობა დამნაშავედ იყო მიჩნეული სტამბოლში, ასე რომ, კომიტეტის წევრთა სტამბულში ჩასვლა სერიოზულ რისკთან იყო დაკავშირებული. საბოლოოდ, სულთნის დაჟინებული მოთხოვნით, პარლამენტის მოწვევა სტამბოლში დაინიშნა. ერთი სიტყვით, სულთნის მთავრობასა და ქემალისტებს შორის მოლაპარაკების პირველი საფეხური წარმატებით დასრულდა. ზემოხსენებული ოქმების ხელმოწერით ქემალისტებმა უარი თქვეს აქტიურ საომარ ოპერაციებზე ოკუპანტთა

ალი რიზა ფაშა

წინააღმდეგ, სანამ დეპუტატთა პალატა ხელში არ აიღებდა ქვეყნის ხელისუფლებას. ხოლო, თავის მხრივ, სულთნის მთავრობა ვალდებულებას იღებდა, დაეცვა ქვეყნის საზღვრები მუდროსის ზავის პირობების გათვალისწინებით.

სტამბოლში გამგზავრებამდე ქემალისტი დეპუტატები 27 დეკემბერს შეიკრიბნენ ანკარაში, საერთო პროგრამის შემუშავების მიზნით, მათ შეიმუშავეს მოქმედების გეგმა. გადაწყვიტეს პარლამენტში შეექმნათ უფლებათა დაცვის ფრაქცია. მუსტაფა ქემალმა სტამბოლის პარლამენტის მუშაობაში მონაწილეობა არ მიიღო. სულთნის მთავრობასთან კავშირის დამყარების მიზნით სტამბოლში გაგზავნილი იყვნენ წარმომადგენლობითი კომიტეტის დელეგატები. რაუფ ბეი, ყარა ჰასიფ ბეი, ბექირ სამი ბეი.

1919 წელს სტამბოლში ჩატარდა არჩევნები, სადაც ქემალისტებმა ტრიუმფალურად გაიმარჯვეს. 175 კაციდან 116 კაცი მუსტაფა ქემალის მომხრე იყო. 1920 წლის 12 იანვარს გაიხსნა პარლამენტის პირველი სხდომა. 28 იანვარს ქემალისტმა დეპუტატებმა წარადგინეს თავიანთი ეროვნული აღქმა, რომელიც წარმოადგენდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროგრამას. იგი ითვალისწინებდა ოსმალეთის ტერიტორიის ფარგლებში ქვეყნის მთლიანობას. ამ აღქმამ მოიპოვა პარლამენტის სრული მხარდაჭერა, მაგრამ მას მოკავშირე სახლმწიფოების წარმომადგენლები ძალზედ უარყოფითად შეხვდნენ. დაიწყეს მოქმედებისათვის მზადება, რომ როგორმე ჩაეშალათ ახალი პარლამენტი.

1920 წლის თებერვალში ლონდონში მიმდინარეობდა მოლაპარაკება მოკავშირე სახელმწიფოთა შორის თურქეთის საკითხთან დაკავშირებით. მოლაპარაკებაზე მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. სტამბოლი დარჩებოდა სულთნის ხელისუფლების მმართველობის ქვეშ;

2. მოხდებოდა სრუტეების ინტერნაციონალიზაცია და ნეიტრალიზაცია;

3. თურქეთს არ ჰქონდა უფლება მმართველობა განეხორციელებინა არათურქ მოსახლეობაზე.

ამავე დროს, ანტანტის სახელმწიფოები შეთანხმდნენ თურქეთთან საზავო ხელშეკრულების ძირითად პირობებზე. მოკავშირე სახელმწიფოებს არ მოსწონდათ ახალი პარლამენტის საქმიანობა, განსაკუთრებით ინგლისს. საბოლოოდ მათ გადაწყვიტეს იარაღის ძალით დაეშალათ ის.

თებერვალ - მარტში ანატოლიაში გადასროლილ იქნა საბერძნეთის რეგულარული არმია, ხოლო სტამბოლში 1920 წლის 16 მარტს ინგლისის ჯარები, რომლებმაც დაიკავეს სამთავრობო შენობები და დაიწყეს ფართომასშტაბიანი რეპრესიები ქემალისტების წინააღმდეგ. მათ დაარბიეს პარლამენტის შენობა და დეპუტატების დიდი ნაწილი, ვინც თავს გაქცევით ვერ უშველა, დააპატიმრეს და კუნძულ მალტაზე გადაასახლეს. რა თქმა უნდა, ქვეყანა მთავრობის გარეშე ვერ იარსებებდა, უნდა მოეწვიათ ახალი პარლამენტი. 5 აპრილს, ინგლისის მოთხოვნით, შეიქმნა ახალი მთავრობა დამად ფერად ფაშას მეთაურობით. სტამბოლში საოკუპაციო რეჟიმი დამყარდა. დაიწყო ისევ ძალების ახალი გადანაწილება. ის ვინც თურქეთის დამოუკიდებლობისათვის აპირებდა ბრძოლას ანატოლიაში გადაბარგდა, ხოლო სტამბოლში თავი მოიყარეს მთავრობის ერთგულმა ძალებმა. სტამბოლშიც, სხვა ქალაქებსა თუ სოფლებში დაიწყო ფართომასშტაბიანი გამოსვლები ოკუპანტთა წინააღმდეგ.

1920 წლის 19 მარტს წარმომადგენლობითმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ახალი მეჯლისის მოწვევის შესახებ. ეს გამოწვეული იყო რამდენიმე აუცილებელი ფაქტორით:

1. დეპუტატთა პალატა სტამბოლში დათხოვნილი იყო და საკანონმდებლო ორგანო აღარ არსებობდა;

2. აღმასრულებელი ხელისუფლება იმყოფებოდა ანტანტის კონტროლის ქვეშ. ამის გამო, ფერიდ ფაშას მთავრობა ცხადდებოდა მოღალატედ და კომიტეტი წყვეტდა მასთან ყოველგვარ კავშირს;

3. სასამართლო ხელისუფლება აღარ სარგებლობდა არანაირი დამოუკიდებლობით. სტამბოლში სრული განუკითხაობა სუფევდა. ამის გამო, უმიზეზოდ დააპატიმრეს ასობით მოქალაქე. ამგვარმა ვითარებამ ხალხის ფართო მასებში, განსაკუთრებით ბურჟუაზიაში, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ყოველივე ზემოხსენებულმა კი გამოიწვია ის, რომ უფრო დაჩქარდა სახელმწიფო ხელისუფლების გადასვლა ბურჟუაზიის ხელში. ფერიდ ფაშას მთავრობა ვერ ურიგდებოდა ეროვნული მოძრაობის ამგვარ ქმედებებს და ოკუპანტთა დახმარებით ცდილობდა მისთვის ხელის შეშლას. ანტანტის ქვეყნების გავლენით სულთანმა გამოსცა მანიფესტი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის განახლების შესახებ. უფრო მეტიც, სულთანი მარტო მანიფესტის გამოცემით არ დაკმაყოფილდა და შეუდგა არმიის დაკომპლექტებას, რათა ძალისმიერი ხერხებით მოეხდინა ეროვნული მოძრაობის დაშლა.

- **ანკარაში თურქეთის დიდი ეროვნული კრების მოწვევა**

ეროვნული მოძრაობის შეჩერება მოსალოდნელმა რეალურმა საფრთხემ ვერ შეძლო, პირიქით, ისინი ადრინდელზე უფრო მეტი ძალისხმევით ცდილობდნენ, რომ ახალ მეჯლისს დიდი მნიშვნელობა ჰქონოდა ქვეყნისათვის. ახალი მეჯლისი, ძველისაგან განსხვავებით, რამდენადმე სახეშეცვლილი იყო. კერძოდ, ძველისაგან განსხვავებით, ის შედგებოდა ერთი პალატისაგან. არჩევნები ჩატარდა ორსაფეხურიანი სისტემით ძველი საარჩევნო კანონის საფუძველზე. ყოველი სანჯაყი 5 დეპუტატს ირჩევდა.

1920 წლის 23 აპრილს ანკარაში გაიხსნა თურქეთის დიდი ეროვნული კრება. პირველი მოწვევის მეჯლისი შედგებოდა 338 დეპუტატისაგან. აქედან 105 დეპუტატი სტამბოლიდან ჩავიდა. პარლამენტის დეპუ-

ტატთა შორის იყვნენ საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლები, მაგალითად: მემამულეები, ვაჭრები, სასულიერო პირები, ოფიცრები, ექიმები, იურისტები, ჟურნალისტები, მწერლები, მასწავლებლები და სხვა. მეჯლისის დეპუტაციამ აირჩია პრეზიდიუმი, რომლის პირველი თავჯდომარე გახდა მუსტაფა ქემალი.

3 მაისს შეიქმნა მინისტრთა საბჭო. მის თავმჯდომარედაც მუსტაფა ქემალი აირჩიეს. საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა ბექირ სამი ბეი, შინაგან საქმეთა მინისტრი კი - ჯავით ბეი. თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. კრებამ თავისი თავი გამოაცხადა ერთადერთ კანონიერ ხელისუფლად.

1920 წლის 7 ივლისს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ გააუქმა ყველა ხელშეკრულება, კონვენცია და ყველა სხვა სახის აქტი, რაც სულთნის მთავრობამ უცხოეთის სახელმწიფოებთან დადო. სულთნის მთავრობა კანონგარეშედ იქნა გამოცხადებული. შეიქმნა ვითარება, რომელსაც თურქულ ისტორიოგრაფიაში „ორხელისუფლებიანობა“ ეწოდა. სტამბოლში სულთნის მთავრობა ბატონობდა, რომელიც ოკუპანტთა მონა-მორჩილი იყო, ანკარაში კი - ქემალისტები.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მტრები ყველანაირად ცდილობდნენ მიზანის მიღწევას. მათ, 1920 წლიდან მწვავედ დაიწყეს შეტევები ეროვნულ მოძრაობაზე.

9 აპრილს ინგლისის ათი ათასზე მეტი ჯარისკაცი, რეგიონში, კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მიზნით, ბანდირმაში გადავიდნენ. ქემალისტები ძალადობრივ შეტევებს არ ხვდებოდნენ მოუმზადებელნი, ეს ათი ათასი ჯარისკაცი, გაერთიანებული პარტიზანული მოძრაობის მიერ, განადგურებული იქნა. ძალადობრივი შემოტევების ტალღა ამით არ დასრულებულა.

13 აპრილს ბოლუსა და დუზჯეში დაიწყო აჯანყება. ისინი სულთნის სამსახურში იმყოფებოდნენ და რიგი პრივილეგიებითაც სარგებლობდნენ. ამიტომ ეჭვგარეშეა, რომ მათ უკან სულ-

თნის მთავრობა იდგა. აჯანყებულთა რიცხვმა 4000 კაცს მიაღწია. აჯანყებულებს ადაფაზარის მახლობლად შეუერთდა ხალიფატის არმიის ნაწილები და სულ მალე მათ ხელში აღმოჩნდა ჩრდილო ანატოლიის საკმაოდ დიდი ნაწილი.

ქემალისტებმა, აჯანყებულთა საწინააღმდეგოდ, მთელ არმიას გაუკეთეს მობილიზაცია. მათ ბერძენთა წიმააღმდეგ მებრძოლი ჯარის ნაწილიც გამოიწვიეს უკან და შეიერთეს აჯანყრბულთა წინააღმდეგ საომრად. ქემალისტები უკვე მზად იყვნენ კონტრევოლუციონერთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

აჯანყებულთა წინააღმდეგ საომარი მოქმედებები თავიდან დიდი წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ 1920 წლის პირველ ნახევარში მათ ისევ შეექმნათ რეალური საფხთხე ანტანტოს სახელმწიფოთაგან. მოკავშირეებმა ეროვნულ- განმათავისუფლებელ მოძრაობას ახლა საბერძნეთის არმია მიუსია, რომელიც უახლესი იარაღით იყო აღჭურვილი.

1920 წლის 22 ივლისს საბერძნეთის არმია შეტევაზე გადავიდა მთელ ფრონტზე. შეტევა დაიწყო სამი მიმართულებით. სამი ბერძნული დივიზია გადასროლილ იქნა აკჰისარ-სომას მიმართულებით. ორი დივიზია კი აიდინის წინააღმდეგ. ასეთი მძლავრი შეტევა პარტიზანებისთვისაც და ეროვნული საბჭოს წევრებისთვისაც მოულოდნელი იყო, რის გამოც მათ ვერ გაუძლეს რეგულარული არმიის შეტევას და დაიწყეს უკან დახევა. ბერძნების წარმატებებს ისიც უწყობდა ხელს, რომ რიცხობრივად ისინი მეტი იყვნენ და უკეთესი ტექნიკით იყვნენ შეიარაღებული. ქემალისტები კი პირიქით, მოძველებული იარაღით იყვნენ აღჭურვილი, რომელიც უკვე ნაკლებად ეფექტური იყო და თანაც მებრძოლებს ამდენი ომებით უკვე ძალა ჰქონდათ დაკარგული.

საბერძნეთის არმია წარმატებით მიიწევდა წინ. 10 დღის ბრძოლის შემდეგ, 30 ივნისს, მათ დაიკავეს ბალიქ შეჰირი, ხოლო 2 ივლისს კერმატა და ყარაჯაბეი, ბურსის მახლობლად. 25 ივლისს ინგლისმა დესანტი გადასხა მუდანიაში, ხოლო 2 ივლისს მათ დახმარება აღმოუჩინეს საბერძნეთის ჯარებს, მარმა-

რილოს ზღვის სანაპიროებთან სამხედრო გემებიდან შორ-სმსროლელი არტილერიის დახმარებით.

ამის შემდეგ ინგლისისა და საფრანგეთის ხელში აღმოჩ-ნდა ტერიტორია ქოლანიდან - დარდანელამდე. 1920 წლის 20 ივლისის დასაწყისისათვის ინგლისის ჯარებმა გაწმინდეს იზმი-რი პარტიზანთა ჯარებისაგან, 8 ივლისს დაიკავეს ბურსა. ბურ-სის დაცლის შემდეგ თურქეთის ჯარებმა დაიხიეს ესქიშეჰირი-საკენ და შეძლეს ფრონტის სტაბილიზაცია. ოკუპანტები ცდი-ლობდნენ ხელთ ეგდოთ აფიონ ყარაჰისარი და ქუთაჰია, მაგრამ ამის განხორციელება ვერ შეძლეს, და მაინც, მათი წარმატებე-ბი და ეროვნული მოძრაობის არმიის უკან დახევა არ შეწყვეტი-ლა.

3 თვის ცხარე ბრძოლის შემდეგ, ოკუპანტებმა დაიკავეს ოქუში, ვედიზი და მივიდნენ დოლმე ჰისარამდე. აიდინის მიმარ-თულებით საბერძნეთის ჯარებმა და ინგლის-საფრანგეთმა ანა-ტოლიის საკმაოდ დიდი ნაწილი იგდეს ხელთ, მაგრამ ისინი ამით არ კმაყოფილდებოდნენ და აგრძელებდნენ საომარ მოქ-მედებებს.

1920 წლის ზაფხულში სულთნის აგენტებმა მოახერხეს საკმაოდ ფართო მასების პროვოცირება. მთავრობის მითითე-ბით მათ დაიწყეს ანკარის მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლე-ბი, რის გამოც ანკარის მთავრობა იძულებული გახდა ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი ფრონტის ხაზიდან მოეხსნა ჯა-რის დიდი ნაწილი და გაეგზავნა აჯანყებულების დასაშოშმი-ნებლად, მაგრამ ეს საკმაოდ სარისკო საქმე იყო.

მოკავშირეთა შეტევების შედეგად მძიმე მდგომარეობა შე-იქმნა თრაკიაში, რომელიც, ფაქტობრივად, ინგლის-საფრანგე-თის ოკუპაციის ქვეშ იმყოფებოდა. აღსანიშნავია, რომ მოკავში-რეებსა და ბერძნებს შორის, ამ ტერიტორიებთან დაკავშირე-ბით, უთანხმოებამ იჩინა თავი, რადგან ბერძნები ამ ტერიტო-რიაზეც აცხადებდნენ პრეტენზიას. 1920 წლის 20 ივლისს ფე-ქინგალში გადასროლილ იქნა საბერძნეთის ერთი დივიზია, ბერ-ძნებმა დაიწყეს შეტევა ედირნეს მიმართულებით. მეორე ბერ-ძნული დივიზია შეტევაზე გადავიდა დასავლეთ თრაკიისაკენ.

ივლისის დასასრულისათვის საბერძნეთის ჯარებმა დაიკავეს მთელი აღმოსავლეთ თრაკია. ეროვნული მოძრაობის არსებობა - არარსებობის საკითხი საკმაოდ დიდი და სერიოზული საფრთხის წინაშე იდგა. საბერძნეთისა და ინგლის-საფრანგეთის ჯარებს იმ ტერიტორიის დიდი და მნიშვნელოვანი ნაწილი ჰქონდათ დაკავებული, რომელიც ეროვნული მოძრაობის მთავარ მასულდგმულებელ ძალას წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, თურქეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისკვეთება არ ჩამკვდარა, პირიქით, შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა უფრო ფართო მასებში გააღვიძა საბრძოლო სულისკვეთება.

- **სევრის საზავო ხელშეკრულება**

როგორც ცნობილია, ოსმალეთში სულთნის ხელისუფლებაც კი წინააღმდეგი იყო პარიზის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებისა. 1919 წლის პარიზის კონფერენციაზე თურქეთის დელეგაცია ფერიდ ფაშას მეთაურობით ჩავიდა, რომელიც აცხადებდა, რომ 1913 წელს, ენვერ ფაშას მიერ სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, თურქეთის პოლიტიკას ახალგაზრდა თურქები წარმართავნდნენ და თურქეთის ამჟამინდელ მთავრობას არ შეუძლია თავის თავზე აიღოს ზავის მკაცრი პირობები. მისი ეს განცხადება მკაცრად იქნა დაგმობილი. მოკავშირეებმა განაცხადეს, რომ ისინი თვითონ განიხილავდნენ თურქეთის საკითხს. თურქეთის დელეგაციის ყოფნა კონფერენციაზე სრულიად უსარგებლო იყო. 1919 წლის ივლისის შუა რიცხვებში თურქეთის დელეგაცია სტამბოლში დაბრუნდა. 1920 წელს სულთნის მთავრობამ კიდევ მიავლინა დელეგაცია, 11 მაისს საფრანგეთის პრემიერ - მინისტრმა მილერანმა მას გადასცა მოკავშირეთა მიერ შემუშავებული საზავო ხელშეკრულების პროექტი.

საზავო ხელშეკრულების საბოლოო პირობები 1920 წლის 20 აპრილს იქნა შედგენილი და თურქეთის ხელისუფლებას 11 ივლისამდე მისცეს პასუხის გაცემის ვადა. შემდგომში ანტანტის სახელმწიფოებმა შექმნილი სიტუაცია კარგად გამოიყენეს. კერძოდ, 1920 წელს სულთნის ხელისუფლებას თავს მოახვიეს კაბალური ზავი. 1920 წლის 10 აგვისტოს სევრში ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებას. ის ხელშეკრულება წარმოადგენდა ვერსალის ხელშეკრულების გაგრძელებას.

სევრის ხელშეკრულება შედგებოდა 13 ნაწილისა და 433 მუხლისაგან. პირველი ნაწილი შეიცავდა ერთა ლიგის წესდებას, მეორე ნაწილით დადგენილი იყო თურქეთის ახალი საზღვრები: საბერძნეთის ხელში გადადიოდა იზმირი, მიმდებარე რაიონებით; მარაშის, ურფას, ანთეფეს ვილაეთების ნაწილები კი - საფრანგეთის მფლობელობაში; მოსულის ვილაეთი დიარბექირისა და პაქოარის ვილაეთების ნაწილი - ინგლისის ხელში. სამხრეთ - დასავლეთ ანატოლია იტალიას გადაეცა. აღმოსავლეთ ანატოლიის ნაწილი დაშნაკური სომხეთის ხელში გადადიოდა. საზღვარი სომხეთსა და თურქეთს შორის დადგენილი იქნა 1920 წლის ნოემბერში ამერიკის პრეზიდენტ ვუდრო ვილსონის მიერ. საზღვარი გადიოდა შავი ზღვის სანაპიროზე, ქალაქ გირესუნიდან ერზინჯანი - მუში-ვანის ტბამდე. ვანის ტბიდან მოყოლებული გარკვეული ტერიტორია მიიღებდა ავტონომიას, ხოლო შემდეგ დამოუკიდებლობას ინგლისის პროტექტორატის ქვეშ. თურქეთი კარგავდა მთელ რიგ კუნძულებს იმრიზი და ტენედოსი გადადიოდა საბერძნეთის ხელში, დოდეკანეზის კუნძულები იტალიის ხელში, ხოლო კვიპროსი ინგლისს რჩებოდა. ასევე, სრუტეები გადადიოდა საერთაშორისო კომისიის ხელში, რომლის წევრებიც დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობდნენ. უნდა მომხდარიყო სრუტე-

ების დემილიტარიზაცია, რაც ნიშნავდა იმას, რომ ამ სრუტეებით სარგებლობა შეეძლებოდა ყველას, ოსმალეთის დაუკითხავად. სევრის ხელშეკრულებით ცენტრალური ანატოლია, სტამბოლის ჩათვლით, რჩებოდა თურქეთს დედაქალაქი. თურქეთი სცნობდა მანდატს სივასზე, ერაყსა და პალესტინაზე, ჰიჯაზს აღიარებდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. ასევე სცნობდა ინგლისის პროტექტორატს ეგვიპტეზე. ინგლის-საფრანგეთის ერთობლივ პროტექტორატს მაროკოსა და ტუნისზე და უარს ამბობდა ლიბანზეც.

თურქეთის შეიარაღებული ძალების რაოდენობა განისაზღვრა 50700 კაცით. თურქეთი ვალდებული იყო 6 თვეში მოეხდინა თავისი ჯარების დემობილიზაცია. ასევე, თურქეთის ფინანსური კონტროლისათვის ინგლის-საფრანგეთის და იტალიის წარმომადგენლები ქმნიდნენ სპეციალურ კომისიას, რომელიც გააკონტროლებდა თურქეთის შემოსავალსა და გასავალს. სევრის ზავით მთლიანად იქნა აღდგენილი კაპიტულაციების რეჟიმი. საბაჟო ტარიფი 8% შეადგენდა. ასევე აღდგენილ იქნა საკონსულო სასამართლოები. ერთი სიტყვით, თურქეთი მთლიანად მოექცა კაბალურ რეჟიმში. სევრის საზავო ხელშეკრულება ყველაზე კაბალური იყო თურქეთისათვის დადებულ ხელშეკრულებათა შორის. როგორც ვხედავთ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბრძოლის პირველი ეტაპი საკმაოდ წარუმატებლად დასრულდა.

- **დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება მეზობლებთან**

თურქეთის ეროვნულ მოძრაობაში საკმაოდ დიდი როლი ითამაშა საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურმა წარმატებებმა ევროპის სახელმწიფოების წინააღმდეგ. ასევე, საბჭოთა რუსეთმა უარყო და გააუქმა მეფის რუსეთის მიერ შემუშავებული საიდუმლო გეგმა, რომელიც სრუტეებისა და კონსტანტინოპოლის დანაწილებას ისახავდა მიზნად. ამ ფაქტს ანკარის მთავრობა დიდი სიხარულით შეხვდა. ის ცდილობდა დიპლომატიური კავშირების დამყარებას საბჭოთა რუსეთთან.

ჯერ კიდევ 1919 წლის ოქტომბერში ანკარის მთავრობის მხრიდან არაოფიციალური ვიზიტით მოსკოვში გაიგზავნა ჰალილ ფაშა, მან მხოლოდ 1920 წლის გაზაფხულზე მოახერხა ჩასვლა. ჰალილ ფაშამ განაცხადა, რომ მალე შეიქმნებოდა თურქეთის ეროვნული მთავრობა, რომელიც მზად იქნებოდა ხელი მოეწერა საბჭოთა რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის ხელშეკრულებაზე. 1920 წლის 26 აპრილს მუსტაფა ქემალმა უკვე ოფიციალური წერილი გაუგზავნა საბჭოთა რუსეთს და შესთავაზა ერთობლივი ბრძოლა ანტანტის სახელმწიფოთა წინააღმდეგ. 1920 წლის 24 ივლისს რუსეთში ანკარიდან დელეგაციაც იქნა წარგზავლილი, რომელიც რუსეთში დიდი პატივით მიიღეს.

1920 წლის დამდეგს ანკარაში რუსეთის დიპლომატიური მისია ჩავიდა. რუსეთსა და თურქეთს შორის დიპლომატიური კავშირი საკმაოდ დიდი წარმატებებით ვითარდებოდა. რუსეთმა ასევე საკმაოდ დიდი როლი ითამაშა 1920 წლის ზაფხულში თურქეთ - სომხეთის საკითხის მოგვარებაში. თურქეთის მთავრობამ საქართველოსთანაც დაამყარა კავშირი, მაგრამ ეს სულ სხვა მიზეზებით იყო განპირობებული. კერძოდ, სომხეთთან ომის გამო თურქეთის ჯარები ძალზე მიუახლოვდნენ საქართველოს საზღვრებს. საქართველოში თავდაცვის მიზნით, მობილიზებული იქნა არმია, მაგრამ თურქეთის მხრიდან საქართველოს ეწვია ანკარის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი - ქაზიმ ბეი, რომელმაც განაცხადა, რომ ანკარის ხელისუფლებას არ სურს ურთიერთობის გამწვავება საქართველოსთან. ამის შემდეგ გაიმართა მთელი რიგი მოლაპარაკებები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.

როგორც ვხედავთ, ანკარის მთავრობას არ სურდა ურთიერთობის გაფუჭება მეზობელ სახელმწიფოებთან და ის ცდილობდა ურთიერთობის დათბობას მათთან. მისი დიპლომატიური მცდელობები საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ 1921 წლის 16 მარტს, მოსკოვში რუსეთსა და თურქეთს შორის ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება „მეგობრობისა და ძმობის შესახებ," ხოლო 1921 წლის 13

ოქტომბერს, ყარსში ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და თურქეთს შორის დაიდო ანალოგიური ხალშეკრულება.

- **ანატოლიის გათავისუფლება ოკუპანტთაგან და მუდანიის დროებითი ზავი**

პირველი საომარი მოქმედებების შემდეგ, ანტანტის სახელმწიფოთა ბედის ბორბალი თურქეთის სასარგებლოდ დატრიალდა. უკვე 1921 წლის დასაწყისიდან იწყება თურქეთის პირველი წარმატება. მათ დასავლეთის ფრონტზე მოახერხეს შეეჩერებინათ მტრები. ასევე, 1921 წლის 10 იანვარს სოფელ ინენიუსთან თურქებმა მოახერხეს ბერძენთა არმიის წინსვლა. მართალია, მათ მხოლოდ შეაჩერეს ბერძენთა არმია და ეს არ ითვლება, საომარი თვალსაზრისით, დიდ წარმატებად, მაგრამ ამ ვითარებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ანკარის მთავრობისათვის. თურქეთის აშკარა წარმატებების შემდეგ, იტალიამ და საფრანგეთმა გადაწყვიტეს მოეწვიათ კონფერენცია, რათა საბოლოოდ მშვიდობიანი გზით მოგვარებულიყო საბერძნეთ - თურქეთის პრობლემა. ინგლისიც, რაღა თქმა უნდა, ვერ გამორჩებოდა ასეთ მნიშვნელოვან მოვლენას. საბოლოოდ გადაწყდა, რომ 1921 წლის თებერვალში ლონდონში მოეწვიათ კონფერენცია. კონფერენციის მუშაობას არანაირი დადებითი შედეგი არ მოჰყოლია საბერძნეთ - თურქეთის ომის მოგვარებასთან დაკავშირებით, მაგრამ ის ერთი თვალსაზრისით იყო მნიშვნელოვანი, კერძოდ, ამ კონფერენციაზე მიწვეული იყო როგორც სტამბოლის, ასევე ანკარის მთავრობაც, რაც აშკარა მანიშნებელი იყო იმისა, რომ ქემალისტებმა გაიმარჯვეს და სასურველ შედეგს მიაღწიეს. ლონდონის კონფერენციის ჩაშლის მიზეზი ის გახლდათ, რომ ბერძნებმა და თურქებმა საერთო ენა ვერ გამონახეს და თან არც ინგლისს გამოუჩენია მათი კონფლიქტის მოსაგვარებლად დიდი ენთუზიაზმი. პირიქით, იგი საიდუმლოდ აქეზებდა კიდეც საბერძნეთს ოსმალეთის წინააღმდეგ საომრად. მართლაც, 1921 წლის 31 მარტს საბერძნეთმა განაახლა შეტევა, მაგრამ სოფელ ინენიუსთან განიცადა დიდი მარცხი. მიუხედავად ამისა, საბერძნეთი არ აპირებდა უკან დახევას. ინგლისი განუწყვეტლივ აქეზებდა საბერძნეთის მეფე კონსტან-

ტინეს, რათა კვლავ წამოეწყო შეტევა თურქეთის წინააღმდეგ. საბერძნეთის მეფეც თავისი ამბიციური გეგმების შესასრულებ-

ლად ბრმად ემორჩილებოდა ინგლისს. მეფე კონსტანტინე ბიზანტიის იმპერატორის გვირგვინზე ოცნებობდა.

ინგლისელებმა საბერძნეთის არმია უახლესი ტექნოლოგიით შეაიარაღეს: საბერძნეთის არმიას სათავეში ჩაუდგა თვით საბერძნეთის მეფე, თურქეთს კი გადამწყვეტი ბრძოლისათვის მხოლოდ 50 ათასი ჯარისკაცი ჰყავდა და ბერძნებისაგან განსხვავებით ცუდად იყო შეიარაღებული.

ბერძენთა არმიის შეტევის შედეგად თურქეთის არმია უკან იხევდა და ფრონტის ხაზი ნელ-ნელა ანკარას უახლოვდებოდა. ეროვნულ საბჭოს კვლავ დაემუქრა განადგურების საფრთხე. 15 აგვისტოს საბერძნეთის მეფემ გამოსცა ანკარაზე შეტევის დაწყების ბრძანება. ანკარაში ვითარებას ისიც ართულებდა, რომ ეროვნული საბჭოს მიმართ სასულიერო პირებმა დაიწყეს გამოსვლები.

ასეთ მძიმე ვითარებაში, ეროვნულმა კრებამ მუსტაფა ქემალ ათათურქს განუსაზღვრელი უფლებები მიანიჭა. მუსტაფა ქემალი ძალზე კარგი ორგანიზატორი იყო. მან გაატარა მთელი რიგი რეფორმები ქვეყნის ხელახალი განმტკიცებისათვის; მოახერხა დაერაზმა მოსახლეობა ქვეყნის დასაცავად. რეგულარული ჯარის ნაწილებთან ერთად იბრძოდა ათასობით მოხალისე, ვისაც ბრძოლა არ შეეძლო, როგორებიც იყვნენ: ქალები, მოხუცები, ბავშვები და სხვები. თხრიდნენ სანგრებს, აგებდნენ გასამაგრებელ პუნქტებს, მიჰქონდათ ფრონტის ხაზზე საჭმელი, უვლიდნენ დაჭრილებს... საბოლოოდ ასეთმა გმირულმა შემართებამ შესაბამისი შედეგიც გამოიღო.

1921 წლის 23 აგვისტოს მდინარე საქარიას მარცხენა სანაპიროზე გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა საბერძნეთსა და თურქეთს შორის. ბრძოლა 22 დღე გაგრძელდა და საბოლოოდ

თურქების გამარჯვებით დასრულდა. გამარჯვების შემდეგ მდინარე საქარიას მარჯვენა სანაპიროზეც აღარ გაჩერებულა დიდხანს ბერძენთა არმია. ამ გამარჯვებაში, რა თქმა უნდა, მთლიანად თურქი ხალხის როლი ძალიან დიდი იყო, მაგრამ უნდა აღინიშნოს მუსტაფა ქემალის განსაკუთრებული ღვაწლი, რომელსაც თურქი ხალხიც ხედავდა. ამიტომაც მან მუსტაფა ქემალ ათათურქს მარშლის და ღაზის (წმინდა ომში გამარჯვებულის) ტიტული უბოძა. საქარიასთან ბრძოლის შემდეგ ერთიანი ანტიოსმალური ფრონტი საბოლოოდ დაიშალა. საფრანგეთმა, დარწმუნებულმა იმაშია, რომ თურქეთი უკვე საკმაოდ ძლიერი იყო, 1921 წლის 20 ოქტომბერს ხელი მოაწერა სეპარატისტულ ხელშეკრულებას და სცნო ეროვნული მოძრაობა თურქეთის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ. ასევე, ფრანგებმა უპრობლემოდ ჩააბარეს მიტაცებული ტერიტორიები და საფრანგეთის დაზვერვამ საშუალება მისცა თურქეთს კილიკიიდან ჯარები დასავლეთის ფრონტზე გადაესროლა.

ცოტა ხნით ადრე იტალიამ გამოიყვანა თავისი ჯარები ანატოლიიდან. რჩებოდა მხოლოდ ინგლისი, რომელიც განუწყვეტლივ აქეზებდა საბერძნეთს.

საქარიასთან ბრძოლის შემდეგ თურქეთში დროებით შეჩერდა საომარი ოპერაციები, რამაც ხელი შეუწყო თურქ ხალხს უკეთესად მომზადებულიყო.

1922 წლის 26 იანვრიდან თურქეთის არმია დიდი წარმატებებით იწყებს წინსვლას. მან მოახერხა ფრონტის ხაზის გარღვევა. 6 სექტემბერს თურქებმა დაიკავეს ბურსა, 9 სექტემბერს - იზმირი. 18 სექტემბრისათვის კი უკვე მთელი თურქეთი გათავისუფლდა საბერძნეთის ჯარებისაგან.

მოკავშირეებმა თურქეთს შესთავაზეს გაეფორმებინა დროებითი საზავო ხელშეკრულება და მოიწვიეს კონფერენცია, რომელიც გაიმართა 3 ოქტომბერს მუდანიაში. თურქეთის მხრიდან გაგზავნილ იქნა ფრონტის მეთაური ისმეთ ფაშა. კონფერენციას ესწრებოდნენ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის და, რაღა თქმა უნდა, საბერძნეთის წარმომადგენლები. თურქეთის მხარემ კატეგორიულად მოსთხოვა საბერძნეთს გაეთავი-

სუფლებინა აღმოსავლეთ თრაკია. ბერძნები იძულებული იყვნენ კომპრომისზე წასულიყვნენ. 1922 წლის 11 ოქტომბერს მუდანიაში ხელმოწერილი იქნა დროებითი ზავი, რომლის მიხედვით, თურქეთი საკმაოდ მოგებული დარჩა. მან საომარი ოპერაციების გარეშე დაიბრუნა თრაკია, მაგრამ ანტანტის სახელმწიფოები უფლებას იტოვებდნენ, სრუტეების ზონაში და სტამბოლში კვლავ დაეტოვებინათ თავიანთი ჯარები.

მართალია, ამ ომში თურქეთს არ მიუღწევია საბოლოო გამარჯვებისათვის, რადგან ამის შემდგომ კიდევ დიდი ძალისხმევა დასჭირდა, მაგრამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის ეს გამარჯვება ძალზე მნიშვნელოვანი იყო.

- **ლოზანას კონფერენცია**

მას შემდეგ, რაც თურქეთის ტერიტორია გაათავისუფლეს იქნა მტრის ძირითადი ჯარებისაგან, ყველა დარწმუნდა, რომ თურქეთს თავიანთ ნებაზე ვეღარ ათამაშებდნენ, ამიტომ ანტანტის სახელმწიფოებმა საჭიროდ ჩათვალეს მოეწვიათ შეხვედრა, რომელიც გადაწყვეტდა თურქეთის შემდგომ სტატუსს

და ასევე მათი ურთიერთობის შემდგომ ფორმას. ლოზანას კონფერენცია ეროვნულ - განმათავისუფლებელი ბრძოლის დასკვნითი ეტაპი იყო.

კონფერენცია მოიწვიეს 1922 წლის 20 ნოემბერს. მას ესწრებოდა: თურქეთის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, იუგოსლავიისა და რუმინეთის წარმომადგენლები. ასევე ცნობილია, რომ კრებას ესწრებოდა ამერიკის მიერ წარგზავნილი მეთვალყურეც. შეხვედრა ძალზე დაძაბულად მიმდინარეობდა, რადგან არსებობდა მთელი რიგი საკითხები, რაზეც მონაწილეები ვერა და ვერ თანხმდებოდნენ. ძირითადი და ყველაზე მთავარი საკითხები, რაზეც ისინი ვერ თანხმდებოდნენ, იყო მოსულის ტერიტორიის საკითხი და სრუტეების შემდგომი სტატუსი, ასევე

კაპიტულაციისა და საგარეო ვალის პრობლემა. საბოლოოდ, პირველი ეტაპი ჩაიშალა, რადგან არცერთ მხარეს არ სურდა კომპრომისზე წასვლა. შეხვედრა დროებით გადაიდო.

შემდგომ პერიოდში, რუსეთმა უკვე აქტიურად დაიწყო ჩარევა ამ საკითხში. 1922 წლის 22 დეკემბერს რუსეთის დელეგაციის მეთაურმა, ჩიჩერინმა, გამოაქვეყნა რუსეთის პოზიცია სრუტეებთან დაკავშირებით. ის მკვეთრად განსხვავებული იყო ანტანტის სახელმწიფოთა პოზიციისგან. კერძოდ, რუსეთი მომხრე იყო სრუტეებზე თურქეთის გავლენის გაძლიერებისა. არ ემთხვეოდა მათი აზრი მთელ რიგ სხვა საკითხებშიც. რუსეთი იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც დაუჭირა მხარი თურქეთში კაპიტულაციების რეჟიმის გაუქმებას. თურქეთში აღნიშნული რეჟიმი 1914 წელს შეწყვიტეს და ლოზანას კონფერენციაზე საბოლოოდ უარყვეს მისი აღდგენის მცდელობა. ათათურქის თქმით, იგი ბღალავდა თურქეთის სუვერენიტეტს. მართლაც, კრებამ რეჟიმი არ აღიარა, მაგრამ თურქეთს მოსთხოვეს გარანტიები გარდამავალი პერიოდისათვის, რაზეც მხარეები ვერ შეთანხმდნენ.

ანტანტის მიერ შეთავაზებული საზავო ხელშეკრულება წარმოადგენდა სევრის ხელშეკრულების ახალ ვარიანტს, რაც თურქეთისათვის დამამცირებელი იყო, ამიტომ თურქეთმა არ მოაწერა მას ხელი. კრებამ მუშაობა 1923 წლის 4 თებერვალს შეწყვიტა, რის გამოც უკმაყოფილო ოპოზიციამ დაიწყო ქემალისტთა წინააღმდეგ გამოსვლები. მათი მთავარი მოთხოვნა იყო მოკავშირეებთან კომპრომისზე წასვლა. 7 მარტს პარლამენტის სხდომაზე უმრავლესობამ მხარი დაუჭირა კონფერენციაზე მყოფი დელეგაციის მოქმედებას, რაც ნიშნავდა იმას, რომ მუსტაფა ქემალის ავტორიტეტი ისევ მყარი იყო და იგივე პოლიტიკა გაგრძელდებოდა.

1923 წლის 1 მარტს მოკავშირეთა დელეგაციები კვლავ შეიკრიბნენ, რათა საბოლოოდ გადაეწყვიტათ თურქეთის საკითხი. 27 მარტს მათ გააგრძელეს თურქეთთან მოლაპარაკება. 23 აპრილს გაიხსნა ლოზანას კონფერენციის მე-2 ეტაპი, რომელიც უფრო მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა, რადგან გარიგე-

ბის სურვილი ორმხრივი იყო. საბოლოოდ, ორივე მხარე წავიდა გარკვეულ დათმობებზე. თავის მხრივ, თურქეთმა უარი თქვა თავის უფლებებზე ერაყში, სირიაში, ლიბანში, პალესტინაში, იორდანიაში, ეგვიპტეში, ლიბიასა და სუდანში, აღიარა ინგლისის მიერ კუნძულ კვიპროსის დაპყრობა. აღიარა სრუტეებით სარგებლობის უფლება უცხოეთის სამხედრო და სავაჭრო გემებისათვის. ასევე, თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები უცხოელები უნდა დამორჩილებოდნენ თურქეთის კანონმდებლობას. ლოზანას კონფერენცია ითვალისწინებდა ვალის გადანაწილებას იმ ქვეყნებზეც, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის შემდგომ შეიქმნა ოსმალეთის ტერიტორიაზე. ხელმოწერილ იქნა თურქეთსა და საბერძნეთს შორის მოსახლეობის გაცვლის ხელშეკრულება. ევროპამ აღიარა თურქეთის ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი. მიუხედავად მთელი რიგი დათმობებისა, ლოზანას კონფერენცია დიდ გამარჯვებად შეიძლება ჩაითვალოს თურქეთისათვის.

- **ქემალისტური რევოლუცია და თურქეთის რესპუბლიკად გადაქცევა**

ლოზანას კონფერენციის დასრულების შემდეგ, როცა ქვეყანას აღარ ემუქრებოდა საგარეო საფრთხე, უკვე აშკარა იყო, რომ საბოლოოდ უნდა მოგვარებულიყო ქვეყნის პოლიტიკური წყობილების საკითხი. ქვეყნის საშინაო პოლიტიკის ყველაზე მწვავე საკითხი ორხელისუფლებიანობა იყო. მუსტაფა ქემალი უკვე დიდი ხანია ხვდებოდა, რომ სულთნის მმართველობა ვეღარ იმუშავებდა ქვეყანაში ისე, როგორც სჭირდებოდა ქვეყანას, პროგრესული ცვლილებების გასატარებლად. მართალია, ამის სხვა ბევრი მიზეზი არსებობდა კიდევ, მაგრამ ფაქტია, რომ ქემალმა დაისახა სულთნის ხელისუფლების დამხობა და რესპუბლიკური წყობილების გამოცხადება, მაგრამ მას კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული, რომ ეროვნული მოძრაობის დიდი ნაწილი მას ამის განხორციელებაში მხარს არ დაუჭერდა და მისი მცდელობა შეიძლებოდა კრახით დასრულებულიყო, ამიტომ გადაწყვიტა თავიდან ხმამაღლა არ გამოეცხადებინა თავისი ჩანაფიქრი, ხოლო შემდეგ, როცა სულთნის ავტორი-

რეტს ხალხის თვალში შებღალავდა, გადასულიყო აშკარა შეტევაზე. ქემალი ასევე სასტიკი წინააღმდეგი იყო ქვეყნის მმართველობაში რელიგიის ჩარევისა, მაგრამ მას კარგად ესმოდა, რომ ერთდროულად ორ ფრონტზე ვერ იბრძოლებდა და გადაწყვიტა ჯერ სულთანი ჩამოეშორებინა, აეღო ხელში ქვეყნის მართვის სადავეები და როცა შესაბამისი ძალა ექნებოდა, შემდეგ დაპირისპირებოდა მეორე მხარეს. მუსტაფა ქემალის ჩანაფიქრი საკმაოდ ჭკვიანური აღმოჩნდა. მისი ავტორიტეტი დღითიდღე იზრდებოდა. საბოლოოდ, 1922 წლის 22 ოქტომბერს, ეროვნული კრების დღის წესრიგში დადგა საკითხი სულთნის გადაყენებისა. მიუხედავად სულთნის ავტორიტეტის ასეთი დაცემისა, ამ საკითხს ძალზე ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. თვით მუსტაფა ქემალის ახლო მეგობრებსა და თანამებრძოლებს შორისაც იყვნენ სულთნის მომხრეები. ერთ-ერთი ასეთი იყო რაუფ ბეი, რომელთანაც მუსტაფა ქემალს მწვავე კამათი მოუვიდა. მუსტაფა ქემალმა საბოლოოდ თავისი ორატორული ნიჭის დახმარებით მოახერხა დაერწმუნებინა ხალხი იმაში, რომ სულთანი მოღალატეა და მას ქვეყნის წინაშე დიდი დანაშაული მიუძღვის.

1922 წლის I ნოემბერს ქემალმა მიაღწია მიზანს და სულთანი საბოლოოდ ჩამოაშორა ქვეყნის მართვას. მას მხოლოდ საასულიერო ხელისუფლება - ხალიფობა დაუტოვა. უკანასკნელი სულთანი მეჰმედ VI ქვეყნიდან გაიქცა, რადგან ეროვნულმა კრებამ მასზე საქმე აღძრა ქვეყნის ღალატის მუხლით და მისი დაპატიმრება ბრძანა. 1922 წლის 17 ნოემბერს იგი, ინგლისელთა დახმარებით, ქვეყნიდან გაიქცა. სულთანთან ერთად. გადადგა მისი მთავრობაც. 18 ნოემბერს უფლისწული აბდულ მეჯიდი არჩეულ იქნა მუსლიმთა ხალიფად. ყოველივე ამის შემდეგ გადასაწყვეტი რჩებოდა მხოლოდ ერთი საკითხი - როგორი ტიპის უნდა ყოფი-

მეჰმედ VI ვაჰიდედინი

ლიყო თურქეთის შემდგომი სახელმწიფო წყობილება. ეს საკითხი მწვავე დისკუსიის საგანად იქცა, რადგან თვითონ ეროვნული კრების შიგნით არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა. მუსტაფა ქემალმა ასეთ ვითარებაში გადაწყვიტა ჯერ პარლამენტში განემტკიცებინა თავისი პოზიციები და შემდეგ გამოეცხადებინა თურქეთი რესპუბლიკად, რათა მის ქმედებას კრახი არ განეცადა. ამ მიზნით, მან გადაწყვიტა ჩაეტარებინა რიგგარეშე არჩევნები. 1923 წლის 1 აპრილს გამოიცა რიგგარეშე არჩევნების ჩატარების ბრძანება. 8 აპრილს მუსტაფა ქემალმა სახალხო პარტიის თეზისები გამოაქვეყნა, რომელიც წამოადგენდა წინასაარჩევნო პროგრამას. მან ამ პროგრამის შესაქმნელად მოიწვია ქვეყნის თითქმის ყველა გამოჩენილი ადამიანი. ეს პროგრამა 9 პუნქტისაგან შედგებოდა.

ქემალისტებმა დიდი საარჩევნო პოლიტიკა ჩაატარეს. ქემალმა თვითონ შეადგინა საარჩევნო სიები. 1923 წლის 23 ივლისს ჩატარდა მეორე მოწვევის პარლამენტის არჩევნები, სადაც ქემალისტებმა ტრიუმფით გაიმარჯვეს. 286 კაციდან 263 დეპუტატი ქემალის პარტიის წევრი იყო. 1923 წლის 9 სექტემბერს მოწვეულ იქნა სახალხო პარტიის დამფუძნებელი კრება. 21 სექტემბერს უკვე გამოცხადდა, შემდგომში სახალხო რესპუბლიკურ პარტიად წოდებული, სახალხო პარტიის დაარსება. პარლამენტის თავჯდომარედ არჩეულ იქნა მუსტაფა ქემალი, რომელიც ამ თანამდებობაზე სიცოცხლის ბოლომდე იყო (1938). მიუხედავად ქემალის ასეთი წარმატებისა, სრულად არ იყო დაძლეული ოპოზიციის წინააღმდეგობა, რაც ხელს უშლიდა ქემალს ქვეყანაში რესპუბლიკური მმართველობა გამოეცხადებინა. ოპოზიციური ძალების საბოლოო დათრგუნვაში დიდი როლი ითამაშა 6 ოქტომბერს სტამბოლში თურქეთის ჯარების შეჭრამ და ქვეყნიდან მტრების საბოლოო განდევნამ. ამან ერის თვალში ქემალის როლი უსაზღვროდ გაზარდა. ქვეყანაში ხელსაყრელი დრო იყო რესპუბლიკურ წყობილებაზე გადასვლისა. 13 ოქტომბერს ქემალმა ქვეყნის დედაქალაქად ანკარა გამოაცხადა, ხოლო 1923 წლის 29 ოქტომბერს მუსტაფა ქემალმა ისმეთ ბეისთან ერთად პარლამენტს წარუდგინა 3 - პუნქტიანი პროექ-

ტი. I პუნქტი გვამცნობდა, რომ თურქეთში არსებული სახელმწიფო მმართველობა რესპუბლიკური უნდა ყოფილიყო. II პუნქტის თანახმად, სახელმწიფოს მეთაური იყო ეროვნული კრება და III მუხლის მიხედვით, სახელმწიფო შინაგანაწესს მართავდა მინისტრთა საბჭო.

1923 წლის 29 ოქტომბერს, 8 საათსა და 30 წუთზე, თურქეთი გამოცხადდა რესპუბლიკად, ხოლო 15 წუთის შემდეგ ქემალი არჩეულ იქნა რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად. 30 ოქტომბერს მთავრობის პირველი თავმჯდომარე გახდა ისმეთ ბეი. რესპუბლიკური მმართველობის გამოცხადების შემდეგ ოპოზიციური ძალების ერთადერთ ბურჯად სახალიფო რჩებოდა, რომლის ირგვლივაც იყრიდნენ თავს ქემალის მოწინააღმდეგეები. ამის გამო სასწრაფო მოქმედება იყო საჭირო, მაგრამ სახალიფოს გაუქმება ერთ სერიოზულ პრობლემასთან იყო დაკავშირებული, კერძოდ, თურქეთი დაკარგავდა მუსლიმანურ სახელმწიფოებს შორის წამყვანი სახელმწიფოს როლს. ყოველივე ამის მიუხედავად, ქვეყანაში რომ აღარასოდს შექმნილიყო არეულობის საფრხე, 1924 წლის 15 თებერვალს, გადაწყდა სახალიფოს გაუქმება. უკანასკნელმა ხალიფამ აბდულ მეჯდმა და სამეფო დინასტიის სხვა წევრებმა ქვეყანა დატოვეს, ხოლო მათ ქონებას კონფისკაცია გაუკეთდა. ასე ჩამოყალიბდა საბოლოოდ თურქეთის რესპუბლიკური სახელმწიფო.

საკონტროლო კითხვები:

1) დაახასიათეთ მუდროსის დროებითი ზავი და თურქეთის ტერიტორიის ოკუპაცია ანტანტის ჯარების მიერ;
2) ახსენით, რა ადგილს იკავებს არზრუმისა და სივასის კონგრესები ეროვნულ მოძრაობაში;
3) რა ადგილს იკავებს სევრის საზავო ხელშეკრულება 1918-1923 წლების ეროვნულ მოძრაობაში;
4) რა როლი უჭირავს ლოზანას კონფერენციას ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

პრაქტიკული დავალება:

გააანალიზეთ მუსტაფა ქემალ ათათურქის როლი 1918-1923 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

გამოყენებული ლიტერატურა და ელექტრონული წყაროები:

1. ბატიაშვილი ზ., თურქეთის შეიარაღებული ძალები, თბილისი, 2000.
2. გიგინეიშვილი ო., ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან, თბილისი, 1982.
3. მაკარაძე ე., თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები, ბათუმი, 2002.
4. მაკარაძე ე., მუსტაფა ქემალ ათათურქის როლი რესპუბლიკურ თურქეთში, ბათუმი, 2009.
5. მაკარაძე ე., მუსტაფა ქემალ ათათურქი და ლაიციზმი, ჟურნალი, „აღმოსავლეთი," თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2005.
6. სვანიძე მ., თურქეთის ისტორია, ტ. III., თბილისი, 2003.
7. ჯაფარიძე შ., მუსტაფა ქემალ ათათურქი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, ბათუმი, 1996.
8. Ататюрк Кемаль. Избранные речи и выступления. Пер. с турецкого, редакция и вступительная статья А.Ф.Миллера. М., 1966.
9. Гасратян М.А; Орешкова С.Ф; Петросян Ю.А. Очерки истории Турции, М.,1983.
10. Розалиев Ю.Н. Мустафа Кемаль Ататюрк, Очерки жизни и деятельности, Стамбул, 1997.
11. Atatürkçülük (üçuncü kitap),Atatürkçü Düşünce Sistemı. İstanbul,1997.

თავი II. ქემალიზმის პრინციპები რესპუბლიკურ თურქეთში

1918-1923 წლების რევოლუციას ღირსეული სახე მისცა ქემალიზმის პრინციპებმა, რომლებიც, ათათურქის აზრით, საფუძვლიანი და სისტემური დებულებებია. ყოველი მათგანი სრულიად დამოუკიდებელია და ეხება ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ცალკეულ სფეროებს. ამავე დროს, ეს დებულებები ერთმანეთისაგან გამომდინარეობენ და ერთმანეთს ეთანხმებიან, ამიტომაც მათი გაგება და გააზრებაა საჭირო. ისინი თურქი ხალხისათვის თანამედროვე ცხოვრების უზრუნველყოფის მთავარი პირობებია.

პატრიოტიზმი, დამოუკიდებლობა და ეროვნული სუვერენიტეტი გახდა ქემალისტური რევოლუციის მთავარი იდეოლოგია. „თანზიმათისა" და საფრანგეთის რევოლუციის გავლენით მუსტაფა ქემალმა შეიმუშავა ექვსი პრინციპი: ხალხოსნობა; ლაიციზმი; ნაციონალიზმი; ეტატიზმი; რესპუბლიკურობა და რევოლუციურობა.

ქემალისტური რეფორმებისა და ცვლილებების წარმოჩენასთან ერთად განვიხილავთ ქემალიზმისა და თურქეთის რესპუბლიკის იდეოლოგიის სტრუქტურის განმსაზღვრელ თითოეულ პრინციპს:

- **რესპუბლიკურობა**

რესპუბლიკურობა - (ჯუმჰურიეთ ჩილიქ - ანუ რესპუბლიკური იდეების დაცვა-განვითარება) ათათურქის პირველი დებულებაა და სახელმწიფოში მაღალი ცივილიზაციისა და დემოკრატიის გამოხატვის ფორმაა, რაც თურქი ხალხის ხასიათსა და თვისებებში ყველაზე მეტად ჩანს. რესპუბლიკური მმართველობის ფორმა კი დღესაც რესპუბლიკურ თურქეთში ყველაზე მოსახერხებელი სახელმწიფო მექანიზმია.

1923 წლის 29 ოქტომბერს ქემალისტებმა გამოაცხადეს რესპუბლიკური მმართველობა, რომელიც ანატოლიის ახალი პოლიტიკური სისტემის - დემოკრატიის გამოხატულება გახდა (მთავრობა, რომელსაც ირჩევს ხალხი და მოქმედებს მათი ინე-

რესების მიხედვით), რომელიც იმდროინდელი თურქეთისათვის საკმაოდ განსხვავებულ ფორმას წარმოადგენდა.

ქემალისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ თურქმა ხალხმა მიიღო ახალი პოლიტიკური სისტემა - „ხალხის მთავრობა“ , „ხალხის წარმომადგენლობითი ორგანო“.

განმათავისუფლებელი ბრძოლიდან მოყოლებული, ქემალისტები, ეყრდნობოდნენ რა ამ იდეებს, შეუდგნენ ქვეყნის მშენებლობას.

ქემალისტური პრინციპი არ იყო მიმართული ამა თუ იმ კლასისა და ელიტისათვის განსაკუთრებული პირობის შესაქმნელად. საქმე წყდებოდა მთელი ხალხის ინტერესების დასაცავად. სწორედ დიდი ეროვნული კრების დეპუტატებმა, რომლებიც წარმოადგენდნენ საზოგადოებას, ხალხის სახელით გამოაცხადეს რესპუბლიკური მმართველობა.

იმავდროულად, იმ პერიოდში პირველ ქემალისტებს შორის იყო რესპუბლიკისადმი მტრულად განწყობილი საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომლებიც მოსახლეობაში სულთან-ხალიფას რელიგიური ძალაუფლების გავლენის ზრდას ემხრობოდნენ, რაც შესამჩნევად აძლიერებდა მათ მდგომარეობას სახლმწიფოს მართვაში.

1920 წელს დეპუტატების გარკვეულმა ნაწილმა „სავალდებულოდ“ ჩათვალეს უზრუნველეყოთ ხალხის სუვერენიტეტი. მათ მოეჩვენათ, რომ ისინი ილაშქრებდნენ ისლამური სამართლის წინააღმდეგ (რელიგიური წინამძღოლი იმავდროულად წამოადგენდა პოლიტიკურ ხელმძღვანელსაც). სინამდვილეში თურქი ხალხი არ იყო მზად ეროვნული სუვერენიტეტის შეთვისებისა და განხორციელებისათვის. მას არ გააჩნდა აუცილებელი ისტორიული გამოცდილება, არც პოლიტიკური განათლება. ქემალისტური მოძრაობა არ იყო უბრალო რეფორმა, არამედ ის იყო ნამდვილი რევოლუცია. შეიძლება დავასკვნათ, რომ რესპუბლიკის დამყარება წარმოადგენდა ამ მოწოდების პოლიტიკურ გამოხატულებას, მაგრამ ხალხის გამოცდილებამ დემოკრატიისა და რესპუბლიკის საკითხში დაბადა მრავალი პრობლემა და პოლიტიკური მღელვარება, რომელსაც განიცდიდა და დღესაც განიცდის თურქეთი. 1960 წლიდან დაწყებული სამხედ-

რო გადატრიალებები (1971; 1980) ამის მხოლოდ შედეგებს წარმოადგენდა.

თუმცა უნდა ითქვას, ისიც, რომ: 1924; 1961 და 1982 წლების კონსტიტუციების მიხედვით, თურქეთში რესპუბლიკური მმართველობის ფორმაა, მისი შეცვლა და თვით შეცვლის საკითხის დაყენებაც კი კანონით დაუშვებელი იყო.

ათათურქი ამბობდა, რომ: „რესპუბლიკური მმართველობა ეს იგივეა, რაც დემოკრატიულ სისტემას დამატებული სახელმწიფო. რესპუბლიკის ზნეობრივი საფუძველი საკუთარი მორალის გაწონასწორებულობის და სიმტკიცის ფორმაა“.

როგორც ვხედავთ, ეს პრინციპი ერთ-ერთი ძირითადი საყრდენია თურქეთში რესპუბლიკური მმართველობისთვის.

- **ლაიციზმი**

დასავლური მოდელის მიხედვით, თურქული საზოგადოების განვითარებაში ლაიციზმმა პირველხარისხოვანი როლი ითამაშა. ევროპაში ეკლესიისა და სახელმწიფოს გამოყოფა დაიწყო აღორძინებისა და რეფორმების პერიოდში. საერო სახელწიფოს - თავად იდეა კი დამკვიდრდა ფრანგული რევოლუციის დროს.

ოსმალეთში, მიუხედავად იმისა, რომ გატარებულ იქნა მთელი რიგი პროგრესული რეფორმა, ცვლილებები რელიგიის სფეროში არასოდეს მომხდარა. ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობის დროსაც კი ქემალისტები არ შეხებიან რელიგიურ პრინციპებს, მაგრამ ასეთი ცნებების წინ წამოწევით, როგორიცაა „ხალხის ნება;“ „ერის სუვერენიტეტი“ და „პატრიოტიზმი“ - ისინი ისწრაფოდნენ გაეთავისუფლებინათ ისლამი პილიტიკური ელემენტებისაგან.

ლაიციზმს ათათურქისეულ სახელმწიფოებრივ გაგებაში დიდი ადგილი უკავია. საზოგადოდ ეს დებულება ფართო გაგებას მოიცავს. იგი სახელმწიფოსაგან რელიგიის აუცილებელ გამოყოფას და პოლიტიკური ცხოვრებიდან სასულიერო პირების ჩამოშორებას გულისხმობს. ის ფართო მსჯელობის საკითხია და რელიგიური არსის სწორ გაგებას მოითხოვს.

ამ საკითხთან დაკავშირებით ათათურქი თავის გამოსვლებში დასძენდა: „ღმერთით, რელიგიით და რწმენით ადამიანებზე ზემოქმედება არ შეიძლება, სარწმუნოება და პოლიტიკა ურთიერთსაპირისპირო ცნებებია, ამიტომაც რელიგიური მოძღვრების გამოყენება პოლიტიკურ ცხოვრებაში წარმოუდგენელია. სარწმუნოება არსებობს, ის სავალდებულო და აუცილებელია, რის გარეშეც საზოგადოების გაგრძელება-გადარჩენა შეუძლებელია, ჩვენი სარწმუნოება გამართლებული, ყველაზე ღირსეული და ყველაზე ბუნებრივია“.

ლაიციზმი (ლაიქლიქ, წარმოდგება ფრანგული სიტყვიდან („**Laicite“,** რაც ნიშნავს საერო ხასიათს). იგი გულისხმობს რელიგიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან. თურქეთის 1921 და 1924 წლების კონსტიტუციების დებულება „სახელმწიფო რელიგია ისლამია“ გაუქმდა 1928 წლის 10 აპრილის 1222 კანონით. ათათურქი ამბობდა: „ჩვენ პატივს ვცემთ რელიგიას, არ ვეწინააღმდეგებით არავითარ აზრებს და აზროვნების წესს. ჩვენ მხოლოდ ვცდილობთ, რომ რელიგიური და სახელმწიფო საქმეები არ აირიოს ერთმანეთში“.

ე.ი. ლაიციზმის მთავარი შინაარსი და მიზანი მდგომარეობს სარწმუნოებისა და სახელმწიფოს სხვა დანარჩენი საკითხების ერთმანეთისაგან გამოყოფაში, სახელმწიფოს მართვასა და საერთოდ პოლიტიკაში სასულიერო პირთა როლის შემცირებაში.

თურქეთის სინამდვილეში, წლების განმავლობაში სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაში სასულიერო პირები მონაწილეობდნენ, რაც ხელს უშლიდა ქვეყნის წინსვლას და განვითარებას. ამიტომ იყო, რომ ათათურქმა ლაიციზმის დებულება თურქეთის რესპუბლიკის და საერთოდ თანამედროვე თურქული საზოგადოების ძირეულ პრინციპად გამოაცხადა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ლაიციზმი რწმენის საწინააღმდეგო, უპატივცემულობის დებულებაა. ათათურქი ამბობდა: „ჩვენი სარწმუნოება, ჩვენი ერის სიმტკიცისა და სიძლიერის, ამ ორი მთავარი ღირსების მფლობელია, ამიტომ ჩვენი ერის სინდისიდან ამ ღირსების ამოღება შეუძლებელია“.

თურქეთში ლაიციზმი დროის უმოკლეს მონაკვეთში შემოიღეს. მას თავდაპირველად ახალგაზრდა ოფიცრობა უჭერდა მხარს. ათათურქი ქვეყნის საერო მმართველობაში ლაიციზმს დიდ ადგილს უთმობდა, რადგანაც საუკუნეების განმავლობაში ისლამი თურქეთში საზოგადოებრივი განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორი იყო. საინტერესოა, თუ როგორ წარმოედგინა მას ლაიციზმი და როგორ ატარებდა მას ქვეყნის ცხოვრებაში.

როგორც ზემოთ აღინიშნა „ლაიციზმის“ პირდაპირი მნიშვნელობა რელიგიის სახელმწიფოდან გამოყოფაა, მაგრამ ათათურქისეულ „ლაიციზმს“ უფრო მრავალმხრივი და ამასთანავე კერძო მნიშვნელობაც გააჩნდა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ათათურქის მოსაზრებაც: „რელიგიური იდეის სახელმწიფო საქმეებისაგან გამოყოფაში - რესპუბლიკა ხედავს ერის პროგრესის პირველხარისხოვან ფაქტორს“.

ქემალისტების აზრით, „ლაიციზმის“ პრინციპი, რესპუბლიკურ თურქეთში უზრუნველყოფს პიროვნების სულიერ, ფიზიკურ და რელიგიურ თავისუფლებას, სასულიერო და საერო დაწესებულებების ხელშეუხებლობას, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას, რელიგიური უფლებების დაცვას და კონკრეტულად, რელიგიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან.

მუსტაფა ქემალ ათათურქის აზრით, „სახელმწიფოს მართვის, მოქმედი კანონებისა და კონსტიტუციის საფუძველია არა რელიგიური ელემენტები, არამედ მეცნიერული სიახლენი და მოდერნიზებული ტექნოლოგია“. სწორედ ამგავრი ქმედებითაა შესაძლებელი თურქულ სამყაროში არსებული ყველა დაწესებულების ამოქმედება და განვითარება თანამედროვეობისათვის მისაღები ფორმულებითა და მეთოდებით. იგი წინააღმდეგი იყო რელიგიის ბოროტად გამოყენებისა. ამ საკითხთან დაკავშირებით ათათურქი აცხადებდა: „ჩვენი მუზები ციდან ან იდეალისტური სამყაროდან არ გვევლინებიან, მათ ცხოვრება გვიმზადებს. ჩვენი გზების მაჩვენებელია სახელმწიფო, სადაც ცხოვრობს თურქი ხალხი და ვქმნით ჩვენს ისტორიას. მძიმე ხვედრი და ტანჯვა კი ჩვენი მუზებიდან მოდის“.

ათათურქისეული გამოთქმა: „ჩვენი მუზები ციდან და იდეალისტური სამყაროდან არ გვევლინება“ – ლაიციზმის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია. მიგვაჩნია, რომ ათათურქს სურდა, სახელმწიფოს წარმართვა არა რელიგიური პრინციპების გამოყენებით, არამედ განათლებული, მეცნიერული საფუძვლებით. მისი მოსაზრებით „ლაიციზმი“ პირდაპირ აღიქმება როგორც სახელმწიფოს მართვა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საფუძველზე, რელიგიის ჩაურევლობის გარეშე“.

ათათურქი ლაიციზმის საკითხის განზოგადებასთან დაკავშირებით შემდეგნაირად ხსნის: „ნაციონალური, ეროვნული ნება-სურვილი საზოგადოებისათვის მძიმე ტვირთია, ყველაზე წმინდა, სარწმუნოების თავისუფლება მხოლოდ სახელმწიფოსაგან რელიგიის გამოყოფას კი არ ნიშნავს, არამედ ყველა თანამემამულის სულის, ლოცვის და რწმენის თავისუფლების დაცვას“.

ლაიციზმის ამგვარი მიდგომა რელიგიისადმი უნდა გამორიცხავდეს სასულიერო ხელისუფალთა და ფანატიკოსთა ყოველგვარ მცდარ შეხედულებას ქვეყნის ცხოვრებაზე. ასეთ გარემოში კი რელიგიას უნდა მიეცეს თავისი კუთვნილი ადგილი. ამ თვალსაზრისით, ათათურქისეულმა ლაიციზმმა საშუალება უნდა მისცეს რელიგიას სრულყოფილად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობანი.

თურქი პროფესორი ფ. აჰმადი იძლევა ლაიციზმის შემდეგ განმარტებას: „ლაიციზმი - ეს არის სახელმწიფოს მართვა არა რელიგიური პრინციპებით, არამედ ხალხის მიერ არჩეული თურქეთის უმაღლესი ეროვნული კრების მიერ მიღებული კანონების შესაბამისად. ლაიციზმის პრინციპებით ყველა მოქალაქე თავის უფალია და აქვს რელიგიური რიტუალების ჩატარების უფლება. დაუშვებელია პროპაგანდა, როგორც რელიგიის სასაგებლოდ, ასევე მის საწინააღმდეგოდ“.

პროფესორი მ. თოკერი აღნიშნავდა, რომ: „ლაიციზმი სურთ წარმოგვიდგინონ როგორც უღმერთობა. ყველა ლაიცისტურმა ძალამ თურქეთში უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე და შემჭიდროვდეს, რათა დაიცვან ლაიციზმი, ქემალიზმის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი“.

ცნობილი თურქი თეოლოგი ფეთჰულაჰ გიულენი ლაიციზმის საკითხს შემდეგნაირად განმარტავს: „ლაიციზმი ნიშნავს რელიგიისა და სახელმწიფოს ერთმანეთისგან გამიჯვნას. რელიგიის არსი არასოდეს არის ძალადობა. სარწმუნოება ერთ ჭერქვეშ აერთიანებს ხალხს, ხოლო პოლიტიკაში არსებულმა გათიშულობამ და სარწმუნოების პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენებამ შესაძლოა საფრთხის ქვეშ დააყენოს სარწმუნოებრივი ერთობაც. პოლიტიკურ ამბიციებსა და ფანატიზმს ბოლო არა აქვს, ფანატიკოსები იქამდეც კი მიდიან, რომ იმ ხალხს, რომელიც მათ მხარს უჭერენ, სარწმუნოებიდან განდგომილებად ნათლავენ“, - დასძენს გიულენი.

ლაიციზმის ისტორია, როგორც საერო სახელმწიფოს პრინციპი, თურქეთში გულისხმობს მის ევროპეიზაციას. იმდენად, რამდენადაც ლაიციზმი არის შედეგი არა თურქული კულტურის დამოუკიდებელი განვითარებისა, არამედ შედეგი ევროპეიზაციისა, რაც ხშირად წარმოადგენდა დებატების საგანს. მთელი XIX საუკუნის მანძილზე თურქეთის საზოგადოებაში თითქმის საერთოდ არ არსებობდა ლაიციზმის ფილოსოფიურ-კულტურული საფუძველი, რაც საშუალებას მისცემდა მის პოლიტიკურ სფეროში დამკვიდრებას. ლაიციზმი როგორც სერიოზული მოძრაობა არ გამოვლენილა სულთან აბდულ ჰამიდ მეორის ეპოქამდე (1876 -1908). ამ დროს ახალგაზრდა თურქთა მიერ განხორციელებულმა რევოლუციამ, რომელსაც „ერთობისა და პროგრესის პარტია“ ხელმძღვანელობდა, უზრუნველყო თურქეთისათვის 1876 წლის კონსტიტუცია. ამის შემდეგ აღნიშნული პარტია 1919 წლამდე (ოსმალეთის სახელმწიფოს დაცემამდე) რჩებოდა პოლიტიკურ ძალად. „ერთობისა და პროგრესის პარტიას“ ლაიციზმი ოფიციალურად არ მიუღია. იგი ატარებდა საერთო პოლიტიკას. პარტიის დაარსებისთანავე მასში გამოიკვეთა ისლამის მომხრეთა სხვადასხვა ჯგუფი. ერთი მხრივ, არსებობდა ისლამის, როგორც პოლიტიკის წარმმართველი აქტიური ძალის მომხრეთა ჯგუფი, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ აქტუალური, პოლიტიკური და სოციალური პრობლემების მოგვარება შეიძლებოდა მხოლოდ ისლამზე დაყრდნობით, მეორე მხრივ, არსებობდა ლაიციზმის მომხრეთა მცირე

ჯგუფი. გარდა ამისა, აქვე იყო თურქეთის ნაციონალური მოძრაობა. ასეთ ვითარებაში პარტია ყველანაირად ცდილობდა შეენარჩუნებინა ლოიალური ურთიერთობა ყველა ამ ჯგუფის მიმართ. მოძრაობამ თურქეთში ლაიციზმის დასამკვიდრებლად, როგორც ითქვა, გასაქანი ჰპოვა განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდეგ. ათათურქმა ლაიციზმი მის მთავარ და რადიკალურ პრინციპად გამოაცხადა, სწორედ ამ პოლიტიკამ ნულზე დაიყვანა რელიგიის როლი სახელმწიფო მმართველობაში და გარკვეულ ეტაპზე ქვეყანაში შეკვეცა სასულიერო საზოგადოების როლი. როგორც ერთ-ერთი თურქი მეცნიერი თოფრაქი აღნიშნავს: „რელიგია თურქეთში გამოიყენებოდა როგორც პროტესტი ერთპარტიული ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ“. ლაიციზმის შედეგი იყო სეკულარიზაცია, რომელიც სამ სფეროდ განხორციელდა თურქეთში:

1) სამოქალაქო - სიმბოლური სფერო, რაც ითვალისწინებდა ნაციონალური და კულტურული ცხოვრების სპეციფიკას; ანბანის შეცვლას; გვართა გამოცვლას; ევროპული ტანსაცმლის შემოღებას; ახალი დროისა და წელთაღრიცხვის დამტკიცებას, ყოველკვირეული გამოსასვლელი დღის და ევროპული მუსიკის დამკვიდრებას.

2) ადმინისტრაციულ - ორგანიზაციული სფერო, ხალიფატის; შეიხ ულ ისლამის; შარიათის სასამართლოს და ვაკუფის, აგრეთვე ისლამის ორგანიზაციული სტრუქტურის შეცვლას.

3) ფუნქციონურ - იურიდიულ სფერო, რაც გულისხმობდა საერთო განათლებისა და სამართალწარმოების შეცვლას და ახალი დასავლური კანონმდებლობის შემოღებას.

ყოველივე ზემოთქმული წარმოადგენს სერიოზულ ნაბიჯს ლაიციზმისაკენ, მაგრამ სახელმწიფოს მიერ ისლამის საბოლოოდ განსაზღვრა და მის რელიგიურ ჩარჩოებში მოქცევა განხორციელდა მხოლოდ 1928 წლის 10 აპრილს, №1222 კანონით. ლაიციზმის, როგორც კონსტიტუციური პრინციპის მიღება კი განხორციელდა მხოლოდ 1937 წლის 5 თებერვალს, №3115 კანონით.

ქვეყანაში ხალიფატის გაუქმება მოხდა კანონით, რომელსაც მხარი დაუჭირა თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ, მაგრამ ქემალისტებს არ შეეძლოთ გართულების გარეშე შეეთავაზებინათ ნახევრად თეოკრატიული რეჟიმისათვის ის პოზიტიური შეხედულებები, რომელსაც თავად აღიარებდნენ. ხალიფატის მომხრეებმა ქემალისტები რელიგიის მტრებად გამოაცხადეს, რომლებიც თავის მხრივ, მალე აღიჭურვნენ რა ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპის უპირობობითა და უსაზღვროობით, წაართვეს რელიგიური ხელისუფლება სულთანს და გადასცეს ხალხს. 1921 წლის კონსტიტუციაში, რომელიც მოამზადა დიდმა ეროვნულმა კრებამ, არ იქნა აღიარებული არც ერთი კონფესია სახელმწიფო რელიგიად, მაგრამ 1923 წელს შეტანილი შესწორების წყალობით სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა ისლამი. ეს დებულება, რომელიც შენარჩუნებულ იქნა 1924 წლის კონსტიტუციაში, საბოლოოდ მოიხსნა 1928 წელს. ამით დასრულდა რელიგიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის პროცესი. თურქეთი ამიერიდან სამართლებრივად და კონსტიტუციურად ლაიცისტური, თანამედროვე სახელმწიფო გახდა.

ლაიციზმის შესახებ 1930 წელს მუსტაფა ქემალი ამბობდა: - „რელიგიური იდეის სახელმწიფო საქმეებისაგან გამოყოფაში რესპუბლიკა ხედავს ჩვენი ერის პროგრესის პირველხარისხოვან ფაქტორს“. „ხალიფატის გაუქმება ნიშნავდა ახალი თურქეთის სურვილს, საბოლოოდ გაეწყვიტა კავშირი წარსულთან და შეექმნა პროგრესული სახელმწიფო დასავლური დემოკრატიის მაგალითზე“.

ლაიციზმის ისტორიის არაერთი მკვლევარი ცდილობს ახსნას ფენომენი - თუ როგორ შეძლო საერო ხელისუფლებამ დროის მცირე მონაკვეთში საზოგადოების იმ ცივილიზაციის საზღვრებში მოთავსება, საიდანაც ქვეყნის დემოკრატიულ მოდერნიზაციას გაეხსნებოდა გზა. თურქეთში მსგავსი განვითარება გაკვირვებას იწვევდა, იმიტომ, რომ ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით, ლაიციზმი თურქეთში არ ყოფილა ევოლუციური ცვლილებების, საზოგადოებაზე საუკუნეების განმავლობაში მომხდარი მოწინავე ფილისოფიური იდეების ზეგავლენის შედეგი.

ევროპაში საერო, ლაიცისტური სახელმწიფოები წარმოიქმნა ბურჟუაზიის გაჩენასთან ერთად ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ოსმალეთის სახელმწიფოში ეს არ მომხდარა. მიუხედავად „ახალგაზრდა ოსმალების“ და „ახალგაზრდა თურქების“ დიდი მცდელობისა, „აზიური ტიპის ფეოდალიზმმა“, რომელიც ატარებდა ცენტრალიზებულ ხასიათს, ხელი შეუშალა ოსმალეთში ევროპული მოდელის ბურჟუაზიის შექმნას. ის ისტორიული როლი, რომელიც ევროპაში ითამაშა ბურჟუაზიამ, ოსმალეთში სამხედროებმა შეასრულა.

ლაიციზმის პრინციპი შესაძლებელს ხდიდა აღმსარებლობისა და აზრის თავისუფლების უზრუნველყოფას, მაგრამ თურქეთში ამ პრინციპის ბოროტად გამოყენება დაიწყეს კონსერვატულმა და რეაქციულმა ოპოზიციურმა ძალებმა, რომლებიც თვლიდნენ, რომ რელიგიური სკოლებისა (მედრესეები) და საკულტო ადგილების გაუქმება იყო თავდასხმა აზრის თავისუფლებასა და აღმსარებლობაზე, ხოლო სინდისის თავისუფლების ქემალისტური პრინციპი კი - ათეიზმია.

ქემალისტებმა, მიუხედავად ოპოზიციური ძალების გამოსვლებისა და მათ შორის არსებული წინააღმდეგობისა, ყოველგვარი უკანდახევის გარეშე გამოიყენეს ლაიციზმის პრინციპი და მთავარ იდეოლოგიად აქციეს რესპუბლიკურ თურქეთში.

ამგვარად, ლაიციზმის გაგება სწორ გააზრებას მოითხოვს, რის გარეშეც შეუძლებელია საერო, რესპუბლიკური თურქეთის სახელმწიფო მოწყობის განსაზღვრა.

- **ნაციონალიზმი**

ნაციონალიზმი - კაცობრიობის ახალი და უახლესი ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. XIX საუკუნეს „ნაციონალიზმის ეპოქას“ უწოდებდნენ.

ნაციონალიზმის ცნება სხვადასხვა ინტენსიურობით იჩენდა თავს XX საუკუნეშიც. მან კიდევ ერთხელ მიიპყრო განსაკუთრებული ყურადღება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რაც დღესაც გრძელდება. ისმება კითხვა, თუ რა გზას დაადგებიან და რომელ მოდელს აირჩევენ ახლადწარმოქნილი სახელმწიფოები, რომლებშიც თითქმის მთლიანად ან ნაწილობრივ

მუსლიმური მოსახლეობაა. ასეთ ფორმად მიიჩნევა ორი: ირანული და თურქული მოდელი.

თურქეთის რესპუბლიკის ფუძემდებელი მუსტაფა ქემალი დარწმუნებული იყო, რომ ერის განვითარებისათვის ერთადერთი გზა - ცივილიზაციის თანამედროვე დონის მიღწევა, რომელმაც შემდგომში ქემალიზმის სახელწოდება მიიღო.

ქემალიზმის ერთ-ერთი ქვაკუთხედი ნაციონალიზმია, რომელიც თურქეთში ოფიციალური პოლიტიკის რანგში არის აყვანილი და დაფიქსირებულია — კონსტიტუციაში - „ათათურქისეული ნაციონალიზმის“ სახელით, მაგრამ თურქული ნაციონალიზმი ერთგვაროვანი არაა. მისი სხვადასხვა ფორმის წარმოშობა - განვითარების შესწავლა და ჯეროვნად გათვალისწინება შესაძლებლობას იძლევა არამარტო გაარკვიოს თურქეთის წარსული და აწმყო, არამედ განჭვრიტოს მისი შესაძლო მომავალი.

ათათურქი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ პრინციპს, რადგან მისი საშუალებით ხდებოდა თურქი ერის ერთიანობის დაცვა და მიზნად ისახავდა თურქეთში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ხალხთა კონგლომერაციას და თურქი ერის ჩამოყალიბებას.

ნაციონალიზმი - ერის თავისთავადობის ხვედრითი წილი დაუწერელი, უპირობო საკითხია, რომელიც ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა თურქი ხალხის გადარჩენისათვის ბრძოლაში. სახელმწიფოს არსებობაც კი წარმოუდგენელია ამ დებულების გარეშე.

თურქულ ენაში ამ დებულების აღმნიშვნელი სიტყვაა „მიილეთჩილიქ“, რომელიც წარმოდგება არაბული სიტყვიდან - მილეთ - ერი და მისგან ნაწარმოები მიილეთ - ეროვნება. ქართულად შეიძლება ითარგმნოს როგორც ეროვნულობაც და როგორც ნაციონალიზმიც. ეს დებულება მიზნად ისახავს ეროვნული თავისებურებებისა და ეროვნული ხასიათის დაცვასა და შენარჩუნებას ეროვნებათა განვითარების ახალი ეტაპის პირობებში.

ათათურქის სიტყვით „ერი უნდა ქმნიდეს სახელმწიფოს საფუძველს, უნდა იყოს მისი დასაყრდენი“. „ჩვენი სახელმწიფოს დასაყრდენი - თურქი ხალხია და რაც უფრო ღრმად არის

ეს ხალხი განმსჭვალული თურქული კულტურით, მით უფრო ძლიერი იქნება რესპუბლიკა, რომელიც მას ეყრდნობა. ე.ი. ნაციონალიზმის დებულებამ არამარტო უნდა უზრუნველყოს თანამედროვე ერებთან ურთიერთობის პროცესში ეროვნული ხასიათისა და ეროვნული თავისებურებების დაცვა, არამედ ის გულისხმობს აგრეთვე ეროვნული სახელმწიფოს შექმნას, რომლის საფუძველი იქნება თურქი ერი“.

ოსმალეთის სახელმწიფოში, სადაც თანაცხოვრობდა 18 ეთნიკური ჯგუფი, რომლებიც სხვადასხვა კონფესიებს მიეკუთვნებოდნენ, არ არსებობდა ნაციონალიზმი - ამ სიტყვის სრული გაგებით. რელიგიური თემის ფაქტორის პარალელურად ეროვნული საკითხის წამოწევა დაწყებული იქნა „ახალგაზრდა ოსმალთა“ და „ახალგაზრდა თურქთა მიერ“.

ოსმალეთის სახელმწიფოს კრიზისის დროს, გამოიკვეთა ორი მიმართულება: პირველი გამოხატავდა ქვეყნის სპეციფიკურ ოსმალურ ხასიათს (პანთურქიზმი), მეორე კი ქვეყნის აღორძინებისათვის ისლამური სოლიდარობისაკენ გადახრას (პანისლამიზმი).

„ახალგაზრდა თურქები“ ქვეყნის გადარჩენას ხედავდნენ მხოლოდ მისი დასავლური მიმართულებით განვითარებაში და, ამგვარად, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ თურქულ სპეციფიკას, ამიტომ წამოიწყეს მოძრაობა „თურქიზმის“ სახელწოდებით. თურქიზმის იდეა ეყრდნობოდა ხალხოსნობისა და ნაციონალიზმის იდეებს. გარდა ამისა, იგი მიმართული იყო აგრეთვე თურქულენოვანი ხალხების გაერთიანებისაკენ. მათი ეროვნული საზღვრების გათვალისწინების გარეშე. ეს მიზანი განსაზღვრული იყო სიტყვით „პანთურანიზმი“ (მომდინარეობს თურანისაგან - თურქი ხალხის ლეგენდარული ქვეყნის სახელწოდება).

ახალგაზრდა თურქებმა შეითვისეს, ერთი მხრივ, თურქიზმი და მეორე მხრივ, ერის ევროპული კონცეფცია და შეეცადნენ რეალობად ექციათ „ერის“ გაგება, მაგრამ ოსმალეთის ტერიტორიაზე ბალკანური ომების დაწყებასთან ერთად კვლავ აღორძინდა პანისლამიზმი. იმდენად, რამდენადაც ხელისუფლება ტრადიციულად მიმართავდა ხალხის რელიგიურ გრძნო-

ბებზე თამაშს, რათა შეეკრა ისინი და მათში აემაღლებინა ეროვნული სული.

როცა ახალგაზრდა თურქთა ლიდერმა და ქვეყნის ფაქტობრივმა მმართველმა ენვერ-ფაშამ პირველ მსოფლიო ომის დროს, ოსმალეთში წინა პლანზე წამოიწია პანთურქიზმი. ენვერ-ფაშა იმედს ამყარებდა გერმანიის გამარჯვებაზე და გეგმავდა შემოეერთებინა როგორც კავკასია, ასევე ცენტრალური აზია. 1918 წლისათვის, როდესაც ანატოლია ოკუპირებული აღმოჩნდა, ხალხი შეეჯახა ისეთ სირთულეებს, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში სრულიად უცხო იყო მათთვის. კერძოდ:

პირველად - ოსმალეთის სახელმწიფოს ისტორიაში ქვეყანა ოკუპირებული იქნა უცხოური ძალების მიერ;

ეროვნული და რელიგიური უმცირესობები მოითხოვდნენ ანატოლიაში მიწების მიღებას საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესაქმნელად;

ახალგაზრდა თურქთა მხრიდან „მამულისა“ და „ერის“ შესახებ წარმოებული დისკუსიების მიუხედავად, ხალხი პრაქტიკულად არ იცნობდა ინტელიგენციას და ჯერ კიდევ არ გააჩნდა ეროვნული თვითშეგნება;

1911 წლიდან ხალხი მუდმივად ომობდა. მათ არ განუცდიათ ისეთი მიმდინარეობების გავლენა, როგორიცაა: „პანოსმანიზმი“ და „პანთურქიზმი“, მაგრამ თანაუგრძნობდნენ „პანისლამიზმს“.

უცხოური ოკუპანტების შემოტევის პირობებში, თურქ ხალხს ჰქონდა ერთადერთი გამოსავალი – ეწარმოებინა ომი ანატოლიაში ყველა ფრონტზე.

ქემალისტები თურქულ ნაციონალიზმს შემდეგნაირად განსაზღვრავენ: - „თურქული ნაციონალიზმის პირველხარისხოვანი მიზანია მსოფლიოსთან მშვიდობიანი თანაცხოვრების ფონზე საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნება“.

თურქეთის ეროვნულმა ბურჟუაზიამ შეითვისა თურქიზმი, რომელიც მიმართული იყო დამოუკიდებელი, ეროვნული სახელმწიფოს შექმნისაკენ.

მუსტაფა ქემალის გაგებით თურქიზმი სხვა არაფერი იყო, თუ არა თურქული ნაციონალიზმი თურქეთის საზღვრებში, რო-

მელიც განსხვავდებოდა, როგორც ოსმალური, ასევე „ისლამური ნაციონალიზმისაგან. „ერმა, - ამბობდა ის, - შეიცვალა თავისი საუკუნეობრივი სახე, მან გააერთიანა თავისი ხალხი არა რელიგიური ფაქტორის, არამედ თურქული ეროვნების მიკუთვნების მიხედვით“.

თურქეთის დიდი ეროვნული კრების პირველსავე სხდომაზე, მუსტაფა ქემალის გამოსვლები ფაქტობრივად ოფიციალურად ადასტურებდა ძველი, დრომოჭმული იდეალებისაგან, თურქული ეროვნული ბურჟუაზიის გათავისუფლებას. ის ამბობდა: - „ნებისმიერ ჩვენს მოქალაქეს აქვს უფლება იყოს რომელიმე დიდი იდეალის თაყვანისმცემელი და მიმხრობი, ის ამ საქმეში დამოუკიდებელია, არავის შეუძლია ჩაერიოს ამაში, მაგრამ თურქეთის დიდი ეროვნული კრება მხარს უჭერს მტკიცე და სტაბილურ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია თურქთა დამოუკიდებლობისაკენ მათ განსაზღვრულ ეროვნულ ჩარჩოებში“.

სახალხო-რესპუბლიკური პარტია წარმოადგენდა თურქულ ნაციონალიზმს შემდეგი თვალთახედვით: - „თურქული ნაციონალიზმი განსაკუთრებულია ეროვნულ საზღვრებში მცხოვრები ყველა თურქისათვის, მაგრამ ის ამასთანავე გამოხატავს ძმობას, ყველა იმ თურქის მიმართ, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ. ის ეწინააღმდეგება ნებისმიერ სხვა არაეროვნულ პოლიტიკურ მიმართულებას. თურქული ნაციონალიზმი ღიაა მთელი კაცობრიობისათვის. ის არის ნებისმიერი იმ ხალხის გამაერთიანებელი პრინციპი, რომლებიც აღზრდილი არიან ცივილიზირებულ კულტურაზე და ლაპარაკობენ თურქულ ენაზე“. ანუ, ქემალისტებმა აირჩიეს ცნება „ერის“ ევროპული გაგება, რომლის მიხედვით „ერი არის სახელმწიფო, რომლის მიზანია, თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში მცხოვრები ყველა ხალხი გააერთიანოს ერთ ერად. მათი შეკავშირების საფუძველი გახდა არა ეთნიკურობა, ანუ ეთნიკურად თურქული და მუსლიმური წარმოშობა, არამედ რესპუბლიკის მოქალაქეობა. ნაციების შემაკავშირებელია სოციალური და კულტურული ფენომენი. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს გარკვეული ტე-

რიტორიები, სადაც ცხოვრობს მისი მოსახლეობა და მოქმედებს ამ სახელმწიფოს იურისდიქცია“.

თურქულმა ნაციონალიზმმა შედეგად გამოიღო ის, რომ იურიდიულად ანუ პილიტიკურ-სამართლებრივად თურქეთის მთელი მოსახლეობა იქცა თურქად. თურქეთის ეროვნულმა ელიტამ სწორედ რომ დასავლური მოდელი აირჩია. ქემალისტთა რეფორმებმა და სეკულარიზაციამ გამოიწვია ის, რომ ხალხის შეგნების გადახალისება მოხდა, თუ ადრე მისი რწმენის საგანს წარმოადგენდა ისლამი, დღეს ამ ფუნქციას ასრულებს ერი. ხალხმა დაიწყო იმის გათავისება, რომ ის არის არა ისლამური სახელმწიფოს ქვეშევრდომი, არამედ საერო, რესპუბლიკის მოქალაქე. ნაციონალიზმი 30-იან წლებში იქცა თურქეთის მეორე რელიგიად. ქემალისტური ნაციონალიზმის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ის წარმოიქმნა, როგორც იდეოლოგიური ინსტრუმენტი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ასე რომ, თურქული ნაციონალიზმი, ლაიციზმთან ანუ სეკულარიზმთან ერთად, წარმოადგენს თურქული პოლიტიკის სისტემას და საზოგადოების „ევროპიზაციის“ განმსაზღვრელ ყველაზე მძლავრ ფაქტორს, რომლის გარეშე რესპუბლიკა ვერ მიაღწევდა სუვერენობას და კვლავ გაგრძელდებოდა ფაქტობრივად განწირული სახელმწიფოს რღვევის პროცესი.

ათათურქი ყოველთვის არ იყო თანმიმდევრული პანთურქიზმთან ბრძოლაში. შემდგომ წლებში ის აძლევდა თავისუფლებას იმათ მოღვაწეობას, ვინც პროპაგანდას უწევდნენ რეაქციულ იდეოლოგიას. ეს მიუთითებს თურქული, ბურჟუაზიული იდეოლოგიის უუნარობაზე, დაეწყო ბრძოლა რეაქციული ტენდენციების წინააღმდეგ, როგორც პოლიტიკაში, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სწორედ ამ გარემოებით სარგებლობდნენ რეაქციული წრეები, რომლებიც თავის თავს ათათურქის მომხრეებად და საქმის გამგრძელებლად თვლიდნენ.

ნაციონალიზმის დებულება უშუალოდ არის დაკავშირებული თურქული ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებასთან. ათათურქი განმარტავს, რომ „ერს ქმნის ბუნებრივი და ისტორიული ფაქტორები: პოლიტიკური ერთიანობა, საერთო ენა, სა-

ერთო სამშობლო, საერთო წარმოშობა, ისტორიული და ზნეობრივი საფუძვლების ერთობა“.

„ჩვენი ნაციონალიზმი არავითარ შემთხვევაში არ არის ეგოისტური და ამპარტავნული ნაციონალიზმი... ჩვენ არავის მტრები არ ვართ, მხოლოდ ადამიანობის მტრობის მტრები ვართ... სამშობლოში მშვიდობა დედამიწაზე მშვიდობის დებულებაა, ჩვენი ეროვნულობაც სწორედ ამის თანხმობაა“ , - დასძენდა ათათურქი.

ნაციონალიზმის პრინციპი თურქი ხალხის ბრძოლის ერთ-ერთი დასაყრდენია. ის ათათურქის მხრიდან განიხილებოდა მთავარ მამოძრავებელ ძალად სახელმწიფოებრიობის წინსვლის საქმეში. მითუმეტეს, რომ ნაციონალიზმი ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა თურქეთის ისტორიაში.

ქემალიზმის ნაციონალიზმის დებულებას დღესაც ეყრდნობა თურქეთის რესპუბლიკის საშინაო პოლიტიკა და ამ დებულების ცხოვრებაში გატარების შედეგად ბევრად უფრო ერთგვაროვანია, ვიდრე მისი არსებობის პირველ წლებში.

- **ხალხოსნობა**

ხალხოსნობა - ახლოს დგას ნაციონალიზმის პრინციპთან. ზოგი მკლევრის აზრით, ხალხოსნობა ნაციონალიზმიდან მომდინარეობს და მისი შედეგია. ათათურქის მიხედვით „ხალხოსნობა ესაა - დემოკრატიულობა“, რომელიც არ ცნობს პიროვნებებს შორის პრივილეგიებს და არ ეთანხმება კლასობრივ ბრძოლას.

ხალხოსნობა წარმოადგენს ქემალიზმსა და სხვა იდეოლოგიურ სისტემებს შორის განმასხვავებელ მნიშვნელოვან ელემენტს. მისი უმთავრესი მიზანი იყო ხალხში განათლებისა და კულტურის შეტანა, განურჩევლად კლასობრივი კუთვნილებისა. თანასწორუფლებიან მოქალაქეთა საზოგადოების შესაქმნელად, ქემალისტები აუქმებდნენ ოსმალეთის იმპერიისაგან მემკვიდრეობით დარჩენილ არისტოკრატიულ ტიტულებს და პრივილეგიებს.

ოსმალეთის არსებობის დროს საზოგადოება დაყოფილი იყო ორ კლასად: საშუალო კლასი (გლეხები, ჯარისკაცები) და

პრივილეგირებული კლასი (ოფიცრები, მმართველი წრეების წარმომადგენლები). სახელმწიფოს მართვა ხელთ ეპყრა პრივილეგირებულ ფენას, მაშინ, როდესაც საშუალო კლასს არ ჰქონდა არანაირი უფლება ჩარეულიყო სახელმწიფო საქმეებში.

ოსმალური საზოგადოება წარმოადგენდა მრავალფეროვან მოზაიკას, რომელიც მოიცავდა თვრამეტ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს და სამ რელიგიას, რომლებიც ერთად ცხოვრობდნენ ყოველგვარი დაპირისპირების გარეშე.

მუსტაფა ქემალი თავის ერთ-ერთ სიტყვაში ხაზს უსვამდა, რომ „თურქეთის რესპუბლიკა წარმოადგენს საზოგადოებას ყოველგვარი სოციალური და კლასობრივი დანაწევრების გარეშე: — არ არსებობს კლასობრივი ინტერესები, მე ეხლა ვხვდები ვაჭრებს, ფერმერებს, მშრომელებს, ისინი არ შეიძლება იყვნენ მოაზრებული ერთმანეთის საპირისპირო ფენებად“.

ქემალისტურმა ჯგუფებმა, რომლებსაც უნდა შეედგინათ პირველი თურქული კონსტიტუცია, ხალხოსნობის პრინციპის დახასიათებისათვის შემდეგი ტერმინოლოგია გამოიყენეს:

მუხლი 2. – „მთავრობა, რომელიც მომდინარეობს თურქეთის დიდი ეროვნული კრებისაგან, დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ქვეყნის სუვერენიტეტი და მართვა ეკუთვნის ქვეყნის ჭეშმარიტ მფლობელს - ხალხს“.

მუხლი 6. – „სუვერენიტეტი ყოველგვარი პირობისა და შეზღუდვის გარეშე ეკუთვნის ერს“ (ამდაგვარად, სახალხო მმართველობის ხასიათი დეფაქტო დამოკიდებულია ხალხის თვითგამორკვევაზე).

მუხლი 8. – „თურქი ხალხის მმართველობა იმყოფება დიდი ეროვნული კრების კონტროლის ქვეშ “.

1920 წლის 20 ივლისს მუსტაფა ქემალი დიდი ეროვნული კრების სხდომაზე ამბობდა: „ჩვენი იდეოლოგიის ამოსავალი წერტილი ხალხოსნობაა, მთელი ძალაუფლება და ადმინისტრაცია თავიდან ბოლომდე ხალხს უნდა გადაეცეს, ის ხალხის ხელში უნდა იყოს“.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ერთი წლის შემდეგ მუსტაფა ქემალი ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ „ჩვენი ხელისუფლება არ ჰგავს სამეცნიერო ნაშრომებში აღწერილ არც ერთ (დემოკრა-

ტიულ, სოციალისტურ) თეორიულ მოდელს, ჩვენ თუ დაგვჭირდება მისი სოციოლოგიური განსაზღვრა, მაშინ უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენი მოდელი არის სახალხო“.

1923 წლის 9 სექტემბერს ქემალისტებმა შექმნეს სახალხო პარტია (შინაარსობრივად ხალხოსნური პარტია), რომელთა მიზნები იყო:

1. ხალხის მიერ და ხალხისათვის გატარებული ეროვნული სუვერენიტეტის ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა;

2. თურქული ცივილიზაციის დიდების აღდგენა;

3. კანონის აბსოლუტური ბატონობის დამკვიდრება ყველასათვის.

თავდაპირველად, ხალხოსნობის პრინციპი ძლიერ იყო გაჯერებული იდეალიზმით. ტიპიური იყო მასში ჩადებული მისწრაფება კლასობრივი ბრძოლის განადგურებისათვის. ოსმალეთის სახელმწიფოში არსებობდა ჰეგემონიის (ეკონომიკური, რელიგიური და პოლიტიკური) ფორმები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა ხალხოსნობის პრინციპს და რომლის განადგურება ქემალისტებმა ვერ მოახერხეს.

1934 წელს სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ყრილობაზე პარტიის ქემალისტური კონცეფცია ხალხოსნობის შესახებ შემდეგნაირად განისაზღვრა: „თურქეთში არ არსებობს კლასობრივი ბრძოლა, არც რეგიონალიზმი, არც ფეოდალიზმი, არც პრივილეგირებული ოჯახები და არც მათი კონცეპტუალური გამოხატულებები“.

ამგვარად, ხალხოსნობის (ჰალქჩილიქი) პრინციპის მიხედვით, ხელისფლებამ უნდა იზრუნოს ხალხის კეთილდღეობაზე, იგი თურქი ხალხის ერთ ოჯახად, ერთ ჯგუფად თავმოყრის მნიშვნელოვანი მოვლენაა, ის აძლიერებს და საფუძველს უმაგრებს სახელმწიფოს და არეგულირებს ურთიერთობებს სახელმწიფოსა და მის მოქალაქეებს შორის.

- **ეტატიზმი**

ეტატიზმის ქემალისტური გაგება ეფუძნება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში სახელმწიფოს ჩარევის პრინციპს, რა-

მაც უნდა განსაზღვროს მისი კულტურული, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების წესი.

ოსმალეთის სახელმწიფოს ძლიერება ყოველთვის ეფუძნებოდა საგადასახადო სისტემას. მისგან განსხვავებით, თურქეთის ახალგაზრდა სახელმწიფო იმედს ამყარებდა მხოლოდ სოფლის მეურნეობაზე, რომელიც ადრე ეკონომიკური ძლიერების გარანტიას არ იძლეოდა. იმისთვის, რომ უზრუნველყოფილიყო ეკონომიკის აღმავლობა, ქემალისტები ფლობდნენ ერთადერთ შესაძლებლობას, ეს იყო სახელმწიფოს აქტიური ჩარევა ამ სფეროში.

დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში სრულიად გაჩანაგდა ქვეყანა. წვრილი მევაჭრეები და მიწათმფლობელები, მართალია, იბრძოდნენ ქემალისტთა მხარეზე, მაგრამ ისინი არ ფლობდნენ დიდ კაპიტალს, რათა საზოგადოებაში გავლენიან ძალად გადაქცეულიყვნენ. ქემალისტები ცდილობდნენ ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისათვის გაეერთიანებინათ წვრილი მოვაჭრეები და მიწათმფლობელები. ისინი, ერთი მხრივ, ერეოდნენ კერძო წარმოებაში და, მეორე მხრივ, ხალხოსნობასთან დაკავშირებით ცდილობდნენ არ შეექმნათ პრივილეგიური კლასი. ასეთი გამოკვეთილი განწყობა გარდაიქმნა ეტატიზმის პრინციპად, რომელიც მოსახლეობის რომელიმე კატეგორიის მიმართ გამორიცხავდა ყოველგვარ განსაკუთრებულ უპირატესობას იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი არსებით დახმარებას უწევდნენ რეჟიმს.

1923 წელს ქემალისტებმა, ქვეყანაში შექმნილი რეალური სიტუაციის გათვალისწინებით, შექმნეს ეკონომიკის „შერეული სისტემა“, ანუ მეურნეობის სახელმწიფო და კერძო სისტემების თანაცხოვრება და ურთიერთქმედება.

ეტატიზმი (წარმოსდგება ფრანგული სიტყვიდან ეტატ-სახელმწიფო) ამ პრინციპს ორი განმარტება გააჩნია, ფართო გაგებით იგი ნიშნავს ეკონომიკისა და სოციალურ-კულტურული აღორძინების პოლიტიკის გატარებას, ვიწრო გაგებით კი - სახელმწიფოს წარმმართველ როლს ეკონომიკაში. ე.ი. ეს პრინციპი სახელმწიფოს აქტიურ პოლიტიკას გულისხმობს ქვეყნის შიგნით. სახელმწიფომ უნდა ითამაშოს მთავარი როლი ქვეყნის

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში, ანუ ეს არის სახელმწიფო სექტორის უპირატესი განვითარება, ანუ დევლეთ ჩილიქი.

ცხადია, რომ თურქეთის ბურჟუაზიას არ შეეძლო სოციალისტური რეფორმების გზით წასვლა, ამიტომ თურქეთის ხელისუფალნი ცდილობდნენ ეპოვათ განვითარების საკუთარი გზა. საჭირო იყო კოლონიური ეკონომიკის მაგიერ დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის შექმნა, რაც თურქეთის რესპუბლიკის საზრუნავს შეადგენდა.

თურქეთის ეროვნული ბურჟუაზია, რომელიც მოექცა ხელისუფლების სათავეში, დაინტერესებული იყო საშინაო ბაზრისა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების გაფართოებით, ეროვნული მრეწველობის შექმნით, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების განვითარებითა და ქვეყნის შიგნით მიმოსვლის საშუალებების ზრდით. ამასთან ერთად ეროვნული ბურჟაზიის ტრადიციულ ოცნებას წარმოადგენდა ქვეყნის ეკონომიკაში ეროვნული მდგომარეობის დაკავება. ამ საკითხის სწრაფად მოგვარებისა და საერთოდ, ქვეყნის მომავალი ეკონომიკური განვითარების გზების დასახვისათვის 1923 წლის თებერვალ - მარტში იზმირში მოწვეული იქნა ეკონომიკური კონგრესი, რომელზეც მიიღეს სხვადასხვა დადგენილებები (როგორიცაა: სამრეწველო მშენებლობის, სოფლის მეურნეობის განვითარების, ვაჭრობის, საბაჟო პოლიტიკისა და სხვა) აშკარად მიუთითებდნენ იმაზე, რომ თურქეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ქვეყნის მომავალი სამეურნეო ეკონომიკური განვითარებისათვის აირჩევდა სახალხო მეურნეობის ძირითად, წამყვან დარგებში ეტატიზმის გატარების გზას.

ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ქემალისტები განსაკუთრებით მიმართავდნენ ნაციონალიზმის პრინციპს. ათათურქი ეკონომიკური სუვერენიტეტის შესახებ ამბობდა: „როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს პოლიტიკური და სამხედრო გამარჯვებები, ის დიდხანს ვერ გაგრძელდება და გაქრება, თუ ქვეყანა არ იქნა გამყარებული ეკონომიკური გამარჯვებებით და ეკონომიკური სუვერენიტეტით. ერთადერ-

თი ძალა, ერთადერთი მყარი ფუნდამეტი რომელიც უზრუნ-ველყოფს სრულ წარმატებას, ეს თურქეთის ეკონომიკაა“.

1927 წელს ქემალისტები იღებენ სპეციალურ „მრეწველობის წახალისების კანონს“, რის საფუძველზეც მთავრობა ცდილობს მაქსიმალური მხარდაჭერა აღმოუჩინოს მრეწველობაში კერძო სექტორს. 30-იანი წლების დასაწყისიდან კი იწყება სახელმწიფოს აქტიური ჩარევა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში. თურქეთის სახელმწიფოს ხელმძღვანელები და ბურჟუაზიის იდეოლოგები ქემალისტთა ეკონომიკურ პოლიტიკას ანუ ეტატიზმს ხატავდნენ იმგვარად, თითქოსდა ეკონომიკური განვითარების ეს გზა წარმოადგენდა სრულიად ორიგინალურ, თურქეთისათვის ყველაზე უფრო მისაღებ გზას, რომელიც მთელ ქვეყანას უმოკლეს დროში მიიყვანდა ეკონომიკურ კეთილდღეობამდე.

ეტატიზმს თურქეთში, 30-იანი წლებიდან მოყოლებული გამოუჩნდა მეხოტბეთა ერთი ჯგუფი. მათი აზრით, თურქეთისათვის მისაღები ერთადერთი გზა - ეტატისტური პოლიტიკაა, რომელიც ერთნაირად არის მისაღები და ხელსაყრელი თურქული საზოგადოების ყველა სოციალური ჯგუფისათვის და წარმოადგენს საერთო ეროვნულ პოლიტიკურ პრინციპს.

ამ ეტატისტური პრინციპით, რომელიც მოწოდებულია აა-შენოს „ეკონომიკურად განვითარებული“, „კულტურული“ და „ჰარმონიული“ სახელმწიფო წყობილება, დაკავშირებულია ქემალიზმის ცნობილ სხვა პრინციპებთან: „რესპუბლიკურობა“, „ეროვნულობა“, „ხალხურობა“, „ლაიციზმი“ და „რევოლუციურობა“. ეს პრინციპები ეტატიზმის ჩათვლით პირველად შეიტანეს თურქეთის სახალხო რეპუბლიკური პარტიის პროგრამაში 1931 წელს. 1937 წელს კი როგორც კანონი დაფიქსირდა ცალკე მუხლად კონსტიტუციაში. პარტიის პროგრამაში შეტანილი ეტატიზმის პრინციპი აცხადებდა, რომ „სახალხო პარტია კერძო და ინდივიდუალური ინიციატივის საფუძვლად მიღებასთან ერთად მოითხოვს სახელმწიფოს აქტიურ მოქმედებას, განსაკუთრებით ეკონომიკურ სფეროში, იქ, სადაც აუცილებელია მაღალი მოგებების მიღება“, რაც შეეხება სხვა პრინციპებს, ყველა ისინი წარმოადგენენ ქემალიზმის იდეოლოგიის პროპაგან-

დის ქვაკუთხედს. ეს პრინციპები, რომლებიც თავის მხრივ მხარში უდგას და ავსებს ქემალისტთა სახელმწიფოს შექმნისათვის „აღმოჩენილ ეკონომიკურ ანუ ეტატისტურ პოლიტიკას, წარმოადგენს მოხერხებულ იარაღს არსებულ ეტაპზე ეკონომიკური აყვავებისათვის“. ქემალისტური რეჟიმი თავისი არსითა და ეტატისტური ეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით შეძლებს უზრუნველყოს მთელი ერის ეკონომიკური ბედნიერება.

აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ არ უნდა დავიყვანოთ ეტატიზმი მხოლოდ ეკონომიკის მართვაში სახელმწიფოს ჩარევამდე და პროტექციონიზმამდე. ქემალისტები მას განიხილავდნენ, როგორც ქვეყნის მოდერნიზაციის, დემოკრატიზაციისა და სოციალური სამართლიანობის ერთ-ერთ ინსტრუმენტს.

ეტატიზმი არის თურქეთის რესპუბლიკის გარდამავალი პოლიტიკა, მისი გამოყენება კი ეროვნული მოძრაობის ლოგიკური დასასრულია. ისეთ კომპანიათა ნაციონალიზაცია, როგორიცაა რკინიგზა, პორტები... ქემალისტებისათვის იყო ეროვნული პოლიტიკის მიზანი.

ეტატიზმის ერთ-ერთი მთავარი თეორეტიკოსი აჰმად ჰამდი (შემდგომში ბაშარი) თავის გამოცემებში ამბობს, რომ „ეტატიზმი მისცემს საშუალებას თურქეთს ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით ავიდეს ევროპის დონემდე. „დევლეთ ჩილიქი“, რომელიც ევროპის ქვეყნებში წარმოიშვა, საზოგადოებრივი და პოლიტიკური მიმართულებით, თურქეთში უპირველეს ყოვლისა, აღმოცენდა ეკონომიკური აუცილებლობით. თურქეთი მხოლოდ დევლეთ ჩილიქის გზით დაუახლოვდა ევროპას. თურქეთის ეკონომიკური განვითარებისათვის, წარმოების ზრდისათვის, უმუშევრობის მოსპობისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და სხვა მრავალი ეკონომიკური თუ სოციალური საკითხების გადაწყვეტისათვის არის აუცილებელი პირობები, რისთვისაც საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მისი ხელშეწყობა.

ა.ბაშარის აზრით: „ეტატისტური პოლიტიკის გატარებისას სახელმწიფოს ეკონომიკური ინიციატივა არ უნდა იქნეს განხორციელებული თვითმიზნად, მას უნდა ჰქონდეს დროებითი

ხასიათი. იგი უფრო ენერგიულად უნდა გატარდეს, ვიდრე სინამდვილეში ტარდება, მხოლოდ იმისთვის, რომ სწრაფად მიაღწიონ შედეგს და დასრულდეს, ე.ი. ეკონომიკური ინიციატივა თანდათანობით კერძო კაპიტალს გადაეცეს“.

ეტატიზმის პოლიტიკის გატარებით თურქეთის ეროვნულმა ბურჟუაზიამ მნიშვნელოვნად განამტკიცა არამარტო თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური პოზიციები, არამედ სახელმწიფოს მატერიალური ბაზაც. იმავდროულად საგრძნობლად შეზღუდა უცხო კაპიტალის პოზიციებიც და ხელი შეუწყო კაპიტალიზმის განვითარებას, მაგრამ ამასთან ერთად, ეროვნულმა ბურჟუაზიამ თანდათანობით გადაუხვია ეტატიზმის ქემალისტური პრნციპებიდან, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური ინტერესები დაუკავშირა დიდ სახელმწიფოთა ინტერესებს.

ამრიგად, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, თურქული ეტატიზმი, ანუ ქემალისტური ეკონომიკური პოლიტიკა, წარმოადგენს, „შერეული ტიპის“ ეკონომიკას, რაც ფაქტობრივად, კაპიტალისტური სისტემისათვის ამზადებდა საფუძველს. საბოლოო ჯამში, ამ ეკონომიკურმა სისტემამ თურქეთს მისცა კაპიტალიზმის განვითარების შესაძლებლობა და უზრუნველყო ბურჟუაზიის კლასის წარმოქმნა, რომელმაც თავისი პოზიციები გაიმყარა.

- **რევოლუციურობა**

რევოლუციურობა (ინქილაფჩილიქ), ერთი მხრივ, გულისხმობს საზოგადოების მუდმივ განვითარებას და, მეორე მხრივ, ქემალისტური რევოლუციის სახელით აერთიანებს ყველა ზემოჩამოთვლილ პრინციპს.

„თავისუფლება ხალხის თავისუფალი აზრისა და სიტყვის გამოხატულებაა, თავისუფლება ჩემს ხასიათშია. თავისუფალი საზოგადოება კი ძლიერი და დამოუკიდებელი სახელმწიფოს საფუძველია“, - ამბობდა ათათურქი.

დამოუკიდებლობის დებულებას ქემალი წინა პლანზე აყენებდა. იგი ხომ თურქი ხალხის პატივმოყვარეობის, ეროვნული ღირებულებების, თავისუფლების, თვითმყოფადობის, თავის-

თავადობის მნიშვნელოვანი ნიშანი და მოვლენა იყო. ამიტომაცაა, რომ ამ ხალხის ეროვნული ბრძოლის ლოზუნგი „დამოუკიდებლობა ან სიკვდილი“ გახდა. ათათურქის აზრით, „დამოუკიდებლობა გულისხმობს პოლიტიკური ვითარების, მატერიალური მდგომარეობის, ეკონომიკის, სასამართლო, სამხედრო და კულტურული ცხოვრების ერთად შერწყმას თავისუფლებასა და შეუზღუდაობასთან. აქედან რომელიმეს არარსებობის შემთხვევაში, დამოუკიდებლობის სწორად გაგება, მისი ახსნა-განმარტება შეუძლებელი იქნებოდა...“ „დამოუკიდებლობის და თავისუფლების განსაზღვრა ფართო მსჯელობის საგანია და ის პატიოსანი ხალხის კუთვნილი დებულებაა“. ათათურქის ამ სიტყვებს დიდი ფასი აქვს, რადგანაც დამოუკიდებლობის არმქონე ერმა, რაც უნდა სიმდიდრეს, კეთილდღეობას და დოვლათს მიაღწიოს, ცივილიზებული ერების მხრიდან ყურადღებას ვერ მოიპოვებს.

თურქი ხალხის სახელმწიფოებრიობისთვის ბრძოლის იდეა, ყოველთვის ატარებდა ეთნოცენტრისტულ და ნაციონალურ ხასიათს. თვით ქემალისტური რევოლუცია იყო მემარცხენე მსოფლმხედველობის იდეოლოგია ძლიერი ნაციონალისტური ასპექტებით.

მიუხედავად დებულებათა შორის მჭიდრო კავშირისა, ზოგიერთი მკვლევარი მაინც თვლის, რომ არ შეიძლება ქემალიზმის მწყობრ თეორიულ სისტემად გამოცხადება, ვინაიდან იგი წარმოადგენს ევროპულ-მატერიალისტურ და იდეალისტურ თეორიებიდან აღებულ დებულებათა კომპლექსს. ამავე დროს ბევრი რამ ამ თეორიებიდან აღებულია არამარტო უშუალოდ ევროპიდან, სადაც იგი შეიქმნა, არამედ თურქეთის სინამდვილიდან.

ქემალისტურ რევოლუციასთან დაკავშირებით ადგილი არ ჰქონია ასეთ თანმიმდევრობას: ჯერ რევლუციური თეორია, შემდეგ რევოლუცია. თურქეთში მოხდა პირიქით: ჯერ რევოლუცია და მხოლოდ შემდეგ, უკვე რევოლუციის მსვლელობაში შეიქმნა სახელმწიფო სისტემა. ეს ქემალიზმის დამახასიათებელი თავისებურებაა. როდესაც მუსტაფა ქემალ ფაშა სათავეში ჩაუდგა ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლას, მას პროგრამა

არ ჰქონდა შემუშავებული, ამიტომაც შეიძლება დავასკვნათ, რომ სახალხო რესპუბლიკური პარტიის ექვსივე დებულების თანდათანობით ჩამოყალიბების პროცესი ამავე დროს არის ქემალიზმის, როგორც იდეოლოგიის ჩამოყალიბების პირობა, რომელიც მოიცავს არამარტო ანტან- ტელ ინტერვენტებთან ბრძოლას, არამედ რესპუბლიკური რეფორმების პერიოდსაც. ქემალიზმის სწორად გაგების გარეშე კი შეუძლებელია თანამედროვე თურქეთში მიმდინარე პროცესების ობიექტურად აღქმა და გაანალიზება.

ანატოლიაში დაწყებული ანტიიმპერიალისტური ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რევოლუციაში გადაიზარდა, რის შედეგადაც ქემალისტებმა მოკლე დროში განახორციელეს სამი მნიშვნელოვანი აქტი: გააუქმეს სასულთნო და სახალიფო; გამოაცხადეს რესპუბლიკა და შეუდგნენ რადიკალური რეფორმების გატარებას, რომელიც თავისი მნიშვნელობით კულტურული რევოლუციის ტოლფასი იყო.

ქემალისტური რევოლუციის სპეციფიკური თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ რევოლუცია მოხდა არა ქვემოდან, ხალხის აჯანყების შედეგად, არამედ ზემოდან, მუსტაფა ქემალის ხელმძღვანელობით.

ქემალისტური რევოლუცია თავისებურებებით ხასიათდება. ეს იყო, მშვიდობიანი გზით, თურქეთის რევოლუციური გარდაქმნა, ხავერდოვანი რევოლუცია. რომლის ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი იყო მუსტაფა ქემალი. იგი კონფლიქტის მოსაგვარებლად ჯერ მშვიდობიან გზას ირჩევდა, შემდეგ ზეწოლას მიმართავდა და იარაღს უკიდურეს შემთხევვაში იყენებდა.

მართალია, რევოლუციური გარდაქმნების დროს ქემალი მოლაპარაკებასთან ერთად ზოგჯერ ზემოქმედებას და მუქარასაც მიმართავდა, მაგრამ ეს იყო უკიდურესი ზომა. თურქეთის რევოლუციაში უდიდესი წვლილი მუსტაფა ქემალს მიუძღვის, ამიტომაც მას ისტორიაში ქემალისტურ რევოლუციას უწოდებენ.

საკონტროლო კითხვები:

1) ახსენით, რა ადგილს იკავებს ლაიციზმი რესპუბლიკურ თურქეთში;
2) რა ადგილი უკავია ნაციონალიზმს თურქეთის პოლიტიკაში;
3) რა როლს თამაშობს რევოლუციურობა რესპუბლიკური თურქეთის ცხოვრებაში;
4) ახსენით, რა ადგილი უკავია ეტატიზმს რესპუბლიკურ თურქეთში;
5) რა მსგავსებასა და განსხვავებას ხედავთ ქემალიზმის ცალკეულ პრინციპებში.

პრაქტიკული დავალება:

გააანალიზეთ ქემალიზმის პრინციპები რესპუბლიკური თურქეთის ცხოვრებაში .

გამოყენებული ლიტერატურა და ვებგვერდები:

1. აფხაზავა თ., „ნაციონალიზმი თურქულ ისტორიოგრაფიაში“. დისერტაცია, თბილისი, 2006.
2. ბატიაშვილი ზ., თურქეთის შეიარაღებული ძალები. თბილისი, 2000.
3. ბატიაშვილი ზ., ცნობარი თურქეთზე თბილისი, 2003.
4. ბელთაძე მ., იმედაშვილი აბ. „ლაცისტური თურქეთი იმარჯვებს.“ გაზეთი – „საქართველოს რესპუბლიკა,“ 92, 23.04.1997.
5. ბაქრაძე რ., საქართველოს მიღმა, ბათუმი, 2003..
6. გიგინეიშვილი ო. თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, თბილისი, 1963.
7. გიგინეიშვილი ო., ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან. თბილისი, 1982.
8. გიგინეიშვილი ო., ნაციონალიზმის ქემალისტური დებულება. მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია, თბილისი, 1983.
9. დათუნაიშვილი ი., „ქემალიზმის ეტატისტური პრინციპები და თურქეთის ეკონომიკური განვითარების საკითხები.“

მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბილისი, 1976.
10. დანგაძე ნ., „თურქეთის სახალხო-რესპუბლიკური პარტია 1923-1950წ.წ. “ . დისერტაცია, თბილისი, 2006.
11. წულაძე ი., „ისლამური ფუნდამენტალიზმი თანამედროვე თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში.“ დისერტაცია, თბილისი, 1999.
12. დონაძე ვ., აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორია (ნაწილი I, 1918-1945). თბილისი, 1968.
13. მაკარაძე ე., თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები. ბათუმი, 2002.
14. მაკარაძე ე.. ათათურქი და ლაიციზმი. ჟურნალი, „აღმოსავლეთი“, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,“ თბილისი, 2005.
15. მაკარაძე ე., მუსტაფა ქემალ ათათურქი და ისლამი, ჟურ. აღმოსავლეთი და კავკასია,.5. თბილისი, 2007.
16. ჯაფარიძე შ., „მუსტაფა ქემალ ათათურქი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე“. ბათუმი, 1996.
17. Аралов С.И., Воспоминания советского дипломата (1922-1923). М., 1960.
18. Алибеков И.В., Государственный капитализм в Турции. М., 1962.
19. Гасратян М.А., Орешкова С.Ф. Петросян Ю.А. Очерки истории Турции. М.,1983.
20. Данилов В.И., Турция 20-30-х годов: путь к демократии. Восток. 1997. №2.
21. Данциг Б., „Турция“, политическая география. М., 1949.
22. Лавров Н.М. „Турция в 1918-1939 гг.“ М., 1952.
23. Aktaş R. N., Atatürk’ün bağımsızlık savaşı nasıl başladı? İstanbul, 1973.
24. Yaşa D., Atatürk çülüğün esaslari, Ankara, 1999.
25. 100 temel eser özetleri, nutuk, Ankara, İzmir, 2005.
26. www.iimes.ru.
27. www.bashbakanlik.gov.tr.
28. www.Ataturk.gov.tr.

თავი III. თურქეთის რესპუბლიკა 1923-1929 წლებში

1918 - 1923 წლების რევოლუციამ უდიდესი როლი შეასრულა ქვეყნის გათავისუფლებისა და რესპუბლიკური თურქეთის შექმნაში.

კაპიტალისტური განვითარების გზაზე თურქეთისათვის სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდა ქვეყნის საუკუნოვანი ჩამორჩენილობა მეცნიერების, განათლებისა და კულტურის სფეროში. ეროვნული ბურჟუაზია დაინტერესებული იყო ევროპული კულტურის დანერგვით, რაც ხელს შეუწყობდა ხალხის განათლების დონის ამაღლებას და ქვეყნის კაპიტალისტური გზით წინსვლას.

1924 წლის 3 მარტს პარლამენტმა მიიღო კანონი შარიათისა და ვაკუფების სამინისტროს გაუქმების შესახებ და მის ნაცვლად დაარსდა კულტურის სამინისტრო, რომლის ხელში გადავიდა მეჩეთებისა და თექების ხელმძღვანელობა. მას ჰქონდა უფლება დაენიშნა და გადაეყენებინა იმამები, შეიხები და სხვა სასულიერო პირები. დაიწყო სამზადისი ევროპული ტიპის ახალი სამოქალაქო კოდექსის შემუშავებისათვის.

საწყის ეტაპზე, საზოგადოების დეისლამიზაციის მიზნით, მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო ევროპული ტანსაცმლის იძულებით შემოღება.

1925 წლის 25 ნოემბერს პარლამენტმა მიიღო კანონი ფესების, ოსმალებისათვის დამახასიათებელი ქუდების, ფაფახებისა და ფესკების ტარების აკრძალვის შესახებ. მათ ნაცვლად უნდა დაეხურათ ევროპული ქუდები. სახელმწიფო მოხელეები ვალდებულნი იყვნენ საზოგადოებრივ ადგილებში ყოფილიყვნენ ევროპულად ჩაცმული, ერთმანეთს მისალმებოდნენ ევროპული წესით და სხვა.

დადგენილება აგრეთვე უკრძალავდა სასულიერო ტანსაცმლის ტარებას იმ პირებს, რომლებიც აღარ იყვნენ ოფიციალურად კულტის მსახურნი.

1925 წლის 30 ნოემბერს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლითაც გაუქმდა დერვიშული ორდენები და მათი მონასტრები (თექე). ადრე ეს რელიგიური ორდენები დიდ როლს თამაშობდნენ თურქეთის საშინაო ცხოვრებაში.

1925 წლის 26 დეკემბერს პარლამენტმა მიიღო კანონი ევროპული წელთაღრიცხვის შემოღების შესახებ, დასვენების დღე პარასკევიდან გადაიტანეს კვირაზე.

მეტად მნიშვნელოვანი იყო 1926 წელს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღება. მის შედგენაში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა თურქმა იურისტებმა. იგი შემუშავებული იქნა შვეიცარული კოდექსის საფუძველზე. სამოქალაქო კოდექსის მიღებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თურქეთში შუა- საუკუნეობრივი ნორმების ლიკვიდაციაში.

აგრეთვე მნიშვნელოვანი იყო 1926 წელს ევროპულ ყაიდაზე შედგენილი ახალი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელსაც საფუძვლად დაედო იტალიური კოდექსი. გაუქმდა ადრე არსებული მუსლიმური სამართლის ნორმები. კერძოდ, აიკრძალა მუსლიმური წესით დაშვებული მრავალცოლიანობა (ამიერიდან ქორწინების რეგისტრირების პრეროგატივა ჩამოერთვა სასულიერო წოდებას და გადაეცა სამოქალაქო სამსახურს) და სხვა.

1926 წელს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ კონსტიტუციიდან ამოიღო ფრაზა: „თურქეთის სახელმწიფო რელიგია ისლამია“. ამით რელიგია საბოლოოდ გამოეყო სახელმწიფოს, ამ ფაქტს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც თურქეთი დღემდე ერთადერთი მუსლიმური სახელმწიფოა, სადაც რელიგია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან.

რელიგიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან არ ნიშნავდა იმას, რომ ქემალისტებმა დაიწყეს ბრძოლა რელიგიის წინააღმდეგ. თურქეთის მთავრობა ცდილობდა რელიგიის გამოყენებას ახალი სახელმწიფოს ინტერესებისათვის. ყურანი არაბულიდან ითარგმნა თურქულ ენაზე, ისმოდა მუეძინის მოწოდება არა „წინასწარმეტყველის ენაზე“, არამედ ჩვეულებრივ თურქულზე.

მთავრობამ აუკრძალა რელიგიური კულტის მსახურებს, სამსახურის გარეთ, რელიგიური ტანსაცმლის ტარება.

1929 წლიდან თურქეთში ძალაში შევიდა კანონი „თურქეთის მოქალაქეობის შესახებ“, რომელმაც საბოლოოდ ბოლო მოუღო კაპიტულაციების ნორმებს თურქეთის კანონმდებლობაში.

უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ანბანის რეფორმას. არაბული ანბანი დიდად აფერხებდა მოსახლეობაში წერა-კითხვისა და სწავლა-განათლების გავრცელებას. თურქეთში რესპუბლიკის გამოცხადებამდე წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი 4 პროცენტს შეადგენდა. სასულიერო პირები დიდ წინაღმდეგობას უწევდნენ ლათინური ანბანის შემოღებას.

1928 წლის 1 ნოემბერს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი ანბანის რეფორმის შესახებ, რომლის საფუძველზე არაბული ანბანი შეიცვალა ლათინურით. ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიება მოსახლეობის სწავლა - განათლებისა და საერთოდ, ქვეყნის კულტურისა და მეცნიერების განვითარების საქმეში.

ახალი ანბანის სწრაფად ათვისების მიზნით, 1928 წლის დეკემბერში, გაიხსნა პირველი ეროვნული სკოლები.

მუსტაფა ქემალი დიდად აფასებდა იმ წვლილს, რომელიც ქალებმა შეიტანეს ეროვნულ - განმათავისუფლებელ მოძრაობაში და რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ ხელს უწყობდა მათი უფლებების გათანასწორებას მამაკაცებთან.

1926 წელს გამოცემული კანონით ქალებმა, პირველად თურქეთის ისტორიაში, მამაკაცებთან ერთად, მიიღეს პოლიტიკური უფლებები, საარჩევნო ხმის უფლების გამოკლებით. ეს იყო პირველი ნაბიჯი ქალების ემანსიპაციის გზაზე. აიკრძალა მრავალცოლიანობა, ჩადრის ტარება, 18 წლამდე გოგონების გათხოვება. 1927 წლის კანონით, ქალებს მიეცათ უფლება ემსახურათ სახელმწიფო დაწესებულებებში.

სტამბოლსა და ანკარაში გაიხსნა ქალთა უმაღლესი პედაგოგიური ინსტიტუტები, სასწავლებები და ლიცეუმები. 1928

წელს გაიხსნა პირველი ქალთა სკოლები, მუსიკალური და ფიზიკური აღზრდის პედაგოგების მოსამზადებლად.

1930 - 1934 წლებში კონსტიტუციაში შეიტანეს ცვლილებები, რომლითაც ქალებს მიენიჭათ უფლება 1933 წლიდან მონაწილეობა მიეღოთ მუნიციპალურ არჩევნებში, ერთი წლის შემდეგ ეს უფლება გავრცელდა მეჯლისის არჩევნებზეც. ამრიგად, ქალებმა მიიღეს მამაკაცებთან თანასწორად მონაწილეობის უფლება ქვეყნის საზოგადოებრივ კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, „ქემალისტები აღმოჩნდნენ ევროპელებზე პროგრესულები ქალებისათვის უფლებების მინიჭების საქმეში“.

1935 წლის არჩევნების დროს თურქეთის დიდ ეროვნულ კრებაში აირჩიეს 18 დეპუტატი ქალი.

1934 წელს თურქეთის პარლამენტმა მიიღო გვარის კანონმდებლობა. გვარის კანონით გაუქმდა ტიტულები და მიმართვის ძველი ფორმები: ფაშა, ბეი, ეფენდი და სხვ. მუსტაფა ქემალმა გვარად მიიღო ათათურქი („თურქების მამა“).

მუსტაფა ქემალის ინიციატივითა და ფინანსური დახმარებით 1931 - 1932 წლებში დაარსდა თურქეთის საისტორიო და ლინგვისტური საზოგადოებები. ამ საზოგადოებებმა დიდი როლი შეასრულეს ქვეყნის კულტურისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარების საქმეში.

ქვეყნის კულტურული პროპაგანდის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მუზეუმებმა, რომლებიც გაიხსნა სახელმწიფოს დახმარებით.

მთავრობამ მიიღო გარკვეული ზომები სპორტის ცენტრალიზაციის მიზნით. დაარსდა სპორტული საზოგადოებები, კლუბები.

ამასათანავე, უნდა აღინიშნოს, რომ შეზღუდული ხასიათის რეფორმებით ვერ მოხერხდა თურქეთის კულტურული ჩამორჩენილობის დაძლევა. ქემალისტებმა რეფორმები ჩაატარეს ზემოდან, შემოიფარგლენ რა აუცილებელი ბურჟუაზიული ცვლილებების გატარებით, მათ არ მოუხდენიათ ღრმა სოცია-

ლურ-ეკონომიკური გარდაქმნა, რომელიც შექმნიდა წანამ-ძღვრებს ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული პროგრესი-სათვის. ქემალისტებმა რევოლუციური ცვლილებების გზით თურქეთში შექმნეს ევროპული კანონმდებლობა. თურქეთის საზოგადოებრივი ცნობიერება, რომელიც შუა საუკუნეობრივ ფორმას ინარჩუნებდა, იძულებული შეიქმნა შეეთვისებინა ევროპული ჰუმანიზმის პრინციპები.

მიუხედავად ხარვეზებისა, რეფორმები შეიძლება განვიხილოთ, როგორც წინ გადადგმული ნაბიჯი ქვეყნის სეკულარიზაციისა და წისვლის გზაზე. ქემალისტურმა რეფორმებმა დიდი გამოძახილი ჰპოვეს მაშინდელ მსოფლიოში და სახელი მოუხვეჭეს მუსტაფა ქემალს, როგორც პროგრესულ მოღვაწეს. რეფორმების შედეგად თურქეთი გარეგნულად დაემსგავსა ევროპის სახელმწიფოებს.

თურქეთში რესპუბლიკური მმართველობის გამოცხადების შემდეგ, ქემალისტები შეუდგნენ რადიკალური რეფორმების გატარებას; პოლიტიკური წყობილების განმტკიცებას; ეკონომიკის განვითარებას; ხალხის მასების კულტურული და ყოფაცხოვრების დონის გაუმჯობესებას, მაგრამ რეფორმების გატარებას ყველა არ უჭერდა მხარს. მეჯლისის შიგნით გამწვავდა ბრძოლა ქემალისტებსა და რეფორმების მოწინააღმდეგეებს შორის. რეაქციული ძალები ცდილობდნენ ძველი წყობილების შენარჩუნებას.

ხალიფატის გაუქმების შემდეგ, პოლიტიკური წყობილების განმტკიცების მიზნით ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო პარლამენტის მიერ 1924 წლის 20 აპრილის თურქეთის რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის მიღება, რომლითაც მოხდა ფეოდალური წყობილების ნაშთების ლიკვიდაცია და ბურჟუაზიული სისტემის დამყარება.

რეფორმების გატარებას ხელმძღვანელობდა 1924 წლის 8 ნოემბერს შედგენილი მთავრობის ახალი კაბინეტი, პრემიერ-მინისტრ ისმეთ ფაშას მეთაურობით.

1923 წლიდან თურქეთში „სახალხო-რესპუბლიკური პარტიის“ ერთპიროვნული მმართველობა დამყარდა, რომელიც გაგრძელდა 1946 წლამდე, მრავალპარტიული სისტემის შემოღებამდე.

კაპიტალისტური განვითარების გზაზე თურქეთისათვის სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდა ქვეყნის საუკუნოვანი ჩამორჩენილობა მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ყოფა-ცხოვრების სფეროში. ეროვნული ბურჟუაზია დაინტერესებული იყო ევროპული კულტურის დანერგვით, რაც ხელს შეუწყობდა ხალხის განვითარების დონის ამაღლებას და ქვეყნის კაპიტალისტური გზით წინსვლას.

ქემალისტებმა დროის საკმაოდ მცირე მონაკვეთში შეძლეს საზოგადოების იმ ცივილიზირებულ საზღვრებამდე მიყვანა, საიდანაც ქვეყნის დემოკრატიულ მოდერნიზაციას გაეხსნებოდა გზა. ევროპული ქვეყნებისაგან განსხვავებით სეკულარიზაცია თურქეთში არ ყოფილა საზოგადოების ევოლუციური ცვლილებების შედეგი.

XIX ს.-ის თურქეთში „თანზიმათისა“ და XX ს.-ის 10 -იან წლებში „ახალგაზრდა თურქების“ მთავრობის მიერ გატარებულმა რეფორმებმა ვერ უზრუნველყვეს თურქეთის ფეოდალური შუასაუკუნეობრივი ჩამორჩენილობის დაძლევა და ევროპული ტიპის სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ამიტომ, „სახალხო-რესპუბლიკური პარტიის“ ხელმძღვანელობით რეფორმების გატარებისას (ისტორიული როლი, რომელიც ევროპაში ბურჟუაზიამ ითამაშა) თურქეთში ბიუროკრატიამ შეასრულა, კერძოდ, კი სამხედრო გენერალიტეტმა.

1927 წლის 15 - 20 ოქტომბერს ჩატარდა „სახალხო-რესპუბლიკური პარტიის“ II ყრილობა, რომელზეც სიტყვით გამოვიდა მუსტაფა ქემალი. მან შეაჯამა 1919 - 1927 წლებში ქვეყანაში მომხდარი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენები და დასახა ქვეყნის შემდგომი განვითარების გზები.

მუსტაფა ქემალის შეხედულებებიდან და ქემალისტური პრინციპების დადგენიდან თითქმის ერთი საუკუნე გავიდა. ამ ხნის მანძილზე მის შესახებ ბევრი რამ დაიწერა და თქმულა. წარმოდგენები ამ საკითხის მიმართ გამომდინარეობდა ისტო-

რიული წარსულითა და სახელმწიფო იდეოლოგიის იმ ფორმით, რასაც საუკუნეების განმავლობაში ადგილი ჰქონდა ქვეყნის ცხოვრებაში, რომელსაც უნდა დაეცვა სიწმინდისა და სარწმუნოების თავისუფლება რესპუბლიკურ თურქეთში.

საკონტროლო კითხვები:

1) დაახასიათეთ, რა ადგილი უკავია მუსტაფა ქემალ ათათურქს 1923-1929 წლების რეფორმებში;
2) ახსენით, რა ადგილს იკავებდა ქალი თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში;
3) რა ადგილს იკავებს რეფორმებში განათლების საკითხი;
4) რა როლი უჭირავს მუსტაფა ქემალ ათათურქის რეფორმებს რესპუბლიკური თურქეთის ცხოვრებაში;
5) ახსენით, 1928 წელს თურქეთის დიდი ეროვნული კრების მიერ კონსტიტუციიდან ამოღებული ფრაზის მნიშვნელობა - „თურქეთის სახელმწიფო რელიგია ისლამია.“

პრაქტიკული დავალება:

გააანალიზეთ 1923-1929 წლებში, თურქეთის სოციალ - ეკონომიკური განვითარების თავისებურება.

გამოყენებული ლიტერატურა და ვებგვერდები:

1. ბატიაშვილი ზ., თურქეთის შეიარაღებული ძალები. თბილისი, 2000.
2. გიგინეიშვილი ო., ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან. თბილისი, 1982.
3. მაკარაძე ე., თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები. ბათუმი, 2002.
4. მაკარაძე ე., მუსტაფა ქემალ ათათურქის როლი რესპუბლიკურ თურქეთში, ბათუმი, 2009.

5. მაკარაძე ე., მუსტაფა ქემალ ათათურქი და ლაიციზმი. ჟურნალი, „აღმოსავლეთი," „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი," თბილისი, 2005.
6. სვანიძე მ., ოსმალეთის ისტორია. ტ. II., თბილისი, 2002.
7. სვანიძე მ., თურქეთის ისტორია. ტ. III., თბილისი, 2003.
8. სვანიძე მ., თურქეთის ისტორია (1299–2000), თბილისი, 2007.
9. ჯაფარიძე შ., მუსტაფა ქემალ ათათურქი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. ბათუმი, 1996.
10. Ататюрк Кемаль. Избранные речи и выступления. Пер. с турецкого, редакция и вступительная статья А.Ф.Миллера. М., 1966.
11. Гасратян М.А; Орешкова С.Ф; Петросян Ю.А. Очерки истории Турции. М., 1983.
12. Розалиев Ю.Н. ,,Мустафа Кемаль Ататюрк"; Очерки жизни и деятельности. Стамбул, 1997.
13. Atatürkçülük (üçuncü kitap), Atatürkçü Düşünce Sistemı. İstanbul,1997.

თავი IV. თურქეთის რესპუბლიკა 1929 -1938 წლებში

XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოს და 30-იანი წლების დასაწყისში, მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა თურქეთის ეკონომიკას დიდი ზიანი მიაყენა. კრიზისის შედეგად დიდად დაზარალდა მარცვლეულისა და იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება – (თამბაქო, ბამბა, ხმელი ხილი), რომლებიც საექსპორტოდ გაჰქონდათ.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მეთამბაქოება. თამბაქო თურქეთის ექსპორტის მნიშვნელოვანი დარგი იყო, რომლის მოსავალი 69,6 ათასი ტონიდან შემცირდა 18 ათას ტონამდე. ეკონომიკურმა კრიზისმა საგრძნობლად დააზარალა მებამბეობაც. მისი მოსავალი 70 ათასი ტონიდან შემცირდა 45 ათას ტონამდე. კრიზისის შედეგად თურქეთის სოფლის მეურნეობა დაქვეითების გზას დაადგა.

კრიზისის შედეგად მკვეთრად შემცირდა საგარეო ვაჭრობის ტვირთბრუნვა. 1928 წელს ექსპორტი შეადგენდა 173.5 მლნ. ლირას, 1933 წლისათვის კი 96 მილიონი ლირას, ხოლო იმპორტი 223.5 მილ. ლირადან შემცირდა 75 მლნ. ლირამდე.

ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია თურქული ლირის კურსის დაცემა, რასაც მოჰყვა ფინანსური კრიზისი.

ასეთ ვითარებაში თურქეთის მთავრობამ ვერ შეძლო გადაეხადა საგარეო ვალები და იძულებული გახდა გამოეცხადებინა მორატორიუმი. მკვეთრად გაიზარდა სახელმწიფო ვალი, რომელმაც 443 მლნ. ლირა შეადგინა.

კრიზისის გავლენის შესამცირებლად, მთავრობამ დაიწყო რიგი რეფორმების გატარება. 1929 წელს შემოიღო ახალი საბაჟო ტარიფი, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა გადასახადი იმპორტულ საქონელზე, რასაც ხელი უნდა შეეწყო ადგილობრივი წარმოების ზრდისათვის. იმპორტის შემცირების ხარჯზე 1930 წლისათვის მთავრობამ შეძლო რამდენადმე გაეზარდა ექსპორტი, რამაც ხელი შეუწყო თურქულ ლირის სტაბილიზაციას. 1931 წელს დაარსდა თურქეთის რესპუბლიკის ცენტრალური ბანკი.

თურქეთის მთავრობის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა რამდენადმე შეანელა კრიზისის გავლენა და დაიწყო მეურნეობის გამოცოცხლება.

კრიზისის წლებში ადგილი ჰქონდა მუშათა გაფიცვებსა და გლეხთა გამოსვლებს, მაგრამ მთავრობამ შეძლო მათი ლიკვიდაცია.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგად შექმნილმა მდგომარეობამ ახალი ბიძგი მისცა ფეოდალური კლერიკალური ჯგუფების გააქტიურებას. პოლიტიკური მდგომარეობის განმუხტვის მიზნით, მთავრობამ საჭიროდ ჩათვალა დაეარსებინა ახალი მემარჯვენე ოპოზიციური პარტია. 1930 წლის აგვისტოში შეიქმნა ლიბერალურ-რესპუბლიკური პარტია, რომლის დამაარსებელი იყო მუსტაფა ქემალ ათათურქის მეგობარი - ალი ფეთჰი (ოქიარი).

ლიბერალურ-რესპუბლიკური პარტია აპირებდა განემტკიცებინა რესპუბლიკანიზმის, ნაციონალიზმისა და ლაიციზმის პრინციპები; შეემცირებინა გადასახადები, რათა არ შეეშალა ხელი მოსახლეობის ინიციატივისათვის, დაემყარებინა მტკიცე წესრიგი საგადასახადო სისტემაში; აეკრძალა მთავრობას კერძო მეწარმეთა ფინანსურ და ეკონომიკურ საქმიანობაში ჩარევა; გლეხებისათვის მიეცათ იაფი კრედიტები; დაემყარებინათ წესრიგი სასამართლო საქმეში და სხვა.

ლიბერალურ-რესპუბლიკური პარტიის დაარსებამ და მისმა საქმიანობამ გამოიწვია ხალხის მასების პოლიტიკური აქტიურობა. 1930 წლის აგვისტოს ბოლოს, ედირნეში დაარსდა თურქეთის რესპუბლიკური მუშათა და გლეხთა პარტია. მაგრამ, „კომუნიზმისადმი“ სიმპათიის ბრალდებით მალევე დახურეს.

ლიბერალურ-რესპუბლიკური პარტიის ლიდერები გამოდიოდნენ მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის კრიტიკით, მოითხოვდნენ დასავლეთის სახელმწიფოებთან დაახლოებას და ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის შეწყვეტას. ისინი არ ილაშქრებდნენ პირადად მუსტაფა ქემალის წინააღმდეგ, მაგრამ გმობდნენ „სახალხო - რესპუბლიკური“ პარტიის ავტორიტარული მმართველობის სტილს. ალი ფეთჰის და სხვა ლიდერების კრიტიკული გამოსვლები ხალხის მასებში იწვევდა

დიდ აღელვებას. ამიტომ მუსტაფა ქემალმა ოპოზიციის ლიდერებს ურჩია ნებაყოფლობით დაეთხოვა თავისი პარტია (1930 წლის ნოემბერი), რომელმაც სამი თვე იარსება.

1931 წლის აპრილში ჩატარდა მეჯლისის IV მოწვევის არჩევნები. 5 მაისს თურქეთის პრეზიდენტად მესამეჯერ აირჩიეს მუსტაფა ქემალი, პრემიერ – მინისტრად კვლავ დაინიშნა ისმეთ ინონუ.

თურქეთის მთავრობა შეუდგა ხუთწლიანი გეგმის შედგენას და მის განხორციელებას.

1932 წლის ბოლოს ხუთწლიანი გეგმის შემუშავებისას, ეკონომიკის მინისტრი ჯელალ ბეი და მისი მომხრეები თვლიდნენ, რომ სახელმწიფომ უნდა განავითაროს მხოლოდ მრეწველობის ის დარგები, რომლებიც არ არის ხელსაყრელი კერძო კაპიტალისათვის. გარდა ამისა, მეწარმეებს უნდა მოეზიდათ უცხოური კაპიტალი.

ამ პერიოდში მუსტაფა ქემალმა წამოაყენა ლოზუნგი „მრეწველობის გარეშე შეუძლებელია დამოუკიდებლობა“.

1933 წლისათვის თურქეთის მთავრობის მიერ მიღებული ზომების შედეგად, შენელდა კრიზისის გავლენა და დაიწყო სამეურნეო ცხოვრების გამოცოცხლება, აღმავლობა. კრიზისის შემდეგ თურქეთის მრეწველობამ უფრო სწრაფი ტემპით დაიწყო განვითარება.

30-იან წლებში თურქეთის მთავრობა განაგრძობდა ზომების მიღებას ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და დასავლეთის ქვეყნებთან შემდგომი დაახლოებისათვის. ამავე დროს სახალხო – რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობა მიისწრაფოდა კიდევ უფრო მეტად გაეძლიერებინა პარტიის გავლენა სახელმწიფოს მართვა-გამგებლობაზე.

1935 წლის მაისში ანკარაში ჩატარდა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის IV ყრილობა, რომელმაც მიიღო ახალი პროგრამა, რაც მიზნად ისახავდა ნაციონალური ბურჟუაზიის გაძლიერებას.

1937 წლის იანვარში თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ძირითადი პრინციპები შეიტანა კონსტიტუციაში. მისი მეორე მუხლი აცხადებდა, რომ

თურქეთის სახელმწიფო დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე: რესპუბლიკანიზმი, ნაციონალიზმი, ხალხურობა, ეტატიზმი, ლაიციზმი და რევოლუციონერობა. ამ ცვლილებების შეტანამ კონსტიტუციაში კიდევ ერთხელ დაადასტურა პარტიული აპარატის შერწყმა სახელმწიფოს აპარატთან.

ქემალიზმის პროპაგანდასთან ერთად ფართოდ წარმოებდა ნაციონალური იდეების პროპაგანდა.

ქემალისტები აცხადებდნენ, რომ ისინი გამოხატავდნენ ყველა ფენის ინტერესს, რომ თურქეთში არ არის კლასობრივი საზოგადოება, არ არის კლასები, არ არსებობს კლასობრივი ბრძოლა, ამიტომ საჭირო არ იყო კლასობრივი პარტიების არსებობა. 1925 წლიდან თურქეთში ერთპარტიული მმართველობა დამყარდა. თურქეთის სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ლიდერები აცხადებდნენ, რომ მათი პარტია მთელი ერის სასიცოცხლო ინტერესებს გამოხატავდა.

მიუხედავად ასეთი განცხადებებისა, თურქეთში ადგილი ჰქონდა მუშათა და გლეხთა გამოსვლებს. მთავრობა იძულებული გახდა გარკვეულ დათმობებზე წასულიყო. 1936 წლის 8 ივნისს მეჯლისმა მიიღო „შრომის კანონი“. იგი ითვალისწინებდა 48 საათიან სამუშაო კვირას, ე.ი. 8 საათიან სამუშაო დღეს. მოხდა ქალთა და ბავშვთა შრომის გარკვეული რეგლამენტაცია. კანონი ითვალისწინებდა შრომის პირობების დაცვას და სოციალური დაზღვევის პირობებს.

1938 წელს გამოვიდა კანონი „ორგანიზაციების შესახებ“, რომელიც აწესებდა კონტროლს ქვეყნის პროგრესულ ორგანიზაციებზე. ის კრძალავდა ორგანიზაციების შექმნას „ოჯახის, თემის, რასისა და კლასის“ საფუძველზე. კანონი აგრეთვე კრძალავდა იმ ორგანიზაციების საქმიანობას, რომლებიც მიისწრაფოდნენ დაერღვიათ სახელმწიფოს ერთიანობა, უშიშროება და წესრიგი და „პოლიტიკური და ეროვნული ერთიანობა“, ასევე, ყოველი საზოგადოება ემორჩილებოდა სახელმწიფო კონტროლს.

1938 წელს მეჯლისმა მიიღო კანონი „პრესის შესახებ“, რომლითაც მთავრობას მიეცა უფლება დაეწესებინა პრესაზე კონტროლი.

მიუხედავად მთავრობის მიერ მიღებული კანონებისა, მშრომელი მასები განაგრძობდნენ ბრძოლას თავიანთი უფლებების დაცვისა და დემოკრატიისათვის.

30-იანი წლების ბოლოს თურქეთის მთავრობაში გაჩნდა ბზარი. რეაქციული ძალების გავლენით პრემიერ-მინისტრი ისმეთ ინონუ ცილდებოდა იმ პრინციპებს, რომლებიც მუსტაფა ქემალის მიერ იყო წამოყენებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისში. ამას თან დაერთო ათათურქის ავადმყოფობა. ხმები, რომ თითქოს პრემიერი პრეზიდენტთან შეუთანხმებლად დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებდა, არ იყო სიმართლეს მოკლებული.

1937 წლის შემოდგომაზე ისმეთ ინონუსა და საგარეო საქმეთა მინისტრ არასს შორის წარმოიქმნა უთანხმოება, რომელშიც ჩაება მუსტაფა ქემალი და ისმეთ ინონუს მოსთხოვა აეღო შვებულება, ხოლო 1937 წლის 25 ოქტომბერს გადააყენა იგი და პრემიერ-მინისტრად მის ადგილას დანიშნა ჯელალ ბაიარი, რომელსაც ეკავა სახალხო მეურნეობის მინისტრის თანამდებობა.

1938 წლის 10 ნოემბერს გარდაიცვალა მუსტაფა ქემალ ათათურქი.

თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ ათათურქს სიკვდილის შემდეგ მიანიჭა „სახელმწიფოს მუდმივი მეთაურის“ წოდება. თურქეთის მთავრობამ ათათურქს ერის წინაშე უდიდესი დამსახურებისათვის აუგო დიდებული მავზოლეუმი.

ისმეთ ინონუ

1938 წლის 11 ნოემბერს თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს ისმეთ ინონუ.

1938 წლის დეკამბერში ჩატარდა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის საგანგებო ყრილობა, რომელმაც ისმეთ ინო-

ნუ აირჩია პარტიის მუდმივ თავმჯდომარედ, ხოლო პარტიის წესდებაში შეიტანეს დებულება, რომ „ათათურქი არის პარტიის დამაარსებელი და მისი მუდმივი პრეზიდენტი“.

XX საუკუნის 30-იანი წლების თურქეთის საგარეო პოლიტიკის ამოცანა იყო დაემყარებინა ნორმალური ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან და განსაკუთრებით დასავლეთის სახელმწიფოებთან. მუსტაფა ქემალმა წამოაყენა ლოზუნგი „მშვიდობა ქვეყნის შიგნით, მშვიდობა მთელ მსოფლიოში“.

ამ პერიოდიდან დაიწყო თურქეთ-გერმანიის დაახლოება. 1930 წლის მაისში დაიდო სავაჭრო ხელშეკრულება გერმანიასთან. გერმანიამ პირველი ადგილი დაიკავა თურქეთთან ვაჭრობაში. გახშირდა გერმანელი ინსტრუქტორებისა და მრჩეველების ჩასვლა თურქეთში.

თურქეთი დაინტერესებული იყო კარგი ურთიერთობა დაემყარებინა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. 1929 წელს დაიდო თურქეთ-ამერიკის ხელშეკრულება ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ. 1930 წელს შეიქმნა თურქეთ-ამერიკის ნავთობის კომპანია, თურქეთში ნავთობის ძიებისა და ექსპლუატაციის მიზნით.

1929 წელს თურქეთს კვლავ დაეძაბა ურთიერთობა საბერძნეთთან, რომელიც ინგლის-საფრანგეთის ჩარევის შემდეგ მოგვარდა. 1930 წელს ანკარაში ხელმოწერილ იქნა შეთანხმება, რომლის შედეგადაც მოხდა საბერძნეთ-თურქეთის ურთიერთობის ნორმალიზაცია. კერძოდ, მოგვარდა ბერძნული და თურქული მოსახლეობის გაცვლის საკითხი, რასაც ვერ მიაღწიეს 1923 წლის ლოზანას კონფერენციაზე. 1930 წლის ოქტომბერში თურქეთმა ხელი მოაწერა საბერძნეთთან მეგობრობისა და ნეიტრალიტეტის ხელშეკრულებას, აგრეთვე კონვენციას ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ.

თურქეთ-საბერძნეთის უთანხმოების მოგვარების შედეგად, გზა გაიხსნა ბალკანეთის კავშირის შესაქმნელად, რომლის ორგანიზაციაში თურქეთმა დიდი წვლილი შეიტანა.

1930 წლის ოქტომბერში ათენში ჩატარდა ბალკანეთის პირველი კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თურქეთ-

მა, საბერძნეთმა, ბულგარეთმა, რუმინეთმა, იუგოსლავიამ და ალბანეთმა.

აღნიშნულ კონფერენციაზე გაფორმდა ბალკანეთის სახელმწიფოების კავშირი. მალე ის დაიშალა და მის ნაცვლად 1933 წელს შეიქმნა ბალკანეთის ანტანტა: თურქეთის, რუმინეთისა და იუგოსლავიის მონაწილეობით.

1932 წელს თურქეთი მიიღეს ერთა ლიგის წევრად.

ის აგრძელებდა დიპლომატიურ ურთიერთობას საბჭოთა რუსეთთან. თურქეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მოღვაწეები ხშირად იმყოფებოდნენ ოფიციალური ვიზიტებით მოსკოვსა და ანკარაში.

1932 წელს მოსკოვში ჩავიდა თურქეთის პრემიერ-მინისტრი ისმეთ ინენუ. ამავე პერიოდში თურქეთში ვიზიტით იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ლიტვინოვი.

ამ პერიოდში კიდევ უფრო გაუმჯობესდა ურთიერთობა თურქეთსა და ირანს შორის. 1932 წლის 23 იანვარს თურქეთსა და ირანს შორის დაიდო სასაზღვრო ხელშეკრულება, ხოლო 1932 წლის 5 ნოემბერს – ახალი ხელშეკრულება მეგობრობის შესახებ. ყოველივე ამას მოჰყვა, 1934 წლის ივნისში, თურქეთში ირანის შაჰის ვიზიტი. რეზა შაჰის ვიზიტს ორი ქვეყნის ურთიერთობაში დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

1933 წლიდან თურქეთის მთავრობამ არაერთხელ დასვა საკითხი ლოზანას კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოების წინაშე შავი ზღვის სრუტეების სტატუსის გადასინჯვის შესახებ, მაგრამ ევროპის სახელმწიფოებისა და, განსაკუთრებით, ინგლისის მთავრობის ნეგატიური პოზიციის გამო, ეს საკითხი ღიად რჩებოდა.

ლოზანას ხელშეკრულებით, შავი ზღვის სრუტეები იყო დემილიტარიზებული და სტამბოლი სრულიად დაუცველი. ნებისმიერ დროს ქალაქი შეიძლება გამხდარიყო თავდასხმის ობიექტი.

თურქეთის მთავრობა აცხადებდა, რომ ის მზად იყო დაეწყო მოლაპარაკება სრუტეების ისეთი რეჟიმის შემუშავებისათვის, რომელიც უზრუნველყოფდა თავისი ქვეყნის უშიშროებას შავი ზღვის რეგიონში.

1936 წლის 11 აპრილს თურქეთის მთავრობამ მიმართა ლოზანას კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოებს (საბჭოთა კავშირი, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთი, იუგოსლავია, ბულგარეთი და რუმინეთი) მოთხოვნით, დაეწყოთ მოლაპარაკება სრუტეების რეჟიმის ახალი კონვენციის შემუშავებაზე.

საბჭოთა კავშირის მთავრობამ 1936 წლის 16 აპრილის გამოქვეყნებულ ნოტაში „შავი ზღვის სრუტეების საკითხის მოწესრიგებასთან დაკავშირებით“ განაცხადა, რომ ის „სავსებით დასაბუთებულად თვლის თურქეთის მთავრობის შიშს“.

საბჭოთა მთავრობამ პირველმა დაუჭირა მხარი თურქეთის წინადადებას და დათანხმდა გადასინჯულიყო ლოზანას კონვენცია.

1936 წლის 22 ივნისს მონტრიოში (შვეიცარია) გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია შავი ზღვის სრუტეების ახალი კონვენციის შემუშავების მიზნით. მხოლოდ იტალიამ არ გამოგზავნა მონტრიოში თავისი წარმომადგენლები. კონფერენცია ჩატარდა მეტად დაძაბულ ვითარებაში.

1936 წლის 20 ივლისს მონტრიოში ხელი მოაწერეს შავი ზღვის სრუტეების კონვენციას (იტალია ამ კონვენციას შეუერთდა 1938 წლის მაისში). ამ კონვენციით გაუქმდა სრუტეების საერთაშორისო კომისია და აღდა თურქეთის სუვერენიტეტი სრუტეებსა და მის სანაპიროებზე. თურქეთს მიეცა სრუტეების სრული დემილიტარიზაციის უფლება. მან აგრეთვე მიიღო უფლება თვალყური ედევნებინა სრუტეებში ყველა ტიპის გემის მიმოსვლაზე და დაეწესებინა აქ თავისი კონტროლი. სრუტეებზე თავისუფალი ნაოსნობის უფლება ჰქონდათ ყველა ქვეყნის სავაჭრო გემებს, როგორც მშვიდობიანობის, ისე ომის დროს. შავიზღვისპირა სახელმწიფოებს უფლება ჰქონდათ შეეყვანათ, როგორც მსუბუქი, ისე სამხედრო ხომალდები, ნაღმოსანი გემებისა და წყალქვეშა ნავების ჩათვლით. ომის დროს, როდესაც თურქეთი არ იღებდა მონაწილეობას ომში, სრუტეები უნდა ყოფილიყო დახურული ყველა მეომარი ქვეყნის სამხედრო გემებისათვის, ხოლო სავაჭრო გემებს თავისუფლად შეეძლოთ სრუტეებით სარგებლობა. თუ თურქეთი მონაწილეობას მიიღებდა

ომში, მაშინ სრუტეებით სარგებლობა თურქეთის მთავრობის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. ამავე უფლებით, თურქეთს შეეძლო ესარგებლა მაშინ, თუ შეიქმნებოდა სამხედრო საშიშროება.

მონტრიოს კონვენცია დაიდო 20 წლით და ძალაში შევიდა 1936 წლის 15 აგვისტოს. გათვალისწინებული იყო, რომ მისი ცალკეული მუხლების გადასინჯვა შეიძლებოდა ყოველი ხუთი წლის შემდეგ.

ეს კონვენცია მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტი გახდა ამ რეგიონის უსაფრთხოების გარანტიის საქმეში.

XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს თურქეთი აგრძელებდა პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების გაფართოებას დასავლეთისა და აღმოსავლეთის მიმართულებით.

1937 წლის 10 აპრილს ანკარაში დაიდო თურქეთსა და ეგვიპტეს შორის მეგობრობის ხელშეკრულება.

1937 წლის 8 ივლისს საადაბადში, რეზა შაჰის სასახლეში, ხელი მოეწერა „ოთხთა პაქტს“ (თურქეთი, ირანი, ავღანეთი და ერაყი), რომელიც ცნობილია საად-აბადის პაქტის სახელწოდებით. ოთხივე ქვეყანამ უარი თქვა ჩარეულიყო ერთმანეთის საშინაო საქმეებში, „ხელმომწერი მხარეები შეთანხმდნენ, დაეცვათ თავიანთი საზღვრების ხელშეუხებლობა“ და ყველა უთანხმოებას მოაგვარებდნენ ერთა ლიგის შუამავლობით.

1938 წლის იანვარ - აპრილში თეირანში ხელი მოაწერეს თურქეთ-ირანის რამდენიმე ხელშეკრულებას, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ორივე სახელმწიფოსათვის.

თურქეთმა 30-იანი წლების ბოლოს გააააქტიურა ურთიერთობა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთანაც. თავის მხრივ, გერმანიამ გააააქტიურა თავისი სავაჭრო ურთიერთობები თურქეთთან. 1936 წელს გერმანიაზე მოდიოდა თურქეთის მთელი ექსპორტის 51% და იმპორტის - 45,9%.

გერმანია თურქეთს აძლევდა კრედიტებს. 1938 წლისათვის გერმანიის კრედიტები თურქეთში შეადგენდა 87 მლნ. ლირას, ანუ, ამ უკანასკნელის მთელი საგარეო ვალის 48%-ს. გერმანიამ დაიწყო თურქეთზე იდეოლოგიური ზეწოლა, მაგრამ ვერ ჩაითრია ანკარა თავის ორბიტაში.

თურქეთი ორიენტაციას იღებდა ინგლისსა და საფრანგეთზე. 1938 წელს ინგლისის კაპიტალდაბანდებებმა თურქეთში შეადგინა 167.5 მლნ. დოლარი, ხოლო საფრანგეთისამ - 250 მილიონი.

1938 წლის მაისში ინგლისმა თურქეთს მისცა მორიგი სესხი 16 მილ. გირვანქა სტერლინგის ოდენობით.

XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს თურქეთსა და საფრანგეთს შორის დაიძაბა ურთიერთობა ალექსანდრეტას სანჯაყთან დაკავშირებით, რომელიც 1918 წლის მუდროსის ზავის შემდეგ საფრანგეთს დარჩა.

1936 წლის ოქტომბრიდან აღნიშნულ საკითხზე დაიწყო ოფიციალური მოლაპარაკება საფრანგეთსა და თურქეთს შორის.

1939 წლის 23 ივნისს ეს მოლაპარაკებები დამთავრდა. ანკარასა და პარიზში ერთდროულად ხელი მოაწერეს ორ დოკუმენტს. ანკარის შეთანხმებაში აღნიშნული იყო, რომ ჰატაი (ალექსანდრეტას სანჯაყი) საბოლოოდ გადავიდა თურქეთის შემადგენლობაში, ხოლო პარიზის შეთანხმებით, ცხადდებოდა დეკლარაცია ურთიერთდახმარების შესახებ. ამ ხელშეკრულებით ჰატაი გახდა თურქეთის ვილაეთი.

საბჭოთა კავშირიც განაგრძობდა თურქეთთან ეკონომიკურ და პოლიტიკურ თანამშრომლობას. 1935 წლის მარტში, სახალხო-რესპუბლიკური პარტიის IV ყრილობაზე, ათათურქმა განაცხადა: „თურქეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას დღევანდლამდე მოჰქონდა მთელი მსოფლიოსათვის მხოლოდ სარგებლობა და შემდგომშიაც იქნება ძალზე სასარგებლო“.

საბჭოთა კავშირ – თურქეთს შორის ურთიერთობას ბზარი გაუჩნდა მას შემდეგ, როდესაც 1938 წელს თურქეთის პრეზიდენტი გახდა ისმეთ ინონუ. მან ახალ მთავრობასთან ერთად დაიწყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ფრთხილი პოლიტიკის გატარება.

საკონტროლო კითხვები:

1) დაახასიათეთ თურქეთის საშინაო პოლიტიკური მდგომარეობა 1929-1933 წლებში;
2) ახსენით, რა იყო მიზეზი 30-იანი წლების ბოლოს მმართველ პარტიაში ბზარის გაჩენისა;
3) რა როლი შეასრულა თურქეთისათვის 1936 წლის 20 ივლისს მონტრიოში ხელმოწერილმა კონვენციამ „შავი ზღვის სრუტეების შესახებ“;
4) ახსენით, რატომ მიანიჭა თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ ათათურქს სიკვდილის შემდეგ „სახელმწიფოს მუდმივი მეთაურის“ წოდება.

პრაქტიკული დავალება:

გააანალიზეთ 1929-1938 წლების თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.

გამოყენებული ლიტერატურა და ვებგვერდები:

1. ბატიაშვილი ზ., თურქეთის შეიარაღებული ძალები. თბილისი, 2000.
2. გიგინეიშვილი ო., ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან. თბილისი, 1982.
3. მაკარაძე ე., თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები. ბათუმი, 2002.
4. მაკარაძე ე., მუსტაფა ქემალ ათათურქის როლი რესპუბლიკურ თურქეთში, ბათუმი, 2009.
5. მაკარაძე ე., მუსტაფა ქემალ ათათურქი და ლაიციზმი. ჟურნალი, „აღმოსავლეთი“, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2005.
6. სვანიძე მ., ოსმალეთის ისტორია. ტ. II., თბილისი, 2002.
7. სვანიძე მ., თურქეთის ისტორია. ტ. III., თბილისი, 2003.
8. სვანიძე მ., თურქეთის ისტორია (1299–2000), თბილისი, 2007.
9. ჯაფარიძე შ., მუსტაფა ქემალ ათათურქი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. ბათუმი, 1996.

10. Ататюрк Кемаль. Избранные речи и выступления. Пер. с турецкого, редакция и вступительная статья А.Ф. Миллера. М., 1966.
11. Гасратян М.А., Орешкова С.Ф., Петросян Ю.А., Очерки истории Турции. М.,1983.
12. Розалиев Ю.Н., Мустафа Кемаль Ататюрк. Очерки жизни и деятельности; Стамбул, 1997.
13. Atatürkçülük (üçuncü kitap), Atatürkçü Düşünce Sistemı. İstanbul,1997.

თავი V. თურქეთის რესპუბლიკა 1939-1945 წლებში

XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს, მსოფლიო პოლიტიკაში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. 1939 წლის გაზაფხულიდან გერმანია გამალებით ემზადებოდა ევროპაში ომის დაწყებისათვის. ინგლისი და საფრანგეთი ცდილობდა გერმანიის აგრესია მიემართათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. თურქეთს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა როგორც გერმანიის, ისე ინგლის-საფრანგეთის გეგმებში.

მ. ქ. ათათურქი დარწმუნებული იყო, რომ დაიწყებოდა მსოფლიო ომი და აფრთხილებდა თურქეთის მთავრობას გამოეჩინა წინდახედულება და დასძენდა: „კაცობრიობა მალე აღმოჩნდება ჩათრეული მსოფლიო ომში რამდენიმე ავანტიურისტის მიერ, როგორებიც არიან მუსოლინი და ჰიტლერი. ამ ქვეყანაზე გამოიწვევენ ცეცხლსა და სისხლის ღვრას. ამ ომში ძალთა ბალანსი შეიცვლება, თურქეთმა არ უნდა დაუშვას არავითარი შეცდომა“.

1939 წლის აპრილში ანკარაში ჩავიდა გერმანიის ელჩი ფონ პაპენი. აღსანიშნავია, რომ ჰიტლერს უნდოდა ფონ პაპენი ჯერ კიდევ 1938 წელს გაეგზავნა თურქეთში, მაგრამ ათათურქისთვის ცნობილი იყო პირველი მსოფლიო ომის დროს პაპენის ჯაშუშური საქმიანობა, ამის გამო მან არ მისცა უფლება თურქეთში ჩამოსულიყო. მ. ქ. ათათურქის სიკვდილის შემდეგ თურქეთის მთავრობამ შეცვალა თავისი პოზიცია და ანკარაში ჩასვლისას, ფონ პაპენს განზრახული ჰქონდა ჩაეთრია თურქეთი ღერძის (გერმანია, იტალია, იაპონია) სახელმწიფოების ბლოკში. ამ მიზნით, ის ურჩევდა იტალიის მთავრობას დაეთმო თურქეთისთვის ოთხი პატარა კუნძული (დოდეკანეზის კუნძულებიდან), მაგრამ იტალიამ ეს არ ისურვა და პროექტი ჩაიშალა.

თავის მხრივ, ინგლისი და საფრანგეთი დაინტერესებული იყვნენ თურქეთით, მისი სამხედრო სტრატეგიული მდებარეობით, რესურსებით და დაიწყეს მასთან მოლაპარაკება.

ომის დაწყების წინ თურქეთის მმართველ წრეებში ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული კამათი საგარეო ორიენტაციის

არჩევის საკითხთან. გამარჯვებული გამოვიდნენ ისინი, ვინც მხარს დაუჭერდა ინგლის-საფრანგეთის ბლოკზე ორიენტაციას.

1939 წლის 12 მაისს ინგლისმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს წინასწარ შეთანხმებას, რომლითაც ინგლისისა და თურქეთის მთავრობები აცხადებდნენ, რომ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში, ომის შემთხვევაში, ისინი აქტიურად და ეფექტიანად ითანამშრომლებდნენ და აღმოუჩენდნენ ერთმანეთს ყოველგვარ დახმარებას.

ინგლის-თურქეთის შეთანხმება არ იქნებოდა ეფექტიან და ნაყოფიერი ხმელთაშუა ზღვის რეგიონში საფრანგეთის მონაწილეობის გარეშე.

ინგლისის მთავრობის რჩევით, საფრანგეთი წავიდა თურქეთის მიმართ დათმობაზე, ამ დროს თურქეთი დაჟინებით მოითხოვდა ალექსანდრეტას (ჰატაი) სანჯაყის მისთვის გადაცემას.

1939 წლის მაისის დასაწყისში საბჭოთა მთავრობამ ანკარაში გაგზავნა საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილე ვ. პოტიომკინი, რომელმაც თურქეთის მთავრობას შესთავაზა დადებულიყო საბჭოთა კავშირ-თურქეთის ხელშეკრულება, ურთიერთდახმარების შესახებ, ფაშისტური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო ფრონტის ჩარჩოებში. თურქეთის მთავრობამ საბჭოთა კავშირის ამ წინადადებას არ გასცა გარკვეული პასუხი.

1939 წლის პირველ სექტემბერს ფაშისტური გერმანია თავს დაესხა პოლონეთს. ორი დღის შემდეგ ინგლისმა და საფრანგეთმა ომი გამოუცხადა გერმანიას. დაიწყო მეორე მსოფლიო ომი.

ავსტრიის ანშლუსის (1938 წლის მარტი) შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, რომ გერმანია ემზადებოდა ჩეხოსლოვაკიის დასაპყრობად. 1938 წლის 28 მაისს ჰ. გერინგთან, ი. რიბენტროპთან, ვ. კეიტელთან და ვ. ბრაუხიჩთან საუბარში ჰიტლერმა თავდაჯერებით აღნიშნა: ,,ჩემი ურყევი გადაწყვეტილებაა უახლოეს დროში შეირაღებული აქციის მეშვეობით გავანადგურო ჩეხოსლოვაკია”.

მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებასთან დაკავშირებულმა ურთიერთბრალდებებმა თავი ომის დაწყებისთანავე იჩინა და დღემდე გრძელდება. საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ომის გაჩაღების მთავარი ინიციატორები გერმანია და მისი მოკავშირეები იყვნენ, თუმცა დღემდე აქტუალურია კითხვა: ვინ დაეხმარა ჰიტლერს ამ ნაბიჯის გადადგმაში?

გასარკვევია, გერმანიის, იტალიისა და იაპონიის გარდა ვინ შეიძლება ყოფილიყო დაინტერესებული არსებული საერთაშორისო ურთიერთობებისა და ვერსალ-ვაშინგტონის სისტემის ნგრევით, კიდევ ვის სურდა მასში კარდინალური ცვლილებების შეტანა და ახალი დიდი ომის გაჩაღება.

საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიხედვით, სწორედ დასავლეთის დემოკრატიულმა სახელმწიფოებმა, პირველ რიგში ინგლისმა, საფრანგეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავიანთი ნეიტრალიტეტითა და ჩაურევლობით გაუკაფეს გზა ღერძის ქვეყნებს. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მას განსაკუთრებით დიდი როლი გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში მხოლოდ 1941 წლის 22 ივნისის მოვლენების შემდეგ მიენიჭა, მანამდე კი მან ვერ შეძლო გავლენა მოეხდინა წამყვანი კაპიტალისტური სახელმწიფოების დედაქალაქებში მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

დასავლურ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად კი, მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებას დიდად შეუწყო ხელი საბჭოთა კავშირის სტალინისეულმა ანტიკაპიტალისტურმა სტრატეგიამ, რამაც განსაკუთრებით აშკარა გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის პაქტში, რომელიც რუსი ისტორიკოსის ი. სემირიაგას განცხადებით მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდის გადამწყვეტ მოვლენას წარმოადგენდა. 23 აგვისტოს პაქტის ანალოგიურ შეფასებას იძლევა გერმანელი ისტორიკოსი ი. ფლიაიშჰაუერი, რომ პაქტი გერმანიის პოლონეთში შეჭრის და მეორე მსოფლიო ომის გაჩაღების მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი იყო.

საინტერესოა, რომელი მოსაზრება უფრო ახლოს დგას ჭეშმარიტებასთან: სსრკ მართლაც არაფერ შუაშია მეორე

მსოფლიო ომის გაჩაღებაში თუ, პირიქით, გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ საქმეში?

ახალი საარქივო დოკუმენტური მასალებით ირკვევა, რომ საბჭოთა კავშირის არაოფიციალურ კონტაქტებს გერმანიასთან, რაც სსრკ-გერმანიას შორის პაქტის ხელმოწერით და მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობით დასრულდა, აშკარად ანტიდასავლური მიმართულება ჰქონდა.

დასავლეთის მიერ წამოყენებულ ამ ბრალდებას პასუხი გაეცა თვით ი. სტალინის რედაქტორობით 2 მლნ. ტირაჟით გამოცემულ ბროშურაში „ისტორიის ფალსიფიკატორები“ (1948 წ.). „ცივი ომის“ პერიოდის ეს უნიკალური პროპაგანდისტული დოკუმენტი სსრ კავშირის ომამდელ საგარეო პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენდა.

საბჭოთა კავშირში დროდადრო ჩნდებოდა ახალი დოკუმენტური გამოცემებიც, რომელთა მიზანს წარმოადგენდა იმ მოსაზრების განმტკიცება, რომ მეორე მსოფლიო ომი სხვა არაფერი იყო, თუ არა ჯვაროსნული ლაშქრობა, მოწყობილი სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ. სხვა მოსაზრებით გერმანიის თავდასხმა საბჭოთა კავშირზე იყო ლენინის ნაწინასწარმეტყველება „საშინელი შეტაკება“ სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის. გერმანია-სსრ კავშირის ომი წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო, როგორც განსაკუთრებული მოვლენა მსოფლიო ისტორიაში, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის არსებულ წინააღმდეგობებთან.

საბჭოთა ისტორიკოსები კი სსრკ - გერმანიის პაქტს აფასებდნენ, როგორც ანტისაბჭოური ფრონტის თავიდან ასაცილებლად გატარებულ სამართლიან და აუცილებელ ღონისძიებას.

სტალინი და მისი წრე თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ კაპიტალისტური სამყაროსათვის პრიორიტეტული კომუნიზმის განადგურება იყო.

„ისტორიის ფალსიფიკატორთა“ კონცეფციის თანახმად, ანტისაბჭოური ფრონტის შექმნის მცდელობას წარმოადგენდა მიუნხენის შეთანხმებაც (1938 წლის სექტემბერი).

როგორც აღნიშნული ბროშურის ავტორები ასაბუთებენ, დასავლეთელი პარტნიორები საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების პარალელურად საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებდნენ გერმანიასთანაც, რომელსაც „ამით აგრძნობინებდნენ, რომ სსრ კავშირს არ ჰყავს მოკავშირეები, რომ ის იზოლირებულია და ჰიტლერს შეუძლია თავდასხმა მასზე ისე, რომ დასავლეთის მხრიდან მას დაბრკოლებები არ შეექმნება“. ავტორთა მტკიცებით, საბჭოთა კავშირს სხვა არაფერი რჩებოდა, თუ არა ამ ჩანაფიქრის ლიკვიდაცია ნებისმიერი საშუალებით და თითქოსდა სწორედ ასეთ რთულ ვითარებაში მოუხდა საბჭოთა ხელისუფლებას გერმანიასთან შეთანხმებაზე წასვლა, რათა მშვიდობა შეენარჩუნებინა საბჭოთა ხალხისათვის.

საბჭოთა კავშირის ხელისუფლებამ მის მიერ გადადგმული დიპლომატიური ნაბიჯი წარმატებით განახორციელა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ პაქტით შემდგომში გამოწვეულ შედეგებს), როდესაც კაპიტალისტური სახელმწიფოების ორი დაჯგუფება ერთმანეთს დაეჭიდა, სსრ კავშირის მტრების დასუსტების ხარჯზე სარგებელს პოულობდა. ასეთი ეგოისტური არჩევანის გაკეთება პირველ რიგში საკუთრივ სახელმწიფოს მომგებიანი გეოპოლიტიკური მდებარეობით და იმ უზარმაზარი პოტენციალით იყო გამოწვეული, რომლის წყალობითაც იგი არაერთგზის გამოსულა მთავარ როლში კონტინენტზე არსებულ კონფლიქტებში.

გ. სოლსბერი, მოვლენათა თვითმხილველი და ომის ცნობილი მემატიანე, მოგვიანებით წერდა: „მსოფლიო არაფერს ისე არ შეუძრავს, როგორც გერმანია-სსრ კავშირს შორის საიდუმლოდ ხელმოწერილ პაქტს, მაგრამ არსებობს ფაქტები, რომლებსაც საბოლოოდ სსრკ-გერმანიას შორის შეთანხმების გაფორმების აუცილებლობამდე მივყავართ და კიდევ უფრო მეტად გვარწმუნებენ, რომ 23 აგვისტოს ცნობილი დოკუმენტი ორ სახელმწიფოს შორის ნაჩქარევად მიღებული გადაწყვეტილება კი არა, კარგად მოფიქრებული იყო“.

სამხედრო მოლაპარაკება სამ სახელმწიფოს შორის 1939 წლის 12 აგვისტოს დაიწყო და 23 აგვისტომდე გაგრძელდა. პოლიტბიუროს გადაწყვეტილებით, საბჭოთა სამხედრო დელეგა-

ციის ხელმძღვანელად დაინიშნა თავდაცვის სახალხო კომისარი კ. ვოროშილოვი, რომელმაც ინგლის-საფრანგეთთან სამხედრო კონვენციის ხელმოწერის უფლება მიიღო. აღნიშნული სამხედრო კონვენციის საბჭოთა პროექტი, რომელიც პირველ რიგში გერმანიის წინააღმდეგ იყო მიმართული, მოკავშირეების მიერ ჰიტლერთან ომის დაწყებას იმ შემთხვევაში ითვალისწინებდა, თუკი გერმანელთა აგრესიის მსხვერპლი იქნებოდა ინგლის-საფრანგეთი, პოლონეთი, რუმინეთი, თურქეთი ან საბჭოთა კავშირი. მთავარი კი, რასაც აღნიშნული კონვენცია ითვალისწინებდა, იყო შემდეგი: გერმანიის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში მონაწილეობა ინგლის-საფრანგეთის მოკავშირე პოლონეთსაც უნდა მიეღო. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, როგორც პოლონეთს, ისე რუმინეთს საბჭოთა მთავრობისათვის ნება უნდა მიეცათ, ესარგებლა მათი ტერიტორიებით. კერძოდ, პოლონეთი ვალდებული იყო საბჭოთა ჯარები მინსკიდან ჩრდილოეთით, ლიტვის გავლით, ვილნოს დერეფანში გაეტარებინა და შესაძლებლობა მიეცა აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრებთან მისულიყო, რუმინეთს კი საბჭოთა კავშირისათვის გზა გალიციის გავლით უნდა გაეხსნა, რათა ამ უკანასკნელს საშუალება მისცემოდა ეომა გერმანიასთან.

1939 წლის სექტემბრის ბოლოს მოსკოვში ჩავიდა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სარაჯოღლუ. მოლაპარაკების დროს მან საბჭოთა კავშირს შესთავაზა დადებულიყო ურთიერთდახმარების პაქტი, რომელიც გავრცელდებოდა სრუტეებსა და ბალკანეთზე. მალე გაირკვა, რომ თურქეთი ანალოგიურ მოლაპარაკებას აწარმოებდა ინგლისსა და საფრანგეთთან. თუ საბჭოთა კავშირი დადებდა შეთავაზებულ პაქტს, მაშინ იგი შესაძლებელია, ჩათრეულიყო გერმანიის წინააღმდეგ ომი. ამიტომ საბჭოთა კავშირმა უარყო სარაჯოღლუს მიერ შეთავაზებული წინადადება.

1939 წლის 19 ოქტომბერს ანკარაში თურქეთმა, ინგლისმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლითაც ისინი ვალდებულებას იღებდნენ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში, აგრესიის შემთხვევაში, ეფექტური დახმარება აღმოეჩინათ ერთმანეთისათვის.

ამრიგად, თურქეთი მიემხრო ინგლის - საფრანგეთის ბლოკს.

მიუხედავად ინგლის-საფრანგეთთან დადებული ხელშეკრულებისა, თურქეთი არ აპირებდა მონაწილეობა მიეღო ფაშისტური აგრესიის წინააღმდეგ ომში. ამ ხელშეკრულებით თურქეთი მიზნად ისახავდა ინგლის-საფრანგეთისაგან მიეღო მატერიალური სარგებელი. მართლაც, თურქეთმა მიიღო ინგლის-საფრანგეთისაგან სესხები და კრედიტები. 4395 მლნ. გირვანქა სტერლინგის ოდენობით.

1940 წლის გაზაფხულიდან ფაშისტური გერმანია შეტევაზე გადავიდა დასავლეთ ევროპაში. 9 აპრილს გერმანელთა ჯარები დანიაში შეიჭრნენ და მოახდინეს მისი ოკუპაცია, იმავდროულად გერმანელებმა დესანტი გადასხეს ნორვეგიაში და ივლისის ბოლოს მთელი ნორვეგია დაიკავეს.

დანიისა და ნორვეგიის დაკავების შემდეგ გერმანელები შეიჭრნენ ბელგიასა და ჰოლანდიაში, შემდეგ გაარღვიეს საფრანგეთის გამაგრებული ხაზი და შეუდგნენ მის დაპყრობას.

1940 წლის 10 ივნისს იტალიამ ომი გამოუცხადა საფრანგეთს. 1939 წლის ინგლის-საფრანგეთთან დადებული ხელშეკრულებით, თურქეთს დახმარება უნდა აღმოეჩინა მოკავშირეებისთვის იტალიის წინააღმდეგ ომში, მაგრამ მან თავი შეიკავა ომში მონაწილეობისაგან. თურქეთმა გამოაცხადა, რომ ხელშეკრულების თანახმად, იგი სარგებლობს ,,არასაომარი სახელმწიფოს" სტატუსით.

საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ (1940 წ. 22 ივლისი) თურქეთი სულ უფრო მეტად იხრება გერმანიისაკენ, ინგლის-საფრანგეთთან მჭიდრო თანამშრომლობის დროსაც თურქეთი არ წყვეტდა გერმანიასთან სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობას.

გერმანია ემზადებოდა საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის, 1940 წლის მეორე ნახევარსა და 1941 წლის პირველ ნახევარში მან გაატარა ღონისძიებანი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და ბალკანეთში თავისი ბატონობის დასამყარებლად.

1940 წელს ჰიტლერმა თავის გავლენას დაუმორჩილა რუმინეთი, ბულგარეთი, უნგრეთი და სლოვაკია.

1940 წლის სექტემბერში რუმინეთში გენერალ ანტონესკუს დიქტატურა დამყარდა. იმავე წლის ოქტომბერში გერმანიამ თავისი ჯარები შეიყვანა რუმინეთში, 23 ნოემბერს ანტონესკუმ ხელი მოაწერა ბერლინის პაქტს, რომლითაც რუმინეთი ფაშისტურ ბლოკში გაერთიანდა. ბერლინის პაქტს შეუერთდა აგრეთვე უნგრეთი და სლოვაკია. 1941 წლის 1 მარტს - ბულგარეთი შევიდა, ხოლო 2 მარტს გერმანიის ჯარები შევიდნენ ბულგარეთში.

ბულგარეთში გერმანიის გამოჩენამ მკვეთრად გააძლიერა ფაშისტური გერმანიის მხრიდან საფრთხე თურქეთის მიმართ. თურქეთის მთავრობამ გასცა ბრძანება აეფეთქებინა ხიდი მდინარე მარიცაზე. ანკარამ გაზარდა ჯარისა და არტილერიის რაოდენობა სრუტეების ზონაში. თურქეთი შეუდგა სრუტეების დანაღმვას.

გერმანიამ გადაწყვიტა დაემორჩილებინა ბალკანეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოები. 1941 წლის 6 აპრილს გერმანიის ჯარები შეიჭრნენ იუგოსლავიაში და 12 დღეში მოახდინეს მისი ოკუპაცია. გერმანიის ჯარებმა იმავე დროს საბერძნეთის ტერიტორიის ოკუპაცია მოახდინეს. იუგოსლავიის მთავრობამ მიმართა თურქეთს, აღმოეჩინა მისთვის დახმარება, ხოლო ინგლისის მთავრობამ ოფიციალურად მოსთხოვა თურქეთს გაეწყვიტა ურთიერთობა ღერძის სახელმწიფოებთან. ინგლისმა მიმართა თურქეთის მთავრობას წინადადებით, ერთობლივი ზომები მიეღოთ ფაშისტური აგრესიის წინააღმდეგ.

თურქეთმა არანაირი დახმარება არ აღმოუჩინა იუგოსლავიას. თუმცა მას, როგორც ბალკანეთის ანტანტის მონაწილე სახელმწიფოს, ევალებოდა დახმარებოდა აგრესიის მსხვერპლ ქვეყნებს.

თურქეთმა კვლავ პასიური პოზიცია დაიკავა, როდესაც იტალია, შემდეგ კი ერმანია, თავს დაესხა საბერძნეთს, არ აღმოუჩინა დახმარება. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა სადამმა განაცხადა, „თურქეთი მშვიდობის კუნძულია“ და ჩვენი იარაღია „ერთობა და დამოუკიდებლობის სიყვარული“.

1941 წლის იანვარში ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა წერილი გაუგზავნა თურქეთის პრეზიდენტს ისმეთ ინო-

ნუს, რომელშიც ითხოვდა თურქეთის ტერიტორიაზე მოწყობილიყო ინგლისის სამხედრო და საჰაერო ბაზები. ამ მიზნით, ანკარაში ჩავიდა ინგლისის სამხედრო მისია. თურქეთმა უარი განაცხადა თავის ტერიტორიაზე განელაგებინა ინგლისის სამხედრო ბაზები.

1941 წლის თებერვლის ბოლოს ანკარაში ჩავიდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი იდენი და ინგლისის გენერალური შტაბის უფროსი დილი. იდენმა მოლაპარაკება აწარმოა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სარაჯოღლუსთან, მაგრამ ამ მოლაპარაკებასაც არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

1941 წლის გაზაფხულზე არსებობდა მეტად რეალური საფრთხე, რომ გერმანია თავს დასხმოდა თურქეთს. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი რიბენტროპი მოითხოვდა, რომ იუგოსლავიისა და საბერძნეთის ოკუპაციის შემდეგ, საომარი ოპერაციები გადაეტანათ თურქეთის ტერიტორიაზე.

თურქეთში გერმანიის საელჩოს თანამშრომელი მოიზიში წერს, რომ „იმ დროს გერმანიის ჯარების შეჭრის საფრთხე თურქეთში საკმაოდ რეალური იყო“. გერმანიაში დაიბეჭდა „თურქეთის გზამკვლევები“ გერმანელი ჯარისკაცებისთვის და სხვა.

ამ დროს თურქეთის მდგომარეობა ძალზე კრიტიკული იყო. ბულგარეთსა და საბერძნეთში გერმანიის ჯარები იდგნენ. სრუტეებისაკენ გზა გერმანელების ხელში გადავიდა, კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა შეიქმნა ახლო აღმოსავლეთში. 1941 წლის 3 აპრილს ერაყში ფაშისტებმა მოაწყვეს ანტიინგლისური სახელმწიფო გადატრიალება და ხელისუფლების სათავეში მოვიდა რაშიდ ალი გაილანის პროგერმანული მთავრობა, სირიასა და ლიბანში ვიშის ფრანგული მთავრობა თანამშრომლობდა გერმანიასთან.

ამ დროს გერმანია-იტალიის მთავრობებმა მიიღეს ზომები, მიმართული ჩრდილოეთ აფრიკასა და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ რეგიონებში მათი გავლენის გაძლიერებაზე. ამ წამოწყებაში განსაკუთრებით აქტიურობდა იტალია.

1940 წლის ზაფხულიდან, გერმანია-იტალიის მთავრასარდლობამ სცადა ხელთ ჩაეგდო ჩრდილოეთ აფრიკა, ხოლო

ხმელთაშუა ზღვაში - სტრატეგიული პუნქტები. იტალიის ჯარებმა ხელთ იგდეს ბრიტანეთის სომალი, სუდანი და დაიწყეს ლიბიიდან ეგვიპტეზე შეტევა, მაგრამ მალე მათი შეტევა შეაჩერეს.

1940 წლის დეკემბერში ინგლისის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და განდევნეს იტალიელები კირენაიკიდან, სუდანიდან, კენიიდან, ბრიტანეთისა და იტალიის სომალიდან, ხოლო 1941 წლის აპრილში შევიდნენ იტალიელების მიერ ჯერ კიდევ 1935 წელს დაპყრობილ ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში.

1940 წლის დასაწყისში გერმანელებმა იტალიელთა დასახმარებლად ლიბიაში გაგზავნეს რამდენიმე დივიზია და გერმანია - იტალიის ჯარებმა გენერალ რომელის სარდლობით 31 მარტს დაიწყეს ახალი დიდი შეტევა ეგვიპტის წინააღმდეგ, რის შედეგადაც ინგლისელები იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ. ეგვიპტის დაპყრობის შემთხვევაში გერმანელები გეგმავდნენ ერაყისაკენ გაჭრას.

ამრიგად, გერმანიის ჯარები აღმოჩნდნენ თურქეთის უშუალო მეზობლად არამარტო ევროპულ საზღვრებთან, არამედ, აზიაშიც. თურქეთი გარშემორტყმული აღმოჩნდა სამი მხრიდან.

ფონ პაპენმა ბერლინიდან მიიღო ინსტრუქცია, თურქეთის მთავრობას მიეცა ნებართვა თურქეთის ტერიტორიაზე ტრანზიტით გაეტარებინა გერმანიის ტექნიკა და სამხედრო ნაწილები. კომპენსაციის სახით გერმანია თურქეთს სთავაზობდა შეეცვალა საზღვარი ედირნეს რაიონში და აგრეთვე ჰპირდებოდა, რომ გადასცემდა რომელიმე კუნძულს ეგეოსის ზღვაში.

თურქეთის მთავრობამ არ მიიღო გერმანიის წინადადება წასულიყო ამგვარ დათმობაზე, რაც ნიშნავდა გერმანიის დამკვიდრებას ერაყში და საკუთარი ქვეყნისათვის გერმანიიდან საფრთხის გაძლიერებას. თურქეთმა ამის შესახებ აცნობა ინგლისის მთავრობას, რომელმაც უარყოფითი პოზიცია დაიკავა. მაისის ბოლოს საკითხი თავისთავად მოიხსნა, ინგლისელებმა ზაფხულში დაამხეს ერაყში პროგერმანული მთავრობა და განდევნეს ფაშისტები სირია-ლიბანიდან.

ამრიგად, თურქეთზე გერმანიის თავდასხმის გეგმა დღის წესრიგიდან მოიხსნა, მაგრამ ჰიტლერმა საბოლოოდ უარი არ თქვა თურქეთზე თავდასხმის სურვილზე , მან მხოლოდ გადაიტანა ეს გარკვეული დროით, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის დამთავრებამდე.

ფაშისტური გერმანია ემზადებოდა რა ომისთვის, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, გადაწყვიტა თურქეთის სახით ჰყოლოდა საიმედო მოკავშირე.

ბერლინიდან მითითებით, ფონ პაპენმა დაიწყო საიდუმლო მოლაპარაკება თურქეთის მთავრობასთან, ხანმოკლე მოლაპარაკების შედეგად 1941 წლის 18 ივნისს, ოთხი დღით ადრე, ვიდრე გერმანია თავს დაესხმებოდა საბჭოთა კავშირს, თურქეთსა და გერმანია შორის დაიდო ხელშეკრულება – „მეგობრობისა და თავდაუსხმელობის შესახებ“.

თურქეთის მთავრობამ წინასწარ არ შეატყობინა საბჭოთა კავშირს გერმანიასთან მოლაპარაკების შესახებ და ამით დაარღვია 1929 წლის 17 სექტემბერს საბჭოთა კავშირ-თურქეთს შორის დადებული ხელშეკრულება.

გერმანია - თურქეთის ხელშეკრულებით ორივე მხარე ვალდებულებას იღებდა თავი შეეკავებინა ერთმანეთზე თავდასხმისაგან და ერთმანეთის მიმართ გაეტარებინა მეგობრული პოლიტიკა. ხელშეკრულების დადებით თურქეთმა საბოლოოდ აიღო კურსი გერმანიაზე. 1941 წლის 22 ივნისს გერმანია ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საბჭოთა კავშირს.

25 ივნისს თურქეთის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა ნეიტრალიტეტი, მაგრამ, ფაქტობრივად, ის ეხმარებოდა ფაშისტურ გერმანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში.

1941 წლის ზაფხულიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა თურქეთ - გერმანიის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო თანამშრომლობა.

1941 წლის სექტემბერში ანკარაში ჩავიდა გერმანიის ეკონომიკის მინისტრის მოადგილე - კლოდიუსი, მან მოითხოვა გაუქმებულიყო 1940 წლის თურქეთ - ინგლისის შეთანხმება ქრომის შესახებ და გერმანიას გადასცემოდა მთელი ამოღებული ქრომი. ამის სანაცვლოდ გერმანია დახმარებას ჰპირდებოდა

კრედიტების მიცემასა და თურქეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა ობიექტების მშენებლობაში.

1941 წლის ოქტომბერში დაიდო თურქეთ - გერმანიის ახალი სავაჭრო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც 1943 წლის 31 მარტამდე უნდა გაზრდილიყო ექსპორტი 96 მლნ. ლირამდე და იმპორტი - 96 მლნ. ლირამდე. გერმანიისათვის მიწოდებული ნედლეულის სანაცვლოდ გერმანია მოამარაგებდა თურქეთს შეიარაღებითა და სამხედრო მასალით. ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ გერმანიამ დაიკავა პირველი ადგილი თურქეთთან ვაჭრობაში.

1942 წლის 31 დეკემბერს გერმანიამ მისცა თურქეთს სპეციალური კრედიტი სამხედრო ტექნიკის შესაძენად.

1942 წლის შემოდგომაზე თურქეთსა და გერმანია შორის დაიდო სპეციალური ხელშეკრულება, რომლითაც გერმანიამ მიიღო უფლება 1943-1944 წლებში შეესყიდა 180 ათასი ტონა ქრომის მადანი.

გერმანიასთან სავაჭრო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, 1943 წლის აპრილში, დაიდო ახალი ხელშეკრულება, რომლითაც ორივე მხარე ერთმანეთს მიაწვდიდა 60 მლნ. ლირის ღირებულების საქონელს. ამაში არ შედიოდა ქრომის მადნის ღირებულება.

თურქეთის მმართველი წრეები, ამარაგებდნენ რა გერმანიას ქრომით, სპილენძით, ბამბით და სხვა სტრატეგიული ნედლეულითა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, ხელს უწყობდნენ და ახანგრძლივებდნენ მონაწილეობას ომში.

1944 წლის გაზაფხულზე, როდესაც მკვეთრად გაუარესდა გერმანიის სამხედრო მდგომარეობა, 21 აპრილიდან თურქეთის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა გერმანიისათვის ქრომის მიწოდების შეწყვეტა.

ეკონომიკური გავლენის გაფართოებასთან ერთად, ჰიტლერული გერმანია მიისწრაფვოდა გაეძლიერებინა თავისი პოლიტიკური გავლენა, ხელს უწყობდა და აფინანსებდა პანთურქისტულ ორგანიზაციებს.

პანთურქისტული გაზეთები და ჟურნალები ეწეოდნენ ანტისაბჭოთა პროპაგანდას და აშკარად მოუწოდებდნენ საკუ-

თარ მთავრობას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომისაკენ და ქება-დიდებას ასხამდნენ ფაშისტურ გერმანიას.

მართალია, თურქეთმა ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, მაგრამ მან ერთი მილიონი ჯარისკაცის მობილიზაცია გააკეთა. არმიის დიდი ნაწილი განლაგებული იყო კავკასიის საზღვრებთან, ამის გამო საბჭოთა კავშირი იძულებული იყო აქ ჰყოლოდა დიდი სამხედრო ძალები, რითაც თურქეთმა არაპირადპირი დახმარება აღმოუჩინა გერმანიას.

თურქეთი ომის დროს არღვევდა 1936 წლის მონტრიოს კონვენციას შავი ზღვის სრუტეების შესახებ და ატარებდა სრუტეებში გერმანიის და იტალიის სამხედრო გემებს.

თურქეთის რეაქციული ძალები იმედოვნებდნენ, რომ გერმანელების მიერ სტალინგრადის აღების შემდეგ განახორციელებდნენ თავიათ აგრესიულ ზრახვებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მაგრამ სტალინგრადთან გერმანიის ჯარების განადგურებამ ჩაშალა მათი გეგმები.

გერმანიის დაზვერვა თურქეთში მეტად ატიურად მოქმედებდა, გერმანიის საელჩო, თავისი აგენტების დახმარებით, იღებდა სრულიად საიდუმლო დოკუმენტებს ინგლისის საელჩოდან. ამ დოკუმენტებიდან გერმანელებმა იცოდნენ, რომ თეირანში უნდა ჩატარებულიყო სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრა.

ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა ომის დროს წამოაყენა გეგმა, რომლის მიხედვითაც მეორე ფრონტი უნდა გახსნილიყო არა დასავლეთ ევროპაში (საფრანგეთში), არამედ ბალკანეთში. ამ მიზნით, ჩერჩილს 1942 წლის ნოემბრიდან განზრახული ჰქონდა თურქეთის ომში ჩაბმა. ეს გეგმა ჩერჩილმა გაუზიარა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რუზველტს და მიიღო მისი მხარდაჭერა. ჩერჩილი და რუზველტი დაინტერესებული იყვნენ დაჩქარებულიყო თურქეთის ჩებმა ომში, ამისათვის საჭირო იყო თურქეთი მოემარაგებინათ სამხედრო ტექნიკით. 1943 წლიდან ინგლისმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიწყეს თურქეთის შეიარაღება.

სტალინგრადთან, გერმანიის ჯარების განადგურების შემდეგ, კიდევ უფრო მეტად გაიზარდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი.

1943 წლის 28 ნოემბერ -1 დეკემბერს თეირანში ჩატარდა სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურების შეხვედრა. აქ მიიღეს მნიშვნელოვანი დადგენილება დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის შესახებ, ამავე დროს გადაწყვიტეს, წინადადებით მიემართად თურქეთისათვის, ჩაბმულიყო ომში არაუგვიანეს 1944 წლის 15 თებერვლისა.

1943 წლის 4-6 დეკემბერს, თეირანის კონფერენციის დამთავრების შემდეგ, კაიროში რუზველტი და ჩერჩილი შეხვდნენ თურქეთის პრეზიდენტს - ინონუს. მათ შეახსენეს თურქეთის პრეზიდენტს თავიანთი ვალდებულების შესახებ, ჩამდგარიყო ანტიგერმანული კოალიციის რიგებში. ინონუმ ომში მონაწილეობის საფასურად მოითხოვა თვითმფრინავების, ტანკებისა და სამხედრო აღჭურვილობის ისეთი რაოდენობა, რომ მისი დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ 2-3 წლის განმავლობაში.

ინგლისი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო იმით, რომ თურქეთს მონაწილეობა მიეღო ბალკანეთში მეორე ფრონტის გახსნაში და განაგრძობდა თურქეთის შეიარაღებას.

ჩერჩილი და რუზველტი თვლიდნენ, რომ თურქეთის ომში ჩაბმის საუკეთესო საშუალება იყო მისი შეიარაღება.

1944 წლის იანვარში ანკარაში ჩავიდა ინგლისის სპეციალური სამხედრო მისია, რომელსაც უნდა დაედგინა სამხედრო ტექნიკის რაოდენობა, რომელიც აუცილებელი იქნებოდა თურქეთის ომში ჩაბმისათვის, ამავე დროს თურქეთში იმყოფებოდა ორი ათასამდე ინგლისელი სამხედრო ინსტრუქტორი თურქეთის არმიის გაწვრთნის მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთი იყო პირველი ნეიტრალური სახელმწიფო აღმოსავლეთ ნახევარსფეროში, რომელზედაც 1941 წლის დეკემბრიდან ამერიკელებმა გაავრცელეს კანონი ლენდლიზის შესახებ (კანონი შეიარაღებისა და სამხედრო აღჭურვილობის მიწოდებას იჯარით, თუ სესხის აღების გზით).

კაიროს შეხვედრის შემდეგ, თურქეთის მთავრობა ძალიან ნელა და ფრთხილად მოქმედებდა და არ აპირებდა გერმანიასთან კავშირის გაწყვეტას, ამიტომ ინგლის – თურქეთის მოლაპარაკება 1944 წლის თებერვალში შეწყდა, ხოლო თურქეთის სამხედრო ტექნიკით მომარაგება დროებით შეჩერდა.

მიუხედავად თურქეთის ასეთი პოზიციისა, ჩერჩილი არ კარგავდა იმედს „აეღორძინებინა" მეორე ფრონტის ბალკანური ვარიანტი, მას სურდა შეჭრილიყო ევროპაში სამხრეთ-აღმოსავლეთიდან და არ დაეშვა საბჭოთა ჯარების შესვლა ბალკანეთში.

საბჭოთა ჯარების სწრაფად წინსვლამ და ბალკანეთის ქვეყნების გათავისუფლებამ ფაშისტური გერმანიის უღლისაგან ჩაშალა ჩერჩილის გეგმები.

მთელი ომის განმავლობაში, თურქეთის არმია მზად იყო. ქვეყნის მილიტარიზაციამ ასახვა ჰპოვა სამხედრო ხარჯების მკვეთრ ზრდაში. ოფიციალური მონაცემებით 1938-1939 წელს პირდაპირი ასიგნება შეადგენდა 94,4 მლნ. ლირას (მთელი ხარჯები ბიუჯეტის 30%, 1938-1940 წელს-169 მლნ. ლირას, ხოლო 1944-1945 წელს-554,2 მლნ. ლირას). ამრიგად, პირდაპირი სამხედრო ხარჯები ომამდელთან შედარებით გაიზარდა 5-ჯერ.

თურქეთის საერთო ხარჯები ომის პერიოდში შეადგენდა (ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დახმარების ჩათვლით) 4 მილიარდ ლირას.

მეურნეობის სამხედრო რელსებზე გადაყვანამ მკვეთრად გააუარესა ქვეყნის ისედაც მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. მილიონიანი არმიის შენახვამ დიდად გაზარდა ქვეყნის სამხედო ხარჯები. არმიაში მომსახურების მიზნით ჩართული იყო ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილი, ამან გამოიწვია თურქეთის ეკონომიკური ცხოვრების მოშლა.

1940 წლის 24 იანვარს მთავრობამ გამოსცა კანონი ეროვნული თავდაცვის შესახებ. ამ კანონით მას უფლება ეძლეოდა ჩარეულიყო ეკონომიკის ნებისმიერ დარგში, კანონიკი ავალდებულებდა მუშებსა და გლეხებს იძულებით სავალდებულო შრომას მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

ეს კანონი მთავრობას ასევე აძლევდა უფლებას გლეხებისაგან იძულებითი წესით, დაბალ ფასებში შეესყიდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, შემოეღო საგანგებო გადასახადები და სხვა.

რიგი მიზეზების გამო, შემცირდა მარცვლეულის ნათესების ფართობი. ამან გამოიწვია სასურსათო კრიზისი, მკვეთრად გაიზარდა ფასები მარცვლეულზე და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე, მთავრობა იძულებული გახდა დიდ ქალაქებში შემოეღო პურზე საბარათო სისტემა.

1942 წელს ხელისუფლებამ შეძლო გლეხების მარცვლეულის მარაგის რეკვიზიცია და სავალდებულო გახადა სახელმწიფოს სასარგებლოდ, დაბალ ფასებში, მარცვლეულის ჩაბარება. ყოველივე ამის შედეგად, ათასობით გლეხი გაკოტრდა, ხოლო მათი მიწები გადავიდა სპეკულანტების ხელში.

ომის წლებში მნიშვნელოვნად გამოიკვეთა ეკონომიკური სიძნელეები. მკვეთრად გაიზარდა ფასები პირველადი მოთხოვნილების საგნებზე, მუშათა სამუშაო დღემ 14 – 16 საათს მიაღწია. ამას თან მოჰყვა მასობრივი უმუშევრობა. მუშათა რეალური ხელფასი მკვეთრად შემცირდა და ა.შ.

1944 წელს საბჭოთა კავშირმა მოიპოვა ფაშისტურ გერმანიაზე მნიშვნელოვანი გამარჯვებები და იგი დააყენა საბოლოო კატასტროფის წინაშე. ამან თურქეთის მმართველ წრეებზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა. ისინი საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ გერმანიის კრახი გარდაუვალია იყო. 1944 წლის 2 აგვისტოს თურქეთის მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ წყვეტს დიპლომატიურ და ეკონომიკურ ურთიერთობას გერმანიასთან, თურქეთის ეს ნაბიჯი, უპირველეს ყოვლისა, ნაკარნახევი იყო იმით, რომ მას ეშინოდა ომის შემდეგ პოლიტიკურ იზოლაციაში მოხვედრისა, თუმცა ამის შემდეგაც თურქეთი არ წყვეტდა გერმანიასთან დიპლომატიურ და ეკონომიკურ თანამშრომლობას, მხოლოდ ექვსი თვის გასვლის შემდეგ. 1945 წლის 23 თებერვალს თურქეთის მთავრობამ ფორმალურად ომი გამოუცხადა გერმანიასა და იაპონიას.

1944 წლის თებერვალში, იალტის სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურების კონფერენციაზე, მიიღეს დადგენილება, რომ გა-

ერთიანებული ერების ორგანიზაციის დამფუძნებელი წევრები გახდებოდნენ ის სახელმწიფოები, რომლებიც 1945 წლის 1 მარტამდე ომს გამოუცხადებდნენ გერმანიასა და მის მოკავშირეებს.

ამდენად, თურქეთის მიერ ომის გამოცხადება გერმანიისა და იაპონიისათვის, მხოლოდ ფორმალური იყო, რათა, მას, როგორც მეომარ სახელმწიფოს, მონაწილეობა მიეღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობაში, რათა გამხდარიყო ერთ-ერთი დამფუძნებელი.

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის დროს თურქეთმა, ბალანსირების პოლიტიკის გატარების შედეგად, ნეიტრალიტეტი დაიცვა და მხოლოდ ომის დასასრულს, ფორმალურად ომი გამოუცხადა გერმანიასა და იაპონიას.

საკონტროლო კითხვები:

1) დაახასიათეთ თურქეთისა და გერმანიის პოლიტიკური ურთიერთობა XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს;
2) ახსენით, რა ადგილს იკავებდა თურქეთი მეორე მსოფლიო ომის წლებში;
3) რამ გამოიწვია თურქეთის ჩართვა მეორე მსოფლიო ომში?

პრაქტიკული დავალება:

გააანალიზეთ 1939-1945 წლების თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები.

გამოყენებული ლიტერატურა და ვებგვერდები:

1. სანიკიძე გ., ალასანია გ., გელოვანი ნ., ახლო აღმოსავლეთის ისტორია, თბილისი, 2011.
2. ლებანიძე ტ., თურქეთის პოლიტიკური პარტიების ისტორიული მიმოხილვა, თბილისი, 2011.

3. ბატიაშვილი ზ., თურქეთის შეიარაღებული ძალები, თბილისი, 2000.
4. მენთეშაშვილი ალ., საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორია, წ. I-II, თბილისი, 2000.
5. მაკარაძე ე., თანამედროვე თურქეთის აქტუალური პრობლემები, ბათუმი, 2000.
6. მაკარაძე ე., მ.ქ.ათათურქის როლი რესპუბლიკურ თურქეთში, ბათუმი, 2009.
7. სვანიძე მ., თურქეთის ისტორია, თბილისი, 2007.
8. Новейшая история стран Азии и Африки XX век. Часть 2. Москва, 2001.
9. Новейшая история стран Азии и Африки XX век. Часть 3. Москва, 2001.
10. www.iimes. ru.

თავი VI. დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობა თურქეთში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ - ტრუმენის დოქტრინა და მარშალის გეგმა

მეორე მსოფლიო ომის შედეგად მსოფლიოში ძირეულად შეიცვალა საერთაშორისო ვითარება: შეიქმნა სოციალისტური ბანაკი; აზიისა და აფრიკის ქვეყნებში დაიწყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა; გაძლიერდა კოლონიური სისტემის დაშლა და სხვა.

მსოფლიო ომის დამთავრებისათვის თურქეთის მთავრობის პოლიტიკა ჩიხში მოექცა. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთს არანაირი მონაწილეობა არ მიუღია ამ ომში.

თურქეთს ომის დროს მილიონი ჯარისკაცი ჰყავდა მობილიზირებული, რამაც უარყოფითად იმოქმედა სახელმწიფო ბიუჯეტზე და სოფლის მეურნეობაზე.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა გლეხობა, რომელთა დიდი ნაწილი უმიწაწყლო იყო.

1945 წლის 11 ივნისს თურქეთის მეჯლისმა გლეხების დასაწყნარებლად მიიღო კანონი - „მიწის რეფორმის შესახებ“, რომლის მიზანი იყო: ქვეყნის მთელი მიწები იყოს მუდმივად დამუშავებული.

მძიმე ვითარების ფონზე, მმართველმა სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ თურქეთში დაკარგა მასების ნდობა. პროგრესული ძალები მოითხოვდნენ ანტიხალხური კანონების გაუქმებას და ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების გატარებას.

სახალხო-რესპუბლიკური პარტიის წევრთა ნაწილი გმობდა მთავრობის პოლიტიკას და მოითხოვდა რეფორმების გატარებას.

1945 წლის 7 ივნისს ოთხმა დეპუტატმა - ჯელალ ბაიარმა, ადნან მენდერესმა, ფუად ქოფრულუმ და რეფიკ ქორალთანიმ პარლამენტში შეიტანა წინადადებათა პაკეტი ქვეყანაში დემოკრატიული გარდაქმნების შესახებ.

ისინი მოითხოვდნენ:

1. მეჯლისზე არაფორმალური, არამედ საქმიანი კონტროლის დაწესებას;

2. მოქალაქეებს უნდა მისცემოდათ საშუალება თავისუფლად ესარგებლათ კონსტიტუციაში ჩაწერილი თავისუფლებითა და პოლიტიკური უფლებებით;

3. პარტიის მთელი საქმიანობა უნდა გარდაქმნილიყო აღნიშნული პირობების შესაბამისად.

პარლამენტმა უარყო ოპოზიციის ეს წინადადება.

სახალხო-რასპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობამ პარტიიდან გარიცხა: ჯელალ ბაიარი, ადნან მენდერესი, ფუად ქოფრულუმი და რეფიკ ქორალთანი.

მმართველი პარტია იძულებული შეიქმნა წასულიყო დათმობაზე და ერთპარტიული მმართველობიდან მრავალპარტიულ ფორმაზე გადასულიყო.

1945 წლის 1 ნოემბერს პრეზიდენტმა ისმეთ ინონუმ მეჯლისში გამოსვლისას განაცხადა: „ჩვენი ერთადერთი ნაკლია ოპოზიციური პარტიების არარსებობა“.

1946 წლის დასაწყისიდან ქვეყანაში დაიწყო პოლიტიკური პარტიების დაარსება.

1946 წლის 7 იანვარს ჯელალ ბაიარმა დაარსა თურქეთის დემოკრატიული პარტია.

დემოკრატიული პარტია გამოხატავდა მსხვილი ბურჟუაზიისა და მიწათმფლობელების ინტერესებს და მჭიდროდ იყო დაკავშირებული უცხოეთის კაპიტალთან. მალე თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ამ პარტიამ.

დემოკრატიული პარტიის დაარსებამ დასაბამი მისცა თურქეთის პოლიტიკური ისტორიის ახალ პერიოდს – მრავალპარტიული სისტემის შემოღებას;

დემოკრატიული პარტიის დაარსების შემდეგ, სწრაფად დაიწყო ახალი პარტიების შექმნა. დაარსდა:

1. 1946 წლის თებერვალში – სოციალისტური სამართლიანობის პარტია;

2. 1946 წლის მარტში - ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია;

3. 1946 წლის აპრილში - თურქეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია;

4.1946 წლის მაისში - მუშათა პარტია. თურქეთის სოციალისტური პარტია;

5. 1946 წლის ივნისში – მუშათა და გლეხთა პარტია;

6. 1946 წლის ივნისში – თურქეთის მუშურ-გლეხური პარტია;

7.1946 წლის ივნისში – თურქეთის სოციალისტური მუშურ-გლეხური პარტია;

8. 1946 წლის ივლისში – ისლამის დაცვის პარტია;

9.1948 წლის აგვისტოში თავისუფალი-დემოკრატიული პარტია.

ქვეყანაში ძლიერდებოდა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის მიმართ კრიტიკა. ასეთ ვითარებაში პარტიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ვადაზე ადრე ჩაეტარებინა არჩევნები და ამ გზით შეენარჩუნებინა ხელესუფლება.

1946 წლის ივლისში თურქეთში ჩატარდა პარლამენტის (მეჯლისი) ვადამდელი არჩევნები. არჩევნების შედეგად: სახალხო - რესპუბლიკურმა პარტიამ მიიღო 391 ადგილი. დემოკრატიულმა პარტიამ – 62. დამოუკიდებლებმა - 12. სხვა პარტიებმა ვერ მიიღეს ვერცერთი ადგილი.

მართალია, არჩევნებში გაიმარჯვა სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ, მაგრამ მმართველი პარტიის წინააღმდეგ ქვეყანაში შეიქმნა სერიოზული ოპოზიცია.

1946 წლის 5 აგვისტოს გაიხსნა ახალად არჩეული მეჯლისის პირველი სხდომა. მეჯლისმა პრეზიდენტად კვლავ აირჩია ისმეთ ინონუ. მეჯლისის თავმჯდომარე გახდა გადამდგარი გენერალი ქიაზიმ ყარაბექირი. პრემიერ-მინისტრი კი რეჯეფ ფექირი.

ახალი მთავრობა თავისი შემადგენლობით რეაქციული იყო. მან ქვეყანაში სამხედრო-პოლიტიკური რეჟიმის განმტკიცებისა და დემოკრატიული მოძრაობის ჩახშობის კურსი აიღო.

1946 წლის სექტემბერში, მთავრობამ მოახდინა თურქული ლირის დევალვაცია. თურქული ლირის კურსი ორჯერ შემცირ-

და დოლართან შედარებით. სათანადოდ შეიცვალა ლირის კურსი სხვა უცხოეთის ვალუტებთან შედარებით.

1946 წელს თურქეთის მეჯლისმა ექვსი თვით გააგრძელა საგანგებო მდგომარეობა: სტამბოლის, ედირნეს, თეკირდაღის, ჩანაკალესა და კოჯაელის ვილაეთებში.

1946 წლის დეკემბერში, ამავე ვილაეთებში სამხედრო ხელისუფლებამ აკრძალა თურქეთის სოციალისტური პარტიების საქმიანობა.

დაიხურა დემოკრატიული გაზეთები და დაპატიმრებულ იქნა მოძრაობის აქტივისტები.

1947 წლის თებერვალში მეჯლისმა მიიღო კანონი პროფკავშირების შესახებ, რომლითაც პროფკავშირებს აეკრძალათ პოლიტიკური საქმიანობა და მათზე დაწესდა სახელმწიფო კონტროლი.

1947 წლის აგვისტოში გადადგა რეჯეფ ფეკერის მთავრობა და ახალი პრემიერ- მინისტრი გახდა ჰასან საკა.

1947 წლის ნოემბერ - დეკემბერში ჩატარდა თურქეთის სახალხო-რესპუბლიკური პარტიის VII ყრილობა, რომელზეც სიტყვით გამოვიდა პრეზიდენტი ისმეთ ინონუ.

ყრილობაზე პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საჭირო იყო ბურჟუაზიულ პარტიებთან საერთო ენის გამონახვა და „კომუნისტური საფრთხის წინააღმდეგ განსაკუთრებული ზომის მიღება“.

ამ მიზნით, ათი დეპუტატის შემადგენლობით შეიქმნა კომისია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა იალჩინი.

„იალჩინის კომისიის“ რჩევით, მთავრობამ სტამბოლში დაითხოვა უმაღლეს სკოლებში მოქმედი დემოკრატიული საზოგადოებები.

ამავე დროს მთავრობამ დაიწყო ახალგაზრდა რეაქციული საზოგადოების საქმიანობის შესწავლაც.

1948 წელს მთავრობამ აღადგინა სკოლებში რელიგიის სწავლება, როგორც ფაკულტატური საგნისა. ეს იყო ლაიციზმის პრინციპებიდან უკან დახევის პირველი ნაბიჯი.

1948 წლის გაზაფხულზე, თურქეთის რექციული ძალების მიერ მოკლული იქნა პროგრესული მწერალი და ქვეყნის დიდი პატრიოტი საბაჰათთინ ალი.

1948 წელს დაიწყო სასამართლო პროცესი ანკარის უნივერსიტეტის პროფესორ - მასწავლებლებისა და სტუდენტებისა, რომლებსაც ბრალს სდებდნენ „კომუნისტური იდეების პროპაგანდაში". სასამართლო პროცესზე გამოირკვა, რომ მათი „დანაშაული" ის იყო, რომ ისინი იზიარებდნენ პროგრესულ იდეებს მეცნიერებაში.

1948 წლის ზაფხულში მეჯლისის დეპუტატების ერთი ნაწილი, მარშალ მუსტაფა ფევზი ჩაკმაკის მეთაურობით, გამოეყო დემოკრატიულ პარტიას და ივნისში დააარსა ე.წ. ნაციონალური პარტია.

მეორე მსოფლიო ომიში გერმანიის დამარცხების შემდეგ, თურქეთის მთავრობამ საგარეო პოლიტიკა მიმართა ინგლისისაკენ.

თურქეთი ინგლისთან დაკავშირებული იყო 1939 წლის ხელშეკრულებით და ის თავის მხრივ არ აპირებდა პოზიციების დათმობას, მაგრამ მალევე დარწმუნდა, რომ მას აღარ შეეძლო საკუთარი ძალებით ამის განხორციელება.

1947 წლის თებერვალში ვაშინგტონში ინგლისის ელჩმა აცნობა აშშ-ის მთავრობას, რომ ინგლისს აღარ შეეძლო აღმოეჩინა თურქეთისათვის სამხედრო და ფინანსური დახმარება, რომელიც გათვალისწინებული იყო 1939 წლის 18 ოქტომბრის ინგლის -თურქეთის ხელშეკრულებით.

ეს იყო თავის პოზიციაზე ინგლისის იძულებითი უარი, რომელიც მას ეკავა თურქეთში მეორე მსოფლიო ომის დროს და ომის დამთავრების პირველ წლებში.

თურქეთში ტრუმენის დოქტრინის გამოცხადებამდე, გადამწყვეტი პოზიციები კვლავ ინგლისელების ხელში რჩებოდა.

ინგლისის პოზიციების შესუსტება კარგად გამოიყენა აშშ-მა, რომელმაც გადაწყვიტა „შეევსო ვაკუუმი" და ინგლისის ადგილი დაიჭირა.

თურქეთის მთავრობამ წინააღმდეგობის გაწევის ნაცვლად თავისი პოლიტიკით ყოველმხრივ შეუწყო ხელი ამ აგრესიული ზრახვების განხორციელებას.

თურქეთის ხელისუფლების გულის მოსაგებად აშშ-ის მთავრობამ თურქეთს აღუთქვა მეგობრული დახმარება ფინანსური სიძნელეების დაძლევაში.

- **„ტრუმენის დოქტრინა“ და „მარშალის გეგმა“**

თურქეთის მთავრობამ, რომელმაც ვერ გაართვა თავი ეკონომიკურ სიძნელეებსა და ფინანსურ ქაოსს, 1947 წლის მარტში ოფიციალურად მიმართა აშშ-ის მთავრობას გაეწია ფინანსური დახმარება.

ვაშინგტონში კეთილგანწყობილად შეხვდნენ თურქეთის მთავრობის თხოვნას სესხის მიცემის შესახებ.

1947 წლის 12 მარტს აშშ -ის პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა სპეციალური მიმართვა გაუგზავნა კონგრესს (მას შემდეგ ამ მიმართვას „ტრუმენის დოქტრინა უწოდეს“), რომლითაც თხოვდა მას, თურქეთისა და საბერძნეთისათვის დახმარების გასაწევად გამოეყო 400 მილიონი დოლარი.

ამავე დროს ტრუმენი ითხოვდა გაეგზავნა ამ ქვეყნებში სამოქალაქო და სამხედრო პირები მათი შეიარაღებული ძალების გასაწვრთნელად და „ფინანსურ და მატერიალურ დახმარებაზე კონტროლის გასაწევად“.



ჰარი ტრუმენი

ტრუმენის მიმართვა 1947 წლის მაისში მოიწონა კონგრესმა და მას ოფიციალური კანონის სახე მისცა. იგი მომდევნო პერიოდში საფუძვლად დაედო აშშ-ის პოლიტიკას ახლო და შუა აღმოსავლეთში.

ამით დაიწყო თურქეთის ჩაბმა აშშ-ის მიერ მსოფლიოს ამ ნაწილში შექმნილ სამხედრო ბლოკებში.

1947 წლის 12 ივლისს ხელი მოაწერეს თურქეთ-ამერიკის შეთანხმებას, რომლითაც, „ტრუმენის დოქტრინის“ შესაბამისად თურქეთს ეძლეოდა სამხედრო დახმარება 100 მილიონი დოლარის ოდენობით.

გამოყოფილი თანხიდან, 100 მილიონიდან 90 მილიონი უნდა მოხმარებოდა თურქეთის არმიის რეორგანიზაციას, დანარჩენი სამხედრო მრეწველობის რეკონსტრუქციასა და სამხედრო გზების მშენებლობას.

1948 წლის ივლისში, თურქეთის მთავრობამ, ჰასან საკას მეთაურობით, ხელი მოაწერა შეთანხმებას აშშ-თან, როლითაც მას ეძლეოდა ეკონომიკური დახმარება „მარშლის გეგმის“ ჩარჩოებში.

ჯორჯ მარშალი

„მარშლის გეგმის“ მოქმედების პერიოდში (1948-1953 წწ.), თურქეთმა ერთ მილიარდზე მეტი სესხი მიიღო. აქედან უდიდესი ნაწილი სამხედრო მიზნებს მოხმარდა.

1949 წლის დეკემბერში აშშ-თურქეთს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას კულტურული თანამშრომლობის შესახებ, რამაც ხელი შეუწყო ამ ქვეყნებს შორის კულტურული ურთიერთობის გაფართოებას.

ამის გამო, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, თურქეთს საბჭოთა კავშირის მიმართ არაკეთილმეზობლური პოზიცია ეკავა.

თურქეთი ყოველნაირად ცდილობდა დაეძაბა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან: არღვევდა შავი ზღვის სრუტეების „მონტრეს კონვენციას“, ეწეოდა ანტისაბჭოთა და პანთურქისტულ პროპაგანდას, კავკასიის საზღვართან თავი მოუყარა ერთმილიონიან არმიას და სხვა.

1945 წლის 19 მარტს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა მოსკოვში თურქეთის ელჩს განუცხადა, რომ საბჭოთა კავშირს სურვილი ჰქონდა მოეხდინა 1925 წლის 17 დეკემბრის ხელშეკრულების დენონსაცია მეგობრობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ.

ამავე დროს, საბჭოთა კავშირმა საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკების სახელით თურქეთს ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენა.

ამ ფაქტმა კიდევ უფრო მეტად დააჩქარა თურქეთის დაახლოება დასავლეთის სხელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

- **შავი ზღვის სრუტეების საკითხი**

მეორე მსოფლიო ომის დროს თურქეთი არღვევდა მონტრეს კონვენციას და ვერ უზრუნველყოფდა შავ ზღვაზე საბჭოთა კავშირის უსაფრთხოებას.

1945 წლის ივლის-აგვისტოში პოცდამის კონფერენციაზე სამი სახელმწიფოს (ინგლისი, აშშ და საბჭოთა კავშირი) მეთაურებმა მიიღეს დადგენილება, რომ მონტრეს კონვენცია, სრუტეების რეჟიმის შესახებ, მოითხოვდა გადასინჯვას.

1946 წლის 7 აგვისტოს საბჭოთა კავშირმა თურქეთის მთავრობას გაუგზავნა ნოტა შავი ზღვის სრუტეების გამო, სადაც იძლეოდა შემდეგ მოთხოვნებს:

1) სტუტეები მუდამ ღია უნდა იყოს ყველა ქვეყნის სავაჭრო გემების გასასვლელად;

2) სტუტეები მუდამ ღია უნდა იყოს შავი ზღვის სახელმწიფოების სამხედრო გემების გასასვლელად;

3) სრუტეებით გავლა არა შავი ზღვის სახელმწიფოთა სამხედრო გემებისათვის დაუშვებელია, საგანგებოდ გათვალისწინებულ შემთხვევათა გარდა;

4) თურქეთი და საბჭოთა კავშირი, როგორც ყველაზე უფრო დაინტერესებული სახელმწიფოები და რომელთაც უნარი აქვთ უზრუნველყონ სავაჭრო ნაოსნობის თავისუფლება და სრუტეების უშიშროება, ერთობლივი საშუალებებით აწყობენ სრუტეების დაცვას სხვა სახელმწიფოების მიერ შავი ზღვის სახელმწიფოებისათვის მტრული მიზნებით სრუტეების თავიდან ასაცილებლად.

თურქეთის მთავრობა საპასუხო ნოტაში დათანხმდა პირველი სამი მუხლის მიღებაზე, მაგრამ წინააღმდეგი წავიდა მეოთხე მუხლის მიღებაზე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შავიზღვისპირა სახელმწიფოების ინტერესებისათვის. მაგრამ, თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ვითარების დაძაბ-

ვასთან ერთად შავი ზღვის სრუტეების საკითხთან დაკავშირებით ახალი კონფერენციის მოწვევა ვეღარ მოხერხდა.

1982 წელს თურქეთის მთავრობამ, მონტრეს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებთან შეუთანხმებლად, შეიმუშავა სტამბოლის რეგლამენტი, რომელიც ვრცელდება სრუტეების მთელ ზონაზე, ხოლო 1994 წელს დაწესდა – სრუტეებზე ნაოსნობის ცალმხრივი რეგლამენტი.

1998 წლის ნოემბერში თურქეთის მთავრობამ გამოაქვეყნა სრუტეებში ნაოსნობის თურქული რეგლამენტის ახალი რედაქცია. ამიერიდან სრუტეებით სარგებლობა წარმოებს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ რეკომენდირებული შენიშვნების გათვალისწინებით.

50-იანი წლების ბოლოს თურქეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რამაც მკვეთრი ასახვა ჰპოვა 60-იანი წლების თურქეთის ცხოვრებაში.

საკონტროლო კითხვები:

1) დაახასიათეთ, რამ განაპირობა დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობა თურქეთში;
2) ახსენით, რა ადგილს იკავებს მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბება თურქეთში;
3) რა როლი უჭირავს მარშლის გემას და ტრუმენის დოქტრინას თურქეთის საგარეო პოლიტიკაში;
4) ახსენით, თურქეთის საგარეო პოლიტიკა 1945-1949 წლებში.

პრაქტიკული დავალება:

გააანალიზეთ თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი საკითხები 1945-1949 წლებში.

გამოყენებული ლიტერატურა და ვებგვერდები:

1. სვანიძე მ., თურქეთის ისტორია, (1923-2000). ტ.III, თბილისი, 2005.

2. ბატიაშვილი ზ., არმიის ადგილი და როლი თურქეთის რეს-პუბლიკაში (1923-2000 წლებში), თბილისი, 2003. საკანდი-დატო დისერტაცია.
3. ბატიაშვილი ზ., თურქეთის შეიარაღებული ძალები, თბილი-სი, 2000.
4. მაკარაძე ე., თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკით-ხები, ბათუმი, 2000.
5. Гасратян М. А., Орешкова С. Ф., Петросян Ю. А. Очерки истории Турции. Москва, 1983.
6. Данилов В.И., Политическая борьба в Турции. Москва, Наука, 1985.
7. Иванова И.И., Ислам в политической жизни Турции (1950-1980)// Зарубежный Восток: религиозные традиции и современность. Москва, Наука, 1983.
8. Миллер А. Ф., Турция: актуальные проблемы новой и новейшей истории. ,Москва, 1983.
9. Новейшая история стран Азии и Африки XX век. Часть 3. 1945-2000. Под . редакцией А.М.Родригеса. Москва, 2001.
10. Новейшая история Турции, Москва, 1968.
11. Шемсудинов А.М., Турецкая Республика, краткая очерк (1923-1961), Москва, 1962.

თავი VII. თურქეთის რესპუბლიკა XX საუკუნის 50-60-იან წლებში

XX საუკუნის 50 - იანი წლების დასაწყისში, თურქეთის საშინაო პოლიტიკაში მეტად მძიმე ვითარება შეიქმნა.

მმართველი სახალხო-რესპუბლიკური პარტიისათვის 50-იანი წლების პოლიტიკური მდგომარეობა არახელსაყრელი იყო.

პარტიის მიერ გატარებულმა პოლიტიკამ გამოიწვია ხალხის მასებში უნდობლობა და ამომრჩევლების იმედის გაცრუება.

1946 წლის თებერვალში სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ მეჯლისს მიაღებინა ახალი საარჩევნო კანონი.

ახალი კანონი ითვალისწინებდა წარმომადგენლობის პროპორციული სისტემის წესის შეცვლას მაჟორიტარულით. ამით მმართველი პარტია ცდილობდა ამომრჩეველთა ხმების მოპოვებას და ხელისუფლების შენარჩუნებას, მაგრამ სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ სასტიკი მარცხი განიცადა.

1950 წლის 14 მაისს თურქეთში ჩატარდა მეჯლისის მორიგი არჩევნები. მაისის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 80%-მა. არჩევნებში გაიმარჯვა დემოკრატიულმა პარტიამ, რომელმაც ხმების 53,6% მიიღო, სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ კი 39,9%.

მაჟორიტარული სისტემით, დემოკრატიულმა პარტიამ მეჯლისში მიიღო 408 ადგილი, ხოლო სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ მხოლოდ – 69.

არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიებს შორის ეროვნულმა პარტიამ მიიღო 1 მანდატი, „დამოუკიდებლებმა“ – 7.

სახალხო-რესპუბლიკური პარტიის დამარცხება არჩევნებში აიხსნება იმით, რომ მან 27 წლის განმავლობაში ვერ შეძლო გადაეჭრა მოსახლეობის ძირითადი სოციალური პრობლემები.

პირველად რესპუბლიკური თურქეთის ისტორიაში მოხდა ერთი სამთავრობო პარტიის შეცვლა მეორით. დემოკრატიული პარტია წინასაარჩევნო კამპანიის დროს გამოვიდა დიდი დაპირებებით, რომ გამარჯვების შემთხვევაში, შეძლებდა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

ახალმა მეჯლისმა თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია ჯელალ ბაიარი, პრემიერ-მინისტრი გახდა ადნან მენდერესი.

1950 წლის 29 მაისს მეჯლისმა მოიწონა ახალი მთავრობის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებდა უმუშევრობის ლიკვიდაციას, ეკონომიკისა და ფინანსების გაჯანსაღებას, მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, თავისუფალი პროფკავშირების დაარსებას, სიტყვისა და პრესის თავისუფლებას.

პროგრამა აგრეთვე ითვალისწინებდა ხელსაყრელი პირობების შექმნას კერძო კაპიტალისათვის, უცხოური კაპიტალის მოზიდვას, ეტატიზმის პოლიტიკის შეზღუდვას, დასავლეთის სახელმწიფოებთან და, განსაკუთრებით აშშ-თან, ურთიერთობის შემდგომ გაფართოებას და სხვა.

ფაქტობრივად, დემოკრატიული მთავრობის საშინაო პოლიტიკის ძირითადი მიმართულება გახდა ანტიკომუნიზმი, ნაციონალიზმის გაძლიერება და რელიგიის აღორძინება.

დემოკრატიული პარტია თავისი ხელისუფლების განმტკიცებისათვის ფართოდ იყენებდა რელიგიას.

დემოკრატიულმა პარტიამ, სახალხო-რესპუბლიკური პარტიის გავლენის შესუსტების მიზნით, გაწმინდა სახელმწიფო აპარატი ყოფილი მმართველი პარტიის წევრებისგან, გადაყენებული იქნენ ვილაიეთების გუბერნატორები, ქალაქების მერები, მაზრების უფროსები, არმიის მაღალი რანგის ოფიცრები და სხვა.

კერძო სექტორის დაფინანსების მიზნით, დასავლეთის ინიციატივით დაარსდა მრეწველობის განვითარების ბანკი.

50 - იან წლებში მეჯლისმა მიიღო კანონები უცხოეთის კაპიტალის წახალისების მიზნით. უცხოურ კაპიტალს ეძლეოდა შესაძლებლობა დაებანდებინა სახსრები ენერგომრეწ-ველობაში, ახალი საწარმოების მშენებლობაში და სხვა.

1950-1960 წლებში აიგო და მწყობრში ჩადგა შაქრისა და ცემენტის ქარხნები, საფეიქრო და ქაღალდის კომბინატები. ქვეყანას შეემატა ათეულობით ქარხანა, ფაბრიკა, ელსადგური, წიაღისეულის მომპოვებელი საწარმო.

გაიზარდა ქვეყნის ეკონომიკაში მრეწველობის წილი, მაგრამ ამ დარგის ზრდა უპირატესად მიმდინარეობდა მსუბუქი მრეწველობის ხარჯზე.

არც თუ სახარბიელო ვითარება იყო თურქეთის სოფლის მეურნეობაში.

1952 წლის აღწერის მიხედვით, თურქეთის სოფლის მოსახლეობა ითვლიდა 2930 ათას ოჯახს. აქედან 489 ათას ოჯახს (16,7%) სრულებით არ ჰქონდა მიწის ნაკვთი.

1507 ათასი (51,4%) ოჯახი ფლობდა მიწის ნაკვეთს 0,1-5 ჰექტრის ოდენობით, 530 ათასი ოჯახი (18,1%) კი 5-10 ჰექტარს.

ამ სამი კატეგორიის (სოფლის მოსახლეობის 86,2%) მფლობელობაში იყო დასამუშავებელი მიწის ფართობის მხოლოდ 28%, მაშინ როდესაც 76 ათას მემამულეს (მთელი მეურნეობების 2,6%) ეკუთვნოდა მიწების 44%.

დემოკრატიული პარტიის მთავრობა უმთავრესად გამოხატავდა მსხვილი მიწათმფლობელების ინტერესებს, რომლებიც წარმოადგენდნენ პარტიის დასაყრდენს სოფლად. მთავრობა ზრდიდა სოფლის მეურნეობის დაფინანსებას.

ბანკის კრედიტები სოფლის მეურნეობაში გაიზარდა. 1950 წელს კრედიტები შეადგენდა 412 მლნ. ლირას, ხოლო 1960 წელს – 2392 მლნ. ლირას.

თურქეთის მთავრობამ სოფლად დიდი რაოდენობით შემოიტანა სასოფლო - სამეურნეო მანქანები. 1959 წელს ქვეყანაში აღრიცხული იყო 44 ათასი ტრაქტორი, 5 ათასზე მეტი კომბაინი და 40 ათასამდე სხვადასხვა სახის სამეურნეო დანადგარი.

სასოფლო ტექნიკის გამოყენების შედეგად გაიზარდა მარცვლეულის სათესი ფართობი და მისი მოსავლიანობა.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვებოდა სამხედრო ხარჯები.

1950-1959 წლებში სამხედრო ხარჯები შეადგენდა 9 მლრდ. ლირას.

50-იანი წლების ბოლოს ისინი შეადგენდა მთელი სახელმწიფო ბიუჯეტის 30%-ს. ამ პერიოდში გადასახადების საშუალო წლიური ზრდა შეადგენდა 26%-ს.

1960 წელს სახელმწიფო ვალი შეადგენდა 12 მლრდ. ლირას. მისი ზრდის გამო მთავრობა იძულებული იყო აეღო ახალი კრედიტები, ვალის პროცენტების დასაფარავად.

1958 წელს მთავრობა იძულებული გახდა მოეხდინა ლირის დევალვაცია.

1950 წელს სტამბოლში დაარსდა მშვიდობის მომხრეთა საზოგადოება, რომელშიც შევიდნენ თურქეთის ინტელიგენციის წარმომადგენლები. ისინი აქტიურად იბრძოდნენ ქვეყანაში დემოკრატიზაციისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის.

პროგრესული ძალების მოთხოვნით, მთავრობა იძულებული გახდა საპატიმროდან გაეთავისუფლებინა გამოჩენილი პოეტი - ნაზიმ ჰიქმეთი.

მენდერესის მთავრობამ, ქვეყანაში გააძლიერა რეპრესიები მშვიდობის მომხრეების წინააღმდეგ. დახურა მშვიდობის მომხრეთა საზოგადოება და აკრძალა გაზეთ „ბარაშის“ გამოცემა.

1950 წლის ივნისში მეჯლისმა მიიღო კანონი არაბულ ენაზე ყურანის კითხვის შესახებ.

მთავრობის ნებართვით რადიოში დაიწყეს ყურანის კითხვა. რელიგიის სწავლა სავალდებულო გახდა დაწყებით და საშუალო სკოლებში. აღადგინეს იმამებისა და მოლების მოსამზადებელი სკოლები. ანკარის უნივერსიტეტთან გაიხსნა ღვთისმეტყველების ფაკულტეტი. 1958 წელს სტამბულში გაიხსნა ორწლიანი ისლამის უმაღლესი სკოლა.

1959 წელს თურქეთში უკვე არსებობდა 19 რელიგიური სკოლა 4233 მოსწავლით. მთელ ქვეყანაში დაიწყო ახალი მეჩეთების მშენებლობა და ძველების შეკეთება.

დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო რიგი კანონებისა, რომლებიც მიზნად ისახავდა ოპოზიციის დათრგუნვას, კერძოდ, სახალხო-რესპუბლიკური პარტიის საქმიანობის შეზღუდვას.

1951 წლის ნოემბერში მეჯლისმა მიიღო რეაქციული კანონი, რომელიც ითვალისწინებდა კომუნისტური ჯგუფებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელების სიკვდილით დასჯას.

შეიცვალა აგეთვე სისხლის სამართლის მუხლი და გადიდდა სასჯელი, არსებული რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური საქმიანობისათვის.

1954 წელს მეჯლისმა მიიღო „ბეჭდვის“ კანონი, რომლის მიხედვითაც ჟურნალისტი და წერილის ავტორი, რომელიც აკრიტიკებდა სახელმწიფო მოღვაწეებს და ამით ზიანს აყენებდა სახელმწიფოს, იმსახურებდა პატიმრობას ერთი თვიდან სამ წლამდე და ფულად ჯარიმას 1000 ლირადან 5000 ლირამდე. ჟურნალისტებს არ ჰქონდათ აპელაციის უფლება.

1953 წლის დეკემბერში მთავრობამ გადაწყვიტა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის მოძრავი და უძრავი ქონების კონფისკაცია, რომელიც ამ უკანასკნელმა შეიძინა ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს.

ასეთი დაძაბული ვითარების ფონზე, 1954 წლის მაისში ჩატარდა მეჯლისის არჩევნები.

არჩევნების შედეგად: დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო 490 მანდატი, სახალხო-რესპუბლიკურმა - 30, რესპუბლიკურ-ნაციონალურმა – 5, დამოუკიდებელმა დეპუტატებმა -10.

თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად კვლავ აირჩიეს ჯელალ ბაიარი, ხოლო პრემიერ-მინისტრად - ადნან მენდერესი.

26 მაისს მეჯლისმა მოიწონა ახალი მთავრობის პროგრამა, რომელიც წინარესაგან არაფრით განსხვავდებოდა.

ახალი მთავრობა კვლავ აგრძელებდა დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ ბრძოლას.

ქვეყანაში იზრდებოდა უკმაყოფილება „დემოკრატიული“ პარტიის მიმართ. მათ რიგებს გამოეყო ჯგუფი და ამ ჯგუფმა 1952 წელს დააარსა თურქეთის გლეხური პარტია, რომლის თავმჯდომარე გახდა რ. არიქი.

1955 წლის ნოემბერში სახალხო-რესპუბლიკური პარტიის წევრებმა დააარსეს თავისუფლების პარტია, რომლის გენერალური მდივანი გახდა ფ. კარაოსმანოღლუ.

1957 წლის 27 ოქტომბერს მეჯლისში ჩატარდა რიგგარეშე არჩევნები. დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო - 419 მანდატი, სახალხო-რესპუბლიკურმა-173, რესპუბლიკურმა სახალხო პარ-

ტიამ - 4, თავისუფლების პარტიამ - 4, დამოუკიდებელმა კანდიდატებმა- 2.

მეჯლისში ადგილების განაწილება არ ასახავდა პოლიტიკური ძალების გავლენას.

არჩევნების შემდეგ დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო 376 ათასი ხმით ნაკლები, მხოლოდ მაჟორიტარულმა საარჩევნო სისტემამ უზრუნველყო მისი ადგილების უმრავლესობა მეჯლისში.

დემოკრატიული პარტიის მმართველობის დროს არსებულმა ინფლაციამ, ფინანსურმა კრიზისმა, გააუარესა მშრომელი მასების მატერიალური მდგომარეობა.

დემოკრატიული პარტიის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსი არ შეცვლილა.

საგარეო პოლიტიკის სფეროში თურქეთი რჩებოდა ერთგული 1939 წელს ინგლისთან და საფრანგეთთან დადებული ხელშეკრულებისა და აგრძელებდა მეგობრულ თანამშ- რომლობას აშშ-თან.

დასავლეთის სახელმწიფოები მიისწრაფოდნენ თურქეთი გამოეყენებინათ ახლო და შუა აღმოსავლეთში თავიანთი მიზნების განსახორციელებლად.

1951 წლის 10 ნოემბერს აშშ-ის, ინგლისის, საფრანგეთისა და თურქეთის მთავრობებმა მოუწოდეს არაბულ სახელმწიფოებსა და ისრაელს მონაწილეობა მიეღოთ – „ახლო აღმოსავლეთის სამხედრო სარდლობის შექმნაში“, მაგრამ აღმოსავლეთის ქვეყნების უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა ამ პროექტს და იგი ჩაიშალა.

1950 წელს თურქეთის მთავრობამ, მეჯლისის თანხმობის გარეშე, კორეაში გაგზავნა „მოხალისეთა“ ბრიგადა.

1950-1953 წლებში კორეის ომის დროს თურქეთმა გაგზავნა 20 ათასი თურქი ჯარისკაცი კორეაში, მათი დიდი ნაწილი ომში დაიღუპა, დასახიჩრდა ან ტყვედ ჩავარდა.

თურქეთი იყო ახლო და შუა აღმოსავლეთის ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კორეის ომში.

1950 წელს თურქეთის მთავრობამ აშშ -თან, ინგლისთან და საფრანგეთთან ერთად შეიმუშავეს „ხმელთაშუა ზღვის სარდლობის“ შექმნის გეგმა, მაგრამ მის წინააღმდეგ გამოვიდნენ არაბული სახელმწიფოები და ეს პროექტიც ჩაიშალა.

1951 წლის მაისში აშშ-მა მისცა რეკომენდაცია თურქეთს, შესულიყო ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო). 1951 წლის ოქტომბერში ლონდონში ხელი მოაწერეს ოქმს, თურქეთის ნატოში მიღების შესახებ.

1952 წლის 18 თებერვალს თურქეთის მეჯლისმა მოახდინა ნატოში შესვლის ხელშეკრულების რატიფიცირება.

ნატოში შესვლის შემდეგ თურქეთი აქტიურად მონაწილეობდა აშშ-ისა და ინგლისის ინიციატივით შედგენილ სამხედრო ბლოკებში. მან საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახლო და შუა აღმოსავლეთში სამხედრო ბლოკის შექმნაში.

1954 წლის აპრილში კარაჩიში ხელი მოაწერეს თურქეთ-პაკისტანის ხელშეკრულებას, ხოლო 1955 წლის თებერვალში გაფორმდა თურქეთ-ერაყის ხელშეკრულება.

1955 წლის ნოემბერში ბაღდადში ჩატარდა თურქეთის, ერაყის, ირანის, პაკისტანისა და ინგლისის პრემიერ-მინისტრების შეხვედრა, რომელზეც გაფორმდა სამხედრო ბლოკის – ბაღდადის პაქტის შექმნა.

1958 წლის იანვარში, ერაყში მომხდარი რევოლუციის შედეგად, ერაყი გამოვიდა ბაღდადის პაქტის შემადგენლობიდან. ამის გამო, აღნიშნულ პაქტს შეეცვალა სახელწოდება და მას უწოდეს სენტო (ახლო აღმოსავლეთის სამხედრო სარდლობა) **(1979 წელს სენტოდან პაკისტანისა და ირანის გამოსვლის შემდეგ ამ ორგანიზაციამ შეწყვიტა არსებობა).**

თურქეთმა მონაწილეობა მიიღო ყველა იმ აქციაში, რომლებიც მოაწყვეს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ დასავლეთის სახელმწიფოებმა.

1956 წლის ივლისში თურქეთი გაილაშქრა ეგვიპტის მიერ სუეცის არხის ნაციონალიზაციის წინააღმდეგ და მხარი დაუჭირა ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესიას ეგვიპტის წინააღმდეგ.

1958 წელს მან მხარი დაუჭირა ინგლის-ამერიკის ინტერვენციას ლიბანისა და იორდანიის წინააღმდეგ.

დემოკრატიული პარტიის მმართველობის პერიოდში გრძელდებოდა აშშ-ის ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა თურქეთზე.

1948 - 1959 წლებში აშშ-ის დახმარებამ თურქეთისადმი შეადგინა 2885,5 მლნ.დოლარი, აქედან 1878,3 მლნ.დოლარი სამხედრო დახმარებას მოხმარდა, დანჩენილი თანხა კი - ეკონომიკის განვითარებას.

აშშ-ის ეკონომიკური და ტექნიკური დახმარების ნახევარზე მეტი მოხმარდა გზების, აეროდრომების და ნავსადგურების მშენებლობებს, რომელთაც ჰქონდათ დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა.

1959 წლის მარტში, თურქეთსა და აშშ შორის დაიდო ორმხრივი სამხედრო შეთანხმება, რომლის მიზანი იყო თურქეთი გადაექცია, მთავარ რაკეტულ-ატომურ ბაზად საბჭოთა კავშირის საზღვრებთან.

1959 წლისათვის ძირითადად დამთავრდა თურქეთის არმიის აღჭურვა უახლესი სამხედრო ტექნიკით.

ქვეყანაში ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ, ხალხის მასების უკმაყოფილებამ, გაამწვავა ბრძოლა მმართველ და ოპოზიციურ პარტიებს შორის.

1960 წლის დამდეგისათვის მმართველ დემოკრატიულ პარტიას კარგად ესმოდა, რომ ქვეყანაში შექმნილია მძიმე მდგომარეობა და განიზრახა ვადამდელი არჩევნების ჩატარება.

დემოკრაიული პარტია მიმართავდა ახალ რეპრესიებს. 1960 წლის თებერვალში მენდერესმა შეიტანა მეჯლისში წინადადება ინონუსა და სახალხო-რესპუბლიკური პარტიის 10 სხვა დეპუტატებისათვის ჩამოერთვათ ხელშეუხებლობის უფლება.

1960 წლის 20 მარტს ისმეთ ინენუ არ შეუშვეს ქ. კაისერში, რათა მონაწილეობა მიეღო სახალხო-რესპუბლიკური პარტიის კონფერენციაში.

1960 წლის 13 აპრილს სახალხო-რესპუბლიკური პარტიის დეპუტატებმა მეჯლისში შეიტანეს წინადადება, რათა განხი-

ლულიყო დემოკრატიული პარტიისა და მთავრობის არაკანონიერი ქმედებები.

15 აპრილს მმართველმა პარტიამ მეჯლისში შეიტანა რეზოლუცია ამ საკითხთან დაკავშირებით და მოითხოვა შექმნილოყო სპეციალური კომისია.

კომისიამ მიიღო დადგენილება სამი თვით აკრძალულიყო კრებები და ოპოზიციური პარტიების ყრილობები. იკრძალებოდა ოპოზიციური გაზეთების მიერ ყოველგვარი პოლიტიკური ინფორმაციის გაკეთება.

1960 წლის 19 აპრილს დაახლოებით 10 ათასმა კაცმა მოაწყო საპროტესტო დემონსტრაცია კიზილაის (ანკარა) მოედანზე. დემონსტრანტებს შორის იყო ინენუც. პოლიციამ დაარბია დემონსტრანტები და 22 კაცი დააპატიმრა.

26 აპრილს მეჯლისის სხდომაზე დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა შეიტანეს კანონპროექტი, ზემოთ აღნიშნული კომისიისათვის საგანგებო რწმუნებების მინიჭების შესახებ.

27 აპრილს კომისია შეუდგა რწმუნებების განხორციელებას: შემოღებულ იქნა საგანგებო მდგომარეობა ანკარასა და სტამბოლში, დაიხურა ოპოზიციური გაზეთები „ულუსი," „დუნია," „ჯუმჰურიეთი," და „ აკისი."

პარტიათა შორის ბრძოლაში ჩაერთვნენ სტუდენტებიც. 18 აპრილს სტამბოლის უნივერსიტეტის სტუდენტებმა მოაწყვეს საპროტესტო დემონსტრაცია. პოლიციამ ცეცხლი გაუხსნა სტუდენტებს და დაარბია ისინი. იმავე დღეს სტამბოლში შემოიღეს საგანგებო მდგომარეობა.

19 აპრილს, ანკარის უნივერსიტეტის სტუდენტებმაც მოაწყვეს საპროტესტო დემონსტრაცია. პოლიციამ ვერ შეძლო დემონსტრაციის დაშლა და მთავრობამ ჯარის ნაწილები გამოიყვანა. შეტაკების დროს რამდენიმე სტუდენტი მოკლეს და დაჭრეს.

სტუდენტებისა და ახალგაზრდების გამოსვლები და მიტინგები ჩატარდა სხვა ქალაქებშიც, ისინი აპროტესტებდნენ მეჯლისის მიერ სპეციალური კომისიის შექმნას, მოითხოვდნენ მენდერესის მთავრობის გადაყენებას, ვინაიდან, ის არღვევდა

დემოკრატიულ მმართველობას და ქვეყანაში დიქტატურას ამ-ყარებდა.

ასეთი რთული ვითარების ფონზე, სამხედროებმა გადაწ-ყვიტეს დაემხოთ ბაიარ-მენდერესის დიქტატურა და ხელში აე-ღოთ ძალაუფლება.

თურქეთში არმიას ყოველთვის განსაკუთრებული როლი ეკავა. ასე იყო ოსმალეთის იმპერიაში ქემალისტურ რევოლუ-ციამდე, ასეთივე მდგომარეობაა რესპუბლიკურ თურქეთში.

თურქეთში არმია ისეთი ფენომენია, რომლის გამორიც-ხვის შემთხვევაში, გაუგებარი და აუხსნელი იქნება თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ბევრი მოვლენა.

არმია კულისებიდან თოჯინების ძაფებით მართავდა სა-ხელმწიფოს.

დემოკრატიული პარტია და მენდერესის მთავრობა ნაკ-ლებ ყურადღებას იჩენდა არმიისა და ოფიცრების მიმართაც.

ეს განსაკუთრებით გაძლიერდა 1954 წლიდან, როდესაც მენდერესმა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში გააკრიტიკა თურქი ოფიცრები. სწორედ აქედან იწყება არმიაში შეთქმულებათა პე-რიოდი.

1954 წლის მაისში ქ. ტუზლას სამხედრო-საჰაერო სკოლის ორ კურსანტს კაპიტან დუნდარ სეიჰანს და ირჰან ჯაბიბს დაე-ბადათ იდეა შეექმნათ საიდუმლო ორგანიზაცია და დაეწყოთ ბრძოლა ხელისუფლების შესაცვლელად.

შეთქმულთა ჯგუფებმა 1957 წელს საბოლოოდ აირჩიეს აჯანყების გზა. საჭირო იყო ლიდერის მონახვა, რომელიც არმი-ასა და ხალხის მასებში ავტორიტეტით სარგებლობდა.

თადაპირველად ისმეთ ინენუს შესთავაზეს ლიდერის ფუნ-ქციის შესრულება, მაგრამ მან ამ წინადადებაზე უარი განაცხა-და.

შემდეგ შეჩერდნენ გენერალ ნეჯათ თეჯანის კანდიდატუ-რაზე, მაგრამ 1958 წლის ზაფხულზე ის მოულოდნელად გარდა-ივალა. ბოლოს კი შეთქმულებმა არჩევანი გენერალ ჯემალ გურსელზე შეაჩერეს.

1959 წლის დეკემბერში შეთქმულთა ორგანიზაციის წევრები ანკარაში შეუდგნენ აჯანყებისა და მისი შემდგომი მოქმედების გეგმის შემუშავებას.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სახელმწიფო გადატრიალება უნდა მომხდარიყო 1960 წელს.

1960 წლის დასაწყისიდან თურქეთში მდგომარეობა მეტად გამწვავდა და დაიძაბა. მოსალოდნელი იყო ქვეყანაში საყოველთაო - მასობრივი გამოსვლების დაწყება სოციალური რეფორმების მოთხოვნით.

1960 წლის 3 მარტს, თურქეთის სახმელეთო ჯარების სარდალმა, გენერალმა ჯემალ გიურსელმა, ეროვნული თავდაცვის მინისტრს გაუგზავნა გამაფრთხილებელი წერილი, სადაც იგი მოითხოვდა პრეზიდენტის გადაყენებას.

1960 წლის 6 მაისს ჯემალ გიურსელი აიძულეს შვებულებაში წასულიყო.

26 მაისს შეთქმულ ოფიცერთა ხელმძღვანელობამ შეიმუშავა საბრძოლო გეგმა და მეორე დღეს, დილის 3 საათზე, აჯანყებულთა ტანკები შევიდნენ ანკარასა და სტამბოლში. აჯანყებულებმა დაიკავეს: პარლამენტი, მთავრობის დაწესებულებები, აეროდრომები, ფოსტა-ტელეგრაფი, რადიოკვანძი და სხვა. დაიწყო მთავრობის წევრების მასობრივი დაპატიმრებები.

დაპატიმრებულთა შორის იყვნენ ჯელალ ბაიარი, პრემიერ-მონისტრი ადნან მენდერესი, დემოკრატიული პარტიის სხვა ხელმძღვანელები, მინისტრები, მეჯლისის დეპუტატები დემოკრატიული პარტიიდან და სხვა.

დილით, თურქეთის ახალი სამხედრო ადმინისტრაციის სახელით, რადიოთი გამოვიდა პოლკოვნიკი ალფარსლან თურქეთში და განაცხადა, რომ ძალაუფლება ხელში აიღეს შეიარაღებულმა ძალებმა.

ამრიგად, თურქეთში მოხდა სამხედრო გადატრიალება და მთელი ძალაუფლება დროებითი მთავრობის ხელში გადავიდა.

1960 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ხელისუფლება „ეროვნული ერთობის კომიტეტის“ ხელში გადავიდა. დროებითი კომიტეტი, რომელიც შედგებოდა 38 გენერლისა და ოფიცრისაგან, გახდა სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებ-

ლო ორგანო. სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარედ და დროებითი მთავრობის ხელმძღვანელად აირჩიეს გენერალი ჯემალ გიურსელი.

დროებითმა მთავრობამ გამოაქვეყნა სპეციალური პროგრამა, რომლითაც მოსახლეობას პირდებოდნენ:

1. მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვას;

2. ანტიდემოკრატიული კანონების გაუქმებას;

3. სახელმწიფო ღონისძიებათა ახალ საფუძველზე განხორციელებას;

4. მოსახლეობის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას;

5. მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას.

მთავრობამ დევიზად დაისახა ათათურქისეული შეხედულება „მშვიდობა ქვეყნის შიგნით, მშვიდობა მთელ მსოფლიოში.“

ეროვნული ერთობის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ციხიდან გაეთავისუფლებინათ წინა მთავრობის მიერ დაპატიმრებულები. მან დროებით აკრძალა პოლიტიკური პარტიების საქმიანობა, ცვლილება შეიტანა „პრესის კანონში,“ რომლის შემდეგ აიკრძალა დემოკრატიული პარტიის ჟურნალ-გაზეთების გამოცემა.

ეროვნული ერთობის კომიტეტში, პოლიტიკური და სოციალურ - ეკონომიკური პრობლემების განხილვის დროს, გამოიკვეთა ორი დაჯგუფება:

*ერთი -ზომიერი, რომელსაც მხარს უჭერდა ჯ. გურსელი.

*მეორე - რადიკალურ - ნაციონალური (ახალგაზრდა ოფიცრები), რომელშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა პოლკოვნიკი ალფარსლან თურქეში.

1960 წლის აგვისტოში უთანხმოებამ კომიტეტში პიკს მიაღწია.

რადიკალურ-ნაციონალური ჯგუფი მოითხოვდა მთავრობის პროგრამის შეცვლას და მთავრობაში თავისი მომხრეების შეყვანას.

1960 წლის 25 აგვისტოს ეროვნული ერთობის კომიტეტმა ათი მინისტრი გადააყენა.

1960 წლის სექტემბრის დასაწყისში, ჯემალ გიურსელის მეთაურობით, შეიქმნა ახალი მთავრობა, რომლის უმრავლესობა შედგებოდა პროფესორებისაგან.

1960 წლის 13 ნოემბერს, ზომიერი ჯგუფის მოთხოვნით, ჯემალ გიურსელმა ეროვნული კომიტეტის შემადგენლობიდან გამოიყვანა 14 რადიკალური წევრი, რომლების უცხოეთში გაგზავნეს და თურქეთის საელჩოებში მრჩევლებად დანიშნეს.

1961 წლის 4 იანვარს, დამფუძნებელი კრების გახსნამდე, ჯემალ გიურსელის დროებითი მთავრობა გადადგა. მეორე დღეს გამოცხადდა ახალი მთავრობის შემადგენლობა. ეს იყო მესამე მთავრობა სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, რომელსაც ჯემალ გიურსელი მეთაურობდა.

ორი წინა მთავრობისაგან განსხვავებით, მის შემადგენლობაში შევიდნენ ორი პარტიის: სახალხო-რესპუბლიკურისა და რესპუბლიკურ-გლეხურ-ნაციონალურის წარმომადგენლები.

1960 წლის დეკემბერში ეროვნული ერთობის კომიტეტმა მიიღო კანონი დამფუძნებელი კრების შესახებ.

დამფუძნებელი კრება შედგებოდა ეროვნული ერთობის კომიტეტისა და წარმომადგენლობითი პალატის წევრებისაგან. მას ჰქონდა საკანონმდებლო ძალაუფლება.

1961 წლის 6 იანვარს, დამფუძნებელმა კრებამ დაიწყო მუშაობა. იგი შედგებოდა 295 წევრისაგან, რომელთა უმრავლესობა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლები ან მისი მომხრეები იყვნენ.

დამფუძნებელი კრების მთავარი მიზანი იყო კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის შემუშავება.

1961 წლის დამდეგს მთავრობამ გადაწყვიტა შეეცვალა არსებული პარტიების სტატუსი და მიეღო ახალი პოლიტიკური პარტიების შექმნის დებულება.

მოკლე დროში თურქეთში აღმოცენდა 20-მდე ახალი პოლიტიკური პარტია.

ახლადდაარსებულ პარტიათა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ - სამართლიანობისა და ახალი თურქეთის პარ-

ტია, რომელთა უმეტესობა ყოფილი დემოკრატიული პარტიის წევრები იყვნენ.

1961 წლის 27 მაისს დამფუძნებელმა კრებამ მოიწონა კონ-სტიტუციის პროექტი, რომელიც ძალაში შევიდა იმავე წლის 9 ივლისს რეფერენდუმის გზით. ეს იყო თურქეთის მესამე კონ-სტიტუცია.

პირველი კონსტიტუცია მიიღეს 1876 წლის 23 დეკემბერს, აბდულ ჰამიდ მეორის მმართველობის დროს. კონსტიტუცია არ გაუქმებულა, მაგრამ 30 წელზე მეტი არ მოქმედებდა.1908 წლის ახალგაზრდა თურქთა რევოლუციის შემდეგ იარსება 1924 წლამდე, როდესაც მიიღეს თურქეთის რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია.

1961 წლის კონსტიტუცია აცხადებდა, რომ თურქეთის რესპუბლიკა არის ეროვნული, დემოკრატიული, საერო, სოცია-ლურ-სამართლებრივი სახელმწიფო, სადაც უმაღლესი ხელი-სუფლება „უსიტყვოდ ეკუთვნის ხალხს“ და ემყარება ადამიანის ძირითად უფლებებს.

კონსტიტუციით, საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთ-ვნოდა პარლამენტს, რომელიც შედგებოდა ორი პალატისაგან: სენატისა (150 წევრი) და ეროვნული პალატისაგან (450 დეპუ-ტატი).

აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენდა პრეზი-დენტი, მინისტრთა საბჭო და დამოუკიდებელი სასამართლო.

პრეზიდენტს ირჩევდა პარლამენტი 7 წლით. ახალი კონ-სტიტუციით გაძლიერებული იყო პრეზიდენტის ძალაუფლება. მას შეეძლო მეჯლისის დათხოვნა, კანონის დამტკიცება და სხვა.

სენატორებს ირჩევდნენ 6 წლით (ყოველ ორ წელიწადში ხდებოდა სენატის ერთი მესამედით განახლება), სენატის 15 წევრს ნიშნავდა პრეზიდენტი, მუდმივი წევრობის უფლებით. მასში შედიოდნენ აგრეთვე ეროვნული ერთობის კომიტეტის წევრები და ყოფილი პრეზიდენტები. ეროვნული კრების დეპუ-ტატებს ირჩევდნენ 4 წლით.

ახალი კონსტიტუციის ძირითადი პრინციპული განსხვავე-ბა 1924 წლის კონსტიტუციისაგან იყო ის, რომ გაძლიერდა აღ-

მასრულებელი ხელისუფლება, შეიცვალა პარლამენტის სტრუქტურა (ერთი პალატის ნაცვლად შემოიღეს ორი პალატა) და საკონსტიტუციო სასამართლო.

რელიგიური აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლების შესახებ კონსტიტუციაში ჩაიწერა: „რელიგიის სწავლება ხორციელდება სახელმწიფოს კონტროლისა და ზედამხედველობის ქვეშ."

დაწყებით და საშუალო სკოლებში რელიგიისა და მორალის სწავლება შეტანილ იქნა აუცილებელ დისციპლინად.

მიუხედავად სახელმწიფოს „კონტროლისა" და „ზედამხედველობისა," ისლამის მიმდევართა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა. პროცესი კი სახელმწიფო კონტროლს მიღმა რჩებოდა.

კონსტიტუცია პირველად ანიჭებდა სახელმწიფოს უფლებას, მიეღო აუცილებელი ზომები უმიწო და მცირე მიწის მქონე გლეხების უზრუნველყოფისათვის, მაგრამ მთავრობას ამ მუხლის შესასრულებლად რეალურად არაფერი გაუკეთებია.

თურქეთის ახალი კონსტიტუცია, მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა, წინგადადგმული ნაბიჯი იყო ქვეყანაში დემოკრატიის დამკვიდრების გზაზე.

სენატის დეპუტეტებს ირჩევდნენ მაჟორიტარული წესით, ხოლო ეროვნულ პალატაში – პროპორციული სისტემით.

1961 წლის კონსტიტუციის მიღების შედეგად თურქეთში დამყარდა მეორე რესპუბლიკა.

1961 წლის 15 სექტემბერს დამთავრდა სასამართლო პროცესი ,,დემოკრატიული" პარტიის ლიდერებისა და მათი მომხრეების წინააღმდეგ.

სასამართლო პროცესზე გამოვლინდა ბაიარ-მენდერესის მთავრობის წევრებისა და მათი მომხრეების ბოროტმოქმედებები, რომლებიც მათ ჩაიდინეს ქვეყნის წინაშე: დემონსტრანტების დახვრეტა, დიდძალი თანხების მითვისება, ქრთამის აღება, უცხოურ კომპანიებთან უკანონო გარიგებები და სხვა.

პასუხისგებაში მიცემული 592 კაციდან სასამართლომ 4 კაცს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა. მათ შორის პრეზიდენტ ჯელალ ბაიარს, რომელიც შემდეგ სამუდამო პატიმრობით შეეცვალა, ხოლო მოგვიანებით ის ამნისტიით გაათავისუფლეს.

ყოფილი პრემიერ-მინისტრი მენდერესი, ფინანსთა მინისტრი ფოლატკანი და საგარეო საქმეთა მინისტრი ზორლუ ჩამოახრჩეს.

ეს განაჩენი იყო ბოლო ეტაპი სამხედრო დიქტატურიდან სამოქალაქო მმართველობისაკენ გადასვლაზე.

1961 წლის 24 სექტემბერს თურქეთში დაიწყო წინასაარჩევნო კამპანია. მასში ძირითადად ოთხი პარტია იღებდა მონაწილეობას: სახალხო რესპუბლიკური (სრპ), სამართლიანობის (სპ), ახალი თურქეთის (ათპ) და მუშათა და გლეხთა სახალხო პარტია (მგსპ).

1961 წლის 15 ოქტომბერს ჩატარდა პარლამენტის არჩევნები. სადაც, სამართლიანობის პარტიამ (სპ) მიიღო სენატში - 70 მანდატი, ეროვნულ პალატაში – 158; სახალხო რესპუბლიკურმა პარტიამ (სრპ) – შესაბამისად, 36 და 174; ახალი თურქეთის პარტიამ (ათპ) – 28 და 65 და მუშათა და გლეხთა სახალხო პარტიამ (მგსპ) -15 და 54.

ამრიგად, სულ თურქეთის ეროვნული კრება (მეჯლისი) შედგებოდა 636 დეპუტატისაგან.

1961 წლის 26 ოქტომბერს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ ჯემალ გიურსელი აირჩია რესპუბლიკის პრეზიდენტად.

1961 წლის ნოემბერში პრეზიდენტმა ჯემალ გიურსელმა პირველი კოალიციური მთავრობის შედგენა დაავალა სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ლიდერს ისმეთ ინონუს.

კოალიციური მთავრობის შემადგენლობაში შევიდა სახალხო-რესპუბლიკური და სამართლიანობის პარტიის წევრები.

ახალ პროგრამაში მთავრობის მიზანი იყო: საშინაო პოლიტიკაში - ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა, ხოლო საგარეო პოლიტიკაში კი ძველი - მემკვიდრეობის შენარჩუნება და გაფართოება. ისინი ერთგული რჩებოდნენ ნატოსა და სენტოს ბლოკებისა.

ახალი კოალიციური მთავრობა უძლური აღმოჩნდა გადაეჭრა სოციალურ - ეკონომიკური პობლემები.

პოლიტიკური ვითარება ქვეყანაში არახელსაყრელი იყო. უკმაყოფილება სუფევდა გლეხობაში, მუშებში, ინტელიგენციასა და არმიაში.

მენდერესის ყოფილი მთავრობის მომხრეები მთელს თურქეთში მართავდნენ მიტინგებს და მეჯლისისაგან მოითხოვდნენ საყოველთაო ამნისტიას.

პოლიტიკურმა კრიზისმა 1962 წლის 22 თებერვალს პიკს მიაღწია. ანკარის სამხედრო სასწავლებლის კურსანტებმა და ოფიცრებმა ალყა შემოარტყეს მეჯლისს, პრეზიდენტის სასახლესა და მთავრობის რადიოსადგურს. აჯანყებაში მონაწილეობა მიიღო 8 ათასმა სამხედრომ, მათ შორის 500-მა ოფიცერმა.

ამ აჯანყებას ხელმძღვანელობდა ანკარის სამხედრო სკოლის მეთაური - პოლკოვნიკი თალათ აიდემირი.

ამ მოძრაობას არ ჰქონდა მოქმედების საერთო გეგმა. აჯანყებულები დანებდნენ მთავრობის მომხრე სამხედრო ნაწილებს. 300-მდე სამხედრო დააპატიმრეს.

მსგავსი მოვლენების აღკვეთის მიზნით, 1962 წლის მარტში მეჯლისმა მიიღო კანონი წესრიგის დაცვის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა მკაცრი ზომების მიღებას „კანონიერი ხელისუფლბის" დასაცავად.

1962 წლის 31 მაისს ისმეთ ინენუს კოალიციური მთავრობა გადადგა (კოალიციურმა მთავრობამ შვიდე თვე იარსება).

პრეზიდენტმა 7 ივნისს მეორე კოალიციური მთავრობის შედგენა კვლავ ისმეთ ინონუს დაავალა. მის შემადგენლობაში შევიდნენ: სახალხო-რესპუბლიკური პარტიის – 12 წარმომადგენელი; ახალი თურქეთის პარტიის – 6 და რესპუბლიკურ ეროვნული-გლეხური პარტიის – 4, ერთიც დამოუკიდებელი კანდიდატი.

ახალი მთავრობის შემადგენლობაში არ შევიდნენ სამართლიანობის პარტიის წარმომადგენლები.

ახალმა მთავრობამ წარმოადგინა მეტად ბუნდოვანი სახელმძღვანელო პროგრამა, რომელმაც ხალხის მასებში უკმაყოფილება გამოიწვია.

1963 წლის გაზაფხულზე თურქეთში მდგომარეობა კვლავ დაიძაბა. 20 მაისს ანკარაში ადგილი ჰქონდა მორიგ სახელმწიფო გადატრიალების ცდას.

მთავრობის წინააღმდეგ კვლავ გამოვიდნენ ანკარის სამხედრო სასწავლებლის კურსანტები. 21 მაისს აჯანყებულთა წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა.

ქვეყანაში შიდაპოლიტიკური მდგომარეობა კვლავ დაძაბული იყო. პრეზიდენტთან და პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან ხანგრძლივი კონსულტაციის შედეგად, 1963 წლის დეკემბერში, ისმეთ ინენუს კვლავ დაავალეს შეექმნა მესამე კოალიციური მთავრობა.

სახალხო-რესპუბლიკური პარტიის წევრების გარდა, მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ მხოლოდ დამოუკიდებლები.

არჩევნების შემდეგ, ფაქტობრივად, შეიქმნა მთავრობა, რომელშიც შევიდნენ მხოლოდ ერთი პარტიის წარმომადგენლები.

1964 წლის 7 ივლისს სამართლიანობის პარტიის გამარჯვებით დამთავრდა სენატის არჩევნები, რამაც კიდევ უფრო შეარყია მესამე მთავრობის პოზიციები.

1965 წლის 13 თებერვალს ისმეთ ინონუს მესამე მთავრობა გადადგა და 20 თებერვალს შეიქმნა მეოთხე კოალიციური მთავრობა, რომელშიც შევიდნენ: სამართლიანობის პარტიის - 11 წევრი, მუშურ-გლეხური, ახალი თურქეთის – 4 და ნაციონალურის – 4 წევრი.

მთავრობის მეთაური გახდა „დამოუკიდებელი“ პოლიტიკური მოღვაწე, სენატორი სუათ ჰაირი ურგუპლუ. მისი პროგრამა არ განსხვავდებოდა წინარე მთავრობების პროგრამებისაგან.

ქვეყნის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, 1965 წლის 10 ოქტომბერს პარლამენტში ჩატარებული არჩევნები, სადაც გაიმარჯვა სამართლიანობის პარტიამ. მან მოაგროვა ხმების 56-58% და პარლამენტში გაიყვანა 240 დეპუტატი.

არჩევნებში გამარჯვების შემდეგ სამართლიანობის პარტიამ მიიღო უფლება შეედგინა ერთპარტიული მთავრობა. ახალი მთავრობის პრემიერ-მინისტრი გახდა სულეიმან დემირელი.

ერთპარტიულმა მთავრობამ სულეიმან დემირელის მეთაურობით იარსება 1971 წლის 12 მარტამდე.

სამართლიანობის პარტიის პროგრამა გამოხატავდა მსხვილი ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესებს და ითვალისწინებდა თურქეთში უცხოურიკაპიტალის მოზიდვას.

სახელმწიფოს სათავეში მოსვლის შემდეგ, სამართლიანობის პარტიამ მიიღო ზომები სახელმწიფო მმართველობის აპარატზე თავისი კონტროლის დასამყარებლად. გადაყენებულ იქნენ გუბერნატორები, ქალაქის მერები, პროკურორები, მოსამართლეები.

ამ პერიოდში თურქეთის პრეზიდენტი ჯემალ გურსელი მძიმედ იყო ავად და აღარ შეეძლო მეჯლისის საქმიანობაში მონაწილეობა.

1966 წლის 28 მარტს ორივე პალატის გაერთიანებულ სესიაზე პრეზიდენტად აირჩიეს თურქეთის გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი ჯევდეთ სუნაი.

1966 წლის ივნისში თურქეთში ჩატარდა სენატის არჩევნები, სადაც 52 ადგილიდან სამართლიანობის პარტიამ მიიღო 35 ადგილი.

1960 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, თურქეთში კვლავ იჩინა თავი ეკონიმიკის დაგეგმვის ტენდენციამ. ეს იმაში გამოხატა, რომ 1960 წლის სექტემბერში დაარსდა სახელმწიფო საგეგმო ორგანიზაცია, რომელსაც დაევალა ხუთწლიანი გეგმის შემუშავება.

1962 წლის ნოემბერში პარლამენტმა დაამტკიცა თურქეთის ეკონომიკური განვითარების ხუთწლიანი გეგმა (1963-1968 წწ), რომელიც ითვალისწინებდა ეროვნული შემოსავლის გაზრდას 7%-ით, სამრეწველო წარმოების 16,8%-დან 21,4%-მდე, სოფლის მეურნეობის პროდუქციისას 25,6%-ით, ენერგეტიკისა კი 83,9%-ით. მთელი ეროვნული შემოსავლისას კი 40%-ით.

პირველი ხუთწლიანი გეგმა მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა, ამის მთავარაი მიზეზი იყო ის, რომ ვერ მოხერხდა მისი დაფინანსება, რომელსაც თურქეთისთვის სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა.

1968 წლის 2 ივლისს ჩატარდა სენატის არჩევნები, სადაც სამართლიანობის პარტიამ მიიღო ხმების 50%-მდე, 6%-ით ნაკლები, ვიდრე წინა არჩევნების დროს.

1969 წლის ოქტომბერში ჩატარდა მეჯლისის არჩევნები, რომელშიც მონაწილეობდა რვა პოლიტიკური პარტია. არჩევნების შედეგად ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა: სამართლიანობის პარტია – 260 ადგილი; სახალხო-რესპუბლიკური პარტია – 144; ნდობის პარტია – 14; ერთობის პარტია – 7; სახალხო პარტია – 6; ახალი თურქეთის პარტია – 3; თურქეთის მუშათა პარტია – 2; ეროვნული მოძრაობის პარტია – 1; დამოუკიდებლები – 13.

1969 წლის არჩევნებმა დაადასტურა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სამართლიანობის პარტიის წამყვანი როლი. სულეიმან დემირელმა კვლავ შეადგინა ერთპარტიული მთავრობა.

1969 წლის ნოემბრის დასაწყისში სამართლიანობის პარტიამ მეჯლისს მიაღებინა კანონი „პოლიტიკური ამნისტიის“ შესახებ. ამ კანონით ისარგებლა დემოკრატიული პარტიის 500-ზე მეტმა წევრმა, რომელთაც ჩამორთმეული ჰქონდათ პოლიტიკური უფლებები.

ამ გადაწყვეტილებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია თურქეთის პროგრესულ საზოგადოებაში. გაიზარდა უკმაყოფილება თვით სამართლიანობის პარტიის რიგებში.

1970 წლის თებერვალში სამართლიანობის პარტიის 42 –მა დეპუტატმა უარყოფითი ხმა მისცა ახალ საბიუჯეტო კანონს და იგი ჩავარდა, რამაც გამოიწვია მთავრობის გადადგომა.

70-იანი წლების დასაწყისისათვის თურქეთი მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში აღმოჩნდა, რასაც მოჰყვა ქვეყანაში კრიზისი და სამხედრო გადატრიალება.

საკონტროლო კითხვები:

1) დაახასიათეთ თურქეთის საშინაო პოლიტიკური მდგომარეობა XX საუკუნის 50-60-იან წლებში;
2) ახსენით, რა ადგილს იკავებს მრავალპარტიული სისტემის შემოღება 50-იანი წლების თურქეთის საშინაო პოლიტიკაში;
3) რა როლი უჭირავს 1960 წლის სახელმწიფო გადატრიალებას თურქეთის საშინაო ცხოვრებაში;

4) ახსენით, სამხედროების როლი 60-იანი წლების თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

პრაქტიკული დავალება:
დაახასიათეთ და გააანალიზეთ 1960 წლის 27 მაისის სახელმწიფო გადატრიალების ძირითადი მიზეზები.

გამოყენებული ლიტერატურა და ვებგვერდები:

1. სვანიძე მ., თურქეთის ისტორია, (1923-2000). ტ.III, თბილისი, 2005.
2. ბატიაშვილი ზ., არმიის ადგილი და როლი თურქეთის რესპუბლიკაში (1923-2000 წლებში), თბილისი, 2003. საკანდიდატო დისერტაცია.
3. ბატიაშვილი ზ., თურქეთის შეიარაღებული ძალები, თბილისი, 2000.
4. გიგინეიშვილი ო., 1960 წლის სახელმწიფო გადატრიალება თურქეთში, თბილისი, 1963.
5. მაკარაძე ე., თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები, ბათუმი, 2000.
6. Гасратян М. А., Орешкова С. Ф., Петросян Ю. А. Очерки истории Турции. Москва, 1983.
7. Данилов В.И., Политическая борьба в Турции. Москва, Наука, 1985.
8. Иванова И.И., Ислам в политической жизни Турции (1950-1980)// Зарубежный Восток: религиозные традиции и современность. Москва, Наука, 1983.
9. Миллер А. Ф., Турция: актуальные проблемы новой и новейшей истории. Москва, 1983.
10. Новейшая история стран Азии и Африки XX век. Часть 3. 1945-2000. Под редакцией А.М.Родригеса. Москва, 2001.
11. Новейшая история Турции, Москва, 1968.
12. Шемсудинов А.М., Турецкая Республика, краткая очерк (1923-1961), М., 1962.
13. Türkiye Tarihi, № 4, Bugünkü Türkiye(1945-1980), Istanbul, 2004.

თავი VIII. თურქეთის რესპუბლიკა XX საუკუნის 70 -იან წლებში

1970 წლის დასაწყისში თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მეტად რთული მდგომარეობა შეიქმნა.

1970 წლის მარტში სულეიმან დემირელი იძულებული გახდა კვლავ შეექმნა ახალი მთავრობა.

სამართლიანობის პარტიის მთავრობა განაგრძობდა დემოკრატიული მოძრაობის ჩახშობასა და მშრომელი მასების წინააღმდეგ ბრძოლას.

ს. დემირელმა მეჯლისში განსახილველად შეიტანა კანონპროექტი, რომელიც ქვეყანაში ზღუდავდა დემოკრატიულ უფლებებს.

ამ კანონპროექტის წინააღმდეგ გამოვიდა თურქეთის რევოლუციური პროფკავშირების კონფედერაცია.

მათი მოწოდებით მუშებმა დაიწყეს გაფიცვები და დემონსტრაციები.

განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი სვლა მოეწყო 1970 წლის 15 -16 ივნისს სტამბოლ - იზმირის გზაზე, სადაც თავმოყრილია სამრეწველო საწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილი.

დემონსტრაციაში მონაწილეობდა 100 ათასი მუშა. ეს იყო ყველაზე ხალხმრავალი გამოსვლა თურქეთის ისტორიაში.

მთავრობა განაცვიფრა მუშათა მოძრაობის აქტიურობამ და ის იძულებული გახდა სტამბოლსა და იზმირში ერთი თვით გამოეცხადებინა საგანგებო მდგომარეობა.

პირველად, 1960 წლის 27 მაისის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, სტამბოლის ქუჩებში გამოჩდნენ ტანკები და ჯავშანიანი - მანქანები. მთავრობამ შემოიღო სამხედრო ტრიბუნალები, რასაც მოჰყვა პროგრესული მოღვაწეების დაპატიმრება.

1970 წლის აგვისტოში აიკრძალა პროგრესული ჟურნალის „ანტის“ გამოცემა.

მუშათა მოძრაობების ჩახშობის მიზნით, მმართველი წრეები განაგრძობდნენ საკანონმდებლო აქტების მიღებას.

1970 წლის ნოემბერში გაუქმდა 1967 წლის კანონი „შრომის შესახებ.“

მიუხედავად მასობრივი რეპრესიებისა, მუშათა გამოსვლები გრძელდებოდა, თავის კულმინაციას მათ 1970 წლის ბოლოს მიაღწია.

მოძრაობაში ჩაებნენ გლეხებიც, რომლებმაც დაკარგეს იმედი აგრარული რეფორმის ჩატარებისა, რიგ რაიონებში დაიწყეს მიწების ძალით მიტაცება.

ფართო ხასიათი მიიღო სტუდენტების გამოსვლებმაც. ისინი მოითხოვდნენ სოციალურ - ეკონომიკურ გარდაქმნებს და მთავრობის გადადგომას.

სამართლიანობის პარტიის შიგნით გაძლიერდა უთანხმოებები. 1970 წლის ბოლოს „პარტიის საწინააღმდეგო გამოსვლების“ გამო მისი რიგებიდან გარიცხეს 26 დეპუტატი.

ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი სულ უფრო მწვავდებოდა. პრეზიდენტმა ჯევდეთ სუნაიმ რამდენჯერმე შესთავაზა პრემიერ-მინისტრ სულეიმან დემირელს, გადამდგარიყო.

ასეთ ვითარებაში თურქეთის პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩნდა შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა, რომელმაც გადაწყვიტა კვლავ ხელში აეღო ძალაუფლება.

1971 წლის 10 მარტს მოიწვიეს უმაღლესი სამხედრო საბჭოს სხდომა, რომელმაც განიხილა ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა. საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ს. დემირელის მთავრობა უნდა გადამდგარიყო.

1971 წლის 12 მარტს უმაღლესმა სამხედრო სარდლობამ პრეზიდენტ ჯევდეთ სუნაის წარუდგინა მემორანდუმი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ – „პარლამენტისა და მთავრობის მოღვაწეობისა და ოპოზიციის საქმიანობის შედეგად ქვეყანა აღმოჩნდა ჩათრეული ანარქიაში, ძმათა შორის ბრძოლაში, რამაც ქვეყნის მომავალი საფრთხის წინაშე დააყენა.“

მემორანდუმი მიუთითებდა, რომ საჭირო იყო შექმნილიყო ზეპარტიული მთავრობა, რომელიც ბოლოს მოუღებდა ანარქიას და შეუდგებოდა კონსტიტუციით გათვალისწინებული რე-

ფორმების გატარებას, ათათურქის პრინციპების სულისკვეთებით.

მემორანდუმი აფრთხილებდა, რომ ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში თურქეთის შეიარაღებული ძალები მზად იყვნენ შეესრულებინათ მათზე დაკისრებული მოვალეობა.

თურქეთის უმაღლესი სამხედრო ხელისუფლება დაინტერესებული იყო ქვეყნის სტაბილურობით.

თურქეთის არმიის სარდლობის ჩარევის შედეგად, 1971 წლის 12 მარტს სულეიმან დემირელის მთავრობა გადადგა.

პოლიტიკურ პარტიებს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად, პრეზიდენტმა ჯევდეთ სუნაიმ წინადადება შესთავაზა ნ. ერიმს, რესპუბლიკური პარტიის წევრს, დეპუტატს, შეედგინა ახალი მთავრობა და გამოსულიყო პარტიის რიგებიდან.

მარტის ბოლოს ჩამოყალიბდა ახალი მთავრობა, რომლის შემადგენლობაში შევიდა ხუთი წარმომადგენელი სამართლიანობის პარტიიდან, სამი – სახალხო - რესპუბლიკური, ერთი – სახალხო პარტიიდან, ხოლო თხუთმეტი იყო უპარტიო.

ახალი მთავრობის პროგრამაში ნათქვამი იყო კონსტიტუციით გათვალისწინებული რეფორმების ჩატარებაზე, შემდეგ სფეროებში: აგრარულ, საგადასახადო, ეროვნული განათლებისა და სხვა.

1971 წლის 26 აპრილს ერიმის მთავრობამ განაცხადა, რომ ერთი თვით გრძელდებოდა საგანგებო მდგომარეობა 11 ილში (ვილაიეთში).

მთავრობამ დაიწყო რეპრესიების გატარება დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ. დაპატიმრეს რამდენიმე ათასი კაცი.

1971 წლის 21 ივლისს აიკრძალა თურქეთის მუშათა პარტიის საქმიანობა.

ემირის მთავრობის მიერ ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო 1971 წლის 20 სექტემბერს გატარებული საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლითაც ძლიერდებოდა სახელმწიფო ხელისუფლების პრეროგატივა.

ყოველივე ამის შედეგად, მთავრობაში დაიწყო განხეთქილება, ის დატოვა 11-მა წევრმა. ამას მოჰყვა ერიმის მთავრობის გადადგომა.

1971 წლის 22 დეკემბერს, პრეზიდენტმა ახალი მთავრობის შედგენა კვლავ ერიმს დაავალა. ამ მთავრობას ხმა მისცა 301-მა დეპუტატმა, წინა მთავრობას 332 ხმა ჰქონდა მიღებული. ახალი მთავრობა უფრო კონსერვატორული იყო ვიდრე წინა.

1972 წლის აპრილის დასაწყისში პრეზიდენტმა ჯევდეთ სუნაიმ წინადადება შესთავაზა პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელებს, დროებით თავი შეეკავებინათ პოლიტიკური საქმიანობისაგან.

პოლიტიკურმა პარტიებმა უარყვეს ჯევდეთ სუნაის ეს წინადადება და 1972 წლის 17 აპრილს ერიმის მთავრობა იძულებული გახდა მეორედ გადამდგარიყო.

1972 წლის 15 მაისს ჯევდეთ სუნაიმ ახალი მთავრობის შედგენა დაავალა ეროვნული ნდობის პარტიის ლიდერს, ეროვნული დაცვის მინისტრს - ფ. მელენს.

ახალი მთავრობა თავისი მოღვაწეობის პირველივე ღონისძიებების გატარებისას წააწყდა იმავე ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიძნელეებს, რის გამოც წინა მთავრობა გადადგა.

1972 წლის მაისში ჩატარდა სახალხო რესპუბლიკური პარტიის ყრილობა. ისმეთ ინონუ, რომელიც ამ პარტიას სათავეში ედგა 1938 წლიდან, გადადგა და მისი ადგილი დაიკავა ბულენთ ეჯევითმა. 1973 წლის აპრილში ჩატარდა პრეზიდენტის არჩევნები და 1973 წლის 6 აპრილს პრეზიდენტად აირჩიეს სენატორი ფაჰრი ქორუთურქი.

პრეზიდენტის არჩევის შემდეგ, გადადგა მელენის მთავრობა. ახალი მთავრობის დაკომპლექტება დაევალა ნ. ტალს, რომელმაც 1973 წლის 16 აპრილს შექმნა კოალიციური მთავრობა - სამართლიანობისა და ნდობის რესპუბლიკური პარტიის მონაწილეობით.

1973 წლის 26 სექტემბერს ანკარასა და სტამბულში გაუქმდა საგანგებო მდგომარეობა.

1973 წლის 14 ოქტომბერს ჩატარდა მეჯლისის არჩევნები.

სახალხო - რესპუბლიკურმა პარტიამ ეროვნულ პალატაში მიიღო 185 ადგილი, სამართლიანობის პარტიამ კი 149 ადგილი.

მეჯლისის არჩევნების შემდეგ არმიის ხელმძღვანელობამ თავისი მისია ამოწურულად ჩათვალა და დაუბრუნდა თავისი დისლოკაციის ადგილებს.

1974 წლის იანვარში შეიქმნა „ნაციონალური ფრონტის" კოალიციური მთავრობა, ბ. ეჯევითის მეთაურობით. ახალი მთავრობა არასიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა.

უთანხმოება კოალიციის წევრებს შორის დაიწყო მთავრობის პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით, მაგრამ კოალიციის დაშლა შეჩერდა კვიპროსის კრიზისთან მიმართებით (1974 წლის 15 ივლისი).

1975 წლის 15 მარტს შეიქმნა კოალიციური მთავრობა ოთხი პარტიის მონაწილეობით. პრემიერ - მინისტრი გახდა სულეიმან დემირელი.

კოალიციაში შევიდნენ შემდეგი პარტიები: სამართლიანობის, ეროვნული ხსნის, ნდობის რესპუბლიკური პარტია და დემოკრატიის ნაციონალური პარტია.

1977 წლის 5 ივლისს, ჩატარდა პარლამენტის ვადამდელი არჩევნები. სადაც გამარჯვება მოიპოვა სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ. მან პარლამენტში მიიღო 213 ადგილი, სამართლიანობის პარტიამ - 189, ეროვნული კეთილდღეობის პარტიამ - 24, სახალხო ნაციონალურმა პარტიამ - 16.

ამრიგად, არჩევნების შედეგად, სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ შედარებითი უპირატესობა მოიპოვა პარლამენტში.

1977 წლის 21 ივნისს სახალხო - რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა, ეჯევითმა, შეადგინა ერთპარტიული მთავრობა. რომელიც პირველსავე სხდომაზე გადადგა.

1977 წლის 21 ივნისს სამართლიანობის პარტიის ლიდერმა სულეიმან დემირელმა შეადგინა მეორე კოალიციური ნაციონალური ფრონტის მთავრობა, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ სამი პარტიის წარმომადგენლები: სამართლიანობის, ნაციონალურ - დემოკრატიული და ეროვნული ერთობის პარტიისა.

თურქეთში გაძლიერდა ინფლაცია, უმუშევართა რიცხვმა 1977 წლის ბოლოსათვის მიაღწია 3 მილიონს, გაიზარდა ფასები

პირველადი მოთხოვნილების საქონელზე. თურქეთის საგარეო ვალმა 7 მილიარდ დოლარს მიაღწია.

1977 წლის დეკემბერში სამართლიანობის პარტიის რიგები დატოვა პარლამენტის რამდენიმე წევრმა, რითაც მან დაკარგა უმრავლესობა მეჯლისში.

1978 წლის 5 იანვარს შეიქმნა ერთპარტიული მთავრობა ეჯევითის მეთაურობით, რომელმაც გამოაცხადა მემარცხენე - ცენტრისტული კურსი.

ბ. ეჯევითის მთავრობამ შეიმუშავა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც ითვალისწინებდა:

ა) ნატოში უფრო დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას;

ბ) სხვადასხვა ქვეყანასთან მრავალმხრივი ურთიერთობის გაფართოებას;

გ) ნატოსაგან დამოუკიდებელი სპეციალური შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებას;

დ) ისეთი სამხედრო მრეწველობის შექმნას, რომელიც შეძლებდა თანამედროვე იარაღის წარმოებას და სხვა.

მთავრობამ ვერ შეძლო დაეძლია სერიოზული ფინანსურ-ეკონომიკური სიძნელეები, რასაც ქვეყანაში მდგომარეობის გაუარესება მოჰყვა.

1979 წლის 14 ოქტომბერს ჩატარდა მეჯლისის არჩევნები, სადაც გაიმარჯვა სამართლიანობის პარტიამ.

1979 წლის 12 ნოემბერს სულეიმან დემირელმა შეადგინა ერთპარტიული მთავრობა, მაგრამ მთავრობის სათავეში სამართლიანობის პარტიის მოსვლა ნიშნავდა მემარჯვენე ძალების გამარჯვებას. ახალმა მთავრობამ გაატარა ეკონომიკის ლიბერელიზაცია და დასავლეთთან კიდევ უფრო მეტად დაახლოების პლიტიკა.

1971 წლის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, თურქეთის საგარეო პოლიტიკის კურსი, ფაქტობრივად, არ შეცვლილა. იგი განაგრძობდა დასავლეთის ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობას და სამხედრო გაერთიანებებში (ნატო, სენტო) მონაწილეობას.

ამავე დროს თურქეთის რესპუბლიკამ ერთგვარად გააფართოვა თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან და სოციალისტურ სახელმწიფოებთან.

ამ პერიოდში განსაკუთრებით დაიძაბა ვითარება კვიპროსის საკითხებთან დაკავშირებით.

1960 წლის 16 აგვისტოს კვიპროსმა მიიღო დამოუკიდებლობა და რესპუბლიკად გამოცხადდა. თურქეთში ამ ფაქტმა დიდი რეაქცია გამოიწვია და დიწყო სამხედრო სამზადისი. 1964 წლის 22 ივლისს თურქეთის მთავრობამ, კუნძულის თურქული მოსახლეობის დაცვის მიზნით, ჯარის ნაწილები გადასხა კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილში. მთლიანობაში თურქეთმა კვიპროსის ტერიტორიის დაახლოებით 40%-ი დაიპყრო. 200 ათასი ბერძენი იძულებული იყო გადასახლებულიყო სამხრეთში, ხოლო 40 ათასი თურქი გადავიდა ჩრდილოეთში.

თურქეთის ჯარების კვიპროსზე გადასხმასთან დაკავშირებით, საბერძნეთმა მობილიზაცია გამოაცხადა და დაიწყო ჯარების თავმოყრა თურქეთის საზღვართან. თურქეთიც შეუდგა სამხედრო სამზადისს და 14 ვილაეთში გამოცხადდა სამხედრო მდგომარეობა.

1975 წლის 13 თებერვალს, კვიპროსის თურქული თემის ხელმძღვანელობამ, თურქეთის ჯარების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, შექმნა განცალკევებული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი: „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკა“.

საკონტროლო კითხვები:

1) დაახასიათეთ თურქეთის საშინაო პოლიტიკური მდგომარეობა XX საუკუნის 70-იან წლებში;
2) რა ადგილი უჭირავს 1970 წლის სახელმწიფო სამხედრო გადატრიალებას თურქეთის საშინაო ცხოვრებაში;
3) ახსენით, სამხედროების როლი 70-იანი წლების თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში.
4) რა ადგილი უჭირავს სახელისუფლებო და ოპოზიციურ პარტიებს 70-იანი წლების თურქეთის საშინაო ცხოვრებაში;
5) რა მსგავსებასა და განსხვავებას ხედავთ 70-იან წლებში მოღვაწე პოლიტიკურ ლიდერებს შორის.

პრაქტიკული დავალება:

გააანალიზეთ XX საუკუნის 70-იანი წლების თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი საკითხები.

გამოყენებული ლიტერატურა და ვებგვერდები:

1. სვანიძე მ., თურქეთის ისტორია, (1923-2000). ტ.III, თბილისი, 2005.
2. ბატიაშვილი ზ., არმიის ადგილი და როლი თურქეთის რესპუბლიკაში (1923-2000 წლებში), საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი, 2003.
3. ბატიაშვილი ზ., თურქეთის შეიარაღებული ძალები, თბილისი, 2000.
4. გიგინეიშვილი ო., 1960 წლის სახელმწიფო გადატრიალება თურქეთში, თბილისი, 1963.
5. მაკარაძე ე., თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები, ბათუმი, 2000.
6. Гасратян М. А., Орешкова С. Ф., Петросян Ю. А. Очерки истории Турции. Москва, 1983.
7. Данилов В.И., Политическая борьба в Турции. Москва, Наука, 1985.
8. Иванова И.И., Ислам в политической жизни Турции (1950-1980)// Зарубежный Восток: религиозные традиции и современность. Москва, Наука, 1983.
9. Миллер А. Ф., Турция: актуальные проблемы новой и новейшей истории. Москва, 1983.
10. Новейшая история стран Азии и Африки XX век. Часть 3. 1945-2000. Под редакцией А.М.Родригеса. Москва, 2001.
11. Новейшая история Турции, Москва, 1968.
12. Шемсудинов А.М., Турецкая Республика, краткая очерк (1923-1961), 1962.

თავი IX. თურქეთის რესპუბლიკა XX საუკუნის 80-იან წლებში

XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს და 80-იანი წლების დასაწყისში თურქეთის საშინაო ცხოვრებაში მძიმე ვითარება შეიქმნა. მკვეთრად გაუარესდა ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობა, გაიზარდა უმუშევრობა, ინფლაცია, ტერორი. გამწვავდა დაპირისპირება მემარჯვენე და მემარცხენე მოძრაობებს შორის. ქვეყანაში თანდათან იზრდებოდა პოლიტიკური ძალადობის მსხვერპლთა რიცხვი, რასაც მოჰყვა ათასობით ადამიანის დაპატიმრება. 1980 წლის ივლისში მოკლეს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ნიჰათ ერიმი და რევოლუციური სავაჭრო კავშირის კონფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი ქემალ თურქელი.

კრიზისს ის ფაქტიც ართულებდა, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში თურქეთში თოთხმეტჯერ შეიცვალა მინისტრთა კაბინეტი, რითაც ეცემოდა სახელმწიფო ხელისუფლების პრესტიჟი. პარალიზირებული იყო პარლამენტის მუშაობა და სხვა.

ერთადერთი ძალა, რომელსაც ამ ქაოსის შეჩერება შეეძლო, იყო არმია. მისი ხელმძღვანელობა მზად იყო გადამწყვეტი მოქმედებისათვის, მაგრამ ელოდებოდა ხელსაყრელ მომენტს.

80-იანი წლების დასაწყისში, თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ფაქტი იყო ქვეყნის ახალი პრეზიდენტის არჩევა. 1980 წლის აპრილის დასაწყისში ვადა გაუდიოდა პრეზიდენტ ფაჰრი კორუთურქის რწმუნებულებას. მეჯლისში დაწყებულმა საპრეზიდენტო დებატებმა თავისი შედეგი ვერ გამოიღო (თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს დიდი ეროვნული კრება ირჩევს საკუთარი შემადგენლობიდან), ჩატარებული 110 ტური საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ კენჭისყრაში მონაწილე კანდიდატებს დაეგროვებინათ ხმების უმრავლესობა. ამის მიზეზი იყო მეჯლისში სამართლიანობისა და სახალხო - რესპუბლიკური პარტიების შეუთანხმებლობა. მათ შორის, დაპირისპირების გამო, ვერ გადაიჭრა ვერცერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ფაქტობრივად, პარალიზებული იყო მეჯლი-

სის საქმიანობა, რის შედეგად არაქმედითუნარიანი შეიქმნა როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლება. ასეთი სიტუაცია თურქეთში ექვსი თვე გრძელდებოდა. 1980 წლის 7 აპრილიდან თურქეთის პრეზიდენტის მოვალეობა დროებით დაევალა სენატის თავმჯდომარეს იჰსან საბრი ჩაღლაიანგილს.

სამხედრო ხელისუფლებამ მიზანშეწონილად ჩათვალა, ახალი სახელმწიფო გადატრიალების გარდაუვობა. ასეთ ვითარებაში, 1980 წლის 12 სექტემბერს, დილის 4 საათზე, თურქეთის რადიომ მთელს ქვეყანას ამცნო სახელმწიფო გადატრიალების შესახებ.

შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობამ მთელი ძალაუფლება აიღო ხელში და შექმნა ე.წ. ეროვნული უშიშროების საბჭო. 1980 წლის 14 სექტემბერს საბჭოს სხდომაზე, სახელმწიფოს მეთაურად აირჩიეს არმიის გენერალი ქენან ევრენი, რომელმაც უმთავრეს პრიორიტეტად დაისახა „ქემალიზმის პრინციპების დაცვა.“

ქენან ევრენი

ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ: სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალების სარდლები, აგრეთვე ჟანდარმერიისა და პოლიციის მეთაურები. 1980 წლის 21 სექტემბერს თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი გახდა ყოფილი ადმირალი ბიულენთ ულუსუ, ხოლო მოადგილე - თურგუთ ოზალი. ეს იყო არა რეალური მთავრობა, არამედ უბრალოდ, ქვეყნის მმართველის, ე.წ. ეროვნული უშიშროების საბჭოს ადმინისტრაციული ორგანო.

1981 წლის 16 ოქტომბრის სპეციალური კანონით, ეროვნული უშიშროების საბჭომ დაითხოვა მეჯლისი. შეაჩერა 1961 წლის კონსტიტუციის მოქმედება. აკრძალა ყველა პოლიტიკური პარტიისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობა და მათი ქონება ნაციონალიზებული იქნა. ეროვნული უშიშროების საბჭომ დაასახელა 242 პირი, რომელთაც ათი წლით აეკ-

რძალათ პოლიტიკური საქმიანობა. ამ სიაში მოხვდნენ ყოფილი პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელები – სულეიმან დემირელი, ნეჯმეთთინ ერბაქანი, ალფარსლან თურქეში, ბიულენთ ეჯევითი და სხვ. მთელ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადდა.

გადატრიალების შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში თურქეთში დაპატიმრებული იყო – 650.000 ადამიანი, მათ შორის 3854 მასწავლებელი, უნივერსიტეტის 120 პროფესორი და 47 მოსამართლე. სიკვდილით დასაჯეს 49 ადამიანი, ხოლო 300 კაცი დაიღუპა „გაურკვეველ გარემებებში“. 30.000 ადამიანამდე აღმოჩნდა უცხოეთში, პოლიტიკურ დევნილობაში.

მთელ ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით და უკიდურესი შეზღუდვებით ეროვნული უშიშროების საბჭომ უზრუნველყო საერთო შიშის სინდრომის დანერგვა, რაც სამხედროთა მოქმედების და ჩაფიქრებული პოლიტიკის განხორციელებას აადვილებდა.

თურქეთის რესპუბლიკის ისტორიაში ეს იყო მესამე სახელმწიფო გადატრიალება (1960 წლის 27 მაისი; 1971 წლის 12 მარტი და 1980 წლის 12 სექტემბერი), როდესაც სამხედროებმა დროებით აიღეს ხელში ძალაუფლება.

გადატრიალების მიზეზი გახდა არა არმიასა და ხელისუფლებას შორის უთანხმოება ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებზე, არამედ ხელისუფლების უუნარობა - შეენარჩუნებინა წესრიგი, რაც იქნებოდა ქვეყნის სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების საფუძველი.

1982 წლის 7 ნოემბერს სახალხო რეფერენდუმზე დამტკიცდა ახალი კონსტიტუცია, რომელსაც მხარი დაუჭირა 17-მა მილიონმა ამომრჩეველმა და ძალაში შევიდა 18 ნოემბერს. კონსტიტუციის მიღებით თურქეთში დამყარდა მესამე რესპუბლიკა, რომლის პრეზიდენტად აირჩიეს ქენან ევრენი. 1982 წლის კონსტიტუცია, მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, ძალიან შორს იდგა დემოკრატიული სტანდარტებისაგან. ის თურქული

კონსტიტუციონალიზმის განვითარებაში უკან გადადგმული ნაბიჯი იყო. კონსტიტუცია პრეამბულიდან დაწყებული უკანასკნელ თავამდე თავისი აკრძალვებით და შეზღუდვებით პრაქტიკულად გამორიცხავდა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენებას.

1982 წლის კონსტიტუციით აიკრძალა პოლიტიკური პარტიების მიერ რელიგიური საკითხის გამოყენება, ხოლო მისი 136-ე მუხლი ავალებდა რელიგიურ საქმეთა სამმართველოს თავის საქმიანობაში ეხელმძღვანელა ლაიციზმის პრინციპებით და სხვ.

სამხედრო ადმინისტრაცია, მიუხედავად დიდი შეზღუდვებისა, იძულებული იყო სასულიერო პირების წინაშე მთელ რიგ დათმობებზე წასულიყო. ამ მხრივ, მეტად საინტერესოა პრეზიდენტ ქენან ევრენის გამოსვლა კონიის ისლამურ ინსტიტუტში, სადაც მან პირობა დადო, რომ გაზრდიდა რელიგიურ მოღვაწეთა უფლებებს. 1982 წლის კონსტიტუციის 24 -ე მუხლში აღინიშნა, რომ „მოსახლეობის რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა უნდა მომხდარიყო სახელმწიფო კონტროლის ქვეშ."

1982 წლიდან მოყოლებული, ხელისუფლებამ დაწყებით და საშუალო სკოლებში შემოიღო რელიგიის სავალდებულო სწავლება. გარდა ამისა, სახელმწიფომ გაზარდა მეჩეთების მშენებლობის დაფინანსება და სხვა. მოგვიანებით, 1986 წელს მიიღეს კანონი, რომელიც მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისათვის ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას 6 თვიდან 2 წლამდე.

„უნივერსიტეტის რეფორმის" შედეგად უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ზემოდან გაკონტროლების მიზნით, კონსტიტუციის 130-ე და 131-ე მუხლების შესაბამისად, თურქეთში შეიქმნა ყველაზე მნიშვნელოვანი არალიბერალური ინსტიტუტი - უმაღლესი განათლების საბჭო (Yüksek Öğretim urulu), რომელიც უშუალოდ ნიშნავდა ყველა რექტორსა და დეკანს. ეს ღონისძიება იმაზე მიუთითებდა, რომ ახალმა რესპუბლიკამ კურსი აიღო ,,მართულ'' დემოკრატიაზე. სწორედ ამის ნიშანი იყო ის ფაქტი, რომ სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, უნი-

ვერსიტეტებიდან დაითხოვეს 300–ზე მეტი მემარცხენე შეხედულების მქონე თანამშრომელი.

მალე თურქეთში პოლიტიკური სიტუაციის დათბობა დაიწყო. სამხედროებმა ნელ-ნელა დაიწყეს ხელისუფლების სამოქალაქო პირებზე გადაცემა. 1983 წლის 24 აპრილს, პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონის მიღების შემდეგ, მოიხსნა პარტიების აკრძალვა და მათ ლეგალური საქმიანობის უფლება მიეცათ. თურქეთში შეიქმნა ახალი პოლიტიკური პარტიები:

1) ნაციონალურ - დემოკრატიული პარტია (Milliyetçi Demokrasi Partisi);

2) მემარცხენე ორიენტაციის - სახალხო პარტი (Halkçi Partisi);

3) ნაციონალურ – კონსერვატიული დედასამშობლოს პარტია (Anavatan Partisi);

4) ზომიერად მემარჯვენე - დიდი თურქეთის პარტია (Büyük Türkiye Partisi), რომლის გაუქმების შემდეგ შეიქმნა ჭეშმარიტი გზის პარტია (Doğru Yol Partisi);

5) სოციალ - დემოკრატიული პარტია (Sosyal Demokrasi Partisi);

6) ახალი კეთილდღეობის პარტია (Refah Partisi), რომელიც 1983 წლის 19 ივლისს, ისლამური ეროვნული ხსნის პარტიის ნაცვლად ჩამოყალიბდა.

ამ პერიოდში ქვეყნის სახელისუფლებო პარტიებს წარმოადგენდა დედასამშობლოს და ჭეშმარიტი გზის პარტიები.

1983 წლის 10 ივნისს თურქეთში მიიღეს ახალი საარჩევნო კანონი, რომლითაც დაწესდა ცვლილებები საარჩევნო პროცედურაში. ამიერიდან, პარტია, რომელიც ვერ გადალახავდა 10%–იან ბარიერს, არ იქნებოდა წარმოდგენილი პარლამენტში.

1983 წლის 6 ნოემბერს თურქეთში ჩატარდა მეჯლისის არჩევნები, რომელშიც ეროვნული უშიშროების საბჭომ სამ პოლიტიკურ პარტიას მისცა მონაწილეობის უფლება (დედასამშობლოს, ნაციონალურ დემოკრატიულ და სახალხო). ეროვნული უშიშროების საბჭომ ღიად დაუჭირა მხარი მის მიერ შექმნილ ნაციონალურ-დემოკრატიულ პარტიას, თუმცა შედეგები მათ-

თვის აბსოლუტურად მოულოდნელი აღმოჩნდა. თურგუთ ოზალის დედასამშობლოს პარტიამ თურქეთის ეროვნულ კრებაში მოიპოვა ხმების 45% და პარლამენტში მიიღო 211 ადგილი. სახალხო პარტიამ - 30%, ხოლო ნაციონალურ-დემოკრატიულმა პარტიამ კი - 23%. თურგუთ ოზალის ასეთი წარმატების ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო ის, რომ თურქეთის იმდროინდელ პირობებში ამომრჩევლისათვის დედასამშობლოს პარტია ერთადერთი სამოქალაქო ალტერნატივა იყო. თანაც ოზალი სარგებლობდა ლიბერალის და ანტიბიუროკრატის იმიჯით. არჩევნებამდე ორი დღით ადრე ქენან ევრენის მიერ ოზალზე ღია სატელევიზიო თავდასხმებმა ეს იმიჯი კიდევ უფრო გაამყარა. დედასამშობლოს პარტიის წარმატების კიდევ ერთი მიზეზი იყო მისი ეკლექტური[1] იდეოლოგია, რომელიც გამოიხატებოდა ოთხი ერთმანეთისაგან განსხვავებული პრინციპის გაერთიანებით, რაც ყველა ფენისათვის მისაღები იყო. გარდა ამისა, დედასამშობლოს პარტია, სხვა პარტიებისაგან განსხვავებით, რიტორიკაზე უფრო მეტად საქმის კეთებას, ახალი პროექტების განხორციელებასა და დასაქმებას აქცევდა ყურადღებას.

თურგუთ ოზალი

არჩევნების გამოკვეთილი შედეგების გამო, პრეზიდენტი ქენან ევრენი იძულებული გახდა მთავრობის დაკომპლექტების უფლება თურგუთ ოზალისათვის დაეკისრებინა. ამ უკანასკნელმაც სამხედროებთან უპრობლემო თანამშრომლობის უნარი გამოამჟღავნა და 1983 წლის 8 დეკემბერს თურგუთ ოზალმა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა დაიკავა.

თურქეთში დემოკრატიული ნორმების თანდათანობითი აღდგენის პარალელურად, დაიწყო მუსლიმური მოძრაობის ახალი ეტაპი, რომელმაც განსაკუთრებული გასაქანი 1985 წლიდან

---

[1] ეკლექტიზმი – (eclecticism; eclectisme; eklektikos - ამომრჩევი) შინაგანიდან დაპირისპირებული სხვადასხვა მეთოდის, თვალსაზრისის არაორგანული, გარეგნული შეერთება.

მიიღო, როდესაც იგი გათავისუფლდა სახელმწიფოს მკაცრი კონტროლისაგან და ქვეყანაში ჩამოყალიბება იწყო ძლიერმა მუსლიმურმა ოპოზიციამ, რომელიც დიდ გავლენას ახდენდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო იდეოლოგიაში ლაიციზმი გადამწყვეტ როლს ასრულებდა, ქვეყანაში ისლამურმა მოძრაობამ 80-იანი წლების მეორე ნახევარში ხალხთა მასების ფართო მხარდაჭერა მოიპოვა. 1986 წელს ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, ხუთი თურქი მოქალაქიდან სამი თავს მორწმუნედ მიიჩნევდა, ყოველი მეოთხე (26,3%) ყოველდღიურად ასრულებდა ნამაზს,[2] 18,3% მტკიცედ მისდევდა შარიათის[3] ნორმებს, 60,8% რეგულარულად ინახავდა მარხვას, 62% მსხვერპლს სწირავდა, ხოლო 71%-ს ჰქონდა ბედისწერის რწმენა. რელიგიური სწავლების სისტემის გაფართოებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ 1987 წელს თურქეთში ფუნქციონირებდა ყურანის შემსწავლელი 3900 კურსი და იმამ-ჰათიბების 716 სკოლა 230000 მსმენელით.

1980-იანი წლების თურქეთში ისლამის გავლენისა და რელიგიური დაჯგუფებების აქტიურობის ზრდის ტენდენცია გამოწვეული იყო მთელი რიგი მიზეზებით: კერძოდ, 1983 წელს პოლიტიკურ პარტიათა მოღვაწეობის განახლებამ და მეჯლისის ფორმირებამ, საზოგადოებაში სხვადასხვა სოციალურ - პოლიტიკური ძალების დაპირისპირება გამოიწვია. ამ პროცესში ჩაება ისლამური ორიენტაციის ორგანიზაციებიც. 80-იან წლებში დაიწყო თურქეთის კონსერვატიული მიმართულების საზოგადოების არაბულ რეჟიმებთან დაახლოების პროცესი. მისწრაფებამ, თურქეთს მოეპოვებინა წამყვანი მდგომარეობა ისლამურ სამყაროში, გამოიწვია ქვეყნის საერო მმართველი ელიტის უკმაყოფილება, რამაც გარკვეულწილად ხელსაყრელი პირობები შეუქმნა რელიგიური მოძრაობის გააქტიურებას. თურქეთში

---

2 ნამაზი ან სალათი (არაბ. صلاة; სპარს. نماز), ისლამში სავალდებულო ლოცვის სახელწოდება, რომელიც დღეში ხუთჯერ უნდა შესრულდეს მუსლიმის მიერ.

3 შარიათი- (არაბ.Šarīʾat) – ზოგიერთ მუსლიმურ სახელმწიფოში: მუსლიმური ფეოდალური სამართლის რელიგიურ და იურიდიულ ნორმათა ერთობლიობა.

ისლამური მოძრაობის გაძლიერებას ხელი შეუწყო ირანის პოლიტიკამაც, რომელიც თურქეთს ისლამური რევოლუციის ექსპორტის ერთ-ერთ ობიექტად განიხილავდა. ირანის მმართველი სასულიერო პირების ჩანაფიქრით, „ისლამური რევოლუციის ექსპორტს“ თურქეთში უნდა ჩამოეყალიბებინა ფართო პროისლამური ოპოზიცია, რომელიც შეძლებდა გავლენის მოხდენას თურქეთის სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევდა სახელმწიფოს გარდაქმნას რელიგიურ პრინციპებზე. ამ მიზნით, ირანის ხელისუფლებამ გააძლიერა იდეოლოგიური ზეწოლა თურქეთის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილზე. ამ კამპანიაში ჩაერთო ირანის პროპაგანდისტული ცენტრებიც. მაგალითად: „ისლამური პროპაგანდის ორგანიზაცია,“ „ისლამური დამოძღვრის სამინისტრო.“ ხოლო, პროპაგანდის მთავარ საშუალებად იქცა რადიოსადგური „ირანის ხმა.“ საერთოდ, ირანის ხელისუფალთა აზრით, ისლამური რევოლუციის იდეათა დანერგვისათვის განსაკუთრებით კარგი პირობები აღმოსავლეთ ანატოლიაში არსებობდა.

ირანის პროპაგანდას საფუძველს უმაგრებდა შიიტური მიმართულების პანისლამიზმი. ხომეინის „თაუჰიდური სწავლება.“ ძლევამოსილი ირანული რევოლუციის წარმატებათა ჩვენება იყო წამქეზებლური ხასიათის, რაც თურქეთში ისლამური რევოლუციის მოწოდებაში გამოიხატებოდა. ხომეინიმ ქემალ ათათურქი ისლამის მტრად გამოაცხადა და მოუწოდა თურქებს უარეყოთ ქემალიზმის პრინციპები. ეს ფაქტი შეფასდა როგორც ირანის ჩარევა თურქეთის საშინაო საქმეებში. ხომეინის განცხადება და ირანის ანტითურქული პროპაგანდა თურქეთის პრემიერ-მინისტრის თურგუთ ოზალის თეირანში ვიზიტის ერთ-ერთი მიზეზი გახდა. ირანის პრემიერ-მინისტრმა, მირ ჰოსეინ მუსავიმ, მოგვიანებით განაცხადა, რომ „თურქეთსა და ირანს შორის ურთიერთობათა განვითარებაში გადამწყვეტია რწმენისა და მუსლიმური ფასეულობების პატივისცემა.“ 80-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ისლამის პროპაგანდამ ხელი შეუწყო თურქეთში მუსლიმური იდეოლოგიის გააქტიურებას, რომლის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა როგორც ქვეყნის მოსახლეობის, ხელისუფ-

ლების ისე მმართველი პარტიის წარმომადგენლებიც. კერძოდ, დედასამშობლოს და ჭეშმარიტი გზის პარტიების იდეოლოგიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა ისლამისა და ნაციონალიზმის ტრადიციული, სულიერი ფასეულობანი. სახელისუფლებო პარტიების იდეოლოგიაში სულიერი ფასეულობების საფუძველი ყოველთვის იყო ისლამური რელიგია. მათ პროგრამებში აღნიშნული იყო ერთგულება რელიგიისა და ათათურქის პრინციპებისადმი. რელიგიასთან დამოკიდებულება მათ მიერ განისაზღვრებოდა როგორც კონსტიტუციით გარანტირებული სინდისისა და რელიგიური მრწამსის თავისუფლება. გარდა ამისა, მათი პროგრამა მიზნად ისახავდა თურქეთში რელიგიის სწავლებას დაწყებით და საშუალო სკოლებში. მთლიანობაში მათ დოქტრინებში ისლამი განიხილებოდა, როგორც თურქი ერის გაერთიანების, განმტკიცების მთავარი ფაქტორი. დედასამშობლოს პარტიის ყოფილი ლიდერი თურგუთ ოზალი აღნიშნავდა: „თურქთა ერთიანობა ემყარება იმას, რომ ყველანი თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქენი ვართ, ყველა, ვინც დაიბადა და ცხოვრობს ამ მიწაზე, პირველი და მეორე კატეგორიის ადამიანებად დაყოფის გარეშე, თურქეთის მოქალაქეა, მაგრამ ჩვენს ეროვნულ ერთიანობაში მთავარია ისლამი.“

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ოზალმა, ისლამისადმი თავისებური დამოკიდებულებით, მეჩეთებისა და სამლოცველოების ხშირი მონახულებით, მოსახლეობაში შექმნა იმიჯი ღრმად რელიგიური ადამიანისა, რომელიც ეთაყვანებოდა ისლამს. ამ ფაქტიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თურქეთში მოქმედი ისლამური გამოცემები, გაზეთი „ბუგიუნ,“ ჟურნალი „ისლამი,“ 1983 წლის წინასაარჩევნო კამპანიისას მოსახლეობას მოუწოდებდნენ ხმა მიეცათ თურგუთ ოზალის პარტიისათვის. თურგუთ ოზალს კარგი ურთიერთობები ჰქონდა ისლამური ორიენტაციის ორგანიზაციებთან. ის იყო რესპუბლიკური თურქეთის პირველი პრეზიდენტი, რომელმაც შეასრულა ჰაჯი. სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული 80-იანი

წლების თურქეთში – სალოცავების, მედრესეების[4] და ყურანის შემსწავლელი სკოლების ზრდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით ის აღნიშნავდა: „ჩვენ ყველა აუცილებელ ზომას მივიღებთ დაწყებით და საშუალო სკოლებში რელიგიური აღზრდის განმტკიცებისათვის, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია მაღალი ზნეობა. ჩვენ არ ვთვლით, რომ ლაიციზმი ვერ ახერხებს ყოველივე ამას, მაგრამ სულიერი ფასეულობების, სინდისის თავისუფლებისათვის, რელიგიური რიტუალების და კულტურის შენარჩუნებისათვის ეს აუცილებელია.“ 80-იანი წლების ბოლოს, მისივე ძალისხმევით, მიიღეს კანონი ,,მკრეხელობის, ისლამისა და წმიდა წიგნის – ყურანის შეურაცხყოფის შესახებ, რომლითაც დამნაშავე ორწლიანი პატიმრობით ისჯებოდა. თურგუთ ოზალის და დედასამშობლოს პარტიის საქმიანობას უკავშირდება 1987 წელს ევროკავშირში სრული გაწევრიანების განცხადების მომზადება და წარდგენა. ოზალის ლიბერალური ღონისძიებების გამოხატულებაა აგრეთვე, თურქეთის სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე, 142-ე და 163-ე მუხლების გაუქმება, რამაც საზღვარგარეთ გარიყულ თურქ კომუნისტებს სამშობლოში დაბრუნების საშუალება მისცა. 1987 წელს, თურგუთ ოზალის ხელშეწყობით მიიღეს გადაწყვეტილება პოლიტიკური აკრძალვების მოხსნის საკითხის რეფერენდუმის გზით გადაწყვეტის შესახებ. რომელზეც ხალხმა აკრძალვების მოხსნას მისცა ხმა, რითაც პოლიტიკური კონკურენცია გამძაფრდა და თანდათანობით დედასამშობლოს პარტიის რეიტინგმა ნელ-ნელა იკლო.

1987 წლის ამ მოვლენამ პოლიტიკური გამოცოცხლება გამოიწვია როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე პარტიებში. სულეიმან დემირელი სათავეში ჩაუდგა ჭეშმარიტი გზის პარტიას. პოლიტიკას დაუბრუნდა აგრეთვე ბიულენთ ეჯევითი, რომელმაც ორი წლით ადრე ჩამოაყალიბა ახალი მემარცხენე-დემოკრატიული პარტია *(Demokratik Sol Partisi).*

1985 წელს გაერთიანდა სოციალ-დემოკრატიული და სახალხო პარტიები. ახალმა პარტიამ მიიღო სოციალ-დემოკრა-

---

[4] მედრესე — მუსლიმთა საშუალო ან უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი.

ტიული სახალხო პარტიის სახელწოდება, რომლის თავმჯდომარე გახდა ერდალ ინონუ. სულეიმან დემირელის და ჭეშმარიტი გზის პარტიის პოლიტიკის მთავარი ამოცანა და სამიზნე გახდა თურგუთ ოზალის დედასამშობლოს პარტიის დისკრიმინაცია. აქვე უნდა აღინიშნოს ჭეშმარიტი გზის პარტიის და მისი ლიდერის სულეიმან დემირელის დამოკიდებულება ისლამისადმი. ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესოა თურქი ისტორიკოსის, ალი ალთუნის მოსაზრება. ის თავის სტატიაში - „ქართული დიასპორა და ორი თურქეთი“ - ხმამაღლა საუბრობს იმაზე, რომ „თურქეთის რესპუბლიკის მეცხრე პრეზიდენტი სულეიმან დემირელი იმავე დროს იყო „ხალიფა.“ პირველად ასეთი აზრი, კოალიციაში მყოფმა ისლამური პარტიის ერთ-ერთმა დეპუტატმა ისმაილ ქოროღლუმ წამოაყენა. ამ წინადადებას მემარჯვენე პოლიტიკურ წრეებში დადებითი რეაქცია მოჰყვა და ე. წ. ლიბერალურ-პოლიტიკურ წრეებშიც კი სერიოზული მსჯელობის საგანი გახდა. ცნობილი თურქი ჟურნალისტი მეჰმედ მარლისი, რომელიც ე. წ. ლიბერალ-დემოკრატთა თვალსაჩინო წარმომადგენლად ითვლებოდა, თურქულ გაზეთ „საბაჰში“ სულეიმან დემირელის ხალიფობაზე სერიოზულად მსჯელობდა.”

ზემოთ მოტანილი ფაქტების ანალიზი აჩვენებს, რომ დებულება სულეიმან დემირელის „ხალიფობაზე“ არ ემყარებოდა სრულ სინამდვილეს, ის უფრო ისლამის ერთგული შეიძლება ყოფილიყო, რომელმაც თავისი მმართველობის დროს ხელი შეუწყო მის ზრდასა და განვითარებას. აბსურდული იქნებოდა ვარაუდი, რომ მან რესპუბლიკურ თურქეთში კვლავინდებურად ხელი შეუწყო „ხალიფას“ ინსტიტუტის აღდგენას.

თურქეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს მიერ გამოცემულ წიგნში „თურქი ერის რაობა,“ ცნობილი თურქი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი შ. ბოზქურთი წერს: „პირველი სამხედრო გადატრიალება, რომელიც 1960 წელს მოხდა, საჭირო იყო ლაიცისტური რესპუბლიკის დასაცავად; მეორე გადატრიალება (1971) იყო რეპეტიცია რელიგიური ოპოზიციის კონტრევოლუციისა, ხოლო 1980 წელს, გარეშე ძალების ფარული მხარდაჭერით, განხორციელებული მესამე სახელმწიფო გადატრიალება „თურქეთის ისლამური რესპუბლიკის“ დაარსე-

ბით დამთავრდა“. აქვე დავსძენთ, რომ ამ სიტყვების ავტორი 90-იანი წლების მეორე ნახევარში იყო პრეზიდენტ სულეიმან დემირელის თანაშემწე.

თურქეთის ყოფილმა კულტურის მინისტრმა აჰმედ თანერ ქიშლალიმ, 80-იანი წლების ბოლოს თურქეთის პოლიტიკური პორტრეტი შემდეგნაირად დაახასიათა: „ხელში მწვანე დროშით – ძირს ლაიცისტური დიქტატურა, შარიათი უნდა დავამყაროთ.“ ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ირანის ტელევიზიისათვის სულეიმან დემირელის მიერ მიცემული ინტერვიუ, კითხვაზე: - ხომ არ ნიშნავს ისლამური კეთილდღეობის პარტიის მუნიციპალურ არჩევნებში გამარჯვება თურქი ხალხის მიერ ისლამიზმის მხარდაჭერას, რითაც თურქეთი უპირატესობას ისლამურ მმართველობას ანიჭებს. დემირელი პასუხობს: ,,საკითხის ამგვარი დასმა მართებული არ არის, თურქეთი ლაიცისტური ქვეყანაა და მუსლიმობა მართლაც კარგი რამ არის. თურქეთი არავის რწმენის საქმეში არ ერევა, ვისაც რა სურს ის ირწმუნოს, რელიგიის თავისუფლება ლაიციზმით არის დაცული, ე. ი. მორწმუნის მიმართ არავის შეუძლია უპატივცემულობა გამოიჩინოს. თურქეთში არ არსებობს საზოგადოების დაყოფა მუსლიმად და არამუსლიმად, ჩვენს ქვეყანაში ყველა პოლიტიკური პარტია რელიგიისადმი შემწყნარებლურია და პატივს სცემს მას. ამიტომაც კითხვის ამგვარად დასმა არასწორია, რადგან მოსახლეობის 97,8% მუსლიმია, თურქეთში მოქმედი ყველა პარტია მუსლიმურია. ამიტომაც იმ პარტიებს შორის, რომლებიც თურქეთში მოქმედებენ, მარტო ერთი მუსლიმური პარტიის დასახელება შეცდომაა, რადგანაც, ლაიციზმი მუსლიმობას არ ჰყოფს, არ აცალკევებს, არ განასხვავებს, იგი მას აერთიანებს და მისი დამცველია.“

სულეიმან დემირელის ეს მოსაზრება ბევრის მთქმელი და მიმანიშნებელია. 80-იან წლებში თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ისლამის ზრდა შემთხვევითი მოვლენა კი არ იყო, არამედ თანამედროვე თურქეთში, კარგად მოფიქრებული, გააზრებული და მიზანმიმართული პროცესის შედეგია.

სწორედ 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში რესპუბლიკური თურქეთის ოფიციალური იდეოლოგია გახდა „თურქულ-ისლამური სინთეზი.“

ამ საკითხთან დაკავშირებით, აღნიშვნის ღირსია ცნობილი თურქი თეოლოგის ფეთჰულაჰ გიულენის შეხედულება და მოსაზრება.

გიულენი სახელმწიფოს ძლიერებას, წინსვლას და მის მომავალს ხედავს ახალგაზრდობის აღზრდასა და განათლებაში. მისი აზრით: „სახელმწიფოს უნდა ჰყავდეს ნიჭიერი, ჭკვიანი და გონიერი ოქროს თაობა. მისი უმთავრესი მიზანია მშვიდობიანი თანაცხოვრება და განსხვავებული აზრის პატივისცემა და ტოლერანტობის პრინციპების აღიარება.“

თურგუთ ოზალის მთავრობამ კარგად გაითავისა ახალი პოლიტიკური პარტიების გააქტიურება და გადაწყვიტა 1987 წლის მეორე ნახევარში ჩაეტარებინა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. გარდა ამისა, ცვლილებები შეიტანეს კანონში პოლიტიკური პარტიების შესახებ, რომლითაც საარჩევნო ბარიერი 10%–მდე გაიზარდა, რაც დედასამშობლოს პარტიას დამატებით უპირატესობას ანიჭებდა, თუმცა 1987 წლის არჩევნებმა დაადასტურა, რომ დედასამშობლოს პარტიის ავტორიტეტი საკმაოდ დაწეული იყო. მართალია, პარტიამ 36% კვლავ მოიპოვა, მაგრამ ეს წინა შედეგთან შედარებით საკმაოდ დაბალი მაჩვენებელი იყო. თანაც გაიზარდა კონკურენტი პარტიების ხმები, კერძოდ, ინონუს პარტიამ ხმების 24,8%, ხოლო ჭეშმარიტი გზის პარტიამ მიიღო ხმების 8,5% და შესაბამისად, საპარლამენტო მანდატები ვერ მოიპოვა.

1988 წელს ოზალზე მოწყობილი ტერაქტის შემდეგ მისი ავტორიტეტი თითქოსდა ამაღლდა, მაგრამ 1989 წლის ადგილობრივმა არჩევნებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა დედასამშობლოს პარტიის უკუსვლა. ამ არჩევნებში პირველ ადგილზე 28%–ით გავიდა სოციალ-დემოკრატიული სახალხო პარტია, 25,6%–ით მეორე ადგილზე გავიდა ჭეშმარიტი გზის პარტია, ხოლო დედასამშობლოს პარტიამ მხოლოდ ხმების 22% მოიპოვა.

წარუმატებლობის მიუხედავად, ოზალმა განაგრძო პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე მუშაობა. უფრო მეტიც, განაცხადა, რომ წლის ბოლოსათვის დაგეგმილ პრეზიდენტს არჩევნებში მიიღებდა მონაწილეობას. ამ გადაწყვეტილებას ოპოზიციური ნაწილი დაუპირისპირდა, თუმცა, თურგუთ ოზალი მხოლოდ საკუთარი პარტიის ხმებით 1989 წლის 9 ნოემბერს პრეზიდენტის სავარძელს დაეუფლა. ეს იყო თურქეთში მეორე შემთხვევა, როდესაც პრეზიდენტად სამოქალაქო პირი აირჩიეს. ექვსი წინა პრეზიდენტი სამხედრო პირი იყო.

თურგუთ ოზალის პრეზიდენტად არჩევამ პარტიაში ადრე-ვე დაწყებული ლიდერობისათვის ბრძოლა კიდევ უფრო გაამძაფრა. შიდაპოლიტიკური დაპირისპირების განმუხტვისათვის ოზალმა პარტიის ყველაზე ნეიტრალური წევრი, იმდროინდელი ეროვნული კრების თავმჯდომარე, ილდირიმ აქბულუთი პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დანიშნა. თუმცა, ამ გადაწყვეტილებამ პარტიულ დაჯგუფებებს შორის დაპირისპირებები ვერ განმუხტა. პრეზიდენტის არჩევნებიდან მცირე ხნის შემდეგ, პარტიის ერთ-ერთი ლიდერი (თავმჯდომარის მოადგილე) მესუთ ილმაზი, იმისათვის, რომ ლიდერობისათვის ბრძოლაში საკუთარი პოზიციები განემტკიცებინა, გადადგა საგარეო საქმეთა მინისტრობიდან და მთლიანად პარტიულ საქმიანობაში ჩაერთო და 90-იანი წლების დასაწყისში დედასამშობლოს პარტიის თავმჯდომარე გახდა.

80 -იანი წლების ბოლოს, თ. ოზალმა არჩეული კურსიდან გადახვევა და ლიბერალური პრინციპებისაკენ მიმართული პოლიტიკის გატარება დაიწყო. კერძოდ, გააუქმეს სისხლის სამართლის 141-ე, 142-ე და 163-ე მუხლები, რომლებიც გამოიყენებოდა სოციალისტური და რელიგიური აზროვნების ორგანიზაციათა ჩამოყალიბების და ქურთული ენის აკრძალვისათვის. გარდა ამისა, მიიღეს ლიბერალიზაციისათვის გამიზნული რეფორმათა პაკეტი, რომელმაც კონსერვატორებისა და სამხედროების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და რომელიც 80-იანი წლების მეორე ნახევრის თურქეთის საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთი აქტუალური საკითხი იყო.

როგორც ვხედავთ, 80-იანი წლების თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში და თურქი ერის აზროვნებაში, მომზადდა ისლამისადმი სერიოზული სულიერი ბაზა. ამიტომაც შემთხვევითი არ იყო მათი წარმატებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 90-იან წლებში.

ეკონომიკური მდგომარეობა

XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში თურქეთში სრული განუკითხაობა და ანარქია სუფევდა. ბიუჯეტის ქრონიკულმა დეფიციტმა, უზარმაზარმა შიდა და საგარეო ვალმა, დასავლეთ ევროპის მაღალგანვითარებულ ქვეყნებთან ვაჭრობაში უარყოფითმა ბალანსმა და მაღალმა ინფლაციამ ქვეყანა ფინანსურ-ეკონომიკური დისბალანსისა და მძიმე პოლიტიკური კრიზისის წინაშე დააყენა. თურქეთი წარმოადგენდა გარე სამყაროსაგან იზოლირებულ, ჩამორჩენილ, მხოლოდ იმპორტზე ორიენტირებულ აგრარულ ქვეყანას.

მინისტრთა კაბინეტის შერყეულმა პოზიციამ ნეგატიური ზეგავლენა იქონია თურქეთის საერთაშორისო რეიტინგზე, რაც თავისთავად ართულებდა ქვეყანაში არსებულ ისედაც მძიმე, კრიზისულ ვითარებას. მოსახლეობის 40% უმუშევარი იყო. ქალაქებში თარეშობდნენ ბოროტმოქმედთა დაჯგუფებები. თურქეთი აღმოჩნდა გაბმული ულტრა-მემარჯვენე ტერორიზმის ქსელში. ორი წლის განმავლობაში (1978-1980 წწ.) თურქეთის დიდ ქალაქებში მოიკლა 5.000 - ზე მეტი, ხოლო დაზარალდა 14.000 ადამიანი.

1980 წლის 24 იანვარს, თურქეთმა დაამტკიცა თურგუთ ოზალის მიერ მომზადებული, საბაზრო ეკონომიკაზე დამყარებული, „ეკონომიკური მოდერნიზაციის პროგრამა“, რომელმაც რამდენიმე წელში საოცრად შეცვალა თურქული საზოგადოების გარეგანი სახე. სწორედ ამის გამო უწოდეს თურგუთ ოზალს ე. წ. „გარდაქმნების მამა.“

ოზალის ხელისუფლება აქტიურად ატარებდა უცხოური კაპიტალის მოზიდვის პოლიტიკას. მკვეთრად იქნა შემცირებულ ფასები საქონლის იმპორტზე: 100%-დან 40%-მდე პირველადი მოხმარების საქონელზე; 80%-დან 20%-მდე ნახევარფაბ-

რიკატებზე და ბოლოს 50%-დან 10%-მდე ნედლეულზე. მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვეყნის ეკონომიკაში დაბანდებული უცხოური კაპიტალის ოდენობა. გარდა ამისა, მათ იზიდავდა თურქეთის უაღრესად ხელსაყრელი გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობა, განლაგებული, როგორც ხშირად ამბობენ, ხიდზე ევროპასა და აზიას შორის (აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის).

ახალი თურქული ლირა

1984 წლის იანვარში თ. ოზალმა მიმართა ხალხს ერთობ უცნაური განცხადებით, რომელშიც ნათქვამი იყო: „ალაჰმა არ დაასაჩუქრა ჩვენი მიწა-წყალი ნავთობით, ამიტომ ჩვენ მოგვიწევს ბევრი მუშაობა, რათა გავიდეთ თანამედროვე მსოფლიოს არენაზე.“ ამავე დროს, აღსანიშნავია, ის გარემოებაც, რომ იგი არ მალავდა ქვეყანაში შექმნილ რთულ ვითარებას და არ აძლევდა ხალხს ზღაპრულ დაპირებებს. პირიქით, იგი აფრთხილებდა მათ, რომ მომავალი ხუთი წელი ყველაზე რთული იქნებოდა თურქეთის ისტორიაში. ამით მას სურდა ხალხის ნდობის მოპოვება, რაც ოზალმა თავისი ხალხისაგან მიიღო კიდეც.

პრემიერ-მინისტრი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ნებისმიერი ცვლილება საზოგადოებრივ ცხოვრებაში უნდა დაეწყო ეკონომიკური განახლებით. „სანამ ეკონომიკა ძლიერია, ქვეყნის ყველა პრობლემა გადაწყვეტილია, - ამბობდა იგი - ხოლო, თუ ეკონომიკა სუსტია და საზოგადოებაში გაბატონებულია ანარქია, ვერცერთი პრობლემის გადაწყვეტა ვერ მოხერხდება. თურქეთი ცხოვრობდა ეკონომიკური ანარქიის პირობებში 1930-დან 1980 წლამდე, მანამ, სანამ ჩვენ არ მივიღეთ გადაწყვეტილება, მიგვეღწია დასავლეთ ევროპული ქვეყნების სტანდარტებამდე, ცხოვრების დონემდე და დაგვემკვიდრებინა ადგილი ინდუსტრიული თვალსაზრისით მაღალგანვითარებულ ქვეყნებს შორის.“

თ. ოზალის მთავრობა ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებით ცდილობდა: „თურქეთის გადაქცევას ე. წ. ახლო აღმოსავლეთის

იაპონიად“. „მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ XXI საუკუნის დასაწყისში თურქეთი შევა მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნების რიცხვში,“ - აცხადებდა თ. ოზალი.

თ. ოზალის დროს დაიწყო თურქეთის ორიენტირება თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე. პრემიერ-მინისტრი აღნიშნავდა: „მე ვხელმძღვანელობ შემდეგი პრინციპით, აუცილებელია, ბოლომდე გამოირიცხოს ყოველგვარი აკრძალვა და ეკონომიკა გათავისუფლდეს ცენტრალიზირებული მმართველობისაგან, მხოლოდ ასე შეიძლება მიეცეს ინიციატივა თავისუფლებას, რომლის გარეშეც სოფლის მეურნეობის დინამიური განვითარება უბრალოდ წარმოუდგენელია“.

პრინციპში, თურქეთის ეკონომიკური განვითარების რეცეპტში არაფერია ორიგინალური. ეს სოფლის მეუნეობის განვითარების ჩვეულებრივი კაპიტალისტური სქემაა, რომელიც წარმატებით იქნა აპრობირებული მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. თ. ოზალის ე. წ. „ოზალის მოდელის“ ძირითად პრინციპებს შემდეგნაირად აყალიბებს თურქეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი - ილდირიმ აქბულუთი: „1980 წ. თურქეთმა მიიღო თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე დამყარებული ეკონომიკური მოდერნიზაციის პროგრამა. ყოველივე ზემოხსენებული კი, ნიშნავდა ეკონომიკის სახელმწიფო ცენტრალიზებული რეგულირების განსაზღვრას, კერძო სექტორის სტიმულირებას, მცირე საწარმოების ფორმირების პროცესის დაჩქარებას, წამყვანი დასავლური ტექნოლოგიების ათვისებას, მსოფლიოს წამყვან ინდუსტრიულ ქვეყნებთან კოოპერაციისა და ინტეგრაციის გაფართოებას.“

სტამბ**ოლი**

აღსანიშნავია, რომ თურქეთის ხელისუფლებამ უარი თქვა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში ჩარევის პოლიტიკაზე, რასაც აკეთებდა ბოლო 50 წლის განმავლობაში.

XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო მცირე და საშუალო სახელმწიფო საწარმოე-

ბის პრივატიზაციის პროცესი. აუქციონზე გაიყიდა მთელი რიგი სახელმწიფო კორპორაციების აქციები. წარსულში წამგებიანი საწარმოები რენტაბელური გახდა. თ. ოზალი ამტკიცებდა, რომ როგორი მთავრობაც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლების სათავეში, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა ქვეყანაში სამუდამოდ დარჩება. რადიკალურმა რეფორმებმა სოფლის მეურნეობაში, დადებითი შედეგები გამოიღო და თურქეთმა ძალიან მალე დაიბრუნა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში საპატიო ადგილი. ქვეყანა იქცა პარკოსანი კულტურების უდიდეს ექსპორტიორად მსოფლიოში. მას უკვე შეეძლო არამარტო საკუთარი თავის გამოკვება, არამედ მეზობელ ქვეყნებში - ქერის, ჭვავის, ხორბლისა თუ სხვა მცენარეული კულტურების ექსპორტირება.

მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა მაკროეკონომიკურ და საფინანსო სექტორშიც. ოზალმა გააუქმა დადგენილება თურქული ლირის შეუცვლელი კურსის შესახებ, რომელიც საგრძნობლად ამახინჯებდა რეალურ წარმოდგენას მის შესაძლებლობებზე და ხშირ შემთხვევებში მიჰყავდა სავალუტო სპეკულაციებამდე. დაამყარა რა ქვეყანაში ლირის მცოცავი კურსი, ოზალმა განახორციელა მძლავრი იერიში შავ ბაზარზე და ამით გადაკეტა ადგილობრივი მაფიოზური კლანებისა და სინდიკატების გამდიდრების გზები, საიდანაც მოედინებოდა მილიარდობით თურქული ლირა. ამიერიდან ის თანხები გადავიდა სახელმწიფო ხაზინაში. ეს მილიარდები არ ნაწილდებოდა ზედა ეშელონებში, როგორც ხშირ შემთხვევაში ხდებოდა ხოლმე და არ იხარჯებოდა არამიზნობრივად. ზემოხსენებული თანხებით ეტაპობრივად იქნა ათვისებული დასავლური ტექნოლოგიები, უმჯობესდებოდა ქვეყნის სახმელეთო, სარკინიგზო და საზღვაო ინფრასტრუქტურა. ყოველივე ეს კეთდებოდა მიზანდასახულად. ერთი სიტყვით, თურქეთის ხელისუფლების სათავეში აღმოჩდნენ არა დროებითი, არამედ საკუთარი ერის ბედით შეწუხებული პოლიტიკური მოღვაწეები. ყოველ შემხვევაში ასეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა გარედან შეხედვისას.

სახელმწიფო თანდათან გარდაიქმნა გონიერ კოორდინატორად. თურქული ლირა 1988 წლის აგვისტოდან იქცა თავისუფლად კონვერტირებად ვალუტად. შიდა სავაჭრო ბალანსი,

რესპუბლიკის არსებობის მანძილზე, პირველად იქნა, დაყვანილი დადებით მაჩვენებლამდე. თურქეთის მეგაპოლისები, უმეტესწილად კი ქ. სტამბოლი, იქცა ერთ უზარმაზარ ვიტრინად და ეროვნული წარმოების საქონლის მრავალფეროვანი ასორტიმენტის ბაზრად. მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან თურქეთში შემოდიოდა ხარისხიანი საქონელი. მრავალრიცხოვან ტურისტებს ამიერიდან იზიდავდა არა მხოლოდ კაპადოკიის, ეფესის და ბიზანტიის იმპერიის უძველესი ისტორიული ძეგლები, არამედ შედარებით იაფი თურქული საქონელი. თურქეთში ხშირად ხუმრობდნენ: „ადრე ჩვენთან ჩამოდიოდნენ ორი ჩანთით, ხოლო მიდიოდნენ ერთით, ახლა კი პირიქით ხდება," ეს ხუმრობა, გარკვეულწილად შეესაბამება სინამდვილეს.

XX საუკუნის 80-იან წლებში, თურქეთში კოორდინირებული ეკონომიკური პოლიტიკის თვალსაჩინო შედეგს წარმოადგენდა თავისუფალი ეკონომიკური ზონების პროექტი, ე. წ. „თეზი".

თ. ოზალმა, თურქეთში თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფორმირების საკითხი ხელისუფლების წინაშე ჯერ კიდევ ადრეულ წლებში დააყენა. მას აღნიშნული პროექტის განხორციელების აუცილებლობის მტკიცება მოუწია თურქეთის სახელმწიფო აპარატის, თურქეთის საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების წარმომადგენლებთან, გავლენიან მინისტრებთან და სხვა მაღალი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებთან, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ „თეზის". პროექტის განხორციელებას იმ მოტივით, რომ იგი თითქოს იქცეოდა ქვეყნის ეკონომიკაში უცხოური კაპიტალის შემოდინების პლაცდარმად. მიუხედავად ამისა, ოზალის ენთუზიაზმმა დადებითი შედეგი გამოიღო. თურქეთში 1985 წლის 6 ივნისს ძალაში შევიდა კანონი № 3218 „თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ".

1988 წლის მარტში, გაიხსნა პირველი ასეთი ზონა - ქ. მერსინში, ხმელთაშუაზღვის პირას, შემდეგ თავისუფალი ეკონომიკური ზონები გაჩნდა: ანტალიაში, იზმირში, ტრაპიზონსა და სტამბულში (ათათურქის სახელობის აეროპორტში). მცირე

ხნის შემდეგ ზუსტად განისაზღვრა ადანა-იუმურთალიქის, სტამბულ-თრაკიის, ზონგულდაკ-ფილუროსის, მარდინის, აღმოსავლეთ ანატოლიის თავისუფალი ეკონომიკური ზონები, რომლებიც განლაგებულია 370 ათასი ჰექტარის ტერიტორიაზე და მათში მოქმედებს 300 -ზე მეტი თურქული და უცხოური ფირმა. თავისუფალი ეკონომიკური ზონების იმდროინდელი გენერალური დირექტორი - იალჩინ ალაბეიოღლუ აღნიშნავდა: ,,თურქეთის მთელი ეკონომიკური პოლიტიკა ორიენტირებულია ექსპორტზე და ამ საქმეში უზარმაზარი წვლილი შეაქვთ თავისუფალ ეკონომიკურ ზონებს.“ 1994 წლის 4 ოქტომბრისათვის ზემოხსენებულ თავისუფალ ზონაში ვაჭრობის საერთო მოცულობამ გადააჭარბა 4,3 მილიარდ აშშ დოლარს, რაც 1.586 მილიარდით მეტია 1991 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. იგი გაიზარდა თითქმის 99%-ით.

თურქეთის გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობა მას აძლევს ურთიერთობების დამყარების ბრწყინვალე შესაძლებლობას როგორც ევროკავშირის შემადგენლობაში შემავალ სახელმწიფოებთან, ასევე პოსტ-საბჭოური სივრცის რესპუბლიკებთან, ცენტრალური აზიის თურქულენოვან სახელმწიფოებთან და ა.შ.

რა სარგებელს ნახულობს აქედან თურქეთი? აღნიშნულ კითხვაზე ასე პასუხობს კაატენსერი - იზმირის თავისუფალი ეკონომიკური ზონის გენერალური დირექტორი: „ჩვენ პრაქტიკულად უფასოდ ვიღებთ, უახლეს დასავლურ ტექნიკას, ვხსნით ახალ რეზერვუარებს თურქული საქონლის ექსპორტირებისათვის და რაც მთავარია, „თეზის“ განლაგების ადგილებში მკვეთრად ეცემა უმუშევრობის დონე.“ კაატენსერის მტკიცებით 72.000 სამუშაო ადგილი იქნა უზრუნველყოფილი ქ. იზმირში „თეზის“ გახსნითა და ამოქმედებით. „თეზის“ ჩამოყალიბება და განვითარება მიმდინარეობდა-,,BUILD-OPERATE AND TRANSFER“-ის პროექტის ფარგლებში. აღნიშნული მოდელის მიხედვით, ანტალიისა და მერსინის თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში თურქეთის ხელისუფლება უზრუნველყოფდა ტერიტორიის გამოყოფასა და ინფრასტრუქტურის განვითარებას.

თურქეთის თავისუფალ ზონებში არსებობდა რიგი პრივილეგიებისა, რომლებიც, ფაქტობრივად, უზრუნველყოფდნენ დინამიკურ მუშაობას.

თურქეთის ეკონომიკურმა განვითარებამ ხელი შეუწყო საგარეო ვაჭრობის სწრაფ ზრდას. 1980 წელს საგარეო ვაჭრობის ტვირთბრუნვა შეადგენდა 7,3 მილიარდ დოლარს, 1987 წელს მან მიაღწია 24,4 მილიარდ დოლარს, ხოლო 1995 წელს ის 40 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა.

თურქეთის ექსპორტის სტრუქტურაში მოხდა რადიკალური ცვლილებები: თუ 1980 წელს სამრეწველო საქონლის ხვედრითი წილი შეადგენდა 41%, 1987 წელს 82%, ხოლო 1995 წლისათვის მან მიაღწია 97%-ს.

XX საუკუნის 80-90 - იან წლებში, თურქეთში ნაციონალური ექსპორტის წილი 2,9 მილიარდიდან - 14,7 მილიარდამდე გაიზარდა.

არსებითად გაუმჯობესდა თურქეთის ურთიერთობა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (IMF), ჯერ კიდევ 1980 წელს, როდესაც თ. ოზალი გახლდათ ს. დემირელის ხელისუფლების წარმომადგენელი, აღიარა მისი პერსპექტიული რეფორმები და მწვანე შუქი მისცა დასავლურ კრედიტებს. 1981 წლის იანვარში, თ. ოზალმა მოახერხა დიდი სახელმწიფოებრივი ვალის რესტრუქტურიზაცია, რომელიც იმ დროისათვის 3,2 მილიარდ დოლარს შეადგენდა. თურქეთში ღიმილით იხსენებდნენ იმ პერიოდს, როდესაც ლუქსემბურგმა ქვეყანას 1 მილიონი დოლარის კრედიტი გამოუყო. მართლაც, დღევანდელობა ვერ შეედრება 70-იანი წლების დასაწყისს, როდესაც ქვეყანა პარალიზებული იყო საგადასახადო ბალანსის დარღვევის გამო.

თუ ადრე თურქეთს უცხოური კრედიტების ვალი ჰქონდა, ეკონომიკური რეფორმების შედეგად, მან დაფარა ეს და დააგროვა ოქროს რეზერვის სოლიდური მარაგი, რომელმაც 1997 წლისათვის შეადგინა 20 მილიარდი დოლარი. დღეისათვის თურქეთს საშუალება აქვს თვითონ განსაზღვროს, თუ ვინ და რა პირობებში გამოუყოფს მას კრედიტს.

თურქეთი, ქვეყნის ეკონომიკის არქიტექტორად წოდებული ოზალის დროს, გახდა ერთ-ერთი დინამიკურად განვითარებული და გადამხდელუნარიანი ქვეყანა, მაგრამ მთავარი მიღწევა მაინც იყო ის, რომ ოზალის დროს კარდინალური ცვლილება მოხდა თურქეთის საზოგადოების მსოფლმხედველობაში.

თ. ოზალი ტელე-რადიომაუწყებლობის პირდაპირ ეთერში აწარმოებდა ქვეყანაში მიმდინარე ფართომასშტაბიანი ეკონომიკური განვითარების პროპაგანდას.

ოზალის მიერ წარმოებული ეკონომიკური პროპაგანდის წყალობით, რიგითმა თურქმა ირწმუნა თავისი შესაძლებლობები. ირწმუნა ის, რომ ნაყოფიერი შრომის შედეგად, მას შესწევდა უნარი გამხდარიყო მატერიალური თვალსაზრისით უზრუნველყოფილი და, შესაბამისად, საზოგადოებაში პატივსაცემი და მიღებული ადამიანი. ფაქტობრივად, ოზალის რეფორმებმა ბოლო მოუღო გარკვეულ „არასრულფასოვნების კომპლექსს“, რომლითაც თურქული საზოგადოების ძირითადი ნაწილი იყო დაავადებული. პრეზიდენტს გააჩნდა სრული მორალური უფლება განეცხადებინა: ,,1980 წლამდე თურქეთში ამბობდნენ - ჩვენ არ შეგვწევს უნარი ნორმალური სამეწარმეო საქმიანობისათვის, ეს შეუძლიათ მხოლოდ ევროპელებსა და ამერიკელებს. ამიერიდან ასეთი განწყობა უკვალოდ გაქრა.“ სწორედ, ეკონომიკური განახლების საფუძველზე ქვეყანამ დაიბრუნა თავისი ეროვნული ღირსება.

ბოლო ათი წლის განმავლობაში თურქეთი საკმაოდ დაწინაურდა მრეწველობის განვითარებაში. იმჟამად, თურქეთი შედიოდა მსოფლიოში ეკონომიკურად ყველაზე დინამიკურად განვითარებულ ქვეყანათა ათეულში.

ეკონომიკური ზრდის ტემპი 1987 წელს შეადგენდა 5,8%, ხოლო 1997 წელს მან მიაღწია 10%-ს.

მნიშვნელოვნად გაიზარდა თურქეთში ჩამოსულ ტურისტთა რიცხვი. 1997 წელს მან 9,7 მილიონს მიაღწია. ტურიზმიდან ყოველწლიური შემოსავალი თურქეთში 7,5 მილიარდ დოლარს შეადგენდა.

ყოველივე ზემოხსენებულის მიუხედავად, ქვეყანაში არსებობდა მოსახლეობის გარკვეული კატეგორია, რომლებიც ოზალისა და მისი გუნდის შეხედულებებს არ იზიარებდა.

XX საუკუნის 80-90 - იან წლებში თურქეთს ძალზე აწუხებდა უმუშევრობის პრობლემა. წლების განმავლობაში უმუშევართა რიცხვი შეადგენდა 8-16%-ს. ქვეყანაში შეიმჩნეოდა ინფლაციის მაღალი დონე. მაგალითად, 1980–1983 წლებში ინფლაცია შეადგენდა 31,3%-ს. 1983-1991 წლებში - 49%-ს, 1991-1997 წლებში 85,5%–ს. ოპტიმისტი ოზალი ყოველივე ამას ხსნიდა იმით, რომ თურქეთის სახელმწიფო ჩქარი ტემპით ვითარდებოდა. იგი თვლიდა ინფლაციას ჩამორჩენილობის გადალახვის პროცესის გარდაუვალ ასპექტად, მაგრამ სხვაგვარად ფიქრობდა თურქეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი. ინფლაციასთან ქვეყნის ხელმძღვანელობის უშედეგო ბრძოლა შემდგომში გახდა მთავარი მიზეზი ამომრჩევლების უნდობლობისა თურქეთის VIII პრეზიდენტის მიერ ქ. მალათიაში ჩამოყალიბებული დედასამშობლოს პარტიის (ANAP) მიმართ, რის შედეგადაც, 1989 წლის ნოემბერს თურქეთში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში ამ პარტიამ დათმო თავისი პოზიციები.

მიუხედავად უარყოფითი მხარეებისა, თურქეთის ეკონომიკამ დიდ წარმატებებს მიაღწია. თურქეთი აგრარულ - ინდუსტრიული ქვეყნიდან გადაიქცა ინდუსტრიულ - აგრარულ ქვეყნად. იგი თავისი განვითარების დონით გაუტოლდა სამხრეთ – აღმოსავლეთ აზიისა და შორეული აღმოსავლეთის ახალ ინდუსტრიულ სახელმწიფოებს.

საკონტროლო კითხვები:

1) დაახასიათეთ თურქეთის საშინაო პოლიტიკური მდგომარეობა XX საუკუნის 70–იანი წლების ბოლოს და 80–იანი წლების დასაწყისში;
2) ახსენით, რა როლი შეასრულეს სამხედროებმა 80–იანი წლების სახელმწიფო გადატრიალებაში;

3) დაასახელეთ თურქეთში XX საუკუნის 80–იან წლებში აღმოცენებული პოლიტიკური პარტიები;
4) როგორ წამოუდგენია ფ. გიულენს ქვეყნის ოფიციალურ იდეოლოგიაში თურქულ–ისლამური სინთეზის ფონზე რესპუბლიკური თურქეთის მომავალი?;
5) რა ადგილი ეკავა ს. დემირელისა და თ. ოზალის პოლიტიკაში ისლამის საკითხს?
6) დაახასიათეთ თურქეთის ეკონომიკური მდგომარეობა XX საუკუნის 80–იანი წლების დასაწყისში;
7) ახსენით, რა როლი მიუძღვის თურგუთ ოზალს 80–90 იანი წლების თურქეთის ეკონომიკურ განვითარებაში;
8) რა როლი უკავია თურქეთის ეკონომიკურ პოლიტიკაში თავისუფალი ეკონომიკური ზონის საკითხს.

პრაქტიკული დავალება:

1. გააანალიზეთ XX საუკუნის 80-იანი წლების თურქეთის საშინაო პოლიტიკის ძირითადი საკითხები.
2. გააანალიზეთ XX საუკუნის 80-90- იანი წლების თურქეთის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი საკითხები.

გამოყენებული ლიტერატურა და ვებგვერდები:

1. ბატიაშვილი ზ., არმიის ადგილი და როლი თურქეთის რესპუბლიკაში (1923-2000 წლებში), (საკანდიდატო დისერტაცია). თბილისი, 2003.
2. ბატიაშვილი ზ., თურქეთის შეიარაღებული ძალები, თბილისი, 2000.
3. თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, თურქულიდან თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა გიორგი სორდიამ, თბილისი, 2000.

4. ლებანიძე ტ., თურქეთის შიდა პოლიტიკა 1945–1980 წლებში და პოლიტიკური პარტიები, თბილისი, 2003.
5. ლებანიძე ტ., თურქეთის პოლიტიკური პარტიების ისტორიული მიმოხილვა, თბილისი, 2011.
6. მაჩიტიძე ელ., არმიის როლი თურქეთის საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში მე-20 საუკუნის 60-80 - იან წლებში, ორიენტალისტური ძიებანი, II, თბილისი, 1996.
7. მაჩიტიძე ელ., 1980 წლის 12 სექტემბრის სამხედრო გადატრიალება თურქეთში, ისტორიულ–პოლიტიკური ძიებანი, კრებული I, თბილისი, 1993.
8. მაკარაძე ე., თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები, ბათუმი, 2000.
9. სვანიძე მ., თურქეთის ისტორია, თბილისი, 2007.
10. სანიკიძე გ., ალასანია გ., გელოვანი ნ., ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობა სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.–XXI ს.–ის დასაწყისი), თბილისი, 2011.
11. Гасратян М. А., Орешкова С. Ф., Петросян Ю. А. Очерки истории Турции. Москва, 1983.
12. Данилов В.И., Политическая борьба в Турции. Москва, Наука, 1985.
13. Данилов В.И., Турция 80-х: от военного режима до «ограниченной демократии». Москва, Наука, 1991.
14. Киреев Н.Г., Борьба с террором в Турции. Исламизм и экстремизм на Ближнем Востоке (сборник статей). Институт изучения Израиля и Ближнего Востока. Академия геополитики и безопасности. Москва, 2001.
15. Шувалова Н.Б., Турция XX век (сборник обзоров). Москва, 2002.
16. Ahmet Akcül, „Dünyanin Değişmi ve Erbakan Dervimi,~ İstanbul. 1995.
17. Akşit N., „Milli Tarih,“ c.II. İstanbul, 1993.
18. Bilge. Atatürk Kültür Dil ve Tarih Yüksek Kurumu. Kiş 7. Ankara, 1999.

19. Bodgener D., Ankara's pipe dreams come true. Meed, 22 April 1994.
20. Erbil Tuşalp., Şeriatı beklerken. İstanbul, 1996.
21. Türkiye Tarihi, № 5, Bugünkü Türkiye(1980-2003), Istanbul, 2005.
22. Ozal's interview with Die, Welt. 23 August 1990.
23. Özek Ç., Devlet ve dm. Istanbul: A.U.Yoyinlari, 1982.
24. Refah partisi program!. Ankara, 1983.
25. www.Türkiye Büyük Millet Meclisi. org.tr
26. www.turkishdailynews.com.tr
27. www.iimes.ru.
28. www.akparti.org.tr
29. www.chp.org.tr
30. www.mhp.org.tr
31. www.dyp.org.tr
32. www.anap.org.tr
33. www.dp.org.tr
34. www.bbp.org.tr

თავი X. თურქეთის საშინაო პოლიტიკა XX საუკუნის 90-იან წლებში

XX საუკუნის 80-იან წლებში ნაციონალურ-ისლამურ სინთეზს ქვეყანაში მიემხრო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რამაც 90-იან წლებში ნიადაგი მოუმზადა ისლამური იდეების გავრცელებას, წინწამოწევას, რაც ისლამისტების აზრით, თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე იქნა აგებული და შესწევდა უნარი დაებრუნებინა თურქეთი ე. წ. „ისლამის ოქროს ხანაში."

სულეიმან დემირელი

90-იან წლებში ქვეყანაში პოლიტიკური განვითარების მძიმე ტვირთი თავის თავზე აიღო ჯერ ისლამური კეთილდღეობის, ხოლო შემდეგ სათნოების პარტიამ, რომლებიც არჩევნებიდან არჩევნებამდე ძლიერდებოდნენ და მყარ დასაყრდენს იძენდნენ საზოგადოებაში.

90-იან წლებში ისლამისტების გააქტიურება და მათი ხელისუფლების სათავეში მოსვლა დაკავშირებული იყო მრავალწლიან პროცესთან. იგი უმთავრესად გამოწვეული იყო თურქულ საზოგადოებაში რელიგიური უფლებების განმტკიცებით და სახელისუფლებო პარტიებში ისლამური ორიენტაციის მომხრეთა ზრდით.

90-იან წლებში ისლამისტების მიმართ სახელისუფლებო პარტიების (დედასამშობლოს და ჭეშმარიტი გზის) ინტერესები ყოველთვის არ ემთხვეოდა ერთმანეთს, ისინი ხშირ შემთხვევაში ურთიერთ საჯარო საყვედურებსა და დაპირისპირებებში ვლინდებოდა, რაც მკვეთრად ზემოქმედებდა ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობაზე და დიდ უკმაყოფილებას იწვევდა საზოგადოებაში. ყოველივე ამან ქვეყანაში მათი ავტორიტეტის დაცემა და სოციალური დაძაბულობის ზრდა გამოიწვია. ქვეყნის ბიუჯეტის არამიზნობრივმა ხარჯებმა და ეკონომიკის არასწორმა დაგეგმარებამ თურქული ლირის არნახული გაუფასურე-

ბა გამოიწვია. ფაქტია, რომ თურქი მოსახლეობის ისლამისტებისადმი მხარდაჭერა უმთავრესად ქვეყანაში არსებული სისტემისადმი უნდობლობით იყო განპირობებული. რიგით ამომრჩევლებს მოსწყინდათ მემარჯვენე და მემარცხენე მიმართულების პარტიების მუდმივი ქიშპი, მტრობა, კორუფცია, დაპირებები მომავალში უკეთესი ცხოვრებისა და სხვა. ამ ვითარებიდან გამომდინარე, 90-იან წლებში, ისლამური ორიენტაციის პარტიებმა მიზნად დაისახეს ქვეყანაში დაეწყოთ ,,სამართლიანი წესრიგის" დამყარება, რაც მუსლიმ ამომრჩეველთა დიდი ნაწილისათვის მისაღები აღმოჩნდა.

90-იანი წლების დასაწყისიდან ისლამური კეთილდღეობის პარტია საპარლამენტო არჩევნებში ნელი სვლით იკაფავდა გზას ხელისუფლებისაკენ. 1991 წლის 20 ოქტომბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში, პარტიამ ხმების 16,8% მიიღო და პარლამენტში 62 დეპუტატი გაიყვანა.

	პარტიის დასახელება	**პროცენტი**	**დეპუტატების რაოდენობა**
1	**დედასამშობლოს პარტია (ANAP)**	24,01	115
2	**კეთილდღეობის პარტია (RP)**	16.8	62
3	**ჭეშმარიტი გზის პარტია (DYP)**	27.03	178
4	**მემარცხენე-დემოკრატიული პარტია (DSP)**	10.75	7
5	**სოციალ-დემოკრატიული სახალხო პარტია**	20.75	88

1991 წლის არჩევნებში გამარჯვებული ჭეშმარიტი გზის პარტიის თავმჯდომარემ სულეიმან დემირელმა სოციალ-დემოკრატების შეთავაზებით თურქეთის ისტორიაში პირველად ჩამოაყალიბა მემარჯვენეებისა და მემარცხენეების კოალიციუ-

რი მთავრობა, მაგრამ 1993 წლის 17 აპრილს მოულოდნელად გარდაიცვალა თურქეთის პრეზიდენტი თურგუთ ოზალი, რასაც ქვეყანაში გარკვეული პოლიტიკური ცვლილებები მოჰყვა. ახალ პრეზიდენტად აირჩიეს სულეიმან დემირელი.

კეთილდღეობის პარტიისა და მისი მეთაურის ნეჯმეთთინ ერბაქანის პირველი სერიოზული წარმატება 1994 წლის 28 მარტს ჩატარებული მუნიციპალური (ადგილობრივი) არჩევნები იყო, რომელშიც ისლამური მიმართულების პარტიებს მხარი დაუჭირა მოსახლეობის 19%-მა. არჩევნები რესპუბლიკური თურქეთისათვის სენსაციური იყო, რადგანაც ეს პარტიის სერიოზული განაცხადი იყო დიდ პოლიტიკაში.

თანსუ ჩილერი

ერთი შეხედვით თითქოს შეუძლებელი უნდა ყოფილიყო ლაიცისტურ თურქეთში ისლამისტების წარმატება, მაგრამ ეს ყველაფერი ათწლეულების განმავლობაში წარმოებული პოლიტიკის ლოგიკური შედეგი იყო. საქმე ისაა, რომ 40-იანი წლებიდან მოყოლებული მთავრობამ მოსალოდნელი კომუნისტური საფრთხის განეიტრალების მიზნით დაიწყო ისლამის წახალისება, რის შედეგად ქვეყანაში 90-იანი წლები ისლამის აღორძინების ნამდვილ ოაზისად იქცა. ამის ნათელი მაგალითი იყო 28 მარტის არჩევნები, სადაც ისლამურმა პარტიამ ქვეყნის ცენტრალურ, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში და თურქეთის დიდ ქალაქებში (ანკარა და სტამბოლი) ხმათა უმრავლესობა მოიპოვა.

1995 წლის მეორე ნახევარში პრემიერ-მინისტრ თანსუ ჩილერის მთავრობასა და პარლამენტს შორის დაპირისპირებამ თურქეთის საშინაო ცხოვრება მკვეთრად დაძაბა.

1995 წლის 5 დეკემბერს დაგეგმილ პარლამენტის საგანგებო სხდომაზე უნდა განხილულიყო არჩევნების ვადის გადატანის და პრემიერ-მინისტრ თანსუ ჩილერისა და მისი მთავრობის ნდობის საკითხი, რაც უმთავრესად გამოწვეული იყო ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით. საგან-

გებო სხდომა არ შემდგარა, რადგან პარლამენტში დეპუტატთა საჭირო რაოდენობა (150 კაცი) არ გამოცხადდა. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, შეთანხმდნენ, რომ მეჯლისის არჩევნები ჩატარდებოდა 1995 წლის 24 დეკემბერს. ამით ფაქტობრივად ქვეყანაში წინასაარჩევნო სამზადისი დაიწყო.

1995 წლის 6 დეკემბერს, თურქეთის სტატისტიკის სამმართველოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, თურქეთში ამომრჩეველთა რაოდენობა წინა არჩევნებთან შედარებით 7,3%-ით გაიზარდა. რაც საარჩევნო კანონში შეტანილი ცვლილებებით (24 დეკემბრის საპარლამენტო არჩევნებში ხმის მიცემის უფლება პირველად 18 წელს მიღწეულ ახალგაზრდებსაც ეძლეოდათ) იყო გამოწვეული. საგრძნობლად გაიზარდა საარჩევნო უბნების რაოდენობაც (139 ათასი).

ისლამურმა კეთილდღეობის პარტიამ წინასაარჩევნო მარათონის დროს, პოპულისტური ლოზუნგების გამოყენებით („ჩვენ მოვდივართ ხელისუფლებაში, რათა მივცეთ ხალხს ის, რაც მათ სურთ;“ „მორწმუნეთა ჩაგვრაზე უარი;“ „ერის დამცირების შეწყვეტა;“ „ნამდვილ დემოკრატიაზე გადასვლა;“ „დამოუკიდებელი, საკუთარი საგარეო პოლიტიკის წარმოება“ და სხვა), შეძლო თურქი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ნდობის მოპოვება. არჩევნების წინ მათ ქვეყნის გადარჩენის ერთერთ საშუალებად პარტიის „ეროვნული“ მოდელი მიიჩნიეს: „მდიდარი მოქალაქე – მდიდარი სახელმწიფო.“

პარტია საჯაროდ აცხადებდა, რომ აუცილებელი იყო „რწმენის“ თავისუფლების აღიარებაზე ისეთი კანონის მიღება, რომელიც ჩადრის ტარების თავისუფლებას, დღეში ხუთჯერ ლოცვას, ვაკუფებისა და რელიგიური სკოლების საქმიანობას, ლოცვაში არაბული ენის გამოყენებას უზრუნველყოფდა.

შეიძლება ითქვას, რომ 1995 წლის 24 დეკემბრის არჩევნები თურქეთისათვის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენად უნდა გადაქცეულიყო, რომელსაც რესპუბლიკური თურქეთის შემდგომი ბედი უნდა განესაზღვრა. ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესოა თანსუ ჩილერის წინასაარჩევნო მიმართვა თურქეთის მოსახლეობისადმი: „თქვენი გადაწყვეტილება - ეს არის არჩევანი ცივილიზაციასა და სიბნელეს შორის“(ნათელია,

რომ სიბნელეში ჩილერი ისლამისტების გამარჯვებას გულისხმობდა (ე. მ.).

თურქეთის პოლიტიკური წრეებისათვის კეთილდღეობის პარტიის წარმატება მოულოდნელი არ იყო. ისლამური იდეების ქადაგებით ქვეყანაში პარტიამ უკანასკნელ წლებში დიდი პოპულარობა მოიპოვა. სტამბოლში გამართულ წინასაარჩევნო მიტინგზე პარტიის ლიდერმა ნეჯმეთთინ ერბაქანმა განაცხადა: „თუკი თურქი მოსახლეობა მხარს მის პარტიას არ დაუჭერდა, მსოფლიოს მონები იქნებოდნენ.“ ამას თან დაემატა 1995 წლის მარტში სტამბოლში ახალი არეულობები, რაც შიიტთა ყავახანების დაცხრილვა და ათობით მორწმუნე ადამიანის დაღუპვა გამოიწვია.

როგორც ვხედავთ, თურქეთში წინასაარჩევნო კამპანია მეტად დაძაბულად მიმდინარეობდა, რაც შემდგომში ისლამისტებსა და ლაიცისტებს შორის დაპირისპირების საბაბი გახდა. 1995 წლის 24 დეკემბერს თურქეთში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, სადაც 550 ადგილზე პრეტენზიას 12 პარტია აცხადებდა. მათგან დაწესებული 10%-იანი ზღვარი გადალახა ისლამური ორიენტაციის კეთილდღეობის, ჭეშმარიტი გზის, დედასამშობლოს და სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიებმა.

არჩევნების შემდეგ თურქეთში მდგომარეობა სასიკეთოდ უნდა შეცვლილიყო, მაგრამ მოხდა პირიქით, კოალიციის შექმნასთან დაკავშირებით პარტიებს შორის დაიწყო დაპირისპირება.

	პარტიის დასახელება	**პროცენტი**	**დეპუტატების რაოდენობა**
1	**კეთილდღეობის პარტია (RP)**	21,38	158
2	**ჭეშმარიტი გზის პარტია (DYP)**	19,18	135
3	**დედასამშობლოს პარტია (ANAP)**	19,05	132

4	**მემარცხენე-დემოკრა-ტიული პარტია (DSP)**	14,64	76
5	**სახალხო-რესპუბლი-კური პარტია (CHP)**	10,71	49
6	**ნაციონალური მოძრა-ობის პარტია (MHP)**	8,18	-

1995 წლის დეკემბრის არჩევნებს თურქეთში პოლიტიკური კრიზისი მოჰყვა, რადგანაც არჩევნების შედეგებს არცერთი პარტიისთვის არ მიუცია ერთპარტიული მთავრობის შექმნის უფლება. მეტიც, ჭეშმარიტი გზის და დედასამშობლოს პარტიები, საგრძნობლად ჩამორჩა ნეჯმეთთინ ერბაქანის ისლამურ პარტიას. კოალიციური მთავრობის შექმნასთან დაკავშირებით ქვეყანაში დაიწყო რთული პოლიტიკური „ვაჭრობა.“ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გარიგება უმთავრესად რამდენიმე საკითხის ირგვლივ მიმდინარეობდა: ვინ გახდებოდა პრემიერ-მინისტრი, ვინ იქნებოდა კოალიციის მესამე წევრი, თუკი დედასამშობლოს და ჭეშმარიტი გზის პარტიები გაერთიანდებოდნენ, ვინ უხელმძღვანელებდა მთავრობაში ეკონომიკის დარგს, როგორ განაწილდებოდა პარტიებს შორის მინისტრთა პორტფელები და სხვა.

მესუთ ილმაზი

ვითარებას ართულებდა ის გარემოებაც, რომ სახელისუფლებო პარტიებმა საერთო ენა ვერ გამონახეს. ამიტომაც არ იყო გამორიცხული, რომ დაიწყებოდა ნეჯმეთთინ ერბაქანის პარტიასთან დაახლოების პროცესი.

მეორე მთავარი წინააღმდეგობა სამთავრობო პარტიებს შორის გახლდათ საკითხი, თუ ვინ გახდებოდა კოალიციის მესამე წევრი. მესუთ ილმაზი აცხადებდა, რომ კოალიციაში მემარცხენე - დემოკრატიული პარტია (ბიულენთ ეჯევითი) უნდა შესულიყო, რომელთანაც იგი ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდა, ხოლო თანსუ ჩილერი უფრო სახალხო-რესპუბ-

ლიკური (დენიზ ბაიკალი) პარტიისაკენ იხრებოდა. კოალიციის შემთხვევაში პრემიერ-მინისტრის პოსტზე თანსუ ჩილერიც და მესუთ ილმაზიც ასახელებდნენ ბიულენთ ეჯევითის კანდიდატურას. ჩილერს და მის პარტიას ილმაზი არ სურდა არათუ პრემიერ-მინისტრად, არამედ საგარეო საქმეთა მინისტრადაც კი.

თანსუ ჩილერის მომხრეები და თვით სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ლიდერი დენიზ ბაიკალი, მესუთ ილმაზის სამთავრობო ფორმულას მიიჩნევდა „ომის ტაქტიკად და არა შეთანხმებად“ და თვლიდა, რომ ეს იყო დედასამშობლოს და მისი ლიდერის მხრიდან ჭეშმარიტი გზის პარტიის იზოლაციაში მოქცევის ცდა, რაც მათი აზრით ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანდა.

რაც შეეხება კეთილდღეობის პარტიას, თავდაპირველად მასთან კოალიციაზე კონკრეტულად ახალს არაფერს აცხადებდნენ, მაგრამ ამ პარტიისადმი მესუთ ილმაზის შედარებით ლოიალურ დამოკიდებულებაზე ბოლო პერიოდში პოლიტიკოსები (დევლეთ ბაჰჩელი, დენიზ ბაიკალი) აშკარად საუბრობდნენ.

ასეთ ვითარებაში, როცა პარტიებს შორის დავა და დაპირისპირება არ ნელდებოდა, საზოგადოებრივი აზრი უფრო მეტად იხრებოდა იმ დასკვნისაკენ, რომ „თურქეთი რჩებოდა ქაოსურ სიტუაციაში და პარტიათა ლიდერები გონს უნდა მოსულიყვნენ, რათა არ დაეღუპათ ქვეყანა.“

პოლიტიკურმა არამყარობამ ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია. არჩევნების შემდეგ თურქეთში ახალი ძალით იფეთქა ინფლაციამ, რამაც ფასების მკვეთრად გაზარდა. ენერგომატარებლების და ბენზინის ფასმა ქვეყანაში 20-25%-ით მოიმატა. 15%-ით გაძვირდა სასმელი და თამბაქოს ნაწარმი, 12%-ით შაქარი და პური, 100%-ით საფოსტო მომსახურება და ა. შ.

1996 წლის იანვრის მონაცემებით თურქული ლირა, ამერიკულ დოლართან მიმართებით თითქმის 10 ათასი ერთეულით დაეცა და თებერვლის დასაწყისისათვის ერთი აშშ დოლარი 65000 ლირას გაუთანაბრდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესოა თანსუ ჩილერის განცხადება: „ნუ შევქმნით ქვეყანაში დაძაბულობას, ნუ ავჩქარდებით, ნუ მოვშლით ნდობის იმ ფაქტორს, რომელიც ჩვენ შორის დღემდე არსებობს.“ ამით მან მი-

მართა მესუთ ილმაზს, რომლის პასიურობაზე აშკარად მიუთითებდნენ.

1996 წლის მარტში, ჯერ კიდევ თანსუ ჩილერის მთავრობაში ყოფნის დროს, კეთილდღეობის პარტიის ზოგიერთი აქტივისტი ცდილობდა დაედანაშაულებინა სამხედრო ხელმძღვანელობა შეიარაღებულ ძალებში ლოცვის შეზღუდვის მცდელობაში, იმ მიზეზით, რომ ყაზარმებში ამისათვის არანაირი პირობები არ არსებობდა. სამხედრო ხელმძღვანელობამ ამ ფაქტთან დაკავშირებით საზოგადოებას აუწყა, რომ ისლამური ორიენტაციის პარტია მორწმუნეებთან არმიის დაპირისპირებას ვერ შეძლებდა. მათ მეჩეთებისა და სკოლების შემდეგ არმიის შიგნითაც სურდათ თავიანთი ღონისძიებების განხორციელება." ამ ფაქტთან დაკავშირებით ცნობილი თურქი საზოგადო მოღვაწე ალი სირმენი აღნიშნავდა: „ქვეყანაში არავითარი ეჭვი არ არსებობს იმისა, რომ კეთილდღეობის პარტია არმიასთან ბრძოლას განაგრძობს." ფაქტია, რომ დაპირისპირება სამხედროებსა და ისლამისტებს შორის, გარკვეულ საკითხებში, არსებობდა და იარსებებდა მომავალშიც.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კეთილდღეობის პარტიის ტაქტიკა ამ შემთხვევაში მეტად მიზანმიმართული იყო. ამით ის ცდილობდა არმია პარლამენტისათვის დაეპირისპირებინა, შემდეგ კი ეს უკანასკნელი არმიის წინააღმდეგ გამოეყენებინა. ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, პარტიას განზრახული ჰქონდა საერო მმართველობაში გარკვეული ცვლილებების შეტანა. ამის მიღწევაში მათ ორი მთავარი დაბრკოლება - პრესა და არმია ეღობებოდა.

კონსტიტუციის თანახმად, პოლიტიკურ პარტიებს ეძლეოდათ 45 დღე შესათანხმებლად და თუ ამ პერიოდში ისინი ვერ მორიგდებოდნენ, პრეზიდენტი დაითხოვდა პარლამენტს და დაინიშნებოდა ახალი არჩევნები.

მესუთ ილმაზმა, თანსუ ჩილერთან კავშირი არჩია და შეიქმნა ე. წ. „ანაიოლის" მთავრობა მესუთ ილმაზის ხელმძღვანელობით. პრემიერის პოსტი ილმაზს წლის ბოლომდე უნდა დაეკავებინა. 1997-1998 წლებში მას თანსუ ჩილერი შეცვლიდა, ხოლო 1999 წელს ამ თანამდებობას კვლავ ილმაზი დაიკავებდა.

1996 წლის დასაწყისში თანსუ ჩილერმა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა თავის პარტნიორ მესუთ ილმაზს გადასცა, რის შემდგომაც მათ შორის პოლიტიკური დაპირისპირება დაიწყო. კერძოდ, ილმაზმა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, თანსუ ჩილერს ძველი ცოდვები შეახსენა, მოითხოვა საიდუმლო საქმიანობისათვის გათვალისწინებული ,,საპრემიერო ფონდის" შესაბამისი დოკუმენტები და არარეგისტრირებული უძრავ-მოძრავი ქონების დეკლარაცია. ამ ფაქტთან დაკავშირებით, საზოგადოებაში გავრცელდა სხვადასხვა მოსაზრება, თითქოსდა მმართველი პარტიების დაპირისპირება გამოწვეული იყო ისლამური კეთილდღეობის პარტიის წამქეზებლობით, რათა კოალიციურ მთავრობას სერიოზული სიძნელეები შექმნოდა.

ზემოხსენებულმა ფაქტებმა გარკვეულწილად დაძაბა და გაართულა ურთიერთობა კოალიციაში მყოფ პარტიებს შორის, რის გამოც 1996 წლის 7 ივნისს კოალიცია დაიშალა.

ნეჯმეთთინ ერბაქანი

1996 წლის 29 ივნისს ჭეშმარიტი გზის და კეთილდღეობის პარტიის მოლაპარაკების შედეგად შეიქმნა ე. წ. „რეფაჰიოლის" კოალიციური მთავრობა, სადაც პრემიერ-მინისტრის თანამდებობას მონაცვლეობით თანსუ ჩილერი და ნეჯმეთთინ ერბაქანი დაიკავებდნენ. დასაწყისში მთავრობას სწორედ ეს უკანასკნელი ჩაუდგა სათავეში. ისლამური პარტიები ადრეც მონაწილეობდნენ კოალიციებში, მაგრამ ამ შემთხვევაში პარტია წამყვანი ლიდერის, სამთავრობო კოალიციის ინიციატორის მდგომარეობაში აღმოჩნდა. მისი ლიდერი კი რესპუბლიკის მთელი ისტორიის განმავლობაში პირველად გახდა მთავრობის მეთაური. ეს ფაქტი გავლენიანმა თურქულმა ჟურნალმა „აქტუელმა" შემდეგნაირად შეაფასა: „ქვეყნის სისტემაში მოხდა იმ სოციალური ჯგუფების ინტეგრაცია, რომლებიც ადრე სისტემის საზღვრებიდან იყვნენ გაძევებულნი." 1996 წლის ზაფხულში, სამხედროების იძულებითი თანხმობა ნეჯ-

მეთთინ ერბაქანის ხელისუფლებაში მოსვლაზე, სხვებთან ერთად იმ ფაქტის დადასტურებაა, რომ რესპუბლიკურ თურქეთში სამხედრო გადატრიალებების დრო ისტორიას ჩაბარდა. რესპუბლიკის მმართველობის და ლაიციზმის დამცველები, არც აშშ-ის, არც ევროკავშირის ქვეყნებიდან და არც საკუთარი ქვეყნის ელიტისაგან გრძნობდნენ მხარდაჭერასა და თანადგომას.

ნეჯმეთთინ ერბაქანმა, ისარგებლა რა მეტოქეთა ბანაკში არსებული განხეთქილებით, ანკარელ „რკინის ქალბატონ“ თანსუ ჩილერს ახალ მთავრობაში შესთავაზა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი. იმავე დროს ის ჩილერს დაჰპირდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოუგვარებდა სასამართლოს მხრიდან მის კორუფციაში ბრალდების საკითხს.

ექსპერიმენტის შედეგმა არ დააყოვნა. კეთილდღეობის პარტიის ლიდერების გამოსვლების ტონი (დროებით) საგრძნობლად შერბილდა. მათ თავიანთ საპროგრამო დებულებებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე დაუმატეს და განაცხადეს, რომ „ამიერიდან იყვნენ არა მხოლოდ ისლამისტები, არამედ დემოკრატი ისლამისტები.“

ნეჯმეთთინ ერბაქანის მხრიდან დიპლომატიური ნაბიჯი იყო „ლაიციზმის“ დაცვის ნიშნით ჩატარებული კეთილდღეობის პარტიის ყრილობა, ხოლო შემდეგ პარტიის ხელმძღვანელებთან ერთად მუსტაფა ქემალ ათათურქის მავზოლეუმის მონახულება და გვირგვინით შემკობა. საპატიო სტუმართა წიგნში ერბაქანმა აღნიშნა, რომ „ყველაფერს გააკეთებდა ათათურქის მიერ დაარსებული რესპუბლიკის კიდევ უფრო გასაძლიერებლად“. დამსწრე საზოგადოებას მან ისიც განუცხადა, რომ „პარტიის მიერ აღიარებული „ეროვნული შეხედულების“ პრინციპები ქემალიზმის პრინციპების ანალოგიურია.“ ნიშანდობლივია ისიც, რომ მავზოლეუმის მონახულების შემდეგ ნეჯმეთთინ ერბაქანი ქვეყნის პრეზიდენტ სულეიმან დემირელსაც ეახლა, რომელმაც „პრემიერ-მინისტრს ლაიციზმის გაკვეთილები ჩაუტარა და ურჩია, რომ ნუ ეძებდა ქვეყანაში ამჟამად არსებული რეჟიმის ალტერნატივას, უმჯობესი იყო მისი დაცვა და განმტკიცება.“

მმართველობაში მოსვლის შემდეგ ისლამური ორიენტაციის ხელისუფლებამ არმიასთან დაიწყო ფრთხილი პოლიტიკის გატარება. ჯერ კიდევ 1996 წლის მარტში კეთილდღეობის პარტიის აქტივისტები სამხედრო ხელმძღვანელობას ადანაშაულებდნენ ყაზარმებში ჯარისკაცებისათვის ლოცვის აკრძალვაში. რის პასუხად სამხედროები აცხადებდნენ, რომ „არმიას მორწმუნეებთან ვერავინ დააპირისპირებდა.“ მოგვიანებით სიტუაცია შეიცვალა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კეთილდღეობის პარტიის ლიდერმა ფრთხილად, მაგრამ მაინც შეახსენა საზოგადოებას რელიგიური ლოზუნგები და კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის გეგმები, რომლითაც დაიწყო ქვეყნის ცხოვრებაში ახალი პოლიტიკური კურსის გატარება.

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, კეთილდღეობის პარტიის ლიდერებს და მათ შორის გამოცდილ ნეჯმეთთინ ერბაქანსაც, თავდაპირველად ეგონათ, რომ ისინი შეძლებდნენ რეჟიმის შეუცვლელად მმართველობაში ძალთა ახალი ბალანსის შექმნას. უკიდურეს შემთხვევაში, საზოგადოების ძლიერი მხარდაჭერით განახორციელებდნენ ამას, მაგრამ, როგორც ცხადი გახდა, პარტიის კადრების ძირითადმა ნაწილმა დალოდება არ ისურვა და რაკიღა ისინი აღმასრულებელ ხელისუფლებაში და პარლამენტში შედარებით უმრავლესობით მოვიდნენ, მათ ხელში გადავიდა ქვეყნის უმსხვილესი ქალაქების - სტამბოლისა და ანკარის მუნიციპალიტეტების მმართველობა, „ნიღაბი ჩამოიხსნეს“ და მოკლე დროში გამოააშკარავეს თავიანთი სამუშაო გეგმები. კერძოდ, პარტიის ახლადარჩეული საპარლამენტო ჯგუფის პირველივე სხდომა რელიგიური ატრიბუტიკისა და სიმბოლიკის აღდგენით მიმდინარეობდა, შესრულდა ლოცვები თურქულ და არაბულ ენებზე. პარლამენტში შედგა მოკლე დისკუსიაც თემაზე: „საჭირო იყო თუ არა დეპუტატის ფიცის ტექსტში ტერმინის „საერო სახელმწიფოს“ შენარჩუნება, შესაბამისი წარმოთქმა“ და სხვა. ლოცვის შესრულების შემდეგ, თავის გამოსვლაში ერბაქანმა დეპუტატებს შეახსენა, რომ „ანკარაში 70 წელზე მეტი ხნის წინათ თურქეთის დიდი ეროვნული მეჯლისის პიველი სხდომაც ლოცვით დაიწყო.“

საზოგადოებისა და ზოგიერთი საერო პარტიის ლიდერთა ყურადღება იმ პერიოდში მიპყრობილი იყო პრემიერ-მინისტრის მიერ ოფიციალურ სამთავრობო რეზიდენციაში მოწყობილ რელიგიურ ცერემონიალზე, ეს იყო სარამაზანო ტრაპეზი, რომელზეც მიწვეულნი იყვნენ თურქეთის რელიგიური საზოგადოებებისა და ორდენების ლიდერები. ამ ღონისძიების პროტესტის ნიშნად სახალხო-რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობამ რეზიდენციის კედელთან შავი გვირგვინიც კი დადგა. იმ დღეებში თურქეთის საზოგადოების ერთი ნაწილი გამოთქვამდა მოსაზრებას, თურქეთის სახელმწიფოს რელიგიის კონტროლის ქვეშ გადასვლაზე. „რომელ ქემალიზმზე, საეროებაზე, რესპუბლიკურ კანონებსა და თანამედროვე სამართალზე შეიძლება ვისაუბროთ, როცა უმაღლეს სახელმწიფოებრივ საფეხურზე ტარიკათების უპირატესობასა და ბატონობას აყენებენ. სანამ ქვედა ეშელონებში გრძელდება კამათი ტარიკათების, ჩალმის, თექას, რელიგიური ექსპლუატაციის შესახებ, პრემიერ-მინისტრი სამთავრობო რეზიდენციაში ორდენთა შეიხებს იღებს... რითაც, თანამედროვე რესპუბლიკური თურქეთის ყველა სტრუქტურას, მის ყველა ელემენტსა და კანონს თითო პანღურს ამოჰკრავს.“

უფრო ფრთხილ შეფასებას იძლეოდა ცნობილი თურქი პოლიტოლოგი ხ. ბილიასი - „ქვეყნის პოლიტიკაში არსებული სიძნელეები მაინც არ იქნა გადალახული და არ მოხდა ხალხის დამშვიდება, პირიქით, ქვეყანაში შეიქმნა ახალი პრობლემები. ასეთ ვითარებაში კი შეუძლებელია ჯანსაღ ეკონომიკაზე საუბარი.“ ფაქტია, რომ ხელისუფლებას უძნელდებოდა ამ სფეროში რაიმე ღონისძიების გატარება.

ხელისუფლებაში, „ისლამური“ პარტიის მოსვლის შემდეგ, საგრძნობლად შეიცვალა დამოკიდებულება ისლამურ ორგანიზაციებთან. თურქეთს, როგორც ტრადიციულ მუსლიმურ ქვეყანას, 90-იან წლებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მუსლიმურ სამყაროში და აქტიურ როლს ასრულებს ისლამურ სახელმწიფოებთან ეკონომიკურ და სავაჭრო თანამშრომლობის გაფართოებაში.

1995 წლის ბოლოს თურქეთში დაარსდა ისლამურ - ევრაზიული საბჭო. ნეჯმეთთინ ერბაქანის თანადგომითა და ხელმძღვანელობით სტამბოლში შეიკრიბა რვა ისლამური სახელმწიფოს წარმომადგენელი, რომელთა მიზანი იყო თანამშრომლობის განვითარება და ერთობლივი, კონკრეტული პროექტების რეალიზაცია.

1996 წლის 9 ნოემბერს, ანკარაში, ისლამური ქვეყნების კონფერენციის – „თანამშრომლობისა და განვითარების," სამეთვალყურეო კომიტეტის სხდომაზე, პრემიერ-მინისტრ ერბაქანის წინადადებით დაადგინეს შეექმნათ დასავლური შვიდეულის მსგავსი ისლამური „რვათა კავშირი." „ახალი სამყაროს წარმოშობის დღე" - ასე უწოდა ნეჯმეთთინ ერბაქანმა – თურქეთის, ეგვიპტის, ირანის, პაკისტანის, მალაიზიის, ბანგლადეშის, ინდონეზიის და ნიგერიის წარმომადგენელთა შეხვედრას. ფორუმზე „დიასახლისის" გარდა მხოლოდ ირანმა და ინდონეზიამ გამოგზავნეს სახელმწიფოს მაღალი რანგის ხელმძღვანელები, ხოლო დანარჩენმა ხუთმა ქვეყანამ მხოლოდ სახელისუფლო მოხელეები.

ახალი ორგანიზაციის წევრთა პირველი ოფიციალური შეხვედრა 1997 წლის 4 იანვარს შედგა. ანკარაში გამართულ სამიტზე სიტყვით გამოსულმა პრემიერმა ერბაქანმა აღნიშნა, რომ „ამ შეხვედრის მიზანი იყო არა მარტო ისლამური, არამედ ყველა განვითარებული ქვეყნის ერთ ჯგუფად გაერთიანება." „რვათა კავშირის" სტრატეგიული გეგმა კი გულისხმობდა განვითარებად სახელმწიფოებზე დასავლეთის ინდუსტრიული ქვეყნების დომინირების დასრულებას. პერსპექტივაში გათვალისწინებული იყო მასში ცენტრალური აზიის ყოფილი საბჭოთა მუსლიმური რესპუბლიკების ჩართვაც, რასაც, საბოლოო ჯამში, თურქეთის ძალაუფლების ქვეშ მძლავრი ისლამური პოლიტიკური და ეკონომიკური „კავშირის" ჩამოყალიბება მოჰყვებოდა. „რვიანის" შემდგომი შეხვედრა დანიშნული იყო 1998 წლის ნოემბერ-დეკემბერში, მაგრამ ქვეყნაში შექმნილი შიდა პოლიტიკური დაძაბულობის გამო ის არ შედგა.

ისლამისტების მიერ რესპუბლიკური თურქეთის საშინაო ცხოვრებაში დაწყებულმა ღონისძიებებმა, რომლებიც საერო

ხელისუფლებისათვის მიუღებელი იყო, სამხედრო გენერალიტეტის, პარტიების და პოლიტიკურ მოღვაწეთა უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი კონსტიტუციის, მუსტაფა ქემალ ათათურქის მიერ შემუშავებული ქვეყნის დემოკრატიული და ლაიცისტური განვითარების გზის მხარდაჭერას მოითხოვდნენ.

ისლამური ორიენტაციის პარტიის მოღვაწეობას გამოეხმაურნენ თურქეთის წამყვანი პოლიტიკური პარტიების ლიდერები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ კეთილდღეობის პარტიის საქმიანობას და მოითხოვდნენ „რეფაჰიოლის“ კოალიციური მთავრობის დაშლას. ამ ფაქტთან დაკავშირებით, სახალხო - რესპუბლიკური პარტიის ლიდერის - დენიზ ბაიკალის აზრით, „თურქეთში დაძაბულობამ ისეთ ზღვარს მიაღწია, რომ მისი განმუხტვა შეუძლებელი ხდებოდა, თუ „რეფაჰის“ მთავრობა არ გადადგებოდა“. ამ საკითხთან დაკავშირებით დედასამშობლოს პარტიის ლიდერი მესუთ ილმაზი კატეგორიულად აცხადებდა, რომ „უმოკლეს დღეებში ამჟამინდელი მთავრობა დაემხობოდა და მის ადგილს ფართო პლატფორმის მქონე ახალი ხელისუფლება დაიკავებდა, რომელშიც ისლამურ პარტიას ადგილი აღარ ექნებოდა.“

მემარცხენე - დემოკრატიული პარტიის ლიდერმა, ბიულენთ ეჯევითმა, თავის საჯარო გამოსვლაში აბსურდი უწოდა ერბაქანის მიზნებს, რომ ის „გააერთიანებდა ისლამისტებს და ამით დაუპირისპირდებოდა არაისლამურ სამყაროს.“ აქედან გამომდინარე, ისინი საერო მმართველობის პოლიტიკურ ძალებს მოუწოდებდნენ გაერთიანებისაკენ.

თურქეთის საშინაო ცხოვრებაში შექმნილი რთული ვითარების გამო, პრეზიდენტი სულეიმან დემირელი იძულებული გახდა, 1997 წლის 6 თებერვალს ტელევიზიით გამოსულიყო და გაეკრიტიკებინა თაქსიმში (სტამბოლში ცენტრალური უბანი) მეჩეთის მშენებლობისა და უმაღლეს სასწავლებლებში ქალების თავსაბურით სიარულის ხელშემწყობი ღონისძიებები. ანტილაიცისტურ გამოსვლებზე სულეიმან დემირელმა განაცხადა, რომ „არავის აქვს უფლება ითამაშოს მოქალაქეთა რელიგიურ მრწამსზე. ნურავინ ეცდება რელიგიის როგორც პოლიტიკურ იარაღად გამოყენებას. რელიგიის პოლიტიზაცია შეცდომაა.

არსებული კრიზისიდან კი ქვეყნის გამოყვანის ერთადერთი საშუალება ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნაა.“

ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობისადმი გულგრილი ვერ იქნებოდნენ სამხედროები. ისინი საკითხის ეროვნული უშიშროების საბჭოზე გამოტანას და განხილვას მოითხოვდნენ. პრეზიდენტმა დემირელმა კარგად იცოდა, რომ საკითხის ამგვარად დაყენება ქვეყანაში დაძაბავდა სიტუაციას, ამიტომ საკითხი დეკემბრის სხდომაზე არ გაიტანა. თუმცა გენერალურმა შტაბმა პრეზიდენტის გვერდის ავლით თვითონ დაიწყო მოქმედება. სამხედროებმა გენერალური შტაბის უფროს, ისმაილ ქარადაის ბრძანებით, ჩამოაყალიბეს ე. წ. „დასავლეთის სამუშაო ჯგუფი,“ რომელიც დაკავებული იყო სხვადასხვა ვილაიეთებში სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვებით. ისინი სახელმწიფო მოხელეებზე ადგენდნენ მონაცემებს. გენშტაბის მიერ დანიშნული შტაბის ოფიცრები აკონტროლებდნენ სამინისტროებს, სახელისუფლებო ორგანოებს და სხვა.

სამხედრო ხელმძღვანელობამ „დასავლეთის სამუშაო ჯგუფის“ მიერ მომზადებული მასალის შესაბამისად დაიწყო ე. წ. „ქარიშხლის ოპერაცია.“ სულეიმან დემირელს ისღა დარჩენოდა, შეგუებოდა შექმნილ ვითარებას. 1997 წლის 23 იანვარს, გოლჯუქში სამხედრო ხელმძღვანელობამ ჩაატარა წვრთნები, რომლითაც გააფრთხილა ხელისუფლება, მაგრამ ისლამისტები უკან არ იხევდნენ. მეორე დღეს „მუსლიმ ბიზნესმენთა საბჭომ“ მიიღო დადგენილება - „დემოკრატიზაციის პერსპექტივები თურქეთში,“ სადაც მთავარი აქცენტი გენშტაბის ეროვნული თავდაცვის სამინისტროსადმი დაქვემდებარებასა და უშიშროების საბჭოს გაუქმებაზე იყო გადატანილი.

1997 წლის 1 თებერვალს სინჯანის მუნიციპალიტეტის კულტურის განყოფილების ხელშეწყობით თეატრის სცენაზე დადგეს „იერუსალიმის დღისადმი“ მიძღვნილი წარმოდგენა, რომელიც რელიგიური ხასიათის იყო. ამ ფაქტმა ძალოვანებსა და ისლამის მომხრეებს შორის კიდევ უფრო დაძაბა ისედაც რთული ურთიერთობები. 4 თებერვალს ეთიმესგუთის ჯავშანსატანკო ნაწილების სასწავლო-მოსამზადებელი დივიზიის კუთვნილი 20-მდე ტანკისა და სამხედრო პირთაგან შემდგარი

ესკორტი სინჯანის ქუჩებში გამოვიდა. სამხედრო ტექნიკის ქალაქში გამოჩენა საზოგადოების გარკვეული ფენისათვის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. სინჯანის მუნიციპალიტეტს, ისლამურ ქალაქად გადაქცევა უნდოდა, რომლისთვისაც ბევრი რამ გააკეთა. საკუთარ ილჩეში აკრძალა სასმელის გაყიდვა, ახალი წლის წინ ინდაურებით ვაჭრობა, რადგან, მისი აზრით, ეს ქრისტიანული ტრადიცია იყო. თანაც სინჯანში დადგმულ სპექტაკლს ირანის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბაგჰერი ესწრებოდა. სიტყვით გამოსვლისას მან კეთილდღეობის პარტიას მოუწოდა: „ნუ შეშინდებით, თუ ფუნდამენტალისტებს დაგიძახებენ." ეს ყველაფერი ტანკების ქუჩაში გამოყვანის მიზეზი გახდა. მალე აღნიშნული მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა დააპატიმრა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ტანკების ქუჩაში გამოყვანის გადაწყვეტილება გენშტაბის უფროსს და ჯარების სარდლებს ერთობლივად მიუღიათ.

თურქეთის შეიარაღებული ძალები პარალელურად ტერორიზმის წინააღმდეგაც განაგრძობდნენ ბრძოლას. 1997 წლის 16 თებერვალს ეროვნული უშიშროების საბჭომ მთავრობას „ტერორიზმთან ბრძოლის, პრობლემებისა და გადაწყვეტის გზების შესახებ" მოხსენება წარუდგინა. მოხსენებაში მოცემული იყო ინფორმაცია დეპუტატების ხელშეუხებლობის და ქურთი მოსახლეობის სულ უფრო ზრდის შესახებ, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ არსებობს საფრთხე იმისა, რომ ქურთი მოსახლეობა გაასწრებდა თურქულს. იქვე შემოთავაზებული იყო ქურთი მოსახლეობის წინადადებებიც.

რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე კი შეიარაღებული ძალები შეუდგნენ „ცენტრალური სამოქალაქო ინიციატივის" მიერ 1 თებერვალიდან დაწყებულ „სინათლის ჩაქრობის" კამპანიას. ეს იყო ერთგვარი პროტესტის ფორმა რეაქციის წინააღმდეგ.

აქედან გამომდინარე, 1997 წლის თებერვალში სამხედრო გენერალიტეტმა ეროვნული უშიშროების საბჭოში დაიწყო კეთილდღეობის პარტიის წინააღმდეგ ბრძოლა.

კეთილდღეობის, როგორც სამთავრობო პარტიის საქმიანობამ დასავლეთისა და ევროპის რიგი სახელმწიფოები (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი) და თვით თურქეთის პოლიტიკური ელიტა აიძულა, ქვეყანაში ისლამური რეჟიმის აღდგენის საშიშროებაზე ხმამაღლა განეცხადებინათ. ხელისუფლებაში „რეფაჰის“ მოსვლის შემდეგ სისტემამ თვისობრივად ახალი, აჩქარებული თვითგანვითარება დაიწყო, რომელიც სულ უფრო ნაკლებად ითვალისწინებდა მრავალი წლის მანძილზე გამომუშავებული საერო რეჟიმის არსებობის ქცევის ნორმებს. სამხედრო გენერალიტეტი, აღნიშნული პარტიის „ისლამური“ საქმიანობის გამო თავდაპირველად მხოლოდ მუქარის გამომხატველი საჯარო განცხადებებით იფარგლებოდა. 1997 წლის 5 თებერვალს არმიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით მოიწვიეს ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს ისლამური კეთილდღეობის პარტიის საკითხი.

ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომის წინ (1997 წლის 28 თებერვალი) ქვეყანაში გავრცელდა ხმები მოსალოდნელი სამხედრო გადატრიალების საშიშროების შესახებ. ამ ნაბიჯს გენშტაბის მეთაური ქარადაი იმ შემთხვევაში მიმართავდა, თუკი კეთილდღეობის პარტია კონსტიტუციის საწინააღმდეგო საქმიანობას არ შეწყვეტდა.

ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომამდე ორი დღით ადრე სულეიმან დემირელი ქვეყნის „ჯანსაღ“ საზოგადოებას ქვეყანაში ირთიჯას საშიშროებასთან დაკავშირებით შექმნილ სიტუაციაზე აუწყებდა. „თუ ქვეყანაში რელიგიის საკითხებში კანონის საწინააღმდეგო პოლიტიკა გატარდება, ეს ნიშნავს, თურქეთის რესპუბლიკაში კანონების არშესრულებას, რითაც ირღვევა კონსტიტუცია, მისი მე -14 და 24 -ე მუხლები - კანონი პოლიტიკური პარტიების შესახებ. დღევანდელი საერო რეჟიმი კი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ დაცულია კანონით (1-ლი, მე-7 და მე-8 მუხლები), სისხლის სამართლის კოდექსით (312-ე მუხლი) ... სახელმწიფოს თავის დასაცავად კანონიერი უფლებები გააჩნია და თუ აღმასრულებელი ხელისუფლება მათ ცხოვრებაში გაატარებს, შეშფოთების საბაბი აღარ იარსებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი საუბარი იქნება სახელმწიფო მექანიზ-

მის ნაკლოვანებებზე. ქვეყანაში არ შეიძლება არა მარტო ისლამის, არამედ საეროობის პოლიტიზირებაც, რადგან არსებული რეჟიმი საერო კანონებით საიმედოდ არის დაცული."

აქედან გამომდინარე, პრეზიდენტმა, სულეიმან დემირელმა, 1997 წლის 28 თებერვალს მოიწვია ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელმაც თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა. კერძოდ: ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტთან არსებულ სათათბირო ხმის უფლების მქონე სტრუქტურაა, მოულოდნელად ზემდგომ მაკონტროლებელ ორგანოდ ჩამოყალიბდა და როგორც თურქულ საზოგადოებაში ამბობდნენ, „სულ მოკლე დროში შესაძლებელი გახდა ქვეყნის ყველაზე საჭირბოროტო საკითხების განხილვის და გადაწყვეტის უფლებაც მის ხელში გადასულიყო." თუ ეს ასე მოხდებოდა, თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში დაიწყებოდა სრულიად ახალი ეტაპი, როცა მთავრობის ყოველი მოქმედება ეროვნული უშიშროების საბჭოს მეთვალყურეობის და კონტროლის საგანი გახდებოდა და ეს უკანასკნელი მის საქმიანობაში ჩაერეოდა მაშინ, თუ ამისი აუცილებლობა შეიქმნებოდა.

ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე მსჯელობის საგანი გახდა ქვეყანაში არსებული მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართული ის ქმედებები, რომელიც დემოკრატიულ-ლაიცისტურ და სოციალურ-სამართლებრივ სახელმწიფოს ემუქრებოდა და თურქეთში ძველი ყავლაგასული, დრომოჭმული წეს-ჩვეულებების აღდგენა-დამკვიდრებას ისახავდა მიზნად. სხდომაზე წარმოდგენილი იყო ისლამისტთა საქმიანობის დამადასტურებელი ფაქტები, რომლებიც ლაიცისტური სახელმწიფოს შეცვლისაკენ იყო მიმართული.

ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, უშიშროების საბჭომ შეიმუშავა ოცი ძირითადი დებულება, რომელიც აუცილებელი გახდა რესპუბლიკური, ლაიცისტური თურქეთის დასაცავად:

1. სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნას ცვლილება და დაემატოს პუნქტი - ანტილაიცისტური მიმდინარეობებისაგან ქვეყნის დაცვის შესახებ;

2. ათათურქის რეფორმების და სახელმწიფო წყობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებების აღკვეთის მიზნით მოხდეს ადგილობრივი მმართველობის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;

3. აიკრძალოს ათათურქის მიერ მიღებული კანონის დარღვევით სხვა რომელიმე ისეთი დირექტიული გადაწყვეტილებების მიღება და ამოქმედება, რომელიც მოქალაქეებს უფლებას მისცემს სახელმწიფო ორგანოებში სამსახურის დროს რელიგიური ხასიათის სამოსელით იარონ;

4. მეტი ყურადღება მიექცეს დავას ქვეყანაში სამოსელის თაობაზე არსებული კანონმდებლობის შესახებ. აღნიშნული კანონით იკრძალება რელიგიური ტანისამოსით სიარული ოფიციალურ დაწესებულებებში;

5. ზემოაღნიშნული ორი პუნქტის მოთხოვნათა შესრულების მიზნით შეიქმნას სპეციალური საკოორდინაციო ცენტრი;

6. შეივსოს და დაიხვეწოს არსებული კანონმდებლობა ქალაქების, მერების იურიდიული პასუხისმგებლობის ამაღლების, აგრეთვე მათი დასჯის ახალი მექანიზმის შემოღების თვალსაზრისით (ამ პუნქტით, საბჭო განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ქალაქის მერების მიერ თავის პარტიებთან ურთიერთობის საკითხების მოგვარებაზე);

7. თურქეთში არსებული ყურანის შემსწავლელი კურსები დაექვემდებაროს ქვეყნის განათლების სამინისტროს;

8. სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის გაფართოების და მათზე პარტიული ზეწოლის აღკვეთის მიზნით, ახლებურად დარეგულირდეს ურთიერთობების მექანიზმი პროკურატურასა და იუსტიციის სამინისტროს შორის;

9. მომზადდეს ახალი კანონი შეიარაღებული ძალებიდან რელიგიური მოტივით დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეთა სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობის დაწყების აკრძალვის შესახებ;

10. მომზადდეს კანონმდებლობა მოსახლეობაში არსებული პნევმატური იარაღის (თოფების) აუცილებელი რეგისტრაციის შესახებ;

11. შემუშავდეს კანონმდებლობა სახელმწიფო სტრუქტურებში კადრების პოლიტიკური შეხედულებების შერჩევის თვალსაზრისით;

12. პრესაში სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული და ქვეყნის კონსტიტუციის ძირითადი მუხლების საწინააღმდეგო პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით მოქმედ კანონში შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებები და დაუყონებლივ ამოქმედდეს კანონის ახალი რედაქცია;

13. ყველა რელიგიული მიმდინარეობა თუ ისლამური ჯემაათი, აყვანილ იქნას მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ, ხოლო მრევლის წევრებს შორის ფულის შეგროვება აიკრძალოს;

14. შესწავლილ იქნას ტარიკათებისა და ჯემაათების ფინანსური წყაროები და მათ წინააღმდეგ ამოქმედდეს კანონი ე. წ. „შავი ფულის“ შესახებ;

15. კონტროლზე იქნას აყვანილი ისლამური კონცერნები, ჰოლდინგები, აგრეთვე მათი ხელმძღვანელებისა და ბიზნესმენების მოღვაწეობა;

16. საფუძვლიანად იქნას შესწავლილი ისლამური ჰოლდინგების მიერ ე. წ. „არაკანონიერი გზებით ნაშოვი ფულის“ მოკვლეული ინფორმაცია და მიღებულ იქნას შესაბამისი ზომები;

17. ეროვული უშიშროების საბჭო წინ უნდა აღუდგეს ტარიკათებისა და ისლამური დაჯგუფებების გამალებულ მილიტარიზაციას;

18. შეუწყდეს სახელმწიფო სტიპენდია და უკან იქნან გამოწვეული უცხოეთში მივლინებული ის სტუდენტები, რომლებიც პროპაგანდას უწევენ რელიგიური სახელმწიფოს შექმნის იდეას;

19. მთელი ძალით ამოქმედდეს კონსტიტუციის 174-ე მუხლი, „რევოლუციური მდგომარეობის კანონების შესახებ;“

20. აღიკვეთოს გერმანიიდან, ირანიდან, ლიბანიდან და საუდის არაბეთიდან თურქეთში შემოსული სხვადასხვა სახის ყოველგვარი შემოწირულობანი და ფინანსური სუბსიდიები, რომლებიც მოდის „რეფაჰისტთა“ ერთ-ერთი ახალგაზრდული ორგანიზაციის – „ეროვნული ახალგაზრდობის ფონდის“ სახელზე.

დებულების სისრულეში მოყვანის მიზნით ეროვნული უშიშროების საბჭოს სტრუქტურაში შეიქმნა სპეციალური დანაყოფი, რომლის მუშაობა კონტროლდებოდა უშიშროების საბჭოს მდივნის - არმიის გენერალ ილჰან ქილიჩის მიერ.

1997 წლის 28 თებერვლის დადგენილებას, მცირე შესწორებების შემდეგ, სამხედროებმა ხელი მოაწერეს 1 მარტს, მაგრამ ნეჯმეთთინ ერბაქანმა დადგენილებაზე ხელმოწერა აღარ ისურვა და ქვეყანაში „ხელმოწერის კრიზისად“ ცნობილი ხუთდღიანი ეპოპეა დაიწყო. ერბაქანი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ხელმოწერა კეთილდღეობის პარტიის მიერ საკუთარ იდეოლოგიაზე უარის თქმის ტოლფასი იყო. 5 დღიანი წინააღმდეგობის შემდეგ ის იძულებული გახდა ხელი მოეწერა დოკუმენტისათვის.

ეროვნული უშიშროების საბჭოს თებერვლის ულტიმატუმმა კიდევ უფრო გააძლიერა ისლამური ორიენტაციის პარტიის განცხადებები საერო რეჟიმსა და სამხედრო გენერალიტეტის წინააღმდეგ, რასაც ქვეყანაში ისლამისტთა მასობრივი გამოსვლები მოჰყვა.

1997 წლის 11 მაისს სტამბოლში, სულთან ახმედის მოედანზე, კეთილდღეობის პარტიის დეპუტატების 142 ისლამური ორგანიზაციის, იმამ-ჰათიბების 23 სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა მონაწილეობით გაიმართა „ისლამის გზის“ მომხრეთა 30 - ათასიანი მიტინგი. მიტინგზე ცალ-ცალკე იდგნენ შავსამოსიანი ქალები, წვეროსანი მამაკაცები და დოლბანდიანი 5-6 წლის ბიჭუნები. ორგანიზატორებს გამოტანილი ჰქონდათ შემდეგი შინაარსის ლოზუნგები: „ხელები შორს იმამ - ჰათიბების სკოლებისაგან,“ „შარიათი ან სიკვდილი,“ „ძირს დიქტატურა,“ ზოგ დროშაზე არაბულად ეწერა: „აქ თურქეთია და არა ისრაელი.“

შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლების სათავეში მოსულმა ისლამურმა მთავრობამ, ხელთ იგდო ქვეყანაში ძირითადი მართვის მექანიზმები. რამდენიმე თვის შემდეგ თავი დაანებეს თურქულ საზოგადოებაში საკუთარი გავლენის რეალური ხარისხის შეცნობას. კერძოდ, არჩევნებზე წარმატება აღიქვეს

არა თავიანთი სოციალური ლოზუნგების, არამედ იდეოლოგიის მხარდაჭერად და ეს წარმატება ისტორიულ შანსად ჩათვალეს.

ხელისუფალთა ქმედებამ ქვეყნის საზოგადოებრიობა კიდევ უფრო შეაშფოთა, რასაც საპასუხო, ანტიისლამისტური კამპანია მოჰყვა. მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში კეთილდღეობის პარტიის მომხრეებს თურქეთის შარიათული რეჟიმისაკენ შემობრუნებასა და ქვეყანაში საერო ხელისუფლების საფუძვლების ნელ-ნელა შერყევის მცდელობაში ადანაშაულებდნენ. ხელისუფლების მიმართ მძაფრი კრიტიკით გამოვიდა ქვეყნის კერძო სექტორის ყველაზე გავლენიანი ორგანიზაციის - თურქეთის სავაჭრო, სამრეწველო პალატებისა და ბირჟების კავშირის ხელმძღვანელობა. საზოგადოებაში კი გახშირდა ხელისუფლებიდან „რეფაჰის“ გაძევების მოთხოვნები. რამდენიმე დღის შემდეგ, „რეფაჰი“ დაგმეს თურქეთის უმსხვილესმა პროფკავშირულმა გაერთიანებებმაც. კონფედერაციის თავმჯდომარემ, თურქიშ მერალმა, განაცხადა, „ხალხს ახლანდელი მთავრობის მიმართ არავითარი ნდობა აღარ გააჩნია, მსოფლიოს საქმიანი წრეები უნდობლობას განიცდის, რამაც ინვესტიციები შეაჩერა, მთავრობა კი სოციალური პრინციპების უარყოფას აპირებს. საერო საზოგადოებამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს, ხელისუფლებიდან კეთილდღეობის პარტიის წასასვლელად.“

მიუხედავად „პოლიტიკური ექსპერიმენტისა,“ თურქეთის საშინაო ცხოვრებაში კვლავ იფეთქა კრიზისმა. 1997 წლის 1 მარტს ანკარაში შედგა ეროვნული უშიშროების საბჭოს მორიგი სხდომა, რომელზეც საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო „რეფაჰიოლის“ კოალიციური მთავრობის ბედი. რადგანაც, ოპოზიციურ ძალასა და საზოგადოებრიობას სურდა ნათლად დაენახა, არის თუ არა მართლაც ისეთი ჰარმონიული და იდეალური კოალიციის მთავრობის პარტნიორული ურთიერთობანი, როგორსაც ამას ნეჯმეთთინ ერბაქანი და თანსუ ჩილერი ხატავდნენ.

მინისტრთა კაბინეტის სხდომის წინ ჩილერმა შეკრიბა თავისი პარტიის წევრი მინისტრები და განუცხადა, რომ ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე კონკრეტული პროგრამის გამოტანას აპირებდა, რომელიც მიზნად ისახავდა თურქეთში

ყურანის კერძო კურსების აკრძალვასა და იმამ-ჰათიბების სკოლებზე მეთვალყურეობის დაწესებას. აგრეთვე, ლაიციზმის საწინააღმდეგო გამოსვლების კონტროლზე აყვანას და სხვა.

საპარლამენტო კოალიციაში შემავალმა ჩილერის პარტიამ, მინისტრთა კაბინეტის სხდომის წინ მკვეთრად დაძაბა ურთიერთობა კოალიციაში შემავალ ისლამურ პარტიასთან, რაც შემდგომში სერიოზული განხეთქილების საბაბიც კი გახდა.

მინისტრთა კაბინეტის 1997 წლის 1 მარტის სხდომას ფართო გამოხმაურება მოჰყვა თურქულ პრესაში. გაზ. „თურქიე“ მას „ისტორიულს“ უწოდებდა და დასძენდა, რომ „კოალიციური მთავრობა ყოველნაირად შეეცდება ქვეყნის სახელმწიფო მოხელეთა დიდი ნაწილის გულის მოგებას ხელფასების 30%-ით მომატებით.“ ყურადღება იყო გამახვილებული, ქვეყანაში რვაწლიანი სავალდებულო განათლების შემოღების აუცილებლობაზეც, რომელიც „ახალგაზრდების ლაიცისტური სულისკვეთებით აღზრდას შეუწყობდა ხელს.“

გაზ. „საბაჰ“- ის ცნობით, „რვაწლიანი განათლების შემოღების გადაწყვეტილების მიღება დროული და საჭირო იყო, რადგანაც ბოლო წლებში ქვეყანაში მკვეთრად გაიზარდა იმამ-ჰათიბების სკოლათა რიცხვი. 1997 წლისთვის ქვეყანაში მოქმედ 473 ყურანის კურსების სახელწოდებით ცნობილ სკოლაში, 5 ათასზე მეტი ბავშვი სწავლობდა.“

ეროვნული უშიშროების საბჭოს არაერთი გაფრთხილების მიუხედავად, ისლამური პარტიები და ორგანიზაციები ყველანაირი ხერხითა და მეთოდებით აგრძელებდნენ საკუთარი მიზნების რეალიზებას. 1997 წლის 11 მაისს კეთილდღეობის პარტიის ინიციატივით, სტამბოლში გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი, სადაც ანტილაიცისტური ლოზუნგები და რესპუბლიკური თურქეთის საწინააღმდეგო მოთხოვნები დაუფარავად იყო წარმოდგენილი.

თურქეთში ისლამური პარტიის გააქტიურებას ხელისუფლების მხრიდან მოჰყვა მასობრივი ზეწოლა. კერძოდ, 1997 წლის 21 მაისს თურქეთის საკასაციო სასამართლოს მთავარმა პროკურორმა, ვურალ სავაშმა, კეთილდღეობის პარტიის დახურვის მოთხოვნით, საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩე-

ლი შეიტანა. პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ „ქვეყანაში, საეროობის პრინციპის დამრღვევ ქმედებათა არსებობის გამო, აუცილებელი გახდა ისლამური პარტიის დახურვაზე სარჩელის აღძვრა.“ მალე თურქეთში გამოჩნდა ეს ვრცელი დოკუმენტი ბროშურის სახით, რომელშიც ასზე მეტ გვერდზე მმართველობის საწინააღმდეგო მრავალრიცხოვანი დარღვევები იყო ჩამოყალიბებული. დასკვნაში ხაზგასმული იყო, რომ თურქეთის რესპუბლიკის მთელი ისტორიის მანძილზე ქვეყანა არასოდეს მდგარა რეაქციის ისეთი საშიშროების წინაშე, როგორც ახლა.“

საზოგადოებაში დაიწყეს ნეჯმეთთინ ერბაქანის მიერ წარმოთქმული ანტილაიცისტური გამონათქვამებისა და ქმედებების დეკლარირება. ამ ფაქტს დაერთო კეთილდღეობის პარტიაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა „რეფაჰის“ პარტიის (ყოფილი) გენერალური მდივნის, პარლამენტის დეპუტატის, აიდინ მენდერესის, სენსაციური განცხადება, რომელიც ერბაქანის პოლიტიკით უკმაყოფილო იყო და პროტესტის ნიშნად, მომხრე პარლამენტარებთან ერთად, იძულებული გახდა „გადამდგარიყო გენერალური მდივნის თანამდებობიდან და გადასულიყო ოპოზიციაში.“ აიდინ მენდერესს სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს კოალიციის მეორე წევრის ჭეშმარიტი გზის პარტიის დეპუტატთა ჯგუფმა, მინისტრებმა ი. აქთუნამ და ი. ერეზისმა, რომლებმაც უკმაყოფილება გამოხატეს თანსუ ჩილერის„რეფაჰთან“ კავშირის გამო.

„რეფაჰის“ წინააღმდეგ პროტესტებითა და ბრალდებებით თურქეთში გამოდიოდნენ პოლიტიკოსები, პუბლიცისტები, ლიტერატორები, ჟურნალისტები და ა. შ. უხუცესი თურქი მწერალი, ოქთაი აქბალი, „რეფაჰის“ ერთ-ერთი დეპუტატის შესახებ წერდა: „პარლამენტში ყველაფერია - გინება, წყევლა, მაგრამ ყველაზე მეტია ბოდვა... შეიძლება თუ არა მეჯლისში ისეთი ადამიანები იყვნენ, რომლებიც უხეშობისა და გინების კორიანტელს აყენებენ? როცა ასეთი პიროვნებები სხდომის დარბაზში სხედან, ყველა დეპუტატმა დაუყოვნებლივ უნდა დატოვოს დარბაზი..., მაგრამ „რეფაჰის“ წევრებია გამონაკლისი, განა „რეფაჰის“ მიზანი და ამოცანა თურქეთის რესპუბლიკის ლიკვი-

დაცია და შარიათული სახელმწიფოს შექმნაა? რა სამწუხაროა, რომ შარიათის გუნდის დამანგრეველ საქმიანობაზე ქვეყანაში უკანასკნელ დღემდე ხუჭავენ თვალს.“

რთული ვითარებიდან გამომდინარე, ქვეყნის საზოგადოების აზრი ორად გაიყო, ერთნი, კოალიციური მთავრობის პოზიციას მყარ ნაბიჯად მიიჩნევდნენ, ხოლო მეორე ნაწილს კი მიაჩნდა, რომ ნეჯმეთთინ ერბაქანის მთავრობა ვეღარ გაუძლებდა მორიგ დაწოლას და არმია მას გადადგომას აიძულებდა.“

გასათვალისწინებელია ისიც, რომ მთავრობის გადადგომის ეს მოთხოვნა ახალი ძალით დაიწყო მოახლოებული ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომის წინ (1997 წლის 26 მაისი), რომელიც საერო, დემოკრატიული რეჟიმის დაცვისათვის ადრე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების საკითხებს განიხილავდა.

1997 წლის 26 მაისს შეიკრიბა ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელმაც განიხილა რეაქციონერებიდან მომდინარე შიდა საშიშროების საკითხი. სხდომაზე გადაწყდა არმიიდან 61 ოფიცრისა და 100 უნტერ-ოფიცრის დათხოვნა, რომელთაგან დაახლოებით 90% რეაქციონერი, დანარჩენი კი უკიდურესად მემარცხენე იყო. ნეჯმეთთინ ერბაქანი იძულებული გახდა ამ გადაწყვეტილებაზეც მოეწერა ხელი.

ივნისში გენშტაბმა დაიწყო ერთი მეორეს მიყოლებით ბრიფინგების ჩატარება, სადაც ბოლო დროს ქვეყანაში შექმნილი მოვლენები განიხილებოდა. 1997 წლის 10 მაისს კეთილდღეობის პარტიის წევრმა, იუსტიციის მინისტრმა შევქეთ ქაზანმა მოსამართლეებსა და პროკურორებს ბრიფინგზე წასვლა აუკრძალა. მიუხედავად ამისა, გენშტაბი მაინც აგრძელებდა მუშაობას.

1997 წლის 11 ივნისს მორიგ ბრიფინგზე გენშტაბის დაზვერვის სამმართველოს უფროსი გენერალი, ჩეთინ სანერი, სიტყვით გამოვიდა, მან აღნიშნა, რომ „კონსტიტუციის პირველი, მეორე და მეოთხე მუხლებისა და შიდა სამსახურეობრივი კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად თურქეთის შეიარაღებული ძალების უპირველესი მოვალეობაა ლაიცისტური და დემოკრატიული წყობის დაცვა.“ გენერალი მოუწოდებდა თურქეთის ყველა

მოქალაქეს, ებრძოლათ რეაქციის წინააღმდეგ. შეხვედრაზე გენერალმა, ფევზი თურქერმა, ხაზი გაუსვა თურქეთში მოქმედი ისლამური ორიენტაციის 2500 საზოგადოების, 500 ფონდის, 1000 ფირმის, 800 სკოლის საქმიანობას. მანვე მოხსენებაში აღნიშნა, რომ თურქეთში მოღვაწეობდა 5 ათასი შეიხი,[5] რომელთა უმეტესობა ქურთული წარმოშობისა იყო და სხვა.

არმიასა და კეთილდღეობის პარტიის დაპირისპირება ყველაზე წამგებიანი კოალიციის მეორე სუბიექტის - ჭეშმარიტი გზის პარტიისათვის გამოდგა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტი დეპუტატი გადიოდა პარტიიდან. თანსუ ჩილერი ხედავდა, რომ პარტია ეშლებოდა. მან, ჯგუფის წევრებთან ერთად, ჩათვალა, რომ ერთადერთი გამოსავალი მისი გაპრემიერება იქნებოდა. ჩილერის გაანგარიშებით ამ ნაბიჯით თვითონაც გადარჩებოდა და მთავრობაც. ამიტომ მან ნეჯმეთთინ ერბაქანს მოუწოდა 18 ივნისამდე გადამდგარიყო.

ერბაქანი კი, თავის მხრივ, არ ენდობოდა ჩილერს. იგი შემოდგომისათვის რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას და პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანას მოითხოვდა, რათა დახურვისაგან ეხსნა კეთილდღეობის პარტია.

1997 წლის ივნისის დასაწყისში, ვითარება ქვეყანაში იმდენად გართულდა, რომ მას მოჰყვა კოალიციური მთავრობის დაშლა.

1997 წლის 18 ივნისს ს. დემირელის გადაწყვეტილებით ისლამისტი პრემიერი ნეჯმეთთინ ერბაქანი გადააყენეს დაკავებული თანამდებობიდან. იმავე წლის 30 ივნისს პრეზიდენტმა ახალი კაბინეტის დაკომპლექტება დაავალა მესუთ ილმაზს, რომელმაც მემარცხენე-დემოკრატიული და დემოკრატიული თურქეთის პარტიის მხარდაჭერით ჩამოაყალიბა 55-ე ე.წ. „ანასოლდეს“ მთავრობა, რომელიც კარგად სარგებლობდა სამხედროთა მხარდაჭერით.

---

[5] შეიხ-ი [არაბ. šeih] - არაბულ ქვეყნებში: 1. გვარის მეთაური; სოფლის მამასახლისი. 2.მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო პირი, ღვთისმეტყველი და სამართლისმცოდნე.

პირველი სერიოზული ნაბიჯი, რომელიც „ანასოლდეს“ მთავრობამ გადადგა, იყო რვაწლიანი სავალდებულო სწავლების შემოღება, სადაც კანონი ამ დონის სასწავლო დაწესებულებებში ერთიანი სახელმწიფო პროგრამების სავალდებულო გამოყენებას და რელიგიის სწავლების რეგულირებასაც ითვალისწინებდა (რაც საგანმანათლებლო სისტემაში ისლამისტების პოზიციების შესუსტებას ისახავდა მიზნად).

ისლამისტების დამოკიდებულება სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობისადმი ორაზროვანი იყო და მათი მხრიდან თურქეთის, როგორც ლაიცისტური სახელმწიფოს, მხარდაჭერა მკვეთრად არ იყო დაფიქსირებული. დემოკრატიის მათეული გაგება ზოგჯერ მხოლოდ ქალების უფლებებით შემოიფარგლებოდა. გარდა ამისა, გაჩნდა ეჭვი, რომ კეთილდღეობის პარტიას კავშირი ჰქონდა ისლამურ სამხედრო დაჯგუფებებთან.

გენერალური პროკურორის ვ. სავაშის სასამართლო გამოძიება, ისლამური კეთილდღეობის პარტიის საქმიანობის შესახებ, რვა თვე გრძელდებოდა. წარმოდგენილი იყო მრავალი ისეთი დოკუმენტი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციას. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, დოკუმენტების შესწავლაში, მნიშვნელოვანი როლი სამხედროების ინიციატივით შექმნილმა ე. წ. „დასავლეთის სამუშაო ჯგუფმა“ შეასრულა, რომლის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში მოყვანილი იყო პარტიის მიერ ქვეყანაში ლაიციზმის დამხობის მიზნით ისლამური ორგანიზაციებისა და რადიკალური გაერთიანებებისაგან მსხვილი ფინანსების მიღების ფაქტები. მოხსენებაში, აგრეთვე, წარმოდგენილი იყო დოკუმენტები გერმანიაში კეთილდღეობის პარტიის საფარველ ქვეშ მოქმედი ორი ისლამური საზოგადოების - „ეროვნული შეხედულების ევროპული განყოფილების“ და „ეროვნული ახალგაზრდობის ვაკუფის“ - საქმიანობის შესახებ.

1998 წლის 16 იანვარს თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლომ აკრძალა კეთილდღეობის პარტია, მისი მთელი ქონება ხაზინას გადაეცა, ხოლო პარტიის თავმჯდომარეს, ნეჯმეთთინ ერბაქანსა, და კიდევ ხუთ ხელმძღვანელს შევქეთ კაზანს, აჰმეთ თუქადალს, შევქეთ ილმაზს, ჰასან ჰუსეინ ჯელანს და ჰალილ იბრაჰიმ ჩელიქს ხუთი წლით აეკრძალათ პოლიტიკური

მოღვაწეობა (მათ აეკრძალათ აგრეთვე სხვა პარტიის დაარსება, ხელმძღვანელობა და წევრობა). სასამართლოს 329 გვერდიან გადაწყვეტილებაში კეთილდღეობის პარტიის დახურვის დამამტკიცებელი უამრავი დოკუმენტი იყო წარმოდგენილი. დასაბუთებული იყო, რომ ნეჯმეთთინ ერბაქანი „28 წლის განმავლობაში ისლამური ფასეულობების მიმდევრად რჩებოდა.“ დოკუმენტი სადავოდ არ ხდიდა კეთილდღეობის პარტიის დეპუტატების ხელშეუხებლობას, თუმცა მასში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ „როგორც იურიდიულ პირს, პარტიას, აღარ შეეძლო შეღავათების მიღება. მათ არ შეეძლოთ რელიგიებზე, სექტებსა და მოძღვრებებზე დაყრდნობა და შესაბამისი დასახელებების გამოყენება. სახელმწიფო რეჟიმის სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი საფუძვლები ნაწილობრივადაც არ უნდა შეგუებოდა რელიგიურ რწმენასა და პრინციპებს. გადაწყვეტილებაში აღნიშნული იყო თურქეთისათვის საეროობის მნიშვნელობა. ამ პრინციპის მიღებამ „დაანგრია შუასაუკუნებრივი დოგმატიკა და მეცნიერების მნიშვნელობა ცხოვრებისეულ პრინციპად აქცია, რომელიც თავისუფლებისა და დემოკრატიის გარანტია იყო.“

ნეჯმეთთინ ერბაქანი არაფრად აგდებდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს და განაგრძობდა უნივერსიტეტებში თავსაბურავის ტარებისათვის მორწმუნეთა წაქეზებასა და საერო რეჟიმის წინააღმდეგ მოწოდებებით გამოსვლას. ამის ფონზე ქვეყნის სხვადასხვა რაიონში, უნივერსიტეტებისა და მეჩეთების წინ ტარდებოდა აქციები, სადაც აქტიურობით გამოირჩეოდნენ პარტიის ლიდერები. ნეჯმეთთინ ერბაქანი საზოგადოებას მოუწოდებდა: „ეს პარტია ჯიჰადის[6] ისლამური არმიაა, რომლისთვისაც თქვენ მთელი ძალით უნდა იღვაწოთ.“ მოწოდების პარალელურად გაისმოდა მუქარებიც. მაგალითად:

---

[6]ჯიჰადი – (არაბ.) წმინდა ბრძოლა, სარწმუნოებისთვის ბრძოლა; სიტყვა – გულმოდგინება, თავგამოდება რწმენის გავრცელების და განმტკიცების მიზნით ნებისმიერი საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებული ისლამით გათვალისწინებული დანაწესი, რომელიც ითვალისწინებს სხვა რელიგიის მიმდევრების წინააღმდეგ წმინდა ომის გამოცხადებასაც.

კეთილდღეობის პარტიის დეპუტატი ჰალილ ჩელიქი საზოგადოებას მოუწოდებდა, რომ „თუ სამხედრო გენერალიტეტი კეთილდღეობის პარტიის ხელისუფლების დროს გახსნილი იმამ-ჰათიბების სკოლებს დახურავდა, სისხლი დაიღვრებოდა და ქვეყანაში ალჟირზე უარესი რამ მოხდებოდა.“

ფაქტობრივად, ისლამისტები საზოგადოებას დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდებდნენ, რასაც ქვეყანაში უნდა მოჰყოლოდა პოლიტიკური სიტუაციის ახალი გამწვავება და მათი ძალაუფლების განმტკიცება. ეს აისახა კიდეც საკონსტიტუციო სასამართლოს ორი წევრის გადმობირებაში. კერძოდ, ჰაშიმ ქილიჩმა და საჯით ადალმა განაჩენის წინააღმდეგ მისცეს ხმა. მოტივების წერილობით განმარტებაში ს. ადალის აზრით, „საეროობის დამტკიცება არ შეიძლება კეთილდღეობის პარტიის მსგავსი პარტიების არსებობის გარეშე მოხდარიყო.“ მან დაიმოწმა ევროკავშირის გადაწყვეტილება ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ და აღნიშნა, რომ „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ამ ორგანიზაციის პრინციპებს შეესაბამება. საკონსტიტუციო სასამართლოს მტკიცება იმის შესახებ, რომ კეთილდღეობის პარტიის განცხადებებსა და ქმედებებს ტერორთან აქვს კავშირი - დაუსაბუთებელია. პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა შეუძლია როგორც ხელისუფლებას, ასევე ოპოზიციას.“ ჰ. ქილიჩი კი ამტკიცებდა, რომ „აზროვნების თავისუფლება მარტო მათთვის კი არ უნდა არსებობდეს, ვინც პოზიტიურ შეხედულებებს ან იდეებს წარმოადგენენ, არამედ იმათთვისაც, ვინც განსაკუთრებულ, შეშფოთების გამომწვევ აზრებს გამოთქვამენ. მისი აზრით, დაირღვა დაცვის უფლება, რადგანაც, იგი უბრალოდ არ არსებობდა. მოწმეებისათვის არ მოუსმენიათ, კონსტიტუციაში გათვალისწინებული დაცვის პირობები და უფლებები არ შესრულებულა.“ როგორც ჰ. ქილიჩი თვლის, კონსტიტუციის შეცვლა პარლამენტში ერბაქანის ზოგიერთი გამოსვლის გამო მის უპასუხისმგებლობაში დადანაშაულება თვით კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. კანონის მიხედვით დეპუტატი პასუხს არ აგებს იმაზე, როგორ იყარა კენჭი ან რით გამოვიდა მეჯლისში, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი იძულებული იქნებოდა პარლამენტში ყოფნის მთელი ხუთი წელი

განმავლობაში ხმა არ ამოეღო. ჰ. ქილიჩი იმასაც არ დაეთანხმა, რომ აკრძალვის მიზეზად შეიძლება თავსაფრის ტარებაც ჩაითვალოს. მან მრავალჯერ დაიმოწმა შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც უმაღლესი განათლების დაწესებულებებში, მათი ავტონომიური სტატუსის შესაბამისად, უფლებას იძლევა ტანსაცმლის, მსოფლმხედველობის, ტრადიციების, რწმენის საკითხებში დამოუკიდებლად იმოქმედონ.

ჰ. ქილიჩი იმის წინააღმდეგია, რომ რომელიმე პარტიის ან მისი წევრის მიერ თავისი იდეოლოგიის არსის განმარტება შეფასდეს როგორც რელიგიური რწმენის ექსპლუატაციის მცდელობა. „დემოკრატიაზე ლაპარაკი არ შეიძლება იქ, სადაც წახალისებულია შეხედულებათა ცალმხრიობა, სადაც ითვლება, რომ თითოეულმა ისევე უნდა იფიქროს, როგორც ყველა დანარჩენმა... ცხადია, თურქეთს საზოგადოების სამართლებრივი წესრიგის დაცვის უფლება აქვს. კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მეშვეობით სახელმწიფოს ერთიანობის, საეროობის პრინციპის დაცვა - სახელმწიფოს სტრუქტურული მთლიანობისათვის ჯერ კიდევ ყველაფერს არ წარმოადგენდა. სახელმწიფოს მოვალეობა იდეებისა და რწმენის გასახელმწიფოებრიობაში კი არა, არამედ ნდობისა და თავისუფლების ატმოსფეროში, ინდივიდუმებისა და ორგანიზაციებისათვის საკუთარი თავის გახსნის საშუალების უზრუნველყოფაშია.“

რაც შეეხება ერბაქანის მიერ პრემიერ-მინისტრის შენობაში ტარიკათების ლიდერებისათვის გამართულ სადილს, ჰ. ქილიჩი ამ ღონისძიებებს განიხილავდა, როგორც მშვიდობისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფაზე გათვლილ - სოციალური აქტივობის მაგალითს.

ს. ადალის აზრით, დემოკრატია „არ წარმოადგენს გაყოფისა და დანაწილების, იძულებითი გაჩუმების, ზეგავლენის, დაშინებისა და მიტაცების ხელოვნებას კეთილდღეობის პარტია არსებული რეჟიმის ნაწილი იყო, რომელიც მასების პარტიად მიღებული ხმების წყალობით იქცა, ის საეროობას კი არ უთხრიდა ძირს, არამედ აწრთობდა მას... საეროობა განმტკიცებულია, დროა სახელმწიფომ არბიტრის პოზიცია დაიკავოს... ახლანდელ სისტემას სახელმწიფოს რამდენიმე კაცი წარმოადგენს,

ისინი უპირატესობით სარგებლობენ. შეადგენს, მათთვის უზრუნველყოფილია უპირატესობა. იქმნება საშიშროება იმისა, რომ - მმართველი პარტიის ხელთ არსებულ ძალაუფლებას საკუთარი სურვილის მიხედვით გამოიყენებენ. კონფლიქტების ჭეშმარიტი სათავე სწორედ აქაა. პოლიტიკური ბრძოლა თანაბარ პირობებში უნდა მიმდინარეობდეს."

თურქეთის უმაღლესი საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, ისლამური პარტიის დახურვის შესახებ, უარყოფითად შეხვდნენ დასავლეთში, რადგან ეს ქვეყანაში დემოკრატიის შეზღუდვად მიიჩნიეს.

ამ მხრივ საინტერესოა აშშ -ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ: „კეთილდღეობის პარტიისათვის დახურვის განაჩენის გამოტანა დიდ ზიანს მოუტანდა თურქეთში მრავალპარტიულ სისტემას და შეაფერხებდა ქვეყანაში დემოკრატიზაციის პროცესს."

ამ განცხადებას გამოეხმაურა თურქეთის უმაღლესი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ი. ოზდენი, რომელმაც განაცხადა, რომ „თურქეთი ამერიკის მსახური როდია, რომ მისი ყველა სურვილი შეასრულოს. ჩვენ ჩვენი კონსტიტუცია გვაქვს და მის საფუძველზე ვიმოქმედებთ. არცერთ უცხო ქვეყანას არა აქვს უფლება, რომ რაიმე ზეგავლენის მოხდენა სცადოს მსგავსი საკითხების გადაწყვეტაზე."

რეჯაი ქუთანი

თურქეთის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა კეთილდღეობის პარტიის აკრძალვას „საწყენი მოვლენა" უწოდა, თუმცა იქვე დასძინა, რომ გადაწყვეტილება სერიოზული, სასამართლო განხილვის შედეგად მიღებული ლოგიკური განაჩენია, „კანონი" ყველაზე მაღლა დგას და იგი უზენაესია" - აღნიშნა პრეზიდენტმა.

1998 წლის გაზაფხულზე, აკრძალული კეთილდღეობის პარტიის ბაზაზე დაფუძნდა ისლამურ ფასეულობებზე ორიენტირებული სათნოების პარტია, რომლის ლიდერად იმავე წლის 14 მაისს არჩიეს რეჯაი ქუთანი.

კეთილდღეობის პარტიის დახურვის შემდეგ ეროვნული უშიშროების საბჭოში გაიმართა დისკუსია, თუ ვინ და როგორ წარმოადგენდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში საზოგადოების იმ მსხვილ სოციალურ ფენას, რომელიც ისლამურ პარტიას უჭერდა მხარს. თურქი მეცნიერი უმუთ კივანჩი ამ საკითხთან დაკავშირებით წერდა: „პარტიის დახურვასთან ერთად ხელისუფლების სათავეში ახალი ძალის მოყვანის შანსი არ გამქრალა. რას უნდა წარმოადგენდეს ის პოტენციალი, რომელმაც პარტიის წარმატება უზრუნველყო. კეთილდღეობის დახურვის და ახალი სათნოების პარტიის ჩამოყალიბებით მათ პარლამენტში მოახერხეს კვლავ ჰყოლოდათ ძლიერი ძალა.“

1998 წლის დასაწყისში 550 ადგილიდან 160 ეკუთვნოდა დამოუკიდებლებს, რომელთა შემადგენლობაშიც 147 დეპუტატი ყოფილ ისლამურ კეთილდღეობის პარტიას წარმოადგენდა. მეორე ადგილზე აღმოჩნდა დედასამშობლოს (139), მესამეზე ჭეშმარიტი გზის (92), შემდეგ მოდიოდნენ მემარცხენე-დემოკრატიული (63), სახალხო-რესპუბლიკური (55), თურქეთის დემოკრატიული პარტია (22) და სხვა.

ბიულენთ ეჯევითი

ამ ფაქტთან დაკავშირებით დამოუკიდებელი დეპუტატი ჯემილ ჩიჩეკი (ყოფილი კეთილდღეობის პარტია) ამტკიცებდა, რომ კეთილდღეობის პარტია რეალობაში ხელოვნურად გაბერილი პარტია იყო და მისი დახურვაც ამას ადასტურებდა. „სამართლიანი წყობის“ იდეა იდეოლოგიური მოდელისაგან მისწრაფებას მოწმობს, მაშინ როცა თურქეთი პრაგმატულ მიდგომას საჭიროებს. პარტია დახურულია, მაგრამ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ამას ყურადღებას არ აქცევს. ნეჯმეთთინ ერბაქანს კი, ნამდვილად, საზოგადოებისათვის უნდა მიემართა პარტიის პრობლემის სამართლიანი გზით მოგვარებაზე, ახალი პირობების, მეთოდების შემოღებაზე, რის შემდეგაც თურქეთში დაპირისპირებებისაგან ყველა შეიკავებდა თავს. „ჩვენ შეგვიძლია თავსაფრიანი ქალიშვილების რეაქცია გა-

ვიგოთ, მაგრამ პარტიამ წინასწარ მარცხისთვის განწირული კონფლიქტების (წვერის, თავსაფრების, ნამაზის თანახმად სამუშაო დღის მოწესრიგების) შედეგადაც დაკარგა ძალაუფლება.“ პასუხად ჩიჩეკი აღიარებდა, რომ „როცა XXI საუკუნის დასაწყისში იქ, სადაც სახელმწიფომ მეცნიერებასა და სწავლების ხარისხს უნდა მიხედოს, ქალიშვილების თავსაფრებზე ზრუნავენ - ეს მათთვის უბედურებაა. ადრე მორწმუნეებს იმაში ადანაშაულებდნენ, რომ შვილებს სკოლაში არ უშვებდნენ, ეხლა მათ ეკითხებიან - რატომ არ უშვებთო.“

კეთილდღეობის პარტიის ყოფილი წევრები - პარლამენტის დეპუტატები, პარტიის დახურვის შემდეგ დამოუკიდებელი სტატუსით დიდხანს არ დარჩენილან. ხანმოკლე დროის განმავლობაში აქტივისტებმა შექმნეს ახალი სათნოების პარტია და როგორც კეთილდღეობის პარტიის კანონიერი მემკვიდრე, ესწრებოდნენ სხდომებს, აწყობდნენ ერბაქანთან შეხვედრებს, ამუშავებდნენ პარტიის საქმიანობის ახალ კონცეფციას და სხვა.

ერთ-ერთმა თურქულმა გაზეთმა „ჰურრიეთმა“ პარტიის ახალი დასახელების გამო მწარე ირონიისაგან თავი ვერ შეიკავა და დასძინა: „ბოლოს და ბოლოს გავიგებთ, რა არის სათნოება? ასეთი დასახელების პარტია ვერ იცრუებს, საეროობის პრინციპების აღიარების, საკონსტიტუციო სასამართლოს განდიდების შემდეგ მას მტრად ვეღარ გამოაცხადებენ და ა. შ. პარტია ბოსნიელი მუსლიმებისათვის შეგროვილ ფულს ვერ მიითვისებს და არაბული ქვეყნებიდან მას ტომრებით ვერ ჩამოიტანს. მისი ლიდერები გადასახადებს თავს არ აარიდებენ, თავიანთი ქონების შესახებ პატიოსნად განაცხადებენ და ზექიათს[7] დაუფიქრებლად ღარიბებს გადასცემენ, რამდენადაც „სათნოება“ თანასწორობის გარეშე არ არსებობს, ამიერიდან, პარტია თანასწორობას განათლების დარგშიც მოითხოვს, ე. ი. არა მარტო თავსაფრიანი, არამედ მემარცხენე ათეისტი[8] ქალიშვილებისთვი-

---

[7] ზექიათი – ისლამური ტერმინი, ნიშნავს ქონების ერთი ნაწილის ღარიბებზე მიცემას.

[8] ათეისტი – ათეიზმის მიმდევარი; პირი, რომელსაც ღმერთი არ სწამს.

საც. იგი მამაკაცებისა და ქალების თანასწორობას დაუჭერს მხარს, არჩევნებზე კი ქალების კანდიდატურებსაც წამოაყენებს.“

სათნოების პარტიამ, ჯერ კიდევ 1998 წლის ზაფხულში განაცხადა, რომ პარტია მზად იყო ახალი საპარლამენტო არჩევნებისათვის. მათ ლიდერებს - რეჯაი ქუთანს და აიდინ მენდერესს-არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ პარტიის რეორგანიზება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ ხელისუფლება ქვეყნის საყოველთაო დემოკრატიზაციისათვის (იგულისხმება საკანონმდებლო და სახელმწიფო ძალაუფლება) გადამჭრელ ნაბიჯებს გადადგამდა. იმ პერიოდში თურქეთში ისეთი განცხადებებიც კი გაისმა, თითქოს „პარტიის ხელმძღვანელობა ქალების გარეშე შეუძლებელიაო.“ ამ ფაქტის შემდეგ, იზმირის ილის სათნოების პარტიის ხელმძღვანელობაში, რომელიც 25 კაცს ითვლიდა, აირჩიეს ოთხი ქალი (მათგან ორი თავსაბურავს არ ატარებდა), ამასთან დაკავშირებით პარტიის ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ „პარტიაში მამაკაცებისა და ქალების დაყოფა არ იარსებებს.“ სათნოების პარტიისაგან პარლამენტის დეპუტატთა შორის ჩატარებული გამოკითხვით, აშკარა გახდა, პარტიაში „თავსაბურავიანი“ ქალების მიღების ტენდენცია, მისი რეალიზება კი თავდაპირველად ორგანიზაციებს დაევალათ.“

სათნოების პარტიის ლიდერმა რეჯაი ქუთანმა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში უარყო ვარაუდი, თითქოსდა ყოფილი ისლამური სათნოების პარტია კეთილდღეობის პარტის გაგრძელებას წარმოადგენდა. მან იქვე დასძინა, რომ სათნოების პარტია 15 წლის წინ შეიქმნა და დღეს მას 55%-ს ახალი თაობა შეადგენს. ამდენად, როგორც კადრებით, ასევე სტრუქტურულად სათნოების პარტია, კეთილდღეობის გაგრძელებას არ წარმოადგენდა.“

ცალკეულ ეტაპზე საზოგადოებაში გამოთქმული იყო ეჭვი პარტიაში სავარაუდო ცვლილებათა შესახებ. ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება გააჩნდა თურქ ისტორიკოსს ჰასან პულურს. ის აღნიშნავდა, რომ „რასაც არ უნდა ლაპარაკობდნენ, როგორც არ უნდა შეიცვალოს პროგრამები, სათნოების პარტია დღეს დეპუტატების, მუნიციპალიტეტების

და პროვინციათა ხელმძღვანელობის შემადგენლობის მიხედვით კეთილდღეობის პარტიის გაგრძელებაა. ეს კადრები ციდან არ ჩამოფრენილან. დიდი ხანია იცნობენ ერთმანეთს. ამ კადრებს უდრეკი საძირკველი აქვთ შენარჩუნებული..... ფაქტია, რომ მათ სახელისუფლებო დედასამშობლოს და ჭეშმარიტი გზის პარტიის იმედზე ხელი აიღეს."

საერო ხელისუფლება სათნოების პარტიას არ აძლევდა თავიანთი საქმიანობის განახლების საშუალებას. სასამართლო დევნა მათ მიმართ 1998 წლის ზაფხულიდან შემოდგომამდე გრძელდებოდა. ასე მაგალითად, რიზეს პროვინციაში, ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის ისლამისტი თავმჯდომარის ე. უზუნის მიმართ გამოაქვეყნეს განცხადება გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ მუნიციპალიტეტის ხელშეწყობით რიზეში „მზადდებოდა მომავალი სამხედრო კადრები, განკუთვნილი ისლამური სახელმწიფოს შექმნის მოსამზადებლად. ამისათვის, ისინი სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცენტრალურ ანატოლიაში თავს უყრიდნენ ობლებსა და ღარიბი ოჯახის შვილებს. ჩვენ მათ ისე ვამზადებთ, რომ ისინი თვალის დაუხამხამებლად გადაეშვებიან ცეცხლში. ახლა 400 ასეთი ბავშვი რიზეს ტერიტორიის ინტერნატებსა და პანსიონატებში ცხოვრობენ," - აცხადებდა მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე. ხელისუფლებამ ე. უზუნს მისი ცხრა წლის წინანდელი საქციელიც შეახსენა, როცა იგი 23 აპრილის (რესპუბლიკიური მმართველობის პერიოდიდან ეს ბავშვთა დღესასწაულია) ღონისძიების ჩაშლას ლამობდა, რადგან თვლიდა, რომ ის „ხელოვნური" იყო, ხოლო ბავშვებს არ აძლევდა ლექსის წაკითხვის უფლებას, თითქოსდა მათში სულთნის ჩამოგდება იყო შექებული." სათნოების პარტიის აქტივისტები როგორც საზოგადოების წინაშე, ისე ძალოვან და საკანონმდებლო სტრუქტურებში გამოდიოდნენ, რეფორმირების ინიციატორებად. მაგალითად, ამ საკითხთან დაკავშირებით პარტიის ერთ-ერთი დეპუტატი ხ. დიკიჯიმი საზოგადოების წინაშე გამოვიდა მოსაზრებით, რომ გენშტაბი დაქვემდებარებოდა თავდაცვის სამინისტროს, რომელსაც, როგორც ცნობილია, თურქეთში სამოქალაქო პირი (მმართველი პარტიის წარმომადგენელი) უდგას სათავეში. მისივე შეხედუ-

ლებით, გენშტაბის მეთაური (რომელსაც ჯარების სახეობათა სარდლებიც ექვემდებარებიან) პარლამენტის და არა პრეზიდენტის მიერ უნდა იყოს დანიშნული. მოსაზრებაში ყურადღება გამახვილებული იყო აგრეთვე ეროვნული უშიშროების საბჭოს ლიკვიდაციისა და მისი ფუნქციების მთავრობისათვის გადაცემის საკითხზე. სათნოების პარტიის 100-ზე მეტი დეპუტატის მიერ ხელმოწერილი წინადადებები სხვა მოსაზრებებსაც შეიცავდა, რომლებიც სამოქალაქო ხელისუფლების სტრუქტურებში სამხედროთა წარმომადგენლობის შეზღუდვასაც ითვალისწინებდა. ამ საკითხთან დაკავშირებით, პარტიის ლიდერმა რ. ქუთანმა განაცხადა, რომ ის აპირებდა „უმაღლესი სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებების ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში გაგზავნას, რამდენადაც ამ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი ქვეყნის სასამართლო ორგანოებისათვის შეუვალი იყო.“

1998 წლის მიწურულს, თურქეთის ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, მიუმთაზ სოისალმა, რომელსაც ადრე მინისტრის პოსტები ეკავა, დაიწყო თავისი შეხედულებების დაფიქსირება საზოგადოების წინაშე, იგი ეჭვქვეშ აყენებდა, ხელისუფლებისა და საერო პოლიტიკოსების დამოკიდებულებას ისლამისტებისადმი და მოითხოვდა პოლიტიკური ბრძოლიდან ჩამოეშორებინათ სათნოების პარტია. მისი მტკიცებით: „თურქეთში მეორდებოდა სიტუაცია, რომელიც 1997 წლის 28 თებერვლამდე იყო შენარჩუნებული, როცა ეროვნული უშიშროების საბჭომ დაგმო ხელისუფლებაში ისლამური კეთილდღეობის პარტიის ქმედებანი და ანალოგიური შეიძლება მომხდარიყო სათნოების პარტიის მაგალითზე.“

მთელი 1998 წლის მანძილზე ქვეყანაში მიმდინარეობდა კამათი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის საკითხზე. პრემიერმა მ. ილმაზმა და სახალხო - რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა, დენიზ ბაიკალმა, 5 ივლისს ხელი მოაწერეს ე. წ. „თანხმობის პაქტს,“ რომლის მიხედვითაც გადაწყდა, რომ არჩევნები ჩატარდებოდა 1999 წლის 18 აპრილს.

1998 წლის 25 ნოემბერს პარლამენტმა უნდობლობა გამოუცხადა 55-ე მთავრობას. პრეზიდენტმა, სულეიმან დემირელმა

მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბება დაავალა მემარცხენე-დემოკრატიული პარტიის ლიდერ ბიულენთ ეჯევითს, რომლის მიერ შექმნილი უმცირესობის მთავრობა თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ დაამტკიცა 1999 წლის 17 იანვარს.

მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით პრეზიდენტმა დემირელმა განაცხადა: „თურქეთში რესპუბლიკისადმი, ლაიციზმისადმი, არმიისადმი მტრობა დაუშვებელია. თუ მომავალ არჩევნებში ბოროტად გამოიყენებენ რელიგიურ განწყობილებებს და არმიის მიმართ მტრულ გამოხტომებს ექნება ადგილი, სახელმწიფო სათანადო ზომებს მიიღებს. ჩვენ არ შეველევით რესპუბლიკას, რომელმაც დღემდე მოგვიყვანა. ყველამ უნდა იმოქმედოს დემოკრატიული, ლაიცისტური რესპუბლიკის კანონების ფარგლებში. პარტიებიც თავიანთ არსებობას დემოკრატიულ - ლაიცისტურ რესპუბლიკას უნდა უმადლოდნენ. არ მოჭრან ტოტი, რომელზედაც თვითონ სხედან, მომავალ არჩევნებს მიმართულება სჭირდება, რომელსაც ქვეყნის პოლიტიკური სისტემა მისცემს. ყველა უნდა დაირაზმოს დემოკრატიული და ლაიცისტური რესპუბლიკის გარშემო და ხმა უნდა მისცე სტაბილურობას.“

როგორც ვხედავთ, ქვეყანაში მზადდება ახალი გამოსვლები, მიმართული ისლამური ორიენტაციის პარტიის საქმიანობის წინააღმდეგ და ქვეყანაში საერო მმართველობის განსამტკიცებლად, რომლის გარანტად თურქეთის რესპუბლიკაში ყოველთვის სამხედრო გენერალიტეტი გვევლინება.

აღმასრულებელი ხელისუფლებიდან ისლამური ორიენტაციის ადამიანების ჩამოშორების და საერო კოალიციური კაბინეტის ფორმირების შემდეგ, არმიის მესვეურებმა, ეროვნული უშიშროების საბჭოში თავიანთი შესაძლებლობის გამოყენებით, დაიწყეს აღმასრულებელ ხელისუფლებაში ისლამისტთა საქმიანობის შედეგების ლიკვიდაცია. 1998 წლის ზაფხულიდან აქტიური ზომები გაატარეს სახელმწიფო დაწესებულებების - პირველ რიგში განათლების სამინისტროს, უნივერსიტეტების, სამხედრო სასწავლებლებისა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ. ძირითადად საქმე ეხებოდა ქვეყანაში ისლამის

პროპაგანდაში ეჭვმიტანილი კადრების წმენდას, მოსწავლეთა და მასწავლებელთა მიერ „რელიგიური ტანისამოსის“ ტარების

საკითხს, საერო კანონმდებლობის დაცვას, ვაკუფების[9] საქმიანობის შემოწმებას და სხვა.

1998 წლის მარტში უნივერსიტეტების რექტორებმა ახალი ვითარების გათვალისწინებით გამოაქვეყნეს განცხადება დოლბანდის შესახებ, რომელშიც ხაზგასმული იყო, რომ „უნივერსიტეტის მასწავლებელთა საზოგადოებამ მიიღო რეზოლუცია დოლბანდის თაობაზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისა და განათლების სამინისტროს ინსტრუქციების შესრულების აუცილებლობის შესახებ. „თავსაფარი და ჩარშაფი - პოლიტიკურ განხეთქილებათა საბაბია..... უნივერსიტეტები კი ცოდნისა და ტექნიკური პროგრესის ტაძარი.“ მოვლენები, რომლებიც უნივერსიტეტებში - ჩვენი პროგრესის, ჩვენი დინამიკის, ჩვენი მომავლის ლოკომოტივებში ხდება და რომლებიც თანამედროვეობასთან გვაერთებს, ხელს უშლის მათ განვითარებას და ზიანს აყენებს ქვეყანას.“ როგორც ვხედავთ, განსაკუთრებით რთული იყო უნივერსიტეტებში სტუდენტთა მიერ დოლბანდის ტარებაზე უარის თქმისათვის კომპანიის ჩატარება. ამ ფაქტთან დაკავშირებით ქვეყნის შორეულ რეგიონებში, კერძოდ, ბინგელის პროვინციის ქ. ბათმანში დაიწყო საპროტესტო გამოსვლები, რასაც რამდენიმე ათეული დემონსტრანტის დაკავება მოჰყვა.

1998 წლის ზაფხულიდან საგრძნობლად გაძლიერდა გენერლების გავლენა მთავრობაზე და თვით პრემიერ-მინისტრ მ. ილმაზზე, რომელსაც ბრალად ედებოდა იმ პერიოდში მოქმედ მეჯლისში ისლამისტების მიმართ რბილი, შემრიგებლური პოზიციის დაკავებაში.

პარლამენტის ერთ-ერთ სხდომაზე პრემიერ-მინისტრი მ. ილმაზი შეეცადა სამხედროებისათვის მიეთითებინა, თუ რა იყო მათი მოვალეობა. მან განაცხადა, რომ „რეაქციასთან ბრძოლა

---

[9] ვაკუფი - (*არაბ.* Wakūf) მაჰმადიანურ ქვეყნებში: **უძრავი** ან მოძრავი ქონება, რომელიც საჩუქრის სახით გადადის უპირატესად მაჰმადიან სასულიერო პირთა ხელში.

მთავრობის მოვალეობაა და არა სამხედროების. მათ თავიანთი საქმე უნდა აკეთონ, რადგან ბევრი სამუშაო აქვთ ეგეოსის ზღვაზე, კვიპროსზე, ქურთებთან და სხვა...“ მ. ილმაზის სიტყვები თურქეთის მასობრივ ინფორმაციათა საშუალებებმა დაუყოვნებლივ გაავრცელეს, სამხედრო ხელმძღვანელობა მისი მეთაურის, არმიის გენერალ ი. ჰ. ყარადაის, თავმჯდომარეობით მაშინვე შეიკრიბა გენშტაბში სათათბიროდ. მონაწილეებს შორის იყვნენ: სახმელეთო ძალების სარდალი, არმიის გენერალი ხუსეინ ქივრიკოღლუ, სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი, ადმირალი სალიმ დევრიშოღლუ, სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი, არმიის გენერალი ილჰან კილიჩი, ჟანდარმერიის ძალების სარდალი, არმიის გენერალი ფიქრეთ ოზდენ ბოზთეფე. გენერლებმა თათბირის შემდეგ მკაცრი განცხადება მოამზადეს - „მიმართვა ერისადმი,“ რომელიც ქვეყნისათვის 1998 წლის 21 მარტს გახდა ცნობილი. საზოგადოებამ ამ ფაქტს - მთავრობისადმი სამხედროების მემორანდუმი უწოდა. ასეთი მკვეთრი განცხადება გენშტაბს ისლამური კეთილდღეობის პარტიის დროსაც არ გაუკეთებია. მასში, ნათქვამი იყო, რომ „თურქეთის შეიარაღებული ძალების მოვალეობა და უფლებამოსილება კონსტიტუციით არის დადგენილი... ტერორისა და რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლა ყოველი მოქალაქის უპირველესი მოვალეობაა, ვისაც ამ ქვეყანაში თავისუფლად და დამოუკიდებლად ცხოვრება სურს. კონსტიტუციითა და კანონებით თურქეთის შეიარაღებული ძალებისადმი მინიჭებული უფლებამოსილებანი როგორც ადრე, ახლაც დაუყონებლივ იქნება შესრულებული... თურქეთის შეიარაღებული ძალები ყოველთვის ემორჩილებოდნენ რესპუბლიკურ მთავრობას, მაგრამ არავის, რა თანამდებობაც უნდა ეჭიროს და რა მოვალეობასაც არ უნდა ასრულებდეს, არ შეუძლია გამოვიდეს და იმოქმედოს ისე, რომ ჩრდილი მიაყენოს თურქეთის შეიარაღებულ ძალებს ან ეჭვი შეიტანოს მათში, როგორც ქვეყნის უსაფრთხოების, სეპარატიზმისა და რეაქციასთან მებრძოლში... თურქეთის შეიარაღებული ძალები ჩვენი ქვეყნისათვის საშიშროება კი არ არის, არამედ იგი უსაფრთხოების გარანტიაა. ისინი არასოდეს გააკეთებენ იმას, რაც მათ რწმენასა და ერისადმი პატივისცემას შებღალავს და მომავალშიც, თურქეთის შეიარაღებული ძალები ყოველგვარ პოლიტიკურ მო-

საზრებებზე ამაღლდებიან და თავიანთ პოზიციასა და მოქმედებას შეინარჩუნებენ.“

საზოგადოებისადმი გენშტაბის მიმართვამ ქვეყნის პოლიტიკურ წრეებში აღშფოთება გამოიწვია. ცნობილი პოლიტოლოგი აიდინ ენგინი აღწერს იმ დრამატულ ვითარებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა მემორანდუმის გამოქვეყნების შემდეგ. ხომ არ მომხდარა სამხედრო გადატრიალება? მ. ილმაზი ხომ არ გადამდგარა? და სხვა. მხოლოდ შუაღამისას გახდა ცნობილი, რომ არავითარი გადატრიალება არ იყო მომხდარი. ენგინი დასძენდა სამოქალაქო ხელისუფლების საქმეებში სამხედროების ჩარევის შესახებ: „როგორია საზოგადოებისა და ხელისუფლების განვითარების შედეგი ამ უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე, მიღწეულია თუ არა პროგრესი, თუ ყველაფერი ეს უაზრო შრომას გვაგონებს - ოფლისა და სისხლისღვრით ქვას მთაზე ააგორებს, შემდეგ იგი უკანვე ჩამოგორდება და ყველაფერი თავიდან დაიწყება.“

ისლამურმა სათნოების პარტიამ გენშტაბის დემარში ღიად დაგმო. პარტიის ზოგიერთმა წევრმა მ. ილმაზს სამხედროების ამგვარ ქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ მემორანდუმი უფრო მკაცრია, ვიდრე 28 თებერვლის გადაწყვეტილებანი. თ. ჩილერმა კომენტარისაგან თავი შეიკავა. დემოკრატიული თურქეთის პარტიის ლიდერმა (კოალიციის მონაწილე) ჰ. ჯინდორუქმა განაცხადა, რომ მიმართვა მთავრობას კი არა, პირადად მ. ილმაზს ეკუთვნისო. პრეზიდენტმა ს. დემირელმა თავი შეიკავა ამ ფაქტზე კომენტარისაგან. თურქეთის უმსხვილესი პროფესიული გაერთიანების თავმჯდომარემ, თიურკ მერალმა, განაცხადა, რომ იგი შეწუხებულია ქვეყანაში შექმნილი ვითარებით.

არმიის ოფიციალური პირების განცხადებაზე მ. ილმაზმა ტელევიზიით გამოსვლისას აღნიშნა, რომ მისი მოღვაწეობა ქვეყანაში „დემოკრატიულია“ და ის კვლავ ურყევად რჩება თავის პოზიციებზე, რათა მისი ვალია თავი აარიდოს ყველაფერს, რაც რესპუბლიკურ თურქეთს განვითარებაში შეუშლიდა ხელს.

ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა მ. ილმაზის მჭიდრო ურთიერთობა-

ზე ისლამურ კაპიტალთან. ამ ფაქტთან დაკავშირებით მ. ილმაზ-მა განაცხადა, რომ „ჯეროვნად უნდა დადგინდეს, ეწევა თუ არა რომელიმე ფორმირება რეაქციულ საქმიანობას. თუ დადგინდა ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა, ჩვენი მთავრობა კანონის შესაბამის ზომებს მიიღებს.“

მის მრავალრიცხოვან კომენტარებში გამოთქმული იყო იდეა, რომ 28 თებერვლის გადაწყვეტილებები ქვეყანაში არ ხორციელდება, რომ ისლამის მომხრეებმა მოახერხეს და შექმნეს საკუთარი პარტიები, ვაკუფები, მედრესეები, ჰოლდინგები და დარწმუნებული იყვნენ, რომ შეძლებდნენ საეროობასა და დემოკრატიაზე ორიენტირებული რესპუბლიკის დამხობას. გამოჩენილი ეკონომისტი, მემარცხენე ცენტრისტული წრეების წარმომადგენელი, იაკუბ კეპენეკი სტატიაში „რემონტი“ წერდა: „20 მარტის შემდეგ პოლიტიკური ცხოვრება ახალ კალაპოტში დგება... პოლიტიკა ქვეყანაში ხელახლა იქმნება, მის წამყვან საზრუნავს კი ისლამის მომხრეთა მზარდი გავლენა წარმოადგენს.... ისლამის პოლიტიზირების საკითხში მეჯლისის პარტიათა უმეტესობა (ერთის გარდა - სახალხო - რესპუბლიკური პარტია) გამოვიდა ისლამის აშკარად პოლიტიზირების წინააღმდეგ. კეპენეკის აზრით, „პოლიტიკური ისლამის“ წაქეზება თურქეთში ახალი ხილი არ იყო, იგი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო და მთიდან დაგორებული თოვლის გუნდასავით თანდათან გაიზარდა, თუმცა ისლამის ახლანდელი პოლიტიზირება წინანდელისაგან რიგი თავისებურებებით გამოირჩევა. „პოლიტიკური ისლამი“ თავის შიგნით სულ უფრო იშლება - რბილი ვარიანტიდან უკიდურესობამდე, ფარული არაბულიდან ღია თურქულ ნაციონალიზმამდე.“ კეპენეკი იქვე დასძენს, რომ ,,პოლიტიკური ისლამი“ დღითიდღე სულ უფრო სწრაფად იღებს ხელში საზოგადოების მართვას. ჩინოვნიკების აშკარა დახმარებით კი სახელმწიფო სტრუქტურები ისლამური კადრების ხელში გადადის, ეს ხდება ყველგან -განათლებიდან - უშიშროებამდე, ჯანდაცვიდან - გუბერნატორების თანამდებობამდე. ბოლო დროს ნათლად გამოიკვეთა კიდევ ერთი მოვლენა - ლაიცისტური თურქეთის ცხოვრება სულ უფრო მეტად მიისწრაფვის ისლამისაკენ. ეს არა მარტო უნივერსიტეტების ხელმძღვანელთა მხრიდან დოლბანდის პრობ-

ლემასთან დამოკიდებულებაში ვლინდება, არამედ იმ ყურადღების მასშტაბებშიც, რომელიც ბეჭდვით გამოცემებში ისლამს ეთმობა. ინტელექტუალური გარემო, პირველ ყოვლისა, ტარიკათების შეიხებით ან სულიერი მოძღვრებით არის წარმოდგენილი. თურქეთის შეიარაღებული ძალები ყოველმხრივ ცდილობენ ამ ტენდენციის შეჩერებას. თავიანთი პოლიტიკის სფეროდ ისინი საეროობას ასახელებენ. მათ სურთ შეაგულიანონ ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც საეროობის სიკეთით სარგებლობენ. სურთ, რომ პარტიებმა თვითონ დაიცვან საეროობა. წინააღმდეგობანი ამ პუნქტიდან იწყება. პარტიები ხვდებიან, რომ საეროობის გარეშე დემოკრატია არ არსებობს, მაგრამ პრაქტიკაში ამის ტრანსფორმირებას წლობით აჭიანურებენ. ასეთ პირობებში საზოგადოებას ვერაფრით ვერ დაუღწევია თავი დილემისაგან – „ხიშტი თუ ირთიჯა."

ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომის წინ, სამხედროებსა და სამოქალაქო ხელისუფლებას შორის პოლემიკა იმით დასრულდა, რომ სამთავრობო კოალიციის მეთაურებმა მ. ილმაზმა, ბ. ეჯევითმა და ჰ. ჯინდორუქმა ხელახლა განაცხადეს რეაქციასთან ბრძოლა და სახელმწიფოს ყველა ინსტანციის თანამშრომლებს შეახსენეს, რომ თურქეთში მზადდებოდა კანონპროექტი ვაკუფების, ორდენების, შემოწირულობათა მოკრეფის აკრძალვის, სისხლის სამართლის კოდექსის 163-ე მუხლის გაუქმების შემდეგ წარმოშობილი სიცარიელის შევსებისათვის მზადებისა და ისლამის პროპაგანდისათვის სასჯელის, ისლამის მომხრე სახელმწიფო მოსამსახურეების სამსახურიდან დათხოვნის შესახებ. მ. ილმაზმა შეხვედრაზე მონაწილეთა სახელით განაცხადა, რომ „რეაქციასთან ბრძოლის საკითხებში მთავრობასა და შეიარაღებულ ძალებს შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, მთავრობამ მიიღო ყველაზე ქმედითი ზომები რეაქციასთან ბრძოლაში, რისთვისაც ხელისუფლების სხვადასხვა დონეზე რამდენიმე დამატებითი ცენტრი და მექანიზმია შექმნილი." მ. ილმაზი ამტკიცებდა, რომ „მისი გამოსვლები და განცხადებები არასწორად იქნა მიწოდებული და განმარტებული საზოგადოებისათვის. ამასთან იმედი გამოთქვა, რომ ყველა

გაუგებრობა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე იქნებოდა მოხსნილი.“

ეროვნული უშიშროების საბჭოს მორიგი სხდომა პრეზიდენტ სულეიმან დემირელის თავმჯდომარეობით ჩატარდა 1998 წლის 27 მარტს. სხდომაზე ეროვნული უშიშროების საბჭოს და გენშტაბის სამდივნომ დაწვრილებით წარმოადგინა მასალები რელიგიური საზოგადოებების, ისლამური კაპიტალის, ვაკუფების საქმიანობის, აგრეთვე სახელმწიფო სამსახურში რეაქციული კადრების არსებობაზე. პრეამბულაში აღნიშნული იყო, რომ ყველაფერი ეძღვნებოდა მიმდინარე საგარეო და საშინაო მოვლენების შეფასებას, რომლებიც ქვეყნის ეროვნული უშიშროების მდგომარეობაზე ახდენდნენ გავლენას. მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება იყო დათმობილი სეპარატისტულ ტერორიზმთან განსახორციელებელ ბრძოლის ზომებზე (იგულისხმება ქურთი სეპარატისტები (ხაზგასმა ჩვენია ე.მ.)) და სხვა.

ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული დოკუმენტის დებულებათა კომენტირებისას თურქული საზოგადოება გამოხატავდა ფრიად განსხვავებულ, ხშირ შემთხვევაში ურთიერთსაწინააღმდეგო აზრს. მაგალითად, თურქეთში მორწმუნეთა რელიგიური გრძნობებით მანიპულირებაზე საუბრისას ხშირად მოიხსენებდნენ ისლამურ საზოგადოებებს. მეორე მხრივ, სამთავრობო კოალიციაში შემავალი „თურქეთის დემოკრატიული“ პარტიის ლიდერი ჰ. ჯინდორუქი აქტიურად მოითხოვდა ეროვნული უშიშროების საბჭოს უფლება - მოსილებათა და ვალდებულებათა ზღვრის დადგენას. მისი აზრით, „საბჭო ქვეყანაში მთავრობის მაკონტროლებელ ორგანოდ უნდა იქცეს.“ თურქეთის განათლების მინისტრი კი მოსახლეობას აუწყებდა, რომ „სამინისტროს რამდენიმე წამყვანი ჩინოვნიკი დოლბანდის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობის გამო გათავისუფლეს სამსახურიდან, ასევე ისინიც, ვინც სამინისტროს კადრებში რეაქციონერთა შეღწევას უწყობდა ხელს. ამ ფაქტთან დაკავშირებით ცნობილი თურქი საზოგადო მოღვაწე ხ. ჩეთინქაი აცხადებდა, რომ „მაღალ თანამებობებზე დარჩენილი „ისლამური ორგანიზაციების“ მომხრეები, რომლებსაც სკოლებისათვის წიგნების მიმწოდებელი საგამომცემლო დაწესებულებები ეკუთვნით, აქ-

ტიურად საქმიანობენ თურქულ-ისლამური სინთეზის განსახორციელებლად. დღეს სახალხო განათლების სამინისტრო ერთ ორდენს, „მიურიდებს“ ექვემდებარება, ეს ხალხი ისე განაგრძობს ორგანიზებას, რომ მინისტრ ულუგბაისა და ეჯევითის შეშფოთებას არ იწვევს.“ ჩეთინქაიას მოსაზრებით, „სულეიმანის, ნაკშბენდიების და ნურჯისტების ორდენების მომხრეებმა სახელმწიფო სტრუქტურებში თავიანთი ფინანსური ორგანიზაციები შექმნეს.“ ტელევიზიით უკვე იკრძალებოდა ისეთი პროგრამის ჩვენება, რომელშიც „პოლიტიკური ისლამისა“ და მათ მომხრეთა მიმართ კრიტიკული შენიშვნები იყო გამოთქმული.“

ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ ჩატარებული სხდომის დღის წესრიგში შეტანილი ირთიჯას და ეკონომიკურ შესაძლებლობების საკითხზე მიმომხილველი მუსტაფა ბალაბაი წერს: „ეროვნული შეხედულების მომხრეები ქვეყანაში სამსხვერპლო ცერემონიისა და ზოგიერთი მუნიციპალიტეტისაგან წელიწადში მილიონ დოლარზე მეტს იღებენ. ისლამური ორგანიზაციების საქმიანობას აქტიურად უჭერენ მხარს საზღვარგარეთ (ირანი, ლიბანი, ქუვეითი, საუდის არაბეთი) მოქმედი ისლამური ორგანიზაციები. ქვეყნის შიგნით ისლამური კაპიტალის სიმძლავრე საზოგადოებების, კომერციული კომპანიების, ჰოლდინგების, ფინანსური ორგანიზაციების, ვაკუფებისა და ზოგიერთი მუნიციპალიტეტების ხარჯითაა ფორმირებული. გამოვლენილი 385 კომპანიის საერთო კაპიტალი 500 ტრილიონ ლირას ითვლის. გარდა ამისა, კვების დარგში, ინდუსტრიაში, ტექსტილში, მშენებლობაში, ჯანდაცვაში, საგამომცემლო საქმეში, მარკეტინგში, საბანკო და საფინანსო საქმეში ოთხი ათასამდე ფირმა ითვლება. ისინი მხოლოდ საკუთარ კაპიტალზე მუშაობენ და ბანკების კრედიტებით არ სარგებლობენ.

ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომის ზოგიერთი დაწვრილებითი ცნობების მოყვანის შემდეგ პრესამ კომენტარი გაუკეთა ამ სხდომაზე გენერალურ შტაბთან შექმნილ დასავლეთის მუშათა ჯგუფის მოხსენებას. უმთავრესი ყურადღება დაეთმო დოლბანდის ტარების, სახელმწიფო კადრებში ისლამისტების შეღწევის, ისლამურ-ფინანსური წყაროების, განათლების სისტემის მდგომარეობას და სხვა.

ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ერბაქან-ჩილერის მთავრობის წასვლით არ შეიძლება მოგვარებულიყო „პოლიტიკური ისლამის“ საკითხი. მ. ილმაზიც და კოალიციაში შემავალი მისი მოადგილეებიც „ვერ ამჩნევდნენ“ ისლამის მომხრეების გავლენის ზრდას სახელმწიფო ორგანიზაციებში.

სწორედ ქვეყანაში შექმნილ ამ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, 1999 წლის 18 აპრილს ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, რომელიც მემარცხენე - დემოკრატიული პარტიის გამარჯვებით დამთავრდა.

	პარტიის დასახელება	**პროცენტი**	**დეპუტატების რაოდენობა**
1	**მემარცხენე-დემოკრატიული პარტია (DSP)**	22,06	136
2	**ნაციონალური მოძრაობის პარტია (MHP)**	17,98	129
3	**სათნოების პარტია (FP)**	15,38	111
4	**დედასამშობლოს პარტია (ANAP)**	13,22	86
5	**ჭეშმარიტი გზის პარტია (DYP)**	12,0	85
6	**სახალხო-რესპუბლიკური პარტია (CHP)**	8,79	-

არჩევნების შემდეგ, თურქეთის საზოგადოებაში ფართოდ გავრცელდა მოსაზრება იმის შესახებ, თუ რით იყო გამოწვეული მემარცხენე - დემოკრატიული და ნაციონალური მოძრაობის პარტიების გამარჯვება და ვინ გაერთიანდებოდა მომავალ სამთავრობო კოალიციაში.

მემარცხენე - დემოკრატიული პარტიის გამარჯვება მეტწილად გამოწვეული იყო მათი მთავრობაში მოღვაწეობის პირ-

ველსავე თვეს, კენიაში თურქეთის ნომერ პირველ მტრად შერაცხული, ქურთისტანის მუშათა პარტიის დამაარსებლის და ლიდერის აბდულაჰ ოჯალანის დაკავებით. ამ ფაქტმა საზოგადოების თვალში მემარცხენე-დემოკრატიული პარტია და მისი ლიდერი ბ. ეჯევითი გმირად აქცია, რადგანაც ანკარა ოჯალანის დაკავებას უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ბ. ეჯევითს პოპულარობა არც ადრე აკლდა. 1974 წელს სწორედ მან შეიყვანა თურქეთის არმია კვიპროსში.

ქურთისტანის მუშათა პარტიის ლიდერის დაკავებას ქვეყნის დიდ ქალაქებში (სტამბოლი, ანკარა) ტერორისტული აქტები მოჰყვა, რამაც თურქეთის მოსახლეობაში ნაციონალური გრძნობების გაღვივება გამოიწვია, ეს კი გარკვეულწილად აისახა ნაციონალური მოძრაობის პარტიის (დ. ბაჰჩელი) გამარჯვებაში.

თურქეთის პოლიტიკური ელიტა ვარაუდობდა, რომ ნაციონალური მოძრაობის პარტია თურქეთში არსებულ 10%-იან ბარიერს გადალახავდა, მაგრამ ამგვარ წარმატებას არავინ მოელოდა.

ისლამისტების წარუმატებლობას ხელი გარკვეულწილად შეუწყო პოლიტიკიდან ძველი ლიდერის ნ. ერბაქანის ჩამოცილებამაც. აქედან გამომდინარე, პარტია არჩევნებს მოუმზადებელი შეხვდა.

1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდა მემარჯვენე ცენტრისტული ძალებიც. სახელისუფლებო დედასამშობლოს და ჭეშმარიტი გზის პარტიებმა საერთო ჯამში ხმების 25,23% მოიპოვეს (წინა არჩევნებში კი 38,83%). არჩევნების შემდეგ, ქვეყანაში შექმნილი შიდაპოლიტიკური ვითარების გამო, დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დადგა ამ პარტიების გაერთიანების საკითხი. მით უფრო, რომ საუბარი იყო პარტიების ორი შეურიგებელი ლიდერის თ. ჩილერისა და მ. ილმაზის გადადგომაზე.

ამ ფაქტის გაგრძელება იყო თ. ჩილერის პარტიის ყოფილი წევრის, შინაგან საქმეთა მინისტრის, იმჟამად ქ. ელაზის დამოუკიდებელი დეპუტატის მეჰმედ აღარის მიერ, 1999 წლის 2 მა-

ისს ანკარაში, იპოდრომზე ჩატარებული მიტინგი, სადაც უმრავლესობა მოითხოვდა თ. ჩილერის გადადგომას. მის პოსტზე კი სახელდებოდა ყოფილი სახელმწიფო მინისტრების აივაზ გოქდემირისა და მეჰმედ აღას კანდიდატურები, ხოლო დედასამშობლოს პარტიის ლიდერად ასახელებდნენ თ. ოზალის შვილს აჰმეთ ოზალს. 1999 წლის არჩევნებში მემარჯვენეების დამარცხებას პოლიტოლოგები მათ შორის არსებული უთანხმოებით, გაუთავებელი შუღლითა და მაფიოზურ კლანებთან მათი კავშირით ხსნიდნენ.

რესპუბლიკური თურქეთის ისტორიაში მეჯლისის გარეთ პირველად დარჩა სახალხო-რესპუბლიკური პარტია. ვარაუდობდნენ, რომ ეს ფაქტი ქემალიზმს დიდ დარტყმას მიაყენებდა (სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ წინა არჩევნებში ხმების 10,7% მოიპოვა).

1999 წლის 2 მაისს პირველად შეიკრიბა თურქეთის ახლადარჩეული 21-ე მოწვევის დიდი ეროვნული კრება, რომელიც ექცსესებით დაიწყო. სხდომაზე ისლამური სათნოების პარტიის დეპუტატის, მერვე ქავაქჩის პარლამენტში თავსაბურით გამოჩენამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მემარცხენე-დემოკრატიული პარტიისა და ქემალისტური იდეების სხვა პარტიის დეპუტატებმა მერვე ქავაქჩის დარბაზიდან გაძევება მოითხოვეს. ეს ფაქტი იმის აღმნიშვნელი იყო, რომ ისლამური პარტია და მისი წევრები რთულ პირობებშიც კი მზად არიან შეინარჩუნონ ისლამური ტრადიციები.

1999 წლის 3 მაისს თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სულეიმან დემირელმა ახალი, რიგით 57-ე, მთავრობის ჩამოყალიბება დაავალა მემარცხენე-დემოკრატიული პარტიის ლიდერს ბ. ეჯევითს, რომელიც 9 ივნისს თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ დაამტკიცა. მან იმავე დღეს გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ „ახალ სამთავრობო კოალიციაში შევიდოდა სამი - მემარცხენე-დემოკრატიული, ნაციონალური მოძრაობის და დედასამშობლოს პარტიები.

ბ. ეჯევითის ახალი მთავრობის ჩამოყალიბების პროცესს თან დაერთო საპრეზიდენტო არჩევნების წინა ციებ-ცხელება. 2000 წელს ვადა გაუდიოდა სულეიმან დემირელს, რომელსაც

კონსტიტუციით მეორედ არჩევის უფლება არ ჰქონდა. დღის წესრიგში დადგა ახალი პრეზიდენტის არჩევის საკითხი.

თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ბ. ეჯევითის მიერ პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებულ იქნა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე აჰმედ ნეჯდეთ სეზერი, რომელსაც ყველასათვის მოულოდნელად მხარი დაუჭირა მეჯლისში შემავალი ხუთივე პარტიის ლიდერმა და შეთანხმდნენ ერთ საერთო კანდიდატზე.

აჰმეთ ნეჯდეთ სეზერი

ვინაიდან სეზერი პარლამენტის წევრი არ იყო, მისი პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებისათვის, თურქეთის კონსტიტუციის თანახმად, აუცილებელი იყო მინიმუმ 110 დეპუტატის ხელმოწერა. პარლამენტის წევრი პარტიების ლიდერთა ერთსულოვანმა მხარდაჭერამ სეზერის გამარჯვება წინასწარვე განსაზღვრა.

თურქეთის კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტობის კანდიდატმა მეჯლისში უნდა მოიპოვოს დეპუტატთა საერთო რაოდენობის (550) 2/3, ანუ 367 ხმა. წარუმატებლობის შემთხვევაში ინიშნება არჩევნების მეორე ტური იმავე პირობით. თუ მეორე ტურიც ვერ გამოავლენდა გამარჯვებულს, მაშინ ინიშნება მესამე ტური, სადაც საკმარისია დეპუტატთა უბრალო უმრავლესობის მხარდაჭერა. ასეთი რთული სიტუაციით შეხვდა რესპუბლიკური თურქეთი 2000 წელს.

საკონტროლო კითხვები:

1) დაახასიათეთ თურქეთის საშინაო - პოლიტიკური მდგომარეობა XX საუკუნის 90-იან წლებში;
2) ახსენით, რა ადგილს იკავებს ისლამისა და ლაიციზმის საკითხი 90-იანი წლების თურქეთის საშინაო პოლიტიკაში;
3) რა ადგილს იკავებს 90-იანი წლების თურქეთის საშინაო პოლიტიკაში ისლამური პოლიტიკური პარტიები?;

4) რა როლი უკავიათ სახელისუფლებო და ოპოზიციურ პარტიებს თურქეთის საშინაო ცხოვრებაში?;
5) ახსენით, სამხედროების როლი 90-იანი წლების თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში;
6) რა მსგავსებასა და განსხვავებას ხედავთ 90-იან წლებში მოღვაწე პოლიტიკურ ლიდერებს შორის?.

პრაქტიკული დავალება:

გააანალიზეთ XX საუკუნის 90-იანი წლების თურქეთის საშინაო პოლიტიკის ძირითადი საკითხები.

გამოყენებული ლიტერატურა და ვებგვერდები:

1. ადეიშვილი კ., თურქეთის პოლიტიკური პარტიები ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, აღმოსავლეთმცოდნეობა, თსუ შრომები, №341, თბილისი, 2002.
2. ბატიაშვილი ზ., არმიის ადგილი და როლი თურქეთის რესპუბლიკაში (1923-2000 წლებში), თბილისი, 2003, საკანდიდატო დისერტაცია.
3. ბატიაშვილი ზ., ცნობარი თურქეთზე, საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი, №23, თბილისი, 1999.
4. ბატიაშვილი ზ., თურქეთის შეიარაღებული ძალები, თბილისი, 2000.
5. თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, თურქულიდან თარგმნა და კომენტარები გაუკეთა გიორგი სორდიამ, თბილისი, 2000.
6. კომახია მ., პოლიტიკური ისლამი თურქეთში, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი, №47, თებერვალი 2001.
7. ლებანიძე ტ., თურქეთის პოლიტიკური პარტიების ისტორიული მიმოხილვა, თბილისი, 2011.

8. მაჩიტიძე ელ., ისლამისტური პარტიები თანამედროვე თურქეთში, ორიენტალისტური ძიებანი, კრებული, 3-4, თბილისი, 1995.
9. მაკარაძე ე., თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები, ბათუმი, 2000.
10. სვანიძე მ., თურქეთის ისტორია, თბილისი, 2007.
11. სანიკიძე გ., ალასანია გ, გელოვანი ნ, ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობა სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.–XXI ს.–ის დასაწყისი), თბილისი, 2011.
12. Киреев Н.Г., История Турции XX века. Москва, 2007
13. Деловая Турция, Т. XV-XVI Москва, 2009.
14. Шувалова Н.Б., Турция XX век (сборник обзоров). Москва, 2002.
15. Ahmet Akcül, „Dünyanin Değişmi ve Erbakan Dervimi,~ İstanbul. 1995.
16. Akşit N, „Milli Tarih,“ c.II. İstanbul, 1993.
17. Bilge. Atatürk Kültür Dil ve Tarih Yüksek Kurumu. Kiş 7. Ankara, 1999.
18. Bodgener D., Ankara's pipe dreams come true. Meed, 22 April 1994.
19. Erbil Tuşalp., Şeriatı beklerken. İstanbul, 1996.
20. Çavdar Tevfık., Türkiye' nin Demokrası Tarıhı. Ankara, 2003.
21. Türkiye Tarihi, № 5, Bugünkü Türkiye(1980-2003), Istanbul, 2005.
22. Zürcher E. J., Turkey: a modern history**.** 2004.
23. www.turkishdailynews.com.tr
24. www.iimes.ru.
25. www.akparti.org.tr
26. www.chp.org.tr
27. www.mhp.org.tr
28. www.dyp.org.tr
29. www.anap.org.tr
30. www.dp.org.tr

თავი XI. თურქეთის რესპუბლიკა 2000-2018 წლებში

XXI საუკუნის 10-იან წლებში, არაბული გაზაფხულის[10] დაწყების შემდეგ აქტიურად განიხილებოდა ე.წ. „თურქული მოდელის“ დანერგვის პერსპექტივა ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. ამ პროცესს ხელს ოფიციალური ანკარაც უწყობდა და ყველანაირად ცდილობდა წარმოეჩინა თურქეთი ისლამისა და დემოკრატიის სინთეზის ყველაზე წარმატებულ მაგალითად.

თავის მხრივ, ურთიერთობა ისლამსა და დემოკრატიას შორის არაერთხელ გამხდარა კამათის საგანი.

ბოლო პერიოდში ახლო აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელი გახდა დემოკრატიული არჩევნების გზით ხელისუფლების სათავეში ისლამისტური პარტიების მოსვლა. ასეთ ქვეყნებს შორის თურქეთი დღემდე ყველაზე წარმატებულ და ნათელ მაგალითად ითვლება.

ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური ისლამის გაძლიერებამ რეგიონში პოლიტიკური სიტუაციის დაძაბვა გამოიწვია. XX საუკუნეში არსებული პლურალიზმის[11] ნაცვლად დღეს ხისტი პოლიტიკური პოლარიზაცია მივიღეთ. ასეთი კონფიგურაცია კიდევ უფრო ართულებს ისედაც მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს რეგიონში. ისლამისტური პარტიები, რომლებიც ექსტრემიზმის, ძალადობასა და დანარჩენ სამყაროსთან კონფრონტაციისაკენ მოუწოდებენ საკუთარ ამომრჩევლებს, უფრო ამ კრიზისის ხელისშემწყობია, ვიდრე მისი მომგვარებელი.

---

[10] **არაბული გაზაფხული** – არაბული სამყაროს საპროტესო აქციები, ცნობილი როგორც არაბული გაზაფხული (მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოიყენებენ ასევე ტერმინს პანარაბული რევოლუცია. 2010-2011 წლების მასობრივი სახალხო მოძრაობა არაბულ სამყაროში. მღელვარება თავდაპირველად დაიწყო ტუნისში, შემდეგ მან მოიცვა: ეგვიპტე, ალჟირი, იორდანია, იემენი, ბაჰრეინი და ლიბია. მცირე ინციდენტებით აღინიშნა მავრიტანიაში, შაუდის არაბეთში, ომანში, სუდანში, სირიაში, ერაყში, მაროკოში, ჯიბუტში).

[11] **პლურალიზმი** – ნიშნავს განსხვავებული აზრების, მსოფლმხედველობების, ცხოვრების წესის, ინტერესების თანაარსებობას.

„თურქული მოდელი“ არის ევროპული ფასეულობების (ადამიანის უფლებები, დემოკრატიული მთავრობა) და „ზომიერი“ ისლამის ერთიანობა, რომელიც, თითქოსდა, იდეალურად უნდა მორგებოდა პოსტრევოლუციურ ახლო აღმოსავლეთს. თუმცა 2014 წლის განმავლობაში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად აჩვენა, რომ თურქეთი არც ისე დემოკრატიულია, როგორადაც მას მიიჩნევდნენ დასავლეთში.

დემოკრატიული რეფორმები თურქეთში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო. 1946 წელს ერთპარტიული მმართველობა ქვეყანაში მრავალპარტიული, დემოკრატიული სისტემით შეიცვალა. ეს იყო ქვეყნის მაშინდელი მთავრობის შეგნებული გადაწყვეტილება და პროცესი მშვიდობიანი გზით განხორციელდა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, ის, რა თქმა უნდა, არ იყო მთლიანად დემოკრატიული. თურქეთი ჩამოყალიბდა ავტორიტარულ სახელმწიფოდ საარჩევნო დემოკრატიით. პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო სისტემა ძირითადი დემოკრატიული პრინციპების დაცვით ფუნქციონირებდა, მაგრამ მთავრობა ქემალისტური იდეოლოგიის დამცველი არმიის მკაცრი კონტროლის ქვეშ იყო.

XX საუკუნის 80-იან წლებში ნაციონალურ-ისლამურ სინთეზს ქვეყანაში მიემხრო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რამაც 90 -იან წლებში ნიადაგი მოუმზადა პოლიტიკური ისლამის განმტკიცებას, რაც ისლამისტების აზრით, თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპებზე იქნა ჩამოყალიბებული და შესწევდა უნარი დაებრუნებინა თურქეთი ე. წ. „ისლამის ოქროს ხანაში.“

90-იან წლებში ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების განვითარებაზე პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო ჯერ ისლამური კეთილდღეობის, ხოლო შემდეგ სათნოების პარტიამ, რომლებიც არჩევნებიდან არჩევნებამდე ძლიერ დასაყრდენს იძენდნენ საზოგადოებაში.

90-იან წლებში ისლამისტების სულ უფრო გააქტიურება და მათი ხელისუფლების სათავეში მოსვლა დაკავშირებული იყო ახალ პროცესთან. ეს უმთავრესად გამოიწვია თურქულ საზოგადოებაში რელიგიური ფასეულობების წინწამოწევით და

სახელისუფლებო პარტიებში ისლამური ორიენტაციის მომხრეთა ზრდამ, რაც თურქეთის საშინაო პოლიტიკაში ახალი ეპოქის დასაწყისს მოასწავებდა. ყოველივე ამას XXI საუკუნის დასაწყისში თან დაერთო პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიაც. თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტს (სულეიმან დემირელი) საპრეზიდენტო ვადა გაუდიოდა. ამ ეტაპზე პრეზიდენტობის კანდიდატს მეჯლისი ირჩევდა, დეპუტატთა საერთო რაოდენობის (550) 2/3, ანუ 367 ხმით.

საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში, რომელიც შედგა 2000 წლის 27 აპრილს, აჰმედ ნეჯდეთ სეზერმა მიიღო დეპუტატთა 281 ხმა და 220 ხმით გაუსწრო მეორე ადგილზე მყოფ იალჩინთაშს, რომელმაც მხოლოდ 61 ხმა მოიპოვა. 2000 წლის 1 მაისს გამართულ მეორე ტურში, სეზერს 314 ხმა ჰქონდა და ეჭვს არ იწვევდა, რომ 5 მაისს გამართული არჩევნების მესამე ტურში გაიმარჯვებდა. ასეც მოხდა, მესამე ტურში სეზერმა მოახერხა 330 დეპუტატის მხარდაჭერა და გახდა თურქეთის რესპუბლიკის მეათე პრეზიდენტი.

დენიზ ბაიკალი

2000 წლის 16 მაისს სულეიმან დემირელმა ოფიციალურად მოიხსნა პრეზიდენტის უფლებამოსილება. აჰმეთ ნეჯდეთ სეზერმა კი მეჯლისის წინაშე ფიცის დადებისას ჩამოაყალიბა თავისი პოლიტიკური კურსის ძირითადი დებულებები. მან რესპუბლიკურ თურქეთში კვლავ აღიარა ლაიციზმი ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის ხელშეუხებელ პრინციპად, რომლის გარეშე დემოკრატიულ თურქეთში სახელმწიფოსა და საზოგადოების ცხოვრების მოწესრიგება წარმოუდგენელი იქნებოდა.

პრეზიდენტის თქმით, მისი საქმიანობის უმთავრესი და სწორი გზა „ათათურქის პრინციპების დაცვა და განმტკიცებაა“.

აჰმედ ნეჯდეთ სეზერმა თავის გამოსვლაში, ფაქტობრივად, დააფიქსირა ათათურქის პრინციპებზე დაფუძნებული

რესპუბლიკური თურქეთის არსებობა, რომელსაც, მისი აზრით, ვერანაირი ძალა ვერ დაშლიდა.

არჩევნებში დემოკრატიული ძალების გამარჯვების მიუხედავად, ქვეყანაში კვლავ შეინიშნებოდა ისლამური სათნოების პარტიის წარმატებები, რომელმაც არჩევნებში მესამე ადგილი დაიკავა და კიდევ ერთხელ აჩვენა ხელისუფლებას, რომ არ აპირებდა ფარ-ხმალის დაყრას და ყოველ ღონეს იხმარდა ხელისუფლებაში კვლავ მოსასვლელად.

რესპუბლიკური თურქეთის მომხრეები და, რაც მთავარია, სამხედრო გენერალიტეტი ყველანაირი ბერკეტებითა და მეთოდებით ცდილობდა გზიდან ჩამოეშორებინათ ისლამური მიმართულების პარტიები და ამით შეენარჩუნებინათ ქვეყანაში ის ევროპული ღირებულებები, რომელსაც საფუძველი XX საუკუნის 20-იან წლებში ჩაეყარა.

სათნოების პარტიის სასამართლო პროცესი ოცდახუთი თვე გრძელდებოდა. 2001 წლის 22 ივნისს ეს პარტია საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მუსტაფა ბუმინის განცხადებით, დაშლილად გამოცხადდა. პარტია დაიშალა არა იმიტომ, რომ იგი აკრძალული კეთილდღეობის პარტიის მემკვიდრე იყო, არამედ იმიტომ, რომ ეს ორგანიზაცია იქცა მმართველობის ლაიცისტური ფორმის მოწინააღმდეგეთა ერთ-ერთ ძირითად ცენტრად.

საკონსტიტუციო სასამართლომ სათნოების პარტიის მთელი ქონება სახელმწიფო ხაზინას გადასცა, პარტიის ხუთ დეპუტატს (მერვე ქავაჩს, ნაზლი ილიჯაქს, ბექირ სობაჯს, რამაზან იენიდედს, მეჰმეთ სილაის), ანტილაიცისტური ქმედებების გამო, შეუწყვიტეს უფლებამოსილებანი და 5 წლით აუკრძალეს პოლიტიკური საქმიანობა.

სათნოების პარტიის ლიდერმა რეჯაი ქუთანმა და მისმა თანაპარტიელებმა მკაცრად გააკრიტიკეს სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც რადიკალურად შეცვალა პოლიტიკურ სცენაზე ძალთა თანაფარდობა (ისლამური პარტიის დეპუტატები პარლამენტში დარჩნენ დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით).

სათნოების პარტიის დაშლის შემდეგ თურქეთის ეროვნულ კრებაში დეპუტატები შემდეგნაირად განაწილდნენ: მემარცხენე-დემოკრატიული პარტია - 123 ადგილი, ნაციონალური მოძრაობა -126, დედასამშობლო - 88, ჭეშმარიტი გზის - 83, დამოუკიდებელი დეპუტატები - 113. ამ ვითარებიდან გამომდინარე, პარლამენტში მთავარ ოპოზიციურ ძალად იქცა თ. ჩილერის ჭეშმარიტი გზის პარტია.

სათნოების პარტიის აკრძალვის შემდეგ, 2001 წლის ივლის-აგვისტოში თურქეთში ჩამოყალიბდა ისლამური ორიენტაციის - ბედნიერების პარტია, რომლის თავმჯდომარე გახდა რეჯაი ქუთანი და სამართლიანობისა და განვითარების პარტია, რომლის ლიდერი გახდა სტამბოლის ყოფილი მერი, რეჯეფ თაიფ ერდოღანი.

2002 წლის დასაწყისისათვის თურქეთის საშინაო ცხოვრებაში არამყარი სიტუაცია შეიქმნა. გაზაფხულის მიწურულიდან კი პოლიტიკურ წრეებში დაიწყო საუბარი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შესაძლო ჩატარებაზე. ქვეყნის ხელისუფლების მიერ ამგვარი შესაძლებლობის უარყოფის მიუხედავად, ანალიტიკოსთა დიდი ნაწილი თავიდანვე მიიჩნევდა, რომ ქვეყანაში შექმნილი ვითარება მოვლენების ამგვარი განვითარების რეალურ საფუძველს იძლეოდა. კერძოდ, პრემიერ-მინისტრ ბ. ეჯევითის შერყეული ჯანმრთელობა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში პარტიებს შორის წარმოქმნილი უთანხმოება მოსალოდნელი სამთავრობო თუ პოლიტიკური კრიზისის შესაძლო დასაწყისად იყო მიჩნეული. ივნისის დასაწყისში საზოგადოებასთან შეხვედრისას ბ. ეჯევითმა განაცხადა პრეზიდენტის ნაციონალური მოძრაობის პარტიასთან დაპირისპირების შესახებ. პარტიის ლიდერი დევლეთ ბაჰჩელი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა თურქეთის კონსტიტუციაში იმგვარ ცვლილებათა შეტანას, როგორიცაა: სიკვდილით დასჯის გაუქმება; ქურთულ ენაზე სწავლებისა და სატელევიზიო გადაცემათა შემოღება და სხვა.

ისეთ პრინციპულ საკითხზე, როგორიც ევროკავშირში თურქეთის ინტეგრაციაა, მმართველ პარტიებს შორის კონსენსუსის მიუღწევლობა ქვეყანაში სამთავრობო კრიზისის დაწყების მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყო. ქვეყნის პრემიერ-მინის-

ტრი იტოვებდა იმედს, რომ ოპოზიციურ პარტიათა ლიდერებთან კონსულტაციებით მოახერხებდა პარლამენტში ზემოხსენებულ საკონსტიტუციო ცვლილებათა მიღებას. თუმცა, პოლიტიკურ წრეებში კრიზისის თავიდან აცილების ერთადერთ საშუალებად თავიდანვე მიიჩნევდნენ ვადამდელ არჩევნებს. ამ მოსაზრებას დევლეთ ბაჰჩელის განცხადება აძლიერებდა. მისი პარტიის პოზიცია ხელს შეუშლიდა სამთავრობო პოლიტიკური კურსის გატარებას.

ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ირგვლივ დებატები მას შემდეგ გამწვავდა, რაც პრემიერ-მინისტრმა, მემარცხენე-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა, ბიულენთ ეჯევითმა, დეპუტატებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ „ჰორიზონტზე არჩევნების გამართვის შესაძლებლობა ჩანდა და თანაპარტიელებს მოუწოდა წინასაარჩევნო კამპანიისაკენ.“ ეჯევითის ეს განცხადება შეიძლება შეფასდეს როგორც მთავრობის მიერ (რომელიც მოვლენათა ამგვარი განვითარების კატეგორიული წინააღმდეგი იყო) ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით მიცემული პირველი „ნიშანი.“

მოვლენათა ამგვარმა განვითარებამ ეჯევითი აიძულა საზოგადოებისათვის განემარტა მისი სიტყვები, რომ ის „ჰორიზონტის“ მიღმა 2004 წელს დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებს გულისხმობდა და არა - ვადამდელს.

ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ეჯევითის გადადგომის აუცილებლობაზე დებატები კიდევ უფრო გამწვავდა. ოპოზიციურ პარტიის დეპუტატებთან ერთად თავად პრემიერ-მინისტრის თანაპარტიელთა ერთი ნაწილიც მისი გადადგომის მოთხოვნით გამოვიდა.

ქვეყანაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა ნაციონალური მოძრაობის პარტიის ლიდერისა და ვიცე-პრემიერის დევლეთ ბაჰჩელის 5 ივლისის განცხადებას ვადამდელი არჩევნების ჩატარების შესახებ (სამთავრობო კოალიციის წევრ პარტიათა ლიდერები – ბ. ეჯევითი და მ. ილმაზი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ ვადამდელ არჩევნებს). მათი მოსაზრებით, პოლიტიკური გაურკვევლობა ქვეყანაში ეკონომიკური პროგრამის განხორციელების ერთ-ერთ უმთავრეს შემაფერხებელ ფაქტორად განიხილე-

ბოდა, რის გამოც აუცილებელი ხდებოდა მოეწვიათ პარლამენტის სხდომა და მიეღოთ გადაწყვეტილება ვადამდელი არჩევნების ჩატარების შესახებ. მათი აზრით, ეს უნდა მომხდარიყო 3 ნოემბრისათვის. ყოველივე ეს კი იმას მოასწავებდა, რომ თურქეთის მოქმედი ხელისუფლება არჩევნებს ჯანსაღ ატმოსფეროში ჩაატარებდა.

პოლიტიკურ წრეებში არაერთგვაროვანი გამოძახილი მოჰყვა ბაჰჩელის ამ გამოსვლას. სამთავრობო კოალიციის წევრის დედასამშობლოს პარტიის ლიდერის მ. ილმაზის განცხადებით, „ის არჩევნების დაგეგმილ დროს ჩატარების მომხრე იყო.“ სახალხო-რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარის დ. ბაიკალის თქმით, „ქვეყანაში არსებული ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი ვადამდელი არჩევნების ჩატარება იყო.“ ისლამური ორიენტაციის მქონე სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ლიდერის რეჯეფ თაიფ ერდოღანის განცხადებით, - „დევლეთ ბაჰჩელიმ გამოსვლა ძალზე დააგვიანა, აუცილებელი იყო არჩევნები უფრო ადრე ჩატარებულიყო.“

თურქეთის წინასაარჩევნო პოლიტიკურ ცხოვრებაში საზოგადოების ყურადღება კიდევ ორმა ფაქტორმა მიიპყრო: პირველი სახელმწიფო მინისტრის ქემალ დევრიშის აღიარებამ, რომ აპირებდა პოლიტიკური მოღვაწეობის დაწყებას (იგი ერთადერთი მინისტრი იყო, რომელიც არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი არ იყო) და მეორე - პრემიერ-მინისტრ ბ. ეჯევითსა და მის უახლოეს თანაპარტიელსა და ვიცე -პრემიერ ჰუსამეთინ ოზქანს შორის დაწყებული დაპირისპირება (ორივე ფაქტი შეფასდა, როგორც წინასაარჩევნო პოლიტიკური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მოვლენა), რაც ჰ. ოზქანის მიერ, როგორც პარტიის, ისე ვიცე-პრემიერის, თანამდებობის დატოვებით დამთავრდა. ამ ფაქტმა მემარცხენე-დემოკრატიული პარტიის რიგებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ჰ. ოზქანის ამ ნაბიჯს სამი სახელმწიფო მინისტრის (რეჯეფ ონადი, მუსტაფა

დევლეთ ბახჩელი

ილმაზი და ისთემიჰან თალაი) გადადგომა და ოცამდე დეპუტატის პარტიის რიგებიდან გასვლა მოჰყვა. ვადამდელი არჩევნების ჩატარების პროცესმა დამატებითი იმპულსი შეიძინა.

არჩევნების გამართვის კონკრეტულ თარიღზე ალაპარაკდა კოალიციური მთავრობის წევრი, დედასამშობლოს პარტიის თავმჯდომარე მ. ილმაზიც. ამ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტში წარმოდგენილ პარტიათა ლიდერებს შორის განსხვავებული მოსაზრებები არსებობდა, რაც უმთავრესად თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის კრიტიკულ ფაზაში შესვლით იყო გამოწვეული. კერძოდ, 2002 წლის 20 დეკემბერს კოპენჰაგენში დაგეგმილ ევროპის კავშირის სამიტზე უნდა გარკვეულიყო, თუ რომელი სახელმწიფოები შეძლებდნენ ხსენებულ ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე დიალოგის დაწყებას. მ. ილმაზი მიიჩნევდა, რომ ნოემბერში არჩევნების გამართვა (ნაციონალური მოძრაობის პარტიის ინიციატივა) ხსენებული დიალოგის დაწყებისათვის აუცილებელი პოლიტიკური კრიტერიუმების შესრულების პროცესს მნიშვნელოვნად შეაფერხებდა. მიმომხილველთა გარკვეული ნაწილის აზრით, დ. ბაჰჩელის ეს წინადადება სწორედ ამას ისახავდა მიზნად. იგი სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმების, ეროვნულ უმცირესობათა ენებზე სწავლების და სხვა კატეგორიული წინადადებების წინააღმდეგი იყო.

2002 წლის 5 ივლისს სახელმწიფო მინისტრმა ჰასან გემიჯმა და განათლების მინისტრმა მეთინ ბოსტანჯიოღლუმ დატოვეს მემარცხენე-დემოკრატიული პარტია.

თურქეთის საზოგადოების ყურადღება მიიპყრო საგარეო საქმეთა მინისტრმა, ისმაილ ჯემმა, და სახელმწიფო მინისტრმა, ქემალ დერვიშმა. მთავრობაში მიმდინარე კრიზისის ფონზე ისინი განიხილებოდნენ ძალად, რომელთაც სამომავლო გეზი უნდა განესაზღვრა. მათ შეუერთდა გადამდგარი ვიცე-პრემიერი ჰუსამეთინ ოზქანიც, რამელმაც გააძლიერა მოსაზრება, თითქოსდა ჯემი-დერვიში-ოზქანის სამეული შეეცდებოდა ახალი პოლიტიკური პარტიის ფორმირებას.

2002 წლის 11 ივლისს, ისმაილ ჯემმა დატოვა საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა და მემარცხენე-დემოკრატიული

პარტიის რიგები. 2002 წლის 22 ივლისს მან ჩამოაყალიბა ახალი თურქეთის პარტია, რაც თურქულ საზოგადოებაში შეფასდა, როგორც ბ. ეჯევითის მთავრობისათვის მიყენებული ყველაზე მძიმე დარტყმა, რომელმაც საბოლოოდ ცხადყო, რომ არსებული ხელისუფლება არსებობის გაგრძელებას ვერ შეძლებდა. ვადამდელი არჩევნების ჩატარება გარდაუვალ რეალობად იქცა.

ის, თუ რამდენ ხანს შეძლებდა ბ. ეჯევითის მთავრობა პოზიციების შენარჩუნებას, დამოკიდებული იყო ორ ძირითად ფაქტორზე: პირველი, დაიწევდა თუ არა კოალიციური მთავრობის დეპუტატთა რაოდენობა 276-ზე ქვევით (პარლამენტში ნდობის ვოტუმის შესანარჩუნებლად საჭირო რაოდენობა) და მეორე, დარჩებოდა თუ არა მთავრობაში ქემალ დევრიში, რომელსაც შეეძლო ქვეყანაში სტაბილური ეკონომიკური ვითარების შენარჩუნება. ქ. დევრიში პოლიტიკურ პარტიათა ლიდერების მხრიდანაც ზეწოლას განიცდიდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შეიქმნა ჯემი-დევრიში-ოზქანის ახალი პოლიტიკური მოძრაობა. ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესო განცხადება გააკეთა პრემიერმა ბ. ეჯევითმა - ქ. დერვიშის გადადგომის შემთხვევაში ისიც დატოვებდა თანამდებობას. ფაქტობრივად, ყოველივე ეს მეტყველებდა დევრიშის დადებით იმიჯზე.

2002 წლის 17 ივლისს გამართულ კოალიციური მთავრობის წევრ პარტიათა ლიდერების შეხვედრაზე გამოიკვეთა ვადამდელი არჩევნების ჩატარების თარიღი. ბ. ეჯევითმა და მ. ილმაზმა გაიზიარეს დ. ბაჰჩელის მოსაზრება არჩევნების 2002 წლის 3 ნოემბერს ჩატარებაზე. იმავდროულად მათ მიიღეს გადაწყვეტილება მთავრობაში დარჩენისა და არჩევნებამდე ხელისუფლების სათავეში ყოფნის შესახებ (მიუხედავად იმისა, რომ კოალიციური მთავრობის წევრი პარტიების დეპუტატთა რიცხვი ნდობის შენარჩუნებისათვის აუცილებელ რაოდენობაზე დაბლა დაეცა – 272 დეპუტატი).

პრემიერ-მინისტრმა და მემარცხენე-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ბ. ეჯევითმა, რამდენიმე დღის წინ კოალიციური მთავრობის წევრ პარტიათა ლიდერებთან მიღწეული შეთანხმების მიუხედავად განაცხადა, რომ იგი ვადამდელი არჩევნების ჩატარების წინააღმდეგი იყო და კონსულტაციების გამართვა

დაიწყო ცალკეულ პოლიტიკურ პარტიებთან. სახელმწიფო ტელევიზიით (TRT-1) გამოსვლისას მან განაცხადა, რომ სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგად, ხელისუფლებაში მოსვლის მაღალი შანსი ჰქონდათ ისლამური ორიენტაციის მქონე სამართლიანობისა და განვითარებისა და პროქურთული ორიენტაციის პარტიებს. ბ. ეჯევითის მოსაზრებით, ისლამური და პროქურთული ორიენტაციის პარტიათა წარმატებას, შეიძლება, სერიოზული საფრთხე შეექმნა ქვეყანაში არსებულ ლაიცისტურ რეჟიმს. მის მოსაზრებას დაუპირისპირდნენ სამთავრობო კოალიციის წევრები დ. ბაჰჩელი და მ. ილმაზი.

თურქეთის პარლამენტმა 2002 წლის 28 ივლისს განაახლა მუშაობა და 1 აგვისტოს მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება ვადამდელი არჩევნების მიმდინარე წლის 3 ნოემბერს გამართვის შესახებ.

ანალიტიკოსთა აზრით, არჩევნებისას საზოგადოება ძველ და ტრადიციულ პოლიტიკურ პარტიებს ნაკლებად ენდობოდა და სურდა ხელისუფლებაში ახალი პოლიტიკური ძალების მოსვლა. ვარაუდით, არჩევნებში გამარჯვების რეალური შანსი შედარებით ახალ, ისლამური ორიენტაციის მქონე სამართლიანობისა და განვითარების პარტიას ჰქონდა. წინასწარი სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგებიც ქვეყანაში ამ პარტიის ლიდერის რეჯეფ თაიფ ერდოღანის მზარდ პოპულარობაზე მეტყველებდა.

არჩევნებში წარმატების რეალური შანსი გააჩნდათ მემარცხენე ორიენტაციის მქონე სახალხო-რესპუბლიკურ (თავმჯდომარე - დენიზ ბაიკალი) და ახალი თურქეთის (თავმჯდომარე - ისმაილ ჯემი) პარტიებსაც. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ დ. ბაიკალმა 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში 10%-იანი ბარიერის გადალახვა ვერ შეძლო და პარლამენტს მიღმა დარჩა. აქედან გამომდინარე, იგი ამ ეტაპზე ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ ძალებთან არ ასოცირდებოდა, რაც მისი პარტიის რეიტინგის ზრდას მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს. ისმაილ ჯემი კი თურქეთის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ და წარმატებულ პოლიტიკურ მოღვაწედ ითვლებოდა, მის

მიერ ფორმირებული პარტია საზოგადოებაში ნოვატორული იდეებისა და მიდგომების გამტარებელ ძალად აღიქმებოდა. წინასაარჩევნო პერიოდში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საკითხს, თუ რომელ პარტიაში გაერთიანდებოდა სახელმწიფო მინისტრი ქემალ დევრიში? მისი გაწევრიანება იმ პოლიტიკური ერთეულის რეიტინგს მნიშვნელოვნად გაზრდიდა. 2002 წლის 5 აგვისტოს იგი გადადგა დაკავებული თანამდებობიდან, თუმცა ამაში მოულოდნელი არაფერი ყოფილა. ფაქტია, რომ მისი სახელი ბოლო დროს ხშირად ასოცირდებოდა ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრ ისმაილ ჯემთან და მის პარტიასთან. 15 აგვისტოს ქ. დერვიშის განცხადებამ თავისი არჩევანის მემარცხენე - ცენტრისტულ სახალხო-რესპუბლიკურ პარტიაზე შეჩერების შესახებ ქვეყნის პოლიტიკურ წრეებში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. განცხადების თანახმად, მისი მიზანი არჩევნების წინ მემარცხენე ძალების გაერთიანება იყო. აქეთკენ მოუწოდებდა, ახალი თურქეთისა და სახალხო - რესპუბლიკური პარტიებს, თანაც ისე, რომ მემარცხენე ძალების ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში თვითონ უარს იტყოდნენ პრემიერ-მინისტრის პოსტზე და აღნიშნულ თანამდებობას როტაციული პრინციპით ორ-ორი წლის განმავლობაში ისმაილ ჯემსა და დენიზ ბაიკალს სთავაზობდა. ი. ჯემმა უარი განაცხადა ასეთ შემოთავაზებაზე, რაც საკმარისი აღმოჩნდა ქ. დერვიშისათვის, რათა არჩევანი დ. ბაიკალზე შეეჩერებინა, რაც, ცხადია, არაერთგვაროვნად იქნა აღქმული. ერთნი ფიქრობდნენ, რომ მისი ეს ნაბიჯი რ. ერდოღანის ისლამური სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ხელისუფლების სათავეში ერთპიროვნულად მოსვლის აღკვეთის სურვილმა განაპირობა, მეორენი კი მიიჩნევდნენ, რომ ქ. დერვიშის ახალი თურქეთის პარტიაში გაწევრიანების შემთხვევაშიც კი კითხვის ნიშნის ქვეშ რჩებოდა აღნიშნული პარტიის მიერ 10%-იანი საარჩევნო ბარიერის გადალახვის საკითხი.

სექტემბრისათვის ქვეყანაში საარჩევნო სამზადისი სრული დატვირთვით მიმდინარეობდა, რაც ძირითადად პარტიებს შორის წინასაარჩევნო ბლოკების ჩამოყალიბებასა და პარტიული სიების ახალი წევრებით განმტკიცების მცდელობაში გამოიხა-

ტებოდა. მაგალითად: სამთავრობო კოალიციის წევრი პარტიებიდან ნაციონალური მოძრაობის პარტია ყოველგვარ საარჩევნო ბლოკში გაერთიანების კატეგორიული წინააღმდეგი იყო. პრემიერ-მინისტრ ბ. ეჯევითის ,,დემოკრატიული-მემარცხენე'' პარტია კი არჩევნების წინ დეპუტატთა ნახევარმა დატოვა. კოალიციის მესამე წევრმა - დედასამშობლოს პარტიამაც დეპუტატთა დიდი რაოდენობა დაკარგა, ამ შემთხვევაში მიზეზად მ. ილმაზისადმი უნდობლობას ასახელებდნენ.

როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო საინფორმაციო საშუალებებში დიდი რეზონანსი გამოიწვია 20 სექტემბერს უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ გამოტანილმა დადგენილებამ, რომლის მიხედვით სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ლიდერს რ. ერდოღანსა და ცნობილ ისლამისტ ნ. ერბაქანს აეკრძალათ არჩევნებში დეპუტატობის კანდიდატის სტატუსით მონაწილეობა. ისინი კონსტიტუციის 312-ე მუხლით იყვნენ ნასამართლევი, რაც იდეოლოგიური დანაშაულის ჩადენისა და ანარქისტული მოღვაწეობის წაქეზების გამო პოლიტიკურ მოღვაწეობაში გარკვეულ შეზღუდვებს ითვალისწინებდა, მათ შორის, პარლამენტის წევრად არჩევის უფლების ჩამორთმევასაც. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის პარლამენტის მიერ გაუქმებული იყო 312-ე მუხლის მეორე ნაწილი, უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ შეუძლებლად მიიჩნია ძველი ფორმულირების მიხედვით გასამართლებული პირების უდანაშაულოდ ცნობა. ამას დაემატა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც აიძულებდა რ. ერდოღანს პარტიის დამფუძნებლის სტატუსზე უარი ეთქვა და თავმჯდომარის თანამდებობა დაეტოვებინა. იგი გადაწყვეტილების მხოლოდ პირველ ნაწილს დაემორჩილა. მიმომხილველთა აზრით, ერდოღანი მემკვიდრის ვინაობას არჩევნების შემდეგ დაასახელებდა.

არჩევნების წინ ეჭვს არ იწვევდა ის გარემოება, რომ 10%-იან საარჩევნო ბარიერს გადალახავდა სახალხო-რესპუბლიკური და სამართლიანობისა და განვითარების პარტიები. მესამე პარტია, რომელსაც წარმატებას უწინასწარმეტყველებდნენ, ჭეშმარიტი გზის პარტია იყო.

კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტის განკარგულებით სამთავრობო კაბინეტის ჩამოყალიბება იმ პარტიას დაევალებოდა, რომელიც არჩევნებში ხმათა უმრავლესობას მოიპოვებდა და შესაბამისად, პრემიერ-მინისტრის ადგილსაც ის დაიკავებდა. მსგავს სიტუაციაში სამართლებრივ გადაწყვეტილებას მიიღებდა ქვეყნის პრეზიდენტი აჰმედ ნეჯდეთ სეზერი.

2002 წლის 3 ნოემბერს თურქეთში ჩატარდა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა დაახლოებით 80%–მა. შედეგების მიხედვით, არჩევნებში მონაწილე 19 პარტიიდან, 10%–იანი ბარიერი გადალახა მხოლოდ სამართლიანობისა და განვითარების და სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიებმა:

	პარტია	**პროცენ-ტი**	**დეპუტატი**
1	**სამართლიანობისა და განვითარების პარტია (AKP)**	34,1%	363
2	**სახალხო-რესპუბლიკური პარტია (CHP)**	19,02%	178
3	**დამოუკიდებელი**		9

ამომრჩეველთა ხმების მონაპოვარით სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ 550 სადეპუტატო მანდატიდან მიიღო - 363, რაც ხელისუფლების სათავეში აღნიშნული პარტიის ერთპიროვნული მოსვლის მაუწყებელი იყო.

არჩევნებში ისლამური პარტიის გამარჯვებასთან დაკავშირებით მიმომხილველები აღნიშნავდნენ, რომ 1983-1987 წლების შემდეგ თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მსგავსი ფაქტი (ერთი პარტიის ხელისუფლების სათავეში მოსვლა) აღარ მომხდარა.

არჩევნების შედეგად, პარლამენტს მიღმა დარჩნენ როგორც ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მყოფი კოალიციური მთავრობის პარტიები, ასევე პარლამენტში წარმოდგენილი სხვა ოპოზიციური პარტიებიც.

2002 წლის არჩევნებში ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ სამართლიანობისა და განვითარების პარტია ხელისუფლების სათავეში მოვიდა. ამ პარტიის წევრების პოლიტიკური ხედვა მთლიანად ემყარებოდა კეთილდღეობისა და სათნოების პარტიების რიგებში მიღებულ გამოცდილებას. პარტიების პოლიტიკური კურსი თავდაპირველად მიმართული იყო ქვეყანაში არსებული მდგომარეობის დარეგულირებისკენ. ისინი აქტიურად უჭერდნენ მხარს ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის განვითარებას. უსამართლობასთან და კორუფციასთან ბრძოლას. ხელისუფლების სათავეში მოსული სამართლიანობისა და განვითარების პარტია აქტიურად მოუწოდებდა რელიგიური ტოლერანტობის, ლიბერალური ეკონომიკისა და დემოკრატიისაკენ. ამან მმართველი პარტიისადმი არა მარტო კონსერვატორების, არამედ ლიბერალების მხარდაჭერაც განაპირობა, რამაც თავის მხრივ, საშუალება მისცა პროისლამურ პარტიას შეენარჩუნებინა ხელისუფლება ლაიცისტურ სახელმწიფოში.

არჩევნების შემდეგ დღის წესრიგში დადგა მომავალი პრემიერ-მინისტრის საკითხი. ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად სამართლიანობისა და განვითარების პარტიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე პოლიტიკურ საკითხებში აბდულაჰ გიული განიხილებოდა, რომელსაც პოლიტიკური მოღვაწეობის საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ქვეყნის პრეზიდენტი სეზერი არჩევნების შემდეგ სიმპათიებით იყო განმსჭვალული თურქეთის კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის ვეჯდი გიონულის მიმართაც. პრემიერ-მინისტრის შესაძლო კანდიდატურად იმ პერიოდში სახელდებოდნენ აგრეთვე ცნობილი თურქი სახელმწიფო მოღვაწეები: აბდულქადირ აქსუ და ბიულენთ არდინჩი, თუმცა პოლიტიკოსთა აზრით, ახალი პრემიერის მოღვაწეობა მოკლევადიანი იქნებოდა, რადგან ერდოღანის პოლიტიკურ აკრძალვებს ვადა 2003 წლის იანვარში გასდიოდა.

363 სადეპუტატო მანდატის მფლობელ სამართლიანობისა და განვითარების პარტიას 4 დამოუკიდებელი ან სახალხო–რესპუბლიკური პარტიის დეპუტატის მხარდაჭერით შეეძლო კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანისათვის აუცილებელი

ხმების (საერთო რაოდენობის ორი მესამედის) მოგროვება, რაც მას შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების საშუალებას მისცემდა.

არჩევნების შესახებ პირველი შეფასებები რიგ პარტიათა ლიდერებმა წინასწარი შედეგების გამოქვეყნებისთანავე გააკეთეს. დედასამშობლოს პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ სელჩუკ ფეჰლივანოღლუმ უარყო ერთპარტიული პარლამენტის კანონიერება.

პრემიერ-მინისტრმა ბ. ეჯევითმა არჩევნების შედეგებით თავისი უკმაყოფილება გამოხატა. მისი აზრით, სამთავრობო კოალიციის წევრმა პარტიებმა ვადამდელი არჩევნების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღებით საკუთარ თავს თვითმკვლელობის განაჩენი გამოუტანეს. ეჯევითმა ეჭვი გამოთქვა სამართლიანობისა და განვითარების პარტიის დემოკრატიული ფასეულობებისადმი ერთგულებაზე. ის ფაქტი, რომ აღნიშნულ პარტიას ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში თავისი სამომავლო პროგრამის შესახებ არ განუცხადებია, მას ოპტიმიზმის საფუძველს არ აძლევდა. თუმცა, მან მაინც გამოთქვა იმედი, რომ სამართლიანობისა და განვითარების პარტია ლაიციზმისა და დემოკრატიის გზით ივლიდა.

ნაციონალური მოძრაობის პარტიის ლიდერმა დევლეთ ბაჰჩელმა საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა არჩევნებში პარტიის წარუმატებლობის გამო.

რ. ერდოღანის განცხადებით, სამართლიანობისა და განვითარების პარტიის არჩევნებში გამარჯვება თურქეთში ახალი ეპოქის დასაწყისი იყო. სპეციალურ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ კოპენჰაგენის სამიტამდე დარჩენილ მოკლე დროში მისი პარტია ძალ-ღონეს არ დაიშურებდა, რათა სრულფასოვნად შეესრულებინა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის ყველა აუცილებელი პირობა. რაც შეეხება პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას, იგი პრეზიდენტთან მოლაპარაკებით გადაწყდებოდა. ჟურნალისტებთან შეხვედრა ერდოღანმა მუსტაფა ქემალ ათათურქის სიტყვებით დაიწყო: „ძალაუფლება უპირობოდ ხალხს ეკუთვ-

ნის," რითაც ლაიციზმის პრინციპებისადმი თავისი ერთგულება დაადასტურა.

რეჯეფ თაიფ ერდოღანმა არჩევნების შეფასებისას პრეს--კონფერენციაზე ისაუბრა იმ ძირითადი გარანტიების შესახებ, რასაც სამართლიანობისა და განვითარების პარტია ქვეყნის მოსახლეობას ჰპირდებოდა: რომ ხელისუფლება პატივისცემით მოეკიდებოდა მოქალაქეთა ცხოვრების წესს; დააჩქარებდა ევროპის კავშირში თურქეთის სრულფასოვანი გაწევრიანების პროცესს; თურქეთი გააძლიერებდა მსოფლიო საზოგადოებაში ინტეგრაციას; წაახალისებდა უცხოურ კაპიტალდაბანდებების განხორციელების პროცესს; გააგრძელებდა მსოფლიო სავალუტო ფონდის პროგრამების განხორციელებას. ის შეეხო სხვა საკითხებსაც: კერძოდ, თავსაბურავის თემას, რომელიც საზოგადოებაში დაპირისპირების მიზეზი გახდა. უპირატესობა არ მიენიჭებოდა მას და მოხდებოდა აღნიშნული პრობლემის ურთიერთდათმობათა გზით გადაწყვეტა; დაცული იქნებოდა რწმენის თავისუფლება, პატივისცემით მოეკიდებოდნენ ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქის რელიგიურ აღმსარებლობას; ცხოვრებაში გაატარებდნენ საკანონმდებლო ცვლილებებს, მიმართულს ეროვნული უმცირესობისათვის მშობლიურ ენაზე ტელე-რადიო მაუწყებლობის განხორციელებასა და განათლების მიღებაზე; ქვეყნის სამხედრო ხელისუფლებასთან შეთანხმებით შემოღებულ იქნება ფასიანი სამხედრო სამსახური, რომელიც ბიუჯეტში შემოსავლების გაზრდის მნიშვნელოვან წყაროდ გადაიქცეოდა და სხვა.

თურქეთში გამართულ საპარლამენტო არჩევნებს ფართო გამოხმაურება მოჰყვა მსოფლიოს მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში. ტელეკომპანია STT–მა, არჩევნების შედეგები „პოლიტიკურ მიწისძვრად" შეაფასა და ტრადიციული პარტიების წარუმატებლობა თურქეთში არსებულ ეკონომიკურ კრიზისს დაუკავშირა.

ფრანგული გაზეთის Le Figaro – ს შეფასებით, ქვეყანა, სადაც დემოკრატიული ფასეულობების შენარჩუნება არმიის ძალისხმევით ხდება, პოლიტიკური სტაბილურობისაგან შორსაა. სააგენტოს განცხადებით, სამთავრობო კოალიციის წევრი პარ-

ტიებიდან, ეკონომიკური კრიზისით შეწუხებული მოსახლეობის პროტესტის გამო, ვერცერთმა ვერ შეძლო საარჩევნო ბარიერის გადალახვა.

თურქეთის საქმიანი და პოლიტიკური წრეები სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მიერ მემარჯვენე ცენტრისტული პოზიციის დაკავებას ელოდნენ, რაც, მათი აზრით, აღნიშნულ ძალას უფრო მეტ წარმატებას მოუტანს, ვიდრე რადიკალური ისლამის გზით სვლა. თურქეთში 3 ნოემბერს გამართულ საპარლამენტო არჩევნებს დადებითი გამოხმაურება მოჰყვა მსოფლიო საზოგადოებრიობის (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ევროპის კავშირი) მხრიდანაც. მსოფლიოს წამყვანმა ქვეყნებმა ერდოღანის ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სურვილი დაადასტურეს. არჩევნების შედეგებით კმაყოფილება გამოხატეს ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკურმა წრეებმაც. გავლენიანი თურქი ბიზნესმენების აზრით, ხელისუფლების სათავეში ერთი პარტიის მოსვლას ეკონომიკური რეფორმების გატარების პროცესი უნდა გაეადვილებინა, რაც ქვეყნის კრიზისიდან გამოსვლას შეუწყობდა ხელს. ერდოღანის დამაიმედებელმა და მომრიგებლურმა განცხადებებმა ხელი შეუწყო ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის სწრაფ სტაბილიზაციას.

არჩევნებში მემარჯვენე ცენტრისტული პარტიების (ჭეშმარიტი გზის, დედასამშობლოს და ნაციონალური მოძრაობის) კრახი საბედისწერო აღმოჩნდა. ამ პარტიების ლიდერებმა (თ. ჩილერი, მ. ილმაზი და დ. ბაჰჩელი) არჩევნების შემდეგ განაცხადეს პარტიის თავმჯდომარის პოსტიდან გადადგომისა და აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობის დასრულების შესახებ. უფლებამოსილების მოხსნის განცხადებით პრეზიდენტის წინაშე წარსდგა პრემიერ-მინისტრი ბ. ეჯევითი. პრეზიდენტმა ა. ნ. სეზერმა დააკმაყოფილა აღნიშნული მოთხოვნა, თუმცა, ეჯევითს სთხოვა ახალი მთავრობის ჩამოყალიბებამდე ხელისუფლების სათავეში დარჩენა.

2002 წლის 18 ნოემბერს ქვეყნის პრეზიდენტმა ა. სეზერმა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა და 58-ე მთავრობის ჩამოყალიბება დაავალა ერდოღანის პირველ მოადგილეს - აბდულაჰ გიულს.



აბდულაჰ გიული

აბდულაჰ გიულის პრემიერად დანიშვნის შემდეგ დღის წესრიგში დადგა აუცილებლობა პარლამენტს მოკლე დროში მიეღო ის საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელთა შედეგად ერდოღანის პრემიერ-მინისტრად გახდომას სამართლებრივი წინაღობა აღარ ექნებოდა.

საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად რ. ერდოღანს უფლებამოსილება მიეცა მონაწილეობა მიეღო საპარლამენტო არჩევნებში, რომელშიც გამარჯვება მოიპოვა.

2003 წლის 14 მარტს ერდოღანი გახდა თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტმა სეზერმა ოფიციალურად დაავალა 59-ე მთავრობის ჩამოყალიბება.

როგორც ვხედავთ, საერო, რესპუბლიკური თურქეთის უმაღლეს სახელისუფლებო ეშელონებში მთავარ პარტიად მოგვევლინა ისლამური ორიენტაციის სამართლიანობისა და განვითარების პარტია, რომელსაც გააჩნდა ყველა სახელისუფლებო ბერკეტი და მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერა იმისა, რომ მომავალ 2007 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ის წამოაყენებდა თავის კანდიდატურას.

2007 წლის აპრილში თურქეთის პოლიტიკურ საქმიანობაში ერთ მხარეს იდგნენ - მოქმედი პრეზიდენტი (აჰმედ ნეჯდეთ სეზერი), ჯარი, პროფკავშირები, უნივერსიტეტის რექტორები, ოპოზიციური პარტიები, ხოლო მეორე მხარეს - მმართველი სამართლიანობისა და განვითარების პარტია.

მხარეთა დაპირისპირების ძირითადი მიზეზი მოქმედი პრემიერ-მინისტრ რეჯეფ თაიფ ერდოღანის მიერ პრეზიდენტის თანამდებობაზე თავისი კანდიდატურის დასახელება იყო, რა-

საც ოპოზიციის მხრიდან 2007 წლის 14-15 აპრილს ანკარაში ნახევარმილიონიანი მიტინგი მოჰყვა.

თავად ერდოღანი და მისი მომხრეები აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ მხარდამჭერ პარლამენტის წევრებთან, ახალგაზრდულ და ქალთა ორგანიზაციებთან.

2007 წლის 18 მარტს მმართველმა პარტიამ შვიდსაათიანი შეხვედრის დროს განიხილა საკითხი ერდოღანის პრეზიდენტობის კანდიდატობასთან დაკავშირებით. პარტიამ თავად ერდოღანს მიანდო ამ საკითხის გადაწყვეტა. ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა მოხსნა თავისი კანდიდატურა და პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა თავისი მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი აბდულაჰ გიული.

მმართველი სამართლიანობისა და განვითარების პარტიიდან აბდულაჰ გიულის პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებამ ოპოზიციის, საერო და სამხედრო ელიტის გაღიზიანება გამოიწვია. მთელ ქვეყანაში გაიმართა საპროტესტო აქციები, რომლებშიც მონაწილეობა მილიონობით ადამიანმა მიიღო. დემონსტრანტებმა მმართველი პარტია სახელმწიფოს საერო პრინციპების უარყოფასა და თურქეთის ისლამიზაციის მცდელობაში დაადანაშაულეს. გენშტაბის ხელმძღვანელების გამოსვლებში საუბარი იყო სახელმწიფოში არსებული ისლამიზაციის საფრთხის შესახებ, ხოლო ცენტრალური საინფორმაციო საშუალებები ახალი სამხედრო გადატრიალების შესახებ ლაპარაკობდნენ.

თურქეთში შექმნილმა წინააღმდეგობამ და დაძაბულობამ, ქვეყანა ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებამდე მიიყვანა.

2007 წლის 22 ივლისს თურქეთში ჩატარდა საპარლამენტო აჩევნები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 42.5 მილიონმა ამომრჩეველმა. 10%-იანი ბარიერი გადალახა სამმა პოლიტიკურმა პარტიამ:

	პარტია	პროცენ-ტი	დეპუტა-ტი
1	სამართლიანობისა და განვი-თარების პარტია (AKP)	46,58%	341
2	სახალხო-რესპუბლიკური პარტია (CHP)	20,87%	112
3	ნაციონალური მოძრაობის პარტია (MHP)	14,27%	71
4	დემოკრატიული პარტია (DP)	5,41%	__
5	დამოუკიდებელი		26

პრემიერ-მინისტრ რეჯეფ თაიფ ერდოღანის სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ, 2002 წლის საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით, ხმების რაოდენობა 34,1 პროცენტიდან 46,47 პროცენტამდე გაზარდა, თუმცა წინა მოწვევის პარლამენტისგან განსხვავებით, პარტიას დეპუტატთა ნაკლები რაოდენობა ეყოლებოდა. რისი მიზეზიც გახლდათ ორი ოპოზიციური პარტიის მიერ ათპროცენტიანი საარჩევნო ბარიერის გადალახვა.

მმართველმა პარტიამ ბოლოს 53 წლის წინ შეძლო არჩევნებში უკეთესი შედეგის ჩვენება. მსგავსი წარმატების მიღწევა 1954 წელს დემოკრატიულმა პარტიამ მოახერხა. ამის შემდეგ ყველა მმართველი პარტია არჩევნებში კარგავდა მხარდამჭერებს. 2007 წლის არჩევნების შედეგები პრემიერ-მინისტრის მორალური გამარჯვებაც იყო. მხარდამჭერებთან შეხვედრისას ერდოღანი აცხადებდა, რომ „დემოკრატიამ თურქეთში ძალიან მნიშვნელოვანი ტესტი ჩააბარა. ვისთვისაც არ უნდა მიგეცათ ხმა, ჩვენ პატივს ვცემთ თქვენს არჩევანს და განსხვავებულ აზრს. ჩვენი პასუხისმგებლობაა დავიცვათ რესპუბლიკის პრინციპები, რაც მუსტაფა ქემალ ათათურქმა დაუსახა თურქ ერს.“

2007 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები, ოპოზიციური სახალხო-რესპუბლიკური პარტის ლიდერ დ. ბაიკალისათვის არასასიამოვნო იყო. პარლამენტს დაუბრუნდა ულტრა-

მემარჯვენე ნაციონალური მოძრაობის პარტია, დევლეთ ბახჩელის ხელმძღვანელობით.

პარლამენტში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მოხვდნენ (26) დამოუკიდებელი დეპუტატები, მათ შორის 25 დეპუტატი ქურთული დემოკრატიული პარტიის წევრი იყო.

2007 წლის 20 აგვისტოს ჩატარდა პრეზიდენტის არჩევნების პირველი ტური, რომელსაც ბოიკოტი გამოუცხადა მეჯლისში შემავალმა ოპოზიციურმა პარტიებმა. შედეგად, არჩევნების პირველ ტურში პრეზიდენტობის ერთადერთმა კანდიდატმა აბდულაჰ გიულმა ფარული კენჭისყრით მოაგროვა 367 ხმა, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებისათვის. თურქეთის კონსტიტუციის მიხედვით, პირველ და მეორე ტურში, 550 ადგილიან მეჯლისში პრეზიდენტობის კანდიდატმა ხმათა კონსტიტუციური უმრავლესობა უნდა მოაგროვოს.

2007 წლის 28 აგვისტოს, თურქეთის პარლამენტმა, მესამე ტურში, სახელმწიფოს ახალი მეთაური ხმათა უმრავლესობით აირჩია. სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილება 56 წლის აბდულაჰ გიულმა ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტისაგან (აჰმედ ნეჯდეთ სეზერი) ანკარაში, ჩანკაიას რეზიდენციაში გადაიბარა.

2007 წლის 21 ოქტომბერს თურქეთში მმართველი პარტიის ინიციატივით ჩატარდა რეფერენდუმი საკონსტიტუციო ცვლილებების (მათ შორის პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის) შესახებ. ცვლილებებს მხარი დაუჭირა მასში მონაწილეთა 68,95%–მა. მმართველმა პარტიამ აღნიშნული ცვლილებების შემდეგ განაგრძო ახალი რეფორმების გატარება.

სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ამ ცალსახა წარმატებების მიუხედავად, ლაიცისტურად განწყობილ ძალებს არ შეუწყვეტიათ მოძრაობა. მათი ერთ-ერთი ბოლო გაელვება იყო 2008 წელს საკონსტიტუციო სასამართლოში მმართველი პარტიის აკრძალვის მოთხოვნით საქმის აღძვრა. აღნიშნული საქმე პარტიის სასარგებლოდ დასრულდა, თუმცა არც სამართალდამცავი ორგანოები მსხდარან გულხელდაკრეფილნი. 2007 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება ე. წ. „ერგენეკონის საქმის“ გამოძიება, რომელსაც ახლავს ათეულობით სამხედ-

როს, ჟურნალისტის, მეცნიერების, პოლიტიკოსისა და ა. შ. დაპატიმრების ტალღა. მათ ბრალად ედებათ ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა, რომელსაც უნდა გამოეწვია არეულობა ქვეყანაში. შექმნილი ქაოსის ფონზე კი გზა გაეხსნებოდა სამხედრო გადატრიალებას.

გავრცელებული ინფორმაციით, ორგანიზაციას ჰყავდა შეიარაღებული დანაყოფები, გააჩნდა მოქმედების კონკრეტული გეგმა. ორგანიზაციას ჰქონდა 6 სამმართველო (მათგან 4 სამხედრო და 2 სამოქალაქო). არსებობს ეჭვი, რომ მას კავშირი ჰქონდა თურქეთში მოქმედ სხვა ტერორისტულ ორგანიზაციებთანაც.

ე. წ. „ერგენეკონის საქმე“ იმითაც არის განსაკუთრებული თურქეთის ისტორიისათვის, რომ პირველად მოხდა თურქეთის მოქმედი სამხედრო მოსამსახურეების (მათ შორის გენერლების) დაკავება-გასამართლება.

ორგანიზაციის წინააღმდეგ თურქეთის სხვადასხვა პროვინციებში განხორციელებული დაკავებებისა და ჩხრეკების დროს სამართალდამცავმა ორგანოებმა ამოიღეს დიდი ოდენობით იარაღი, რაც გამოძიებამ წარმოადგინა სამხილის სახით.

საინტერესოა, რომ დაკავებულთა მიმართ სიმპათიები გამოთქვეს როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე ძალებმა (მათ შორის ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა).

ამასთან ე. წ. „ერგენეკონის საქმესთან“ დაკავშირებული ძიება ჯერჯერობით არ დასრულებულა.

2009 წლის 29 მარტს თურქეთში, მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების ფონზე ჩატარდა ადგილობრივი არჩევნები, რომელშიც მონაწილეობდა 21 პოლიტიკური პარტია და დამოუკიდებელი კანდიდატები.

ადგილობრივი არჩევნები თურქეთში მძიმე და დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა. საარჩევნო უბნებზე არეულობის დროს დაიღუპა შვიდი, ხოლო დაიჭრა ასამდე ადამიანი.

თურქეთში 177221 საარჩევნო უბანზე 70 მილიონ ამომრჩევლისგან ხმა მისცა 48 მილიონმა. მმართველმა სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ ამომრჩეველთა ხმების 38,17% მოიპოვა. 23,5%-ით მეორე ადგილზე გავიდა სახალხო-რესპუბლიკური პარტია, 14,3%–ით მესამე ადგილი დაიკავა ნაციონალური მოძრაობის პარტიამ.

მმართველმა პარტიამ შეინარჩუნა თავიანთი თანამდებობები თურქეთის დიდ ქალაქებში, როგორიცაა: სტამბული და ანკარა, მაგრამ დათმო პოზიციები ანტალიაში, დიარბაქირსა და იზმირში.

არჩევნების შემდეგ ერდოღანმა განაცხადა: „ჩვენ მივიღეთ გამოწვევა ხალხისაგან და ავიღეთ მისგან მაგალითი“.

სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ინიციატივით 2010 წლის 12 სექტემბერს ჩატარდა რეფერენდუმი საკონსტიტუციო ცვლილებებზე. ამჯერად რეფორმები ეხებოდა 26 მუხლს. რეფერენდუმში მონაწილეთა 57,88%-მა მხარი დაუჭირა შემოთავაზებულ წინადადებას.

რეფერენდუმის შედეგად ცვლილებები განხორციელდა საკონსტიტუციო და სამხედრო სასამართლოებში, მოსამართლეთა და პროკურორთა უმაღლეს საბჭოებში; ყურადღება მიექცა ადამიანის უფლებების დაცვას, შეიცვალა პარლამენტის უფლებამოსილების ვადა და ა. შ.

ერდოღანის მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული პროექტი იყო ე. წ. „ქურთული ინიციატივა,“ რომელიც მიზნად ისახავდა ქურთული წარმოშობის მოქალაქეების წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარებას. ამ მიზნით თურქეთის სახელმწიფო ტელევიზიაში 24 -საათიანი მაუწყებლობა დაიწყო ქურთულენოვანმა არხმა, გაიხსნა ქურთული ენის შემსწავლელი კურსები და ფაკულტეტები უმაღლეს სასწავლებლებში; შემუშავდა და განხორციელდა სოციალური და ეკონომიკური ხასიათის პროექტები ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში მცხოვრებ მოქალაქეებისათვის. თუმცა, ამის მიუხედავად, პროქურთულ ორგანიზაციებს მაინც არასაკმარისად მიაჩნდათ ხელისუფლების ქმედებები. ისინი მოითხოვდნენ ე. წ. „დემოკრატიულ ავტონომიას,“

რაც მიუღებელი იყო თურქეთის ხელისუფლებისათვის. შედეგად, ქურთისტანის მუშათა პარტია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე სხვადასხვა ინტენსიურობით აწყობდა ტერორისტულ აქტებს, რასაც ასეულობით ადამიანის სიცოცხლე ეწირებოდა. ხშირი იყო შეიარაღებული შეტაკებები თურქეთის პოლიციასა და სამხედროებთან.

2011 წლის 21 თებერვალს, თურქეთის მმართველი სამართლიანობისა და განვითარების პარტია მეჯლისში შევიდა წინადადებით, რომ მეჯლისის არჩევნები დანიშნულიყო 2011 წლის 12 ივნისს, პარლამენტმა ეს წინადადება 2011 წლის 3 მარტს დაამტკიცა.

2011 წლის 11 აპრილს პოლიტიკურმა პარტიებმა უმაღლეს საარჩევნო საბჭოში წარადგინეს საკუთარი კანდიდატების სია. 24 პოლიტიკური პარტიიდან ექვსმა განაცხადა უარი მონაწილეობაზე, დანარჩენმა 18-მა კი გამოხატეს სრული მზადყოფნა ბრძოლისთვის.

წინასწარი მონაცემებით, ხსენებული 18 პარტიიდან 10%-იან ბარიერს მხოლოდ სამართლიანობისა და განვითარების, სახალხო-რესპუბლიკური და ნაციონალური მოძრაობის პარტიები გადალახავდნენ.

ქურთული მშვიდობისა და დემოკრატიის პარტიამ აირჩია უკვე გამოცდილი და წარმატებული ტაქტიკა. მან, არსებული კანონის შესაბამისად, დამოუკიდებელ კანდიდატებად წარადგინა თავისი წარმომადგენლები სამხრეთ-აღმოსავლეთ საარჩევნო ოლქებში, რომლებიც უპირატესად ეთნიკური ქურთებით არიან დასახლებულნი. ახალი პარლამენტის მუშაობის დაწყების შემდეგ ეს დეპუტატები ჩამოაყალიბებდნენ საკუთარ ფრაქციას და დააფიქსირებდნენ, რომ წარმოადგენდნენ მშვიდობისა და დემოკრატიის პარტიის ინტერესებს.

დანარჩენ პარტიათა მცდელობა, გაერთიანებულიყვნენ ბარიერის გადასალახავად, როგორც მოსალოდნელი იყო, კრახით დასრულდა.

ერთი შეხედვით, ძალთა ასეთი მარტივი განაწილება არ ხდიდა საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო კამპანიას მძაფრს. გამარჯვების შემთხვევაში მმართველ სამართლიანო-

ბისა და განვითარების პარტიას (უკვე მესამედ), საშუალება ეძ-ლეოდა, ჩამოეყალიბებინა ერთპარტიული ხელისუფლება, რაც რეკორდული იქნებოდა თურქეთის მრავალპარტიული სისტე-მის ფუნქციონირების ისტორიაში. სწორედ ეს ჰქონდა მიზნად დასახული მმართველ პარტიას და მის ლიდერს - რეჯეფ ერდო-ღანს.

წინასაარჩევნო მზადების პროცესის ანალიზი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ საარჩევნო მარათონი პირველ ეტაპზე მმართველმა პარტიამ ყველაზე წარმატებით და ორგა-ნიზებულად გაიარა. რა თქმა უნდა, ამაში დიდ როლს თამაშობს ადმინისტრაციული რესურსიც, თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს ამ პარტიის წინასაარჩევნო ბრძოლის ყველა მიმართულებით გამოყენებული მოქნილი ტაქტიკა და სტრატეგია.

ამ დასკვნას ამყარებდა წინასაარჩევნო გამოკითხვები. მა-გალითად, თურქული კვლევითი ცენტრის, Andyar - ის მიერ ჩა-ტარებული გამოკითხვის შედეგებიდან აშკარად ჩანდა, თუ რო-გორ იმატა მმართველი პარტიის მხარდამჭერთა რაოდენობამ 2010 წლის სექტემბრის შემდეგ, რაც გვაფიქრებინებდა, რომ ეს, მართლაც, წარმატებული წინასაარჩევნო კამპანიის შედეგი იყო. ნაციონალური მოძრაობის და სახალხო-რესპუბლიკური პარტიის წარმატების შემთხვევაში ექსპერტები განიხილავდნენ მათ მიერ კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების შესაძლებ-ლობას. თუმცა, მოვლენების ამგვარი განვითარება ნაკლებად სავარაუდო იყო, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ პარტი-ებს შორის დიალოგს საკმაოდ დიდი სირთულეები ჰქონდა. გარ-და ამისა, უკანასკნელ პერიოდში ნაციონალური მოძრაობის პარტიის გარშემო საკმაოდ დიდი აჟიოტაჟი წარმოიშვა (გამოქ-ვეყნდა კანიდატების ეროტიკული სკანდალური ვიდეოები). ექ-სპერტების წრეში საკმაოდ აქტიურად განიხილებოდა ვერსია, რომ ეს სკანდალები ინიცირებული იყო კონკრეტული პოლიტი-კური ძალის მიერ, იმ მიზნით, რომ ნაციონალებს დაეკარგათ 10%-იანი ბარიერის გადალახვის შანსი. არიელ კოენმა (ექსპერ-ტთა საბჭოს, Trend-ის წევრი) გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს აჟიოტაჟი ყველაზე მეტად ხელს მმართველ პარტიას აძლევდა,

ვინაიდან, თუკი ნაციონალები ვერ გავიდოდნენ პარლამენტში, ამით სამართლიანობისა და განვითარების პარტიას რეალური შანსი ექნებოდა მოეპოვებინა საკონსტიტუციო უმრავლესობა.

ექსპერტთა ნაწილი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ თურქეთში პოლიტიკური პარტიების წარმატება არჩევნებზე, განსაკუთრებით კი მათ ლიდერებზე, იყო დამოკიდებული.

ამ ფონზე საინტერესოა 2010 წლის დეკემბერში თურქული სტრატეგიული და სოციალური კვლევების ცენტრის „ეტროპოლის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვები, რომელთა შედეგად თურქეთის მოსახლეობის 40.6%-მა პოლიტიკური პარტიის სასურველ ლიდერად დაასახელა რეჯეფ ერდოღანი (სამართლიანობისა და განვითარების პარტია), 22.5%-მა ქემალ კილიჩდაროღლუ (სახალხო-რესპუბლიკური პარტია), 8.6%-მა კი დევლეთ ბაჰჩელი (ნაციონალური მოძრაობა). ეს ყველაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ მმართველ პარტიას ჰყავდა ქარიზმატული ლიდერი, რაც მრავალი ექსპერტის აზრით, წარმატების ერთ-ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო.

რეჯეფ თაიფ ერდოღანის უმთავრესი მიზანი იყო ქვეყანა სერიოზული არეულობის გარეშე მიეყვანა საპარლამენტო არჩევნებამდე, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, მმართველი პარტიის რეიტინგი მკვეთრად დაეცემოდა.

შიდაპოლიტიკური დესტაბილიზაცია ქვეყანაში შეეძლო გამოეწვია მხოლოდ ქურთების მუშათა პარტიას, თუმცა, 2010 წლის 13 ოქტომბერს ერდოღანმა ქურთების წინამძღოლის, სამუდამო პატიმრობაში მყოფი აბდულა ოჯალანის, დახმარებით საპარლამენტო არჩევნებამდე შეძლო ამ პარტიასთან მოლაპარაკება. მიუხედავად ამისა, ქურთების საკითხი კვლავ ნომერ პირველ პრობლემად რჩებოდა არჩევნებში.

წინასაარჩევნო მარათონის დროს, პირველი სერიოზული გამწვავება, ქურთული მშვიდობისა და დემოკრატიის პარტიის კანდიდატების გამო, მოხდა 19 აპრილს, როდესაც უმაღლესმა

საარჩევნო საბჭომ სიიდან ამოიღო პარტიის შვიდი კანდიდატი იმ მიზეზით, რომ ისინი ნასამართლევი იყვნენ, რაც არ აძლევდა მათ უფლებას კენჭი ეყარათ პარლამენტში. ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ თურქეთის მთელ რიგ პროვინციებში ასეულობით დემონსტრანტი გამოვიდა. მმართველი პარტიის ოპონენტებმა ეს გადაწყვეტილება შეაფასეს, როგორც დემოკრატიულ პრინციპების მოწინააღმდეგე. ამ ვერდიქტმა კრიტიკა ევროპელი პოლიტიკოსების მხრიდანაც დაიმსახურა.

წარმოქმნილი პრობლემის გადასაჭრელად პრეზიდენტის რეზიდენციაში შედგა შეხვედრა ქვეყნის პრეზიდენტ აბდულაჰ გიულსა და დიდი ნაციონალური კრების სპიკერ მეჰმეთ ალი შახინს შორის. შეხვედრამდე თავის განცხადებაში პრეზიდენტმა აღნიშნა: „პრობლემის გადაჭრის საკითხს ყველა კონსტრუქციულად უნდა მიუდგეს... ამასთან, მათი კანდიდატურები მოხსნილია გარკვეული დოკუმენტაციის არწარდგენის გამო.“ თავის მხრივ, შაჰინმა განაცხადა, რომ სურს ეს გადაწყვეტილება გადაიხედოს, თუ კანონმდებლობის მხრიდან არ არის რაიმე ბარიერი ამ კანდიდატებთან დაკავშირებით. შეხვედრიდან 24 საათის შემდეგ ქურთული პარტიის კანდიდატები აღადგინეს.

ქურთული პრობლემა და მისი გადაჭრის გზები წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობაში ბევრი პარტიისთვის პოტენციური მომხრეების რაოდენობის ზრდის სერიოზული ბერკეტი იყო. სახალხო-რეპუბლიკურმა პარტიამ ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი პროგრამაც კი გამოაქვეყნა. დოკუმენტი სთავაზობდა მთელ რიგ ცვლილებებს პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ სფეროებში. განსხვავებით მმართველი პარტიისგან, რომელიც ამტკიცებდა, რომ ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონების ეკონომიკური განვითარება გადაჭრიდა თურქეთში მცხოვრები ქურთების ყველა პრობლემას, სახალხო-რესპუბლიკური პარტიის გენერალური თავმჯდომარე, ქემალ კილიჩდაროღლუ, ხაზს უსვამდა ქურთებთან სერიოზული პრობლემების არსებობას დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების კუთხით.

აპრილში ასევე გაჩაღდა პოლემიკა ქვეყანაში საპრეზიდენტო მმართველობის შემოღების პერსპექტივაზე. მთავრობის

ხელმძღვანელი თავის სამოქმედო გეგმაში აცხადებდა, რომ თურქეთში ახალ საპრეზიდენტო მმართველობის ფორმაზე გადასვლის საკითხზე უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი.

2011 წლის 12 ივლისს თურქეთში ჩატარდა საპარლამენტო აჩევნები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 50.2 მილიონმა ადამიანმა. 10%-იანი ბარიერი გადალახა სამმა პოლიტიკურმა პარტიამ:

	პარტია	**პროცენტი**	**დეპუტატი**
1	**სამართლიანობისა და განვითარების პარტია (AKP)**	49,85%	327
2	**სახალხო-რესპუბლიკური პარტია (CHP)**	25,98%	135
3	**ნაციონალური მოძრაობის პარტია (MHP)**	13,04%	53
4	**დამოუკიდებელი**	6,58%	35

როგორც ვხედავთ, საპარლამენტო არჩევნებში სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ ტრიუმფალურად, დამაჯერებლად გაიმარჯვა. საერთო ჯამში, მმართველმა პარტიამ შეძლო არა მარტო მიღებული ხმების რაოდენობის გაზრდა, არამედ თურქეთის 81 პროვინციიდან გაიმარჯვა 61-ში (მათ შორის სტამბოლში, ანკარაში, ტრაპიზონში, ანტალიაში, ართვინში და ა. შ.).

2011 წლის საპარლამენტო არჩევნებში მმართველი პარტიის წარმატების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად, თურქეთის ეკონომიკასა და სახელმწიფო უწყებების მუშაობის გაუმჯობესებას მიიჩნევენ. 2010 წელს თურქეთის ეკონომიკა 8,9%-ით გაიზარდა, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი კი - 10079 დოლარამდე გაიზარდა.

პარტიის გეგმებში შედიოდა ისეთი პროექტების განხორციელება, როგორიც იყო: არხების გაყვანა შავი და ეგეოსის ზღვის აუზებში, სტამბულთან ახალი ქალაქის აშენება, ახალი ხიდების, აეროპორტების, საავადმყოფოების მასობრივი მშენებლობა და სხვა.

2011 წლის 12 ივნისის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, თურქეთში ყველაზე აქტუალური საკითხი საკონსტიტუციო ცვლილებები იყო. წინა წლის სექტემბერში ჩატარებული რეფერენდუმის დროს ამ საკითხს მოსახლეობის 58% მიემხრო.

სამართლიანობისა და განვითარების პარტიის (AKP) მიერ შემუშავებულ საკონსტიტუციო ცვლილებათა პაკეტში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო იუსტიციის სისტემის რეორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა სამხედროების პოლიტიკური გავლენის შესუსტებას.

თურქეთის რესპუბლიკის ისტორიის მანძილზე პოლიტიკა და ჯარი ერთმანეთისგან გამიჯნული არ ყოფილა. წლების განმავლობაში სამხედროები ქემალისტური რესპუბლიკის პრინციპების სადარაჯოზე იდგნენ. ყოველთვის, როცა პროდასავლური, ანტიკომუნისტური ან სეკულარული პრინციპები საფრთხის ქვეშ დგებოდა, სახელმწიფო საქმეებში თურქეთის ჯარი ერეოდა. სამხედრო ძალამ, ბოლო 50 წლის განმავლობაში, არჩეული მთავრობა 4 -ჯერ გადააყენა. სამხედროების მიერ ჩამოყალიბებული „ღრმა სახელმწიფო“ (Derin Devlet) დროთა განმავლობაში პარალელურ მთავრობად იქცა.

2007-2012 წლებში, სამხედრო გენერალიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული გამოძიების დროს, 500-მდე გენერალი და ოფიცერი დააკავეს. პროკურორები მსჯელობდნენ, რომ მკვლელობების, ტერორიზმის და ქაოსის გამო, თურქეთის სტაბილურობას ექმნებოდა საფრთხე და ახალი სამხედრო გადატრიალებისთვის ნიადაგი მზადდებოდა.

სამხედროებსა და სამოქალაქო ძალებს შორის დაძაბულობა არის დაპირისპირება ლაიციზმისა და ისლამიზმის მომხრეებს შორის. მიუხედავად ქვეყანაში საკანონმდებლო ცვლილებებისა, რომელთაც შეზღუდეს არმიის პოლიტიკური როლი, არმი-

ის ვალდებულებები აღნიშნულ პერიოდში უცვლელი რჩება. სახელმწიფოს შიგნით არმია არის სრულიად ავტონომიური ინსტიტუტი. ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკური გადაწყვეტილებების გამოტანისას და როგორც „სახელმწიფო სუვერენიტეტის მცველი აკონტროლებს პოლიტიკურ ხელისუფლებას. ტერმინი „სამხედრო პატრონაჟის სისტემა", საკმაოდ ზუსტად აღწერს პოლიტიკურ წყობას, რომელიც იყო თურქეთში.

პირველად თანამედროვე თურქეთის ისტორიაში 2010 წლის ნოემბერში სამი გენერალი დაითხოვეს თავიანთი პოსტებიდან სამოქალაქო ხელისუფლების გადაწყვეტილებით. ეს გენერლები იმ 200 ოფიცერს შორისაა, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან 2003 წლის სამხედრო გადატრიალების მოწყობის მცდელობაში (საქმე აღიძრა 2010 წელს), რომელსაც არ ადასტურებენ სამხედროები. ამ ფაქტმა გაამწვავა ურთიერთობა მთავრობასა და არმიას შორის.

სამხედროებსა და ხელისუფლებას შორის დაპირისპირება 2012 წელსაც გრძელდებოდა. ხელისუფლებასთან კონფლიქტის შემდეგ, რასაც შეიარაღებული ძალების ძველი ხელმძღვანელობის გადადგომა მოჰყვა, თურქეთის პრეზიდენტმა აბდულაჰ გიულმა დაამტკიცა შეიარაღებული ძალების უმაღლესი ხელმძღვანელობის ახალი შემადგენლობა.

თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსად დაინიშნა ქვეყნის ჟანდარმერიის ყოფილი უფროსი ნეჯდეთ ეზელი, სახმელეთო ჯარების ხელმძღვანელობა ჩაიბარა გენერალმა ჰაირი ქივრიქოღლუმ, სამხედრო-საზღვაო ძალებს უხელმძღვანელებდა ადმირალი - ემინ მურად ბილგელი, ხოლო სამხედრო-საჰაერო ძალებს - გენერალი მეჰმედ ერთენი.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ თურქეთის შეიარაღებული ძალების უმაღლესმა ხელმძღვანელებმა 2012 წლის მარტში პროტესტის ნიშნად დატოვეს თავიანთი თანამდებობები, რაც დაკავშირებული იყო არმიის მაღალჩინოსანი ოფიცრებისა და გენერლების დაპატიმრებასთან, რომლებსაც ბრალად ედებოდათ რეჯეფ ერდოღანის მთავრობის დამხობის მცდელობა.

თურქეთი 1960-იანი წლებიდან ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატი ქვეყანაა. გატარებულმა რეფორმებმა, ბიძგი მისცა ევროკავშირთან მოლაპარაკებების განახლებას. სხვადასხვა დოკუმენტში ხაზგასმულ რეფორმებში, რომლებსაც ბრიუსელი მხარს უჭერდა, ამაში საკონსტიტუციო ცვლილებებიც იგულისხმება, მაგრამ არის მოსაზრება, რომ ევროკავშირში თურქეთის მიღებას საფრანგეთი და გერმანია ეწინააღმდეგებიან. შედეგად, გაწევრიანების იმედმაც ნელ-ნელა იკლო. შესაძლოა, რომ ევროპიზაციის სახელით მომხდარ დემოკრატიზაციას, თურქეთის ისლამიზაცია მოჰყვეს და ქვეყანამ პროდასავლური საგარეო კურსიდან საბოლოოდ გადაუხვიოს.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა 2011 წლის 8 ივლისს მეჯლისში წაიკითხა ახალი, რიგით 61-ე მთავრობის პროგრამა, რომელიც იქცა მომავალი ოთხი წლის თურქეთის საშინაო პოლიტიკის მთავარ მამოძრავებელ ძალად.

მიმომხილველები ვარაუდობდნენ, რომ თურქეთში საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელების შემდეგ, პრემიერი რეჯეფ თაიფ ერდოღანი სერიოზულად იფიქრებდა საპრეზიდენტო არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურის დაყენებაზე.

2011 წლის 12 ივლისის არჩევნებში რეჯეფ თაიფ ერთოღანის პარტიის გამარჯვებამ კიდევ ერთხელ აჩვენა ის კურსი, რომელსაც სამართლიანობისა და განვითარების პარტია ახორციელებდა და რომელსაც მხარს უჭერდა თურქეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი.

სამართლიანობისა და განვითარების პარტიის წევრების მიერ არჩეული კურსი ობიექტურად ყველაზე უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. მათ მოახერხეს პრიორიტეტების სწორად განაწილება, გაამახვილეს რა ჟურადღება მმართველობის დასაწყისში ქვეყნის შიდა მდგომარეობაზე, რითაც თავიდან აიცილეს დაპირისპირება ქემალისტური პრინციპების მიმდევარ სამხედროებთან.

სამართლიანობისა და განვითარების პარტიის წარმატება პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ მიღწევებთან. აღმოჩნდა, რომ ის ერთადერთი პარტიაა, რომელმაც შეძლო თურ-

ქეთის ეკონომიკის განვითარება. 2002 წლიდან 2007 წლამდე მშპ თურქეთში 181 მილიარდი ამერიკული დოლარიდან – 410 მილიარდ ამერიკულ დოლარამდე გაიზარდა. მმართველმა პარტიამ შემოიღო ახალი თურქული ლირა (2005 წ.) და მოახერხაა ლირის კურსის გამყარება.

პოლიტიკურ რეალობასთან და პრაგმატიზმთან დაახლოებამ თურქეთში პოლიტიკური ისლამის შემდგომი განვითარება გამოიწვია. სამართლიანობისა და განვითარების პარტიის აბსოლუტური გამარჯვება 2002 წლიდან მოყოლებული ყველა შემდგომ არჩევნებზე ნათლად აჩვენებს, რომ ეკონომიკის განვითარების და ცხოვრების დონის ამაღლების პირობებში იდეოლოგია უკანა პლანზე გადადის. ამომრჩევლისათვის სულერთია, ეს რეფორმები ვინ ჩაატარა: ისლამისტურმა თუ სეკულარულმა მთავრობამ. რეგიონის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, თურქეთმა შეძლო პრაგმატული და ტოლერანტული პოლიტიკური კურსის შემუშავება. სამართლიანობისა და განვითარების პარტიის წარმატება გარკვეულწილად გამოწვეული იყო იმით, რომ პარტიის ლიდერები გაემიჯნენ რადიკალურ ისლამსა და მასთან დაკავშირებულ ყველა სტერეოტიპს. მათ უარყვეს იდეა, რომ „ისლამი – ეს არის გამოსავალი“ და პირიქით, პოლიტიკური კურსი დემოკრატიული პროცესების პატივისცემასა და მათში აქტიურად მონაწილეობაზე დაამყარეს.

გასული წლების განმავლობაში თურქეთი მნიშვნელოვან თანხას ხარჯავდა ჰუმანიტარულ აქციებში, უმეტესწილად დემოკრატიული ორიენტაციის ორგანიზაციებს უწევდა დახმარებას. 2013 წლის მონაცემებით თურქეთი ჰუმანიტარული დახმარების გაცემის კუთხით, მსოფლიოში მეოთხე ადგილზეა აშშ-ს, ევროკავშირისა და ბრიტანეთის შემდეგ,.

დემოკრატიული განვითარების მხარდაჭერა თურქეთის საგარეო პოლიტიკური კურსის შემადგენელი ნაწილი 1990-იან წლებში გახდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთმა პოსტსაბჭოთა სივრცეში, ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში, თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის ზრდა დაიწყო.

1992 -1996 წლებში, მან ცენტრალურ აზიასა და კავკასიის რეგიონში, საერთაშორისო დახმარებაზე გამოყოფილი მთელი ბიუჯეტის 87% დახარჯა. მდგომარეობა შედარებით შეიცვალა 1997 წლიდან, როცა მსოფლიოს და, მათ შორის თურქეთის, ყურადღებაც ბალკანეთმა მიიპყრო.

სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ, მმართველობის პირველ პერიოდში ევროკავშირში გაწევრიანება პოლიტიკური კურსის ერთ-ერთ ძირითად მიზნად დაისახა. ამან თურქეთში დემოკრატიული პროცესების განვითარებას შეუწყო ხელი. თუმცა 2005 წელს, როდესაც ნათელი გახდა, რომ უახლოეს მომავალში თურქეთი ვერ გახდებოდა ევროკავშირის წევრი, ზეწოლა, რომელსაც ახდენდა ევროპა თურქეთში დემოკრატიული პროცესების გასაძლიერებლად, მოიხსნა და მმართველ პარტიას უფრო თავისუფალი შიდა პოლიტიკური კურსის გატარების საშუალება მიეცა.

შეიძლება ითქვას, რომ 2013 წლიდან მმართველი პარტიის არსებობაში დაიწყო ახალი ეტაპი. 2013 წლის გეზის პარკის მოვლენები შემომაბრუნებელ წერტილად წარმოსდგება, როდესაც ნათლად გამოჩნდა რეჯეფ თაიფ ერდოღანის, თურქეთის მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ავტორიტარიზმი და ის, თუ რამდენად დაშორდა რეალურად მმართველი პარტია იმ დემოკრატიულ საფუძვლებს, რომლებზე დაყრდნობითაც მოვიდა თურქეთის სათავეში.

ის ფაქტი, რომ მთავრობა არ აღმოჩნდა მზად წასულიყო რაიმე სახის დათმობაზე, გახდა პარკის დასაცავად მოწყობილი მშვიდობიანი აქციის ფართომასშტაბიან ანტისამთავრობო გამოსვლებში გადაზრდის მიზეზი. მოსახლეობა გამოვიდა სულ უფრო და უფრო ამპარტავანი, ავტორიტარული, განსხვავებული აზრის მიმართ შეურიგებელი მთავრობის წინააღმდეგ. ამას დაემატა საკანონმდებლო ცვლილებებიც, მოსახლეობის ცხოვრების წესს რომ შეეხო.

სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ თავისი მმართველობის წლებში მიიღო რიგი კანონპროექტები, რომლებიც ისლამური ფუნდამენტალიზმით იყო ნაკარნახევი. ასე, მაგალითად, ალკოჰოლით ვაჭრობის შემცირება, სახელმწიფო

სამსახურებში ჩადრის ტარების უფლება და სხვა. კანონი ალკოჰოლთან დაკავშირებით კრძალავს მის გაყიდვას მეჩეთებისა და სკოლების მიმდებარე ტერიტორიებზე, ასევე მის რეალიზაციას 10 საათის შემდეგ. ოპოზიციის წინააღმდეგობის მიუხედავად, კანონპროექტი შეიმუშავეს, განიხილეს და დაამტკიცეს ორი კვირის ვადაში.

თურქეთის მმართველი პარტია თავიდანვე მკაცრ განცხადებებს აკეთებდა მიმდინარე საპროტესტო გამოსვლების წინააღმდეგ. გეზის პარკი არ არის პირველი ამბიციური პროექტი პრეზიდენტ ერდოღანისათვის. არსებობს კიდევ ბოსფორის სრუტის პარალელური არხის გაჭრის პროექტი, ბოსფორის სრუტეზე რიგით მესამე, სულთან სელიმ I იავუზის (მრისხანეს) სახელობის ხიდის აშენების პროექტი და ა.შ.

29 მაისს სწორედ ამ ხიდის მშენებლობის საზეიმო გახსნაზე ერდოღანმა პირველად განაცხადა: „რაც უნდა მოიმოქმედოთ, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება და მას განვახორციელებთ“. 1 ივნისს მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ნებისმიერი 20 დემონსტრანტის სანაცვლოდ მას შეუძლია პარტიის 200 000 მომხრის გამოყვანა, ხოლო იქ, სადაც 100 000 შეიკრიბებოდა, იგი მილლიონს მიიყვანდა. იმ დროს, როდესაც ერდოღანის პოზიცია ხისტი რჩებოდა და გამორიცხავდა რაიმე სახის კონსენსუსს, საპროტესტო აქცია ანტისამთავრობო გამოსვლებში გადაიზარდა და ლოზუნგი „შევინარჩუნოთ ხეები“ შეიცვალა მთავრობის გადადგომის მოთხოვნით.

31 მაისს, სტამბოლში, ტაკსიმის მოედანთან ახლოს მდებარე „გეზის“ პარკში, მშვიდობიანი აქცია პოლიციამ ცრემლსადენი გაზით დაშალა. აქციის მონაწილეებს პარკი 4 დღის განმავლობაში ჰქონდათ დაკავებული და მისი რეკონსტრუქციის გეგმის გაუქმებას მოითხოვდნენ. აქციის დაშლას კი პროტესტის ბევრად უფრო დიდი ტალღა მოჰყვა და სტამბულის ქუჩები მოქალაქეებსა და პოლიციას შორის შეტაკებების ადგილად იქცა.

აქციის მონაწილეები ამბობდნენ, რომ გეზის პარკის სტამბულის ცენტრის ერთ-ერთი იშვიათი მწვანე ზონაა. მათი თქმით, რეკონსტრუქციის გეგმა ამ ზონის გაქრობას და მის სასტუმროებითა და მაღაზიებით ჩანაცვლებას გულისხმობდა.

ტაკსიმის მოედანი, რომელთან ახლოსაც მდებარეობს პარკი, ტურისტებით ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული ადგილია. აქციის მონაწილეთაგან ერთ-ერთს ეჭირა ოსმალი სულთნის ტანსაცმელში გამოწყობილი თურქეთის პრემიერ-მინისტრის, რეჯეფ თაიფ ერდოღანის ფოტო წარწერით: „ხალხი შენ არ დაგიჩოქებს“. „ჩვენ არ გვყავს ხელისუფლება, ჩვენ გვყავს თაიფ ერდოღანი“, - განუცხადა „გეზის“ პარკში მყოფმა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ კორაი სალისკანმა, „როიტერის“ ჟურნალისტს. „ისინი ჩვენ არ გვისმენენ, ეს არის უკმაყოფილების „ზაფხულის დასაწყისი,“ – დაამატა მან. მას შემდეგ, რაც პოლიციამ „გეზის“ პარკში შეკრებილი მოქალაქეები ძალის გამოყენებით დაშალა, უკვე ორმხრივმა დაპირისპირებამ სტამბულის ქუჩებში გადაინაცვლა.

„ათასობით ადამიანი, რომლებსაც არასდროს არ გამოუხატავთ ძალადობა და არ ჩაუდენიათ არაფერი, ცრემლსადენი გაზით დაახრჩვეს. ისინი არ არიან მწერები, ისინი რიგითი მოქალაქეები არიან. ისინი არ არიან მტრები პოლიციისთვის, ისინი არიან მოქალაქეები, რომლებსაც უნდა ემსახურებოდეს და იცავდეს. პოლიცია სამწუხაროდ, პოლიცია მოქალაქეებს არამარტო მტრებად მიიჩნევს, არამედ როგორც მწერებს, ისე ექცევა და გაზს ასხამს,“ – წერდა თურქული გამოცემა „რადიკალი.“

31 მაისის მოვლენებს აქტიურად გამოეხმაურა როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური პრესა, მაგრამ სატელევიზიო არხების უმრავლესობა, ისევე, როგორც თავად პრემიერ-მინისტრი, მთელი კვირა დუმდნენ. დემონსტრანტები თურქულ მედიას სახელმწიფოსთან კოლაბორაციონიზმში ადანაშაულებდნენ და ამბობდნენ, რომ მიმდინარე მოვლენებზე სიახლეებს უცხოური პრესიდან იგებდნენ. იმ კვირის შაბათს ერდოღანი აქციის დაშლასა და შეტაკებებს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ პოლიცია ყოველთვის შეასრულებდა თავის მოვალეობას, რადგან ტაკსიმის მოედანზე არ შეიძლება ექსტრემისტების ველურებივით სირბილი. „ისინი ქვაფენილებს ყრიან და ადგილობრივი მაღაზიების ვიტრინებს ამტვრევენ. ეს არის დემოკრატია?“ – გა-

ნაცხადა პრემიერ-მინისტრმა, რომელმაც უარყო დემონსტრანტების მიერ წამოყენებული ბრალდება, რომ ის დიქტატორია.

რ. ერდოღანი და ფ. გიულენი

„ადამიანებს მობეზრდათ საჯარო დისკუსიების ნაკლებობა, უპატივცემულობა, უკანონობა და ამ ხელისუფლების ავტორიტ- არიზმი," - აცხადებს სურეია ონდერი, ქურთული ,,მშვიდობისა და დემოკრატიის'' პარტიის წარმომადგენელი, რომელიც შეტაკებისას დაშავდა.

1 ივნისს, შაბათს, მწვავე შეტაკებების შემდეგ, პოლიცია იძულებული გახდა ტაკსიმის მოედანი დაეტოვებინა. დემონსტრანტები გამარჯვებას ზეიმობდნენ. ,,ჩვენ გავიმარჯვეთ, „გეზის" პარკი ისევ ჩვენია", - ეუბნებოდა ერთ-ერთი დემონსტრანტი „გარდიანის" კორესპონდენტს.

შაბათს, სტამბულის ცენტრში, რამდენიმე მოხალისე ექიმმა და სამედიცინო ფაკულტეტების სტუდენტებმა სახელდახელოდ სამედიცინო პუნქტები მოაწყვეს, სადაც შეტაკებებში დაშავებულ დემონსტრანტებს ეხმარებოდნენ. „ჩვენ დაახლოებით ასამდე ადამიანს დავეხმარეთ," – უთხრა ერთ-ერთმა სტუდენტმა (რომელმაც ანონიმურობა არჩია) „გარდიანის" კორესპონდენტს, – „პოლიცია ახლა ძალიან მძიმე ცრემლსადენ გაზს იყენებს, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობას სერიოზულად აზიანებს." უკვე კვირას, 2 ივნისს „საერთაშორისო ამნისტიამ" გაავრცელა ცნობა 2 დაღუპულისა და ათასი დაშავებულის შესახებ. „სამარცხვინოა ასეთი ულმობელი პასუხი ტაკსიმის აბსოლუტურად მშვიდობიანი პროტესტის მიმართ," – განაცხადა „ამნისტია ევროპის" თავმჯდომარემ, ჯონ დალუისენმა.

„Human Rights Watch"-ის მთავარი მკვლევარი თურქეთში, ემა სინკლარვი აცხადებს, რომ ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ რამდენად შეუწყნარებელია თურქეთის ხელისუფლება განსხვავებული აზრის მიმართ.

„მთელს მსოფლიოში, თუ სახელმწიფო თავისი მოქალაქეების წინააღმდეგ ძალის გადამეტებას მიმართავს, ეს იმას ნიშნავს, რომ მათი ძალაუფლება სუსტია, ხოლო ქმედებები - მცდარი," - წერს თურქული გამოცემის „ვატანის" ჟურნალისტი, რუსენ ვარიკი.

მას შემდეგ, რაც პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის დაპირისპირებამ უკიდურესად სასტიკი ხასიათი მიიღო, რეჯეფ თაიფ ერდოღანი აქციის მონაწილეებს ტერორისტებად მოიხსენიებდა და ხაზს უსვამდა, რომ რაიმე სახის კომპრომისი მათთან გამორიცხული იყო. იგი ასევე მკვეთრად რეაგირებდა ტაქსიმისა და თაჰრირის მოედნების შედარებაზე და გამორიცხავდა არაბული გაზაფხულის ტალღის გავრცელებას თურქეთში. „ეს არ არის რევოლუცია, ეს არ არის ამბოხი და ეს ნამდვილად არ არის „თურქული გაზაფხული", ახლა „ზაფხულია", - განაცხადა თურქეთის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა.

საპროტესტო გამოსვლების დასაწყისში ინფორმაციის გავრცელების ერთადერთი წყარო სოციალური ქსელები იყო. ინფორმაცია და, შესაბამისად, ბევრი დეზინფორმაციაც, პირველ რიგში YouTube-ისა და Twitter- ის მეშვეობით ვრცელდებოდა. თურქულმა მედიამ აქტიურობა მას შემდეგ დაიწყო, რაც მიმდინარე მოვლენებმა საერთაშორისო ყურადღება მიიპყრო. თუმცა თავდაპირველად თურქი ჟურნალისტები დიდი სიფრთხილით სვამდნენ შეკითხვებს, განსაკუთრებით პოლიციის მიერ გადამეტებული სისასტიკის ფაქტებთან დაკავშირებით.

Youtube-თან და Twitter-თან ერთად თურქეთის მთავრობამ მთლიანობაში 166 საიტი დაბლოკა. ეს პირველი შემთხვევა არ იყო, როდესაც თურქეთში სოციალურ ქსელებს ბლოკავენ. მსგავსი რამ წინა წელს, ადგილობრივი არჩევნების შემდეგაც მოხდა.

BBC-ის ცნობით, ტვიტერის დაბლოკვას წინ უძღოდა, პრემიერ რეჯეფ თაიფ ერდოღანის პირობა, რომ ,,ტვიტერის'' გავლენას აღმოფხვრიდა. „არ მაინტერესებს, რას ამბობს საერთაშორისო თანამეგობრობა. ყველა დაინახავს თურქეთის რესპუბლიკის ძალას," - თქვა ერდოღანმა. ეს მას შემდეგ განაცხადა,

რაც მომხმარებლები ტვიტერზე აზიარებდნენ მტკიცებულებებს, რომლებიც ასახავდა პრემიერის კავშირს კორუფციასთან.

2014 წლის ივლის-დეკემბრის თწიტტერ-ის ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, თურქეთი პირველ ადგილზეა იმ ქვეყნებს შორის, რომელი ხელისუფლება ითხოვს სოციალური ქსელიდან თურქეთის შესახებ სხვადასხვა, მისთვის მიუღებელი, ინფორმაციის ამოღებს ან დაბლოკვას.

მიმდინარე მოვლენებმა ნათლად აჩვენა, რომ თურქეთში აღარ არის ისეთი თავისუფალი მედია, როგორიც ,,სამართლიანობის და განვითარების" პარტიის მმართველობის პირველ პერიოდში იყო.

კიდევ ერთი გახმაურებული ინციდენტი თურქეთში 2013 წლის 17 დეკემბერს დაიწყო, როდესაც პოლიციამ დააკავა ქრთამის აღებაში ეჭვმიტანილი რამდენიმე ათეული ადამიანი, მათ შორის შინაგან საქმეთა, ეკონომიკის, გარემოს დაცვისა და ურბანული დაგეგმარების მინისტრების შვილები. აღნიშნულ პირებს ბრალად ტენდერებში გამარჯვების სანაცვლოდ ქრთამის აღება და ირანში ოქროს კონტრაბანდა ედებოდათ.

ერდოღანმა შექმნილი სიტუაცია, ისევე როგორც 2013 წლის ივნისის ანტისამთავრობო გამოსვლები, „შეთქმულების თეორიით" ახსნა. ადგილობრივი არაკეთილმოსურნე ძალები, თურქეთის ეკონომიკური ზრდითა და რეგიონში დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკური კურსით უკმაყოფილო უცხოურ ფინანსურ ორგანიზაციებთან, მედიასთან და მთავრობებთან ერთად მოქმედებენ სამართლიანობისა და განვითარების პარტიის წინააღმდეგ. ერდოღანმა მმართველი პარტიის წევრებისა და მათი ოჯახის წევრების წინააღმდეგ დაწყებულ გამოძიებას „სასამართლო გადატრიალება" უწოდა, რომლის ორგანიზებაშიც ფეთჰულაჰ გიულენი დაადანაშაულა.

ერდოღანისა და გიულენის დაპირისპირების რეალური მიზეზი, ყოფილი მოკავშირეების განსხვავებულ პოლიტიკურ შეხედულებებზეა დამოკიდებული. პრემიერის საერთაშორისო რეპუტაცია ჯერ კიდევ 2012 წელს შეირყა, როდესაც მან კანონმდებლობის საკუთარ თავზე მორგება დაიწყო. მოგვიანებით,

„გეზის“ პარკის დაცვის მიზნით დაწყებული ანტისამთავრობო გამოსვლები სპეციალური დანიშნულების რაზმებმა ჩაახშეს. თურქეთის სასამართლომ პრემიერ-მინისტრის მოწინააღმდეგე 250 - მდე პირს სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზება დააბრალა, რამაც ოპონენტების პოლიტიკური დევნის შესახებ ბრალდებები გააააქტიურა. მიუხედავად ამისა, ერდოღანი ბოლო დრომდე 50%-მდე ამომრჩევლის ნდობით სარგებლობდა.

დეკემბერში კორუფციის ბრალდებით პოლიციამ წამყვანი ბანკის მმართველი და ერდოღანის პარტიასთან დაახლოებული სხვა 20-მდე პირი დააკავა. შინაგან საქმეთა მინისტრის შვილის ბარიშ გულერის სახლიდან პოლიციამ დიდი რაოდენობით თანხა ამოიღო. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული Alkbank-ის დირექტორის, სულეიმან ასლანის, სახლში მან ყუთებში დამალულ 4,5 მილიონ დოლარსაც მიაგნო. ასლანთან ერთად დააკავეს ირანელი ბიზნესმენი - რეზა ზარრაბიც.

თურქული მედიის ცნობით, ბრალდებულთა საქმიანობა საერთაშორისო საზოგადოების მიერ არასანქცირებულია, რომელიც ირანთან ოქროთი და გაზით უკანონო ვაჭრობას უკავშირდება, რამაც ბოლო წლებში ირანში 120 მილიარდი დოლარის ღირებულების ოქროს შედინებას და ამ გზით, ირანული ეკონომიკის მნიშვნელოვან გაძლიერებას შეუწყო ხელი. Alkbank-ში ამტკიცებენ, რომ ამ, „გაზი ოქროს ნაცვლად“, ტიპის შეთანხმებებში უკანონო არაფერია. თუმცა, დადასტურების შემთხვევაში, ერთი შეხედვით მომგებიანი გარიგებები NATO-ს წევრი თურქეთის საერთაშორისო რეპუტაციას მნიშვნელოვან დარტყმას მიაყენებდა.

გამოძიება იკვლევს კორუფციულ გარიგებებს საჯარო ტენდერებში ჯანდაცვისა და მშენებლობის კუთხითაც. ეს უკანასკნელი ერდოღანის რეპუტაციას განსაკუთრებულ ჩრდილს აყენებდა, რადგან სახელმწიფო განსახლების ორგანოს პირადად პრემიერ-მინისტრი კურირებდა.

კორუფციულ სკანდალში არაპირდაპირ ჩართული სამივე მინისტრი მალევე გადადგა, ხოლო ერთმა მათგანმა მსგავსი ქმედებისკენ პრემიერ-მინისტრსაც მოუწოდა.

სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდა 2014 წლის პირველ დღეებში, როდესაც პროკურორებმა კორუფციის ბრალდებით პრემიერ-მინისტრის შვილის, ბილალ ერდოღანის, დაკავება მოითხოვეს, რაც, მათივე განცხადებით, პრემიერ-მინისტრის მიერ პოლიციაზე ზეწოლის გამო ვერ მოხდა. ბრალდებების საპასუხოდ, ერდოღანმა მინისტრთა კაბინეტი სასწრაფოდ გადააწყო და პოლიციასა და პროკურატურაში მასობრივი წმენდა დაიწყო. თურქულ გაზეთ „Taraf"-ის ინფორმაციით, შემთხვევიდან მხოლოდ ერთ კვირაში 300 - მდე პოლიციელი დაითხოვეს, გამოძიების დაწყებიდან 2015 წლამდე კი თანამდებობა 1500 - ზე მეტ სამართალდამცავს დაატოვებინეს.

ნათელია, რომ პრემიერ-მინისტრი არჩევნებამდე ძალაუფლების კონცენტრაციას სწრაფი რეაგირებით ცდილობდა, რადგან შიდაპარტიული ლიმიტის გამო ერდოღანს პრემიერის პოსტის დაკავება მხოლოდ სამი ვადით შეეძლო, ხელისუფლებაში დარჩენის პრაქტიკულად ერთადერთ გზას პრეზიდენტობა წარმოადგენდა.

პრემიერ-მინისტრ რეჯეფ თაიფ ერდოღანის ინიციატივით, კონსტიტუციასა და საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ კანონში შესული ცვლილებების თანახმად, თურქეთი საპარლამენტო რესპუბლიკიდან საპრეზიდენტო სისტემად გარდაიქმნებოდა. ცვლილებების შემდეგ, მოხდებოდა ძალაუფლების კონსოლიდაცია პრეზიდენტის ხელში. პირდაპირი გზით არჩეულ ლიდერს პოსტზე ყოფნა განახლებული 5 წლიანი ვადით შეეძლებოდა. მიიღება თუ არა აბდულაჰ გიული არჩევნებში მონაწილეობას, სპეკულაციის საგნად იქცა, თუმცა ერდოღანი ქვეყნის სათავეში დარჩენას მომავალი ათწლეულის განმავლობაშიც გეგმავდა.

სირთულეების მიუხედავად, ერდოღანის რეიტინგებს მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია. მოსახლეობის დიდი ნაწილი კორუფციას არა კონკრეტულად პრემიერის, არამედ, ზოგადად, თურქული მმართველობის პრობლემად მიიჩნევდა. მეტიც, საშუალო კლასის თურქებში საკმაოდ გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ ,,სამართლიანობისა და განვითარების''

პარტია კორუფციასა და მაფიასთან ყველაზე ეფექტურად მებრძოლი პარტია იყო.

თურქული კვლევითი ორგანიზაციის Konsensus Research & Consultancy-ის შეფასებით, ერდოღანი ამომრჩევლის მხარდაჭერას მხოლოდ იმ შემთხვევაში დაკარგავდა, თუ მთელი წლის განმავლობაში კორუფციის ახალ-ახალი მტკიცებულებები გამოიკვეთებოდა.

ამ ფონზე, საერთაშორისო საზოგადოება, ერთი მხრივ, თურქეთში სტაბილურობაზე, მეორე მხრივ კი, წამყვან ისლამურ სახელმწიფოში დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის ბედზე ღელავს. ევროკავშირს შეუძლია, თურქეთის გაწევრიანების მოლაპარაკებები გამოიყენოს ბერკეტად ერდოღანის ავტორიტარული მმართველობის შესარბილებლად. პოლიტიკური და დიპლომატიური ზეწოლა შესაძლოა აშშ-ის მხრიდანაც, თუმცა დასავლეთი ამავდროულად ფრთხილად უნდა იყოს, რომ გარეშე ჩარევებით NATO-ს წევრი თურქეთის საერთაშორისო გავლენა და მერყევი დემოკრატიული ინსტიტუტები კიდევ უფრო არ შეასუსტოს.

2014 წლის 18 თებერვალს თურქეთის პარლამენტმა მიიღო კანონი ინტერნეტთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, მთავრობას სასამართლოს გარეშე ინტერნეტ რესურსების ბლოკირების საშუალება მიეცა. სამართლიანობისა განვითარების პარტიის წევრები, რომლებიც აქამდეც არ სწყალობდნენ სოციალურ ქსელებს, კანონს საზოგადოების პორნოგრაფიული თუ სხვა ზიანის მომტანი შინაარსის მქონე საიტებისგან დაცვის აუცილებლობით ამართლებენ, მაშინ როდესაც საზოგადოება მასში სამთავრობო სკანდალების დაფარვის მცდელობას და რეჯეფ თაიფ ერდოღანის ავტოკრატიული ტენდენციების ზრდას ხედავს.

კანონი ინტერნეტის შესახებ ცენზურას არა DNS (Domain Name System) ან IP (Internet Protocol) მიხედვით, არამედ URL (Uniform Resouce Locator) დაყრდნობით ახორციელებდა. ეს ნიშნავს, რომ ინტერნეტ პროვაიდერები დაემორჩილებიან ტელეკომუნიკაციების სააგენტოს თავ-

მჯდომარეს, რომელიც თავის მხრივ, პირდაპირ ექვემდებარება პრემიერ-მინისტრის აპარატს. ტელეკომუნიკაციათა საააგენტოს თავმჯდომარე პირადად, სასამართლო ბრძანების გარეშე განსაზღვრავს, თუ რომელი ვებგვერდი არ აკმაყოფილებს საჭირო კრიტერიუმებს.

კანონის მიხედვით, ასევე შესაძლებელი ხდება ოთხი საათის განმავლობაში ნებისმიერი ვებგვერდის დაბლოკვა პრემიერ-მინისტრის პირდაპირი ბრძანებით.

2013 წლის დეკემბერში მმართველმა პარტიამ შეიმუშავა ახალი კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც სამოქალაქო სამსახურების წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლები 2- დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით დაისჯება ეს კანონი მიმართულია ისეთი პროექტების დასაცავად, როგორიცაა „გეზის“ პარკის რეკონსტრუქცია, ან ანკარაში ალტერნატიული ტრასის გაყვანა და ა.შ.

1982 წლის კონსტიტუციის ნაცვლად ახალი, ქვეყნის დემოკრატიულ ფასეულობებზე მორგებული კონსტიტუციის მიღება, ერთ-ერთი ყველაზე დადებითი რეფორმა უნდა ყოფილიყო პარტიის ისტორიაში (ეს კონსტიტუცია 1980 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ მიიღეს და დემოკრატიის რიგ ძირეულ პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ახალი კონსტიტუციაც შორს არის იდეალურისაგან. მისი შემუშავებისა და მიღების პროცესი კი მთლიანად ეწინააღმდეგებოდა დემოკრატიულ ფასეულობებს. კონსტიტუციის შემუშავების პირველ ეტაპზე ერდოღანი უარს ამბობდა ნებისმიერი სახის კონსულტაციაზე. შემდგომში იგი იძულებული გახდა დათანხმებოდა სპეციალური კომისიის შექმნაზე, მაგრამ მას შემდეგ, რაც განხილვები მმართველი პარტიის მიერ დადგენილ ვადას გადასცდა, მაშინდელი პრემიერ-მინისტრი კომისიას დათხოვნით და კონსტიტუციის ცალმხრივი მიღებით დაემუქრა.

ყველაზე რთული მდგომარეობა თურქეთში მაინც სიტყვის თავისუფლების კუთხით იყო. 2013 წლის მონაცემებით თურქეთში დაპატიმრებულ

ჟურნალისტთა რიცხვი 40-ს აღემატება, რაც ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო მსოფლიოში. პრესის თავისუფლება ინდექსის მიხედვით 2013 წელს თურქეტი 151-ე ადგილზე იმყოფებოდა. რამდენიმე წლის წინ, იგი სულ რამდენიმე ადგილით უსწრებდა ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა აზერბაიჯანი, ეგვიპტე, სუდანი, პაკისტანი, ყაზახეთი და ა.შ.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2014 წლის სტატისტიკის მიხედვით, რუსეთის შემდეგ თურქეთი მეორე ქვეყანა იყო მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის მიხედვით.

2014 წლის 14 დეკემბერს, მედიაზე მოწყობილი რეიდის შედეგად, თურქეთის მთავრობამ, ტერორისტული ორგანიზაციის ჩამოყალიბების მცდელობის ბრალდებით, დააკავა 25-მდე ჟურნალისტი, მათ შორის გაზეთ „Zaman"- ის მთავარი რედაქტორი ექრემ დუმანლი და ხუთი სხვადასხვა სატელევიზიო მაუწყებლობის მქონე „Samanyolu"- ს ჯგუფის გენერალური დირექტორი ჰიდაეთ კარაჯა. ამ ორ დაწესებულებაში მომუშავე ჟურნალისტები, პროდიუსერები, სერიალების სცენარისტები და 32 - კაციანი ადმინისტრაცია, რომლებიც 14 დეკემბრის დილის საათებში პოლიციამ სახლებში და სამუშაო კაბინეტში დააკავა.

ევროპარლამენტის თავმჯდომარემ, მარტინ შულცმა, პლენალურ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ ექრემ დუმანლისა და ჰიდაეთ ქარაჯას დაკავებისას ჩატარებული სპეცოპერაცია შოკისმომგვრელია. შულცმა განაცხადა: „თურქეთში პრესის თავისუფლებისა და თავისუფალი აზრის გამოხატვის მიმართ პრობლემები ახალი არ არის. „გეზი"-ის პარკის საპროტესტო აქციების შემდეგ ჟურნალისტებსა და სოციალურ მედიაზე ზეწოლაც გვახსოვს. გუშინ კიდევ ერთხელ მომსწრენი გავხდით მთავრობის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი პრესის

აჰმედ დავუთოღლუ

დარბევისა პოლიციის მიერ. ბოლო დროს ოპოზიციურად განწყობილი პრესის მიმართ განვითარებული მოვლენები იმაზე მიგვანიშნებს, რომ თურქეთში საკმაოდ სახიფათო მდგომარეობაა და ჩვენ განვითარებულ მოვლენებს აქტუალურად ვაკვირდებით. როგორც ევროპარლამენტი, ვითხოვთ, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ევროკავშირში თურქეთის მუდმივი წარმომადგენლობისგან გაკეთდეს ოფიციალური განცხადება".

ევროკავშირის მიერ გამოთქმულ კრიტიკაზე პრეზიდენტმა ერდოღანმა უპასუხა, რომ მიმდინარე მოვლენები არ უკავშირდება სიტყვის თავისუფლებას, ეს ქვეყნის შიდა უსაფრთხოების საქმეა და დასავლეთის აზრი თურქეთის შიდა პოლიტიკაზე მისთვის არარელევანტურია.

მედიაზე განხორციელებული ასეთი ზეწოლა აუცილებლად იმოქმედებდა ევროკავშირში გაწევრიანების პროცესზე. 2013 წლის „გეზის" პარკის მოვლენების შემდეგ ურთიერთობა თურქეთსა და ევროკავშირს შორის ისედაც საკმაოდ დაძაბული იყო. თურქეთის პრეზიდენტმა ოფიციალურ გამოსვლაში განაცხადა, რომ მისთვის არსებით მნიშვნელობას არ წარმოადგენს ის, თუ რა გავლენას იქონიებს მიმდინარე მოვლენები ევროკავშირში გაწევრიანების პროცესზე. პრემიერ-მინისტრის ერთ-ერთმა მრჩეველმა თავის ინტერვიუში განაცხადა: „როგორ შეიძლება იყოს ავტორიტარული ის მთავრობა, რომელმაც არჩევნებზე თითქმის 50% მოიპოვა?" ეს ფრაზა ნათლად ასახავს თურქეთის მთავრობის პოზიციას – არჩევნებში გამარჯვება საკმარისი არგუმენტია მთავრობის ნებისმიერი ქმედების გასასამართლებლად, მაგრამ დემოკრატია არ შემოისაზღვრება მმხოლოდ თავისუფალი არჩევნებით, იგი გულისხმობს ძალაუფლების გადანაწილებას, ავტონომიურ ინსტიტუტებსა და ასოციაციებს შორის, რომელთა კონტროლი კანონის შესაბამისად უნდა ხდებოდეს.

2014 წლის 10 აგვისტოს ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო თურქეთის რესპუბლიკის ისტორიაში. პირდაპირი წესით პირველად ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში 51,79%-ით გამარჯვება ქვეყნის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა და სამართლიანობისა და განვი-

თარების პარტიის ლიდერმა, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა მოიპოვა, ხოლო იმავე წლის 28 აგვისტოს, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი გახდა აჰმედ დავუთოღლუ.

თავის წინასაარჩევნო გამოსვლებში ერდოღანი აცხადებდა, რომ არჩევის შემთხვევაში, იგი არ იქნებოდა მხოლოდ და მოლოდ სიმბოლური პრეზიდენტი, არამედ მაქსიმალურად გამოიყენებდა მინიჭებულ ძალაუფლებას. მან ხაზი გაუსვა სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მიღწევებს და საზოგადოებას გააცნო თავისი ხედვა „ახალი თურქეთის“ შესახებ, რომლის შესაბამისად 2023 წლისათვის უნდა გაიზარდოს ქვეყნის კეთილდღეობა და გავლენა მსოფლიოში.

ერდოღანისა და მისი სამართლიანობისა და განვითარების პარტიის გამარჯვება განპირობებული იყო იმით, რომ თურქული საზოგადოება გადაღლილი და გაწბილებული იყო ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული და კორუფციაში ღრმად ჩაფლული ელიტის მოქმედებით. მის ფონზე სამართლიანობისა და განვითარების პარტიის წარმომადგენლები უფრო მეტი პატიოსნებით, უბრალოებითა და ხალხთან სიახლოვით, აშკარად, მომგებიანად გამოიყურებოდნენ.

ბოლო 15 წლის განმავლობაში არჩევნებში მიღწეული უპრეცედენტო წარმატებისა და ქვეყნის პოლიტიკაში სამხედროების ჩარევის საფრთხის თავიდან აცილების შემდეგ, თურქეთის მმართველი სამართლიანობისა და განვითარების პარტია დემოკრატიულის ნაცვლად სულ უფრო ავტორიტატულ სახეს იძენს.

როგორც ჩანს, ამ წარმატებებმა თავბრუ დაახვია ერდოღანს. ხელისუფლებაში ყოფნის მანძილზე მისი ავტორიტარიზმი და ამბიციურობა თანდათან კიდევ უფრო გაიზარდა. საპარლამენტო უმრავლესობის ფაქტორის გამოყენებით მმართველმა პარტიამ მნიშვნელოვანწილად დაიმორჩილა სახელმწიფო აპარატი. ერდოღანის ერთპარტიულმა მთავრობამ თავის რადიკალურ გადაწყვეტილებებში თითქმის შეწყვიტა ოპოზიციური

სპექტრის აზრის გათვალისწინება და დაუფარავად დაადგა ქვეყნის ისლამიზაციის კურსს.

თანამედროვე თურქეთის ისტორიაში ერდოღანმა თითქმის შეუძლებელი შეძლო - მან მნიშვნელოვანწილად შეზღუდა ხელშეუხებელი და ძლევამოსილი სამხედრო ელიტა და ჩამოაშორა ის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. ამისთვის მარჯვედ გამოიყენა ე. წ. „ერგენეკონის“ შეთქმულების საქმე და, ფართო საზოგადოებრივ მხარდაჭერაზე დაყრდნობით, უპრეცედენტო რამ მოახერხა - ციხეში მოათავსებინა თურქეთის უმაღლესი გენერალიტეტის წარმომადგენლები. მათთან ერთად თავისუფლება აღეკვეთა ძველი პოლიტიკური ელიტის მრავალ წარმომადგენელს - ბიზნესმენებს, ჟურნალისტებს, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებს იმ ადამიანებს, რომლებმაც გაბედეს და წინ აღუდგნენ ერდოღანის სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ახალ კურსს.

გენერალიტეტის შესუსტებასთან ერთად, პირდაპირპროპორციულად გაძლიერდა რელიგიურ ლიდერთა ერთიანობა. რელიგიის საქმეთა სამმართველო თურქეთის სახელმწიფო სისტემის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან სტრუქტურად იქცა. ერდოღანის თხუთმეტწლიანი მმართველობის განმავლობაში თურქეთში აშენდა 7300 მეჩეთი, განათლების სისტემის რეფორმის შედეგად უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში რელიგია აუცილებელ საგნად იქნა შეტანილი, ხოლო საერო სკოლების საშუალო კლასებში შემოიღეს საგანი - რელიგიათმცოდნეობა, ასევე, მოიხსნა სკოლების ტერიტორიაზე მოსწავლე გოგონებისათვის თავსაბურავით სიარულის აკრძალვა, რაც ადრე წარმოუდგენელი იყო.

მართალია, ერდოღანი და მისი პარტია კვლავაც ოფიციალურად ინარჩუნებენ ევროკავშირში გაწევრიანების კურსს, მაგრამ პარალელურად მიმართავენ ოსმალეთის იმპერიის ყო-

ფილ ტერიტორიებსა და თურქულენოვან სამყაროში ზეგავლენის აღდგენის იდეოლოგიასაც.

2015 წლის დასაწყისში დაპირისპირებამ პოლიტიკურ პარტიებს შორის სულ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. სამართლიანობისა და განვითარების პარტიის მიერ მეჯლისში ადგილების აბსოლუტური უმრავლესობის მოპოვების და კონსტიტუციური ცვლილებების ერთპიროვნულად გატარების შემთხვევაში თურქეთში საბოლოოდ ჩამოყალიბდება ავტორიტარიზმი.

2015 წლის 7 ივნისს თურქეთში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, სადაც მმართველმა სამართლ- იანობისა და განვითარების'' პარტიამ 550 მანდატიან პარლამენტში დაკარგა უმრავლესობა. მან მიიღო 256 მანდატი, მეორე ადგილზე გავიდა სახალხო – რესპუბლიკური პარტია – 132 ადგილი, მესამეზე - ნაციონალური მოძრაობის პარტია – 82 ადგილი და სახალხო- დემოკრატიული პარტია - 80 ადგილი.

რა შეიძლება ყოფილიყო ამ ეტაპზე ერდოღანის პარტიის დამარცხების მიზეზი? „გეზის“ პარკის გამოსვლების, დეკემბრის კორუფციული სკანდალის (რომელშიც მოქმედი მინისტრების შვილები და სხვადასხვა მაღალჩინოსანი პოლიტიკოსები იყვნენ გარეულნი), სირიასთან მიმართებით არჩეული პოლიტიკური კურსის კრახის, მთავრობასა და ცნობილი თურქი თეოლოგის ფეთჰულაჰ გიულენის მიმდევრებს შორის არსებული დაპირისპირებისა და „სომას“ და „ერმენექის“ ქვანახშირის მაღაროებში მომხდარი ტრაგედიების შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ მმართველი პარტიის სამართლიანობის და განვითარების რეიტინგი საკმაოდ დაეცა, რაც ბევრ დამკვირვებელს აფიქრებინებდა, რომ თურქეთში შესაძლებელია მოხდარიყო ცვლილებები დემოკრატიული არჩევნე-

ბის გზით, რომელიც დაამთავრებდა სამართლიანობისა და განვითარების პარტიისა და მისი ლიდერის – ყოფილი პრემიერ-მინისტრისა და ამჟამინდელი პრეზიდენტის – რეჯეფ თაიფ ერდოღანის მმართველობას, მზარდი ისლამიზაციით და ავტორიტარულობით რომ ხასიათდება.

არჩევნების შემდეგ, თურქეთის პრემიერ-მინისტრმა აჰმედ დავუთოღლუმ, მეჯლისში სხვა პოლიტიკურ პარტიებთან კოალიციური მთავრობის შექმნა ვერ შეძლო, რასაც მოჰყვა თურქეთის პრეზიდენტის მხრიდან მთავრობის დათხოვნა და ქვეყანაში რიგგარეშე 26-ე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა.

2015 წლის 1 ნოემბერს თურქეთში ჩატარდა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, სადაც ერდოღანმა გამოიყენა მის ხელთ არსებული ყველა სახელმწიფო მექანიზმი, რათა სამართლიანობისა და განვითარების პარტიას გამარჯვება მოეპოვებინა, და მან, მართლაც, დაიბრუნა პარლამენტში უმრავლესობა, რომელიც 2015 წლის ივნისში დაკარგა.

არჩევნებში მმართველმა პარტიამ 49.4% დააგროვა, მთავარმა ოპონენტმა, სახალხო რესპუბლიკურმა პარტიამ კი - 25.4%. 10%-იანი ზღვარი გადალახეს და პარლამენტში ადგილები მოიპოვეს პროქურთულმა და ნაციონალისტურმა პარტიებმა. პრემიერ-მინისტრმა აჰმეთ დავუთოღლუმ[12] არჩევნების შედეგს თურქი ხალხისა და დემოკრატიის გამარჯვება უწოდა.

მთავარი ფაქტორები, ქვეყნის შიდა მდგომარეობისა, რომლებმაც 2015 წლის 1 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე შესაძლოა გავლენა იქონიოს, შემდეგია:

---

[12] 2016 წლის 22 მაისს, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ,,სამართლიანობისა და განვითარების'' პარტიის თავმჯდომარეობიდან და პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გაანთავისუფლა აჰმედ დავუთოღლუ და მის ნაცვლად დანიშნა ბინალი ილდირიმი. 2016 წლის 24 მაისს, პრეზიდენტმა თურქეთის რესპუბლიკის 65-ე მთავრობა დაამტკიცა.

1) ე. წ. სამშვიდობო პროცესი (Çözüm süreci) – რომელიც თურქეთის ხელისუფლებასა და ქურთისტანის მუშათა პარტიის დე-იურე ლიდერს - ამჟამად პატიმრობაში მყოფ აბდულა ოჯალანს შორის წარმოებული მრავალრაუნდიანი მოლაპარაკებების შედეგად დაიწყო, მიუხედავად იმისა, რომ სამშვიდობო პროცესის ფარგლებში გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები, ერდოღანმა ჩათვალა, რომ ამ საკითხს ომის გზით მოაგვარებდა და ურთიერთობა შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიყვანა;

2) დღითიდღე მწვავდებოდა დაპირისპირება ავტორიტარულ რეჯეფ თაიფ ერდოღანის ხელისუფლებასა და თურქეთის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან გაერთიანებას - ,,ჰიზმეთს'' და მის ლიდერ ფეთჰულაჰ გიულენს შორის. პრეზიდენტმა ერდოღანმა ფეთჰულაჰ გიულენი და მისი მიმდევრები ღიად დაადანაშაულა გადატრიალების მცდელობაში, რასაც მოჰყვა მასობრივი დაპატიმრებების ტალღა სხვადასხვა სახელმწიფო და მედია სტრუქტურებში, პოლიციამ დააკავა პოლიციისა და რელიგიურ საქმეთა სამინისტროს ათასობით თანამშრომელი ჯაშუშობის, გადატრიალების მცდელობისა და სხვა მსგავსი ბრალდებებით; ასევე განახორციელეს რეიდები და დააპატიმრეს ფეთჰულაჰ გიულენის მოძრაობის მთავარ მედია საშუალებებად ცნობილ გაზეთ „Zaman"-ისა და ტელევიზია „Samanyolu"-ს ოფისების ათობით ჟურნალისტი.

2015 წელს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის (IHD) მიერ გამოქვეყნებული - ადამიანის უფლებათა დარღვევის ანგარიშის მიხედვით, თურქეთში პოლიციამ 26 მედია ორგანიზაცია დაარბია.

სპეცოპერაციის შემდეგ, თავისუფალი მედიის გაჩუმების მიზნით ,,კოზა-იფექ" მედია ჯგუფში შემავალი ორი ტელევიზია და ორი გაზეთი, ,,სამანიოლუ" (Samanyolu Group) ჯგუფში შემავალი 11 სატელევიზიო არხი, İMC-ს ტელევიზია და Bengi TÜRK-ის ტელევიზია მთავრობამ დახურა.

2015 წელს თურქეთში დაახლოებით 26851 ვებ-გვერდი დაიბლოკა. სატელეკომუნიკაციო კავშირგაბმულობის მმართველობამ (TIB) ამ საიტებზე წვდომა აკრძალა. დაბლოკილი საინფორმაციო სააგენტოებისა და გაზეთების ვებ-გვერდების რაოდენობამ განსაკუთრებით 2015 წლის ივნისის შემდეგ მოიმატა.

ანგარიშის მიხედვით, გასულ წელს თურქეთში ერთი წიგნი და ერთი ჟურნალი აიკრძალა, დაიხურა ერთი რადიო, აიკრძალა ერთი საგაზეთო სტატია, ხოლო ოცდაცხრამეტი გაზეთი გაკეთებული განცხადების გამო დაჯარიმდა. თვრამეტი წიგნის შესახებ სარჩელი იქნა შეტანილი სასამართლოში. ორ გაზეთსა და ორ ტელევიზიას კი ჯერ მმართველები შეუცვალეს, შემდეგ კი მაუწყებლობა შეუწყდათ (ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ, გაზეთ „Zaman“-ის, გაზეთ „Today's Zaman“-ის, საინფორმაციო სააგენტო „Cihan“-ისა და ჟურნალ აქსიონის (Aksiyon) მმართველობა ხელისუფლებამ უკანონოდ აიღო თავის თავზე) რვა სატელევიზიო არხს და ექვს რადიოს სატელიტური მაუწყებლობა.

გაზეთ „ზამანის“ მმართველობის ჩაბარებასთან დაკავშირებით გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა თურქეთს ადამიანის უფლებათა მოვალეობებთან მიმართებით იმ დოკუმენტის შესაბამისად მოქმედებისკენ მოუწოდა, რომელზეც თვითონაც ხელი აქვს მოწერილი.

გენერალურმა მდივანმა განცხადებაში აღნიშნა: „თურქეთის ოფიციალურ პირებს, თურქეთის ადამიანის უფლებათა ვალდებულებების შესაბამისად, აზრის გამოხატვის თავისუფლებისა და მომიტინგეების მიმართ პატივისცემისკენ მოვუწოდებ.“

პან გი მუნის მიერ გაკეთებულ განცხადებაში, სადაც ის პირდაპირ თურქეთის ხელისუფლებას მიმართავს, აღნიშნულია, რომ „დემოკრატიული, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის განვითარება იმაზეა დამოკიდებული, თუ იდეების და აზრის გამოხატვა რამდენად მშვიდ გარემოშია შესაძლებელი, თუნდაც ეს კრიტიკული იყოს“.

გაზეთებისა და ახალი ამბების მსოფლიო ასოციაციამ (WAN-IFRA - პრეზიდენტი ტომას ბრუნეგარდი), რომელშიც 120 ქვეყნის 18 ათასი გაზეთი და ტელევიზია, 15 ათასი საინფორმაციო საიტი და 3 ათასი მედია კომპანიაა გაერთიანებული, პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანს წერილით მიმართა, რომ თურქეთის მთავრობამ გაზეთ „ზამანის" დარბევით საერთაშორისო კონვენციები დაარღვია.

პრეზიდენტის სასახლეში გაგზავნილ წერილში ნათქვამი იყო, რომ: „გაზეთ „ზამანის" პოლიტიკური მიზნებისთვის ხელში ჩაგდება საერთაშორისო კონვენციებთან ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის დეკლარაციით აზრის გამოხატვის თავისუფლების აშკარა დარღვევაა. ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის მე-19 მუხლში წერია: „ყველას აზრის გამოხატვის თავისუფლება აქვს. ამ უფლების გათვალისწინებით ხელი არ უნდა ეშლებოდეს, ქვეყნის საზღვრების მიუხედავად, ინფორმაციის ნებისმიერი გზით მოძიებას, მიღებას და გავრცელებას. გაზეთი „ზამანი" დაუყონებლივ ყოფილ მფლობელებს დაუბრუნდეს და გაზეთის მმართველობამ სარედაქციო პოლიტიკის ჟურნალისტების მხრიდან განსაზღვრას პატივი სცენ".

დღესდღეობით თურქეთში 30-ზე მეტი ჟურნალისტი ისევ ციხეშია.

15 ივლისის საღამოს მსოფლიო მედიის ყურადღება თურქეთში განვითარებულმა მოვლენებმა მიიპყრო. ხელისუფლების დამხობის მიზნით ქვეყნის რამდენიმე ადგილზე შეიარაღებული დაჯგუფების თავდასხმას 300-მდე ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

პარასკევს საღამოს ანკარასა და სტამბოლში ტანკები გამოჩნდნენ, რომლებმაც თურქეთის პარლამენტის შენობასა და პრეზიდენტის სასახლეს ცეცხლი გაუხსნეს. თვითმფრინავებმა დედაქალაქში მდებარე ეროვნულ სადაზვერვო შტაბს ქვემეხები დაუშინეს.

სამხედროებმა კი ბოსფორის ხიდი გადაკეტეს, რომელიც სტამბოლის აზიურ და ევროპულ ნაწილებს აკავშირებს ერთმანეთთან. ისინი ამბობდნენ, რომ ქვეყნის დემოკრატიის დასაცავად მოქმედებდნენ და ხელისუფლების დამხობა სურდათ. დაზვერვის ეროვნულმა სამსახურმა განაცხადა, რომ ხელისუფლების ქმედებების შედეგად, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა წარუმატებლად დასრულდა, თუმცა სოციალურ ქსელში ვრცელდებოდა ვიდეოები, რომლებშიც ჩანდა, რომ დაპირისპირება მეამბოხე სამხედროებსა და ქუჩაში გამოსულ მოქალაქეებს შორის მაინც გრძელდებოდა. თავის მხრივ, სამხედრო დაჯგუფება გადატრიალებას წარმატებულად აფასებდა.

15 ივლისს ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამბოხების ღამეს, როდესაც პრეზიდენტი ერდოღანი შვებულებიდან სტამბოლში ბრუნდებოდა, მეამბოხეების ორ გამანადგურებელს მისი თვითმფრინავი მიზანში ჰყავდა ამოღებული, თუმცა გაურკვეველი მიზეზების გამო, თავდასხმა არ განხორციელდა და ის სტამბოლში მშვიდობით ჩავიდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ერდოღანმა ასევე განმარტა, რომ მარმარისში, სასტუმროში, სადაც ის ამბოხების ღამეს, სტამბოლში ჩაფრენამდე იმყოფებოდა, მისი წამოსვლის შემდეგ შეიარაღებული თავდასხმა განხორციელდა. პრეზიდენტის განცხადებით, მან თავდასხმას „სულ რამდენიმე წუთით გამოასწრო".

ამბოხების ღამეს, ზემოაღნიშნულ მოვლენებს პროსახელისუფლებო ტელეარხი CNN Turk პირდაპირი ეთერით გადასცემდა. ქვეყნის პრეზიდენტმა, რეჯეფ თაიფ ერდოღანმა კი არხის სტუდიიდან, acetime-ის მეშვეობით, მოსახლეობას მოუწოდა, მისი და თურქეთის დემოკრატიის მხარდასაჭერად და თავდამსხმელების წინააღმდეგ, ქუჩაში გამოსულიყვნენ.

რამდენიმე საათის შემდეგ თურქული მედია, მათ შორის CNN Turk-იც, იძულებული გახდნენ მაუწყებლობა შეეწყვიტათ. არხი მას შემდეგ გაითიშა, რაც სტუდიაში სამხედროები შეიჭრნენ. ამასთან, სრულად შეწყდა წვდომა Twitter-სა da YouTube-ზეც.

მას შემდეგ, რაც ხელისუფლების დამხობის მცდელობა წარუმატებლად დასრულდა, 16 ივლისის ღამეს, სტამბულში, ტაქსიმის მოედანზე, პრეზიდენტის მხარდასაჭერად და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის მარცხით დასრულების აღსანიშნავად ათასობით ადამიანი ქუჩაში გამოვიდა, რის შემდეგაც მათ სიტყვით ერდოღანმა მიმართა და გამარჯვება მიულოცა.

ბოლო მონაცემებით, გარდაცვლილია სულ ცოტა 300 ადამიანი, საიდანაც 161-ზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე ან პოლიციელია, დანარჩენი კი გადატრიალებაში მონაწილე პირი. მთლიანობაში დაშავდა ათასზე მეტი მოქალაქე.

გადატრიალების მცდელობაში ბრალდებული 150 ათასი პირი დაკავებულია, მათ შორის არიან მოსამართლეები და მაღალი თანამდებობის სამხედრო პირები. მათ რიცხვში შედის ავიაბაზა ინჯირლიკის მეთაური, ასევე პრეზიდენტის თანაშემწე სამხედრო საკითხებში, ალბაი ალიც. გარდა ამისა, თანამდებობა დაატოვებინეს 2 745 მოსამართლესა და 8 ათას პოლიციელს. დაკავებულთა შორის არიან: თურქეთის მესამე არმიის ხელმძღვანელი - გენერალი ერდალ ოზთურკი, მეორე არმიის ხელმძღვანელი - გენერალი ადემ ჰუდუტი, საჰაერო თავდაცვის ყოფილი უფროსი - აკინ ოზთურქი, ერთ-ერთი მთავარი მოსამართლე - არფარლსან ალთანი.

გადატრიალების მცდელობის შემდეგ თურქეთის სამართალდამცველებმა 37 500 საჯარო მოხელე და პოლიციის ოფიცერი დაითხოვეს სამსახურიდან, 21 000 მასწავლებელს შეუჩერეს ლიცენზია.

აშშ-ის საავიაციო ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ყველა ავიარეისი აშშ-სა და თურქეთის აეროპორტებს შორის აიკრძალა. აღნიშნული მოიცავს თურქეთიდან და მისი მიმართულებით მოძრავ კომერციულ და კერძო საჰაერო ხომალდებს, ასევე ტრანზიტულ ავიარეისებს მესამე ქვეყნის გავლით, თურქეთიდან ამერიკის მიმართულებით.

16 ივლისს ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სირიის საზღვართან მდებარე ინჯირლიკის ავიაბაზა, რომლიდანაც აშშ-ის ხელმძღვანე- ლო-

ბით მოქმედი საერთაშორისო კოალიცია ISIS-ის წინააღმდეგ იბრძოდა, თურქეთმა დახურა. თუმცა, მოგვიანებით ბაზა გაიხსნა და კოალიციამ თურქეთის ბაზებიდან საჰაერო ოპერაციები განაახლა.

თურქეთის პრეზიდენტმა მომხდარიდან სულ მალე ხელი გაიშვირა აშშ-ში, პენსილვანიაში მცხოვრები ფეთჰულაჰ გიულენისკენ, რომელიც თურქეთს ხელისუფლების გადატრიალების მცდელობაში აქამდეც არაერთხელ დაუდანაშაულებია.

თურქეთში 2016 წლის ივლისში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ოფიციალური ანკარა ყოფილ იმამს, ფეჰულაჰ გიულენს ადანაშაულებს, თუმცა პენსილვანიაში მცხოვრები რელიგიური ლიდერი აჯანყებასთან რაიმე სახის კავშირს კატეგორიულად უარყოფს.

„ის პირები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში, უნდა იყვნენ დასჯილნი კანონის მთელი სიმკაცრით. მე ვემხრობი საერთაშორისო კომისიის შექმნას, რომლის გადაწყვეტილებასაც სრულად გავიზიარებ და დავეთანხმები. მე ვთავაზობ თურქეთის ამჟამინდელ ხელისუფლებას თანამშრომლობას პროცესის ობიექტურად გამოძიებაში. მე მოვითხოვ შეიქმნას საერთაშორისო კომისია, რომელიც ობიექტურად გამოიძიებს სახელმწიფო გადატრიალების ყველა დეტალს. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ჩემდამი წაყენებული ბრალდებების მეათედიც დამტკიცდება, მე მზად ვარ დავბრუნდე თურქეთში და პასუხი ვაგო კანონის სრული სიმკაცრით“-აღნიშნავს გიულენი.

გიულენი დასძენს, რომ ,,ერდოღანი, რომელიც 2013 წლის მაისში ჩემთან შესაძლებელ შეხვედრას აფასებდა როგორც **„ციდან მოვლენილ დიდ წყალობას“,** კორუფციის სკანდალის შემდეგ კი ჩვენ მიმართ ისეთ ტერმინებს იყენებდა, როგორიცაა: „სისხლისმსმელი ვამპირები“, „ვირუსები, კიბოს უჯრედები“ და სხვა.

გულენსა და ერდოღანს შორის პაექრობა ამ ეტაპზე არმიასა და პოლიციაში გიულენის მომხრეების წმენდით დასრულდა – იმ ასი ათასობით ადამიანების გათავისუფლებით, რომლებიც მთავრობამ გიულენის მხარდამჭერებად მიიჩნია.

თურქეთის პრეზიდენტმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, ბარაკ ობამას მოუწოდა, დააკავოს ფეთჰულაჰ გიულენი, რომელსაც თურქეთის ხელისუფლება ბრალს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის მოწყობაში სდებს, ან დათანხმდეს მის ექსტრადირებას თურქეთში.

2016 წლის 15 ივლისს თურქეთში მომხდარ მოვლენებს გამოეხმაურა თეთრი სახლი, რომლის გავრცელებული ინფორმაციით, აშშ-ის პრეზიდენტი, ბარაკ ობამა და სახელმწიფო მდივანი, ჯონ კერი შეთანხმდნენ, რომ თურქეთში ყველა პარტიამ მხარი უნდა დაუჭიროს დემოკრატიულად არჩეულ მთავრობას, რათა თავიდან აიცილონ ძალადობა და სისხლის ღვრა. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ მისი ქვეყნის სახელმწიფო დეპარტამენტი გააგრძელებს ყურადღების გამახვილებას ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებზე, რომლებიც თურქეთში იმყოფებიან.

ბექირ ერჯან ვანი

თურქეთში სამხედრო გადატრიალებაში მონაწილეობის ბრალდებით სხვებთან ერთად დაკავებულია გენერალი ბექირ ერჯან ვანიც, რომელიც თურქეთში, ნატოს ავიაბაზა **„ინჯირლიკს“** მეთაურობდა. აღნიშნულ ავიაბაზას აშშ და მოკავშირეები სირიასა და ერაყში საავიაციო დარტყმების განსახორციელებლად იყენებდნენ.

„ინჯირლიკის“ ბაზის ბლოკირებამ ვაშინგტონში დიდ უკმაყოფილება და წინააღმდეგობა გამოიწვია. ამ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა შეერთებული შტატების სახელმწი-

ფო მდივნის მოადგილის და აზერბაიჯანში აშშ-ის ყოფილი ელ-ჩის მეთიუ ბრაიზას „ამერიკის ხმისთვის“ მიცემული ინტერვიუ, რომელშიც მან განაცხადა, რომ „**შეერთებული შტატები სრულ თანადგომას უცხადებს თურქეთის დემოკრატიულად არჩეულ სამოქალაქო მთავრობას“,** - ასეთი იყო თეთრი სახლის პირველი რეაქცია თურქეთში მიმდინარე მოვლენებზე.

რ.თ. ერდოღანი და დ.ტრამპი

ამბოხების ცდის შემდეგ, თურქეთის მთავრობა გიულენის ექსტრადიციას ითხოვს, პრეზიდენტმა ერდოღანმა გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამი იყო, რომ ნებისმიერი ქვეყანა, რომელიც გიულენის პასუხისგებაში მიცემას არ დაეხმარება, თურქეთის მტერია. თუ ბერკეტების მსგავსი ბრძოლა გაგრძელდა, თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობებზე ძალიან პესიმისტური მოლოდინები გაჩნდება. **სულ ცოტა ხნის წინ, ნატო-ს სამიტზე განიხილავდნენ, როგორ დაეცვათ თურქეთი მეხუთე მუხლით - ,,ისლამური სახელმწიფოსგან", დღეს კი „ინჯირლიკის“ ბაზით ნატო-ს წევრი თურქეთი, სამხედრო ოპერაციებს უზღუდავს ნატო-ს ქვეყნებს შეერთებული შტატების ჩათვლით.**

აშშ თურქული მხარისთვის ფეთჰულა გიულენის გადაცემას არ აპირებს. ჟურნალი ,,The Wall Street“-ი წერს, რომ ოფიციალურმა ანკარამ ვერ წარადგინა საკმარისი მტკიცებულებები სამხედრო გადატრიალების მცდელობის ორგანიზებასთან გიულენის კავშირის შესახებ და შესაბამისად, ვერ დაარწმუნა ამერიკული მხარე გიულენის ექსტრადირებაში. აშშ-ის ახალი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი აცხადებს, რომ თურქეთის ლიდერს კანონის უზენაესობისა და დასავლური სამართლიანობის სტანდარტების დაცვა მოუწევდა. New York Times-თან ინტერ-

ვიუში თურქეთში მიმდინარე მოვლენებზე საუბრისას მან აღნიშნა, რომ აფასებს ერდოღანის ქმედებებს: „მე დიდად ვაფასებ ერდოღანის ქმედებებს, მან შეძლო და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა შეაჩერა. ზოგი ამბობს, რომ ეს დადგმული იყო, თუმცა, მე ასე არ ვფიქრობ", – აღნიშნა ტრამპმა.

ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა, თურქეთთან მიმართებით, განაცხადა, რომ „თურქეთის პრეზიდენტ რეჯეფ ტაიფ ერდოღანთან ერთად ხელმეორედ უნდა განვაახლოთ მუშაობა. თურქეთი ჩვენი უძველესი ნატოს წევრი ქვეყანაა. რეგიონში აშშ-ის ნაკლებად აქტიურობამ თურქეთი აიძულა, რომ რუსეთისკენ მიბრუნებულიყო. რუსეთი თურქეთის მუდმივი პარტნიორი არ არის და მათ უნდა დავუმტკიცოთ, რომ თურქეთის ერთადერთი მოკავშირე ამერიკაა". რუსეთთან შედარებით აშშ-ს აქვს რეგიონზე ყველაზე დიდი სამხედრო-სტრატეგიული წვდომა.

2017 წლის 16 მაისს, თეთრ სახლში თურქეთის პრეზიდენტის რ. თ. ერდოღანის და აშშ-ის პრეზიდენტის დ. ტრამპის შეხვედრა შედგა, სადაც აშშ-ის პრეზიდენტმა მიანიშნა: **„ჩვენ ყოველთვის კარგი ურთიერთობა გვქონდა თურქეთთან და ვაპირებთ, რომ მომავალშიც ასე განვაგრძოთ".**

საბოლოო ჯამში, ერდოღანის მთავრობა აღმოჩნდა ვითარებაში, როდესაც, ერთი მხრივ, რუსეთთან ურთიერთობების დაძაბვამ მნიშვნელოვანი დივიდენდები ვერცერთი მიმართულებით ვერ მოუტანა, მეორე მხრივ კი, დასავლეთთან დაპირისპირებაც პიკს აღწევდა.

თურქულ საზოგადოებაში ძალზე მაღალია ანტიდასავლური განწყობები, რაც ბუნებრივად აისახება პოლიტიკოსთა ნარატივზეც. ანტიდასავლური განწყობების მაღალ მაჩვენებელს ადასტურებს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვაც.

CAP-ის (Center for American Progress) მიერ 2017 წლის ნოემბერში ჩატარებული კვლევის მიხედვით, თურქეთის მოსახლეობის 83 % უარყოფითადაა განწყობილი აშშ-ს მიმართ.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ, თურქეთისათვის ანტიამერიკული განწყობები გრძელვადიანი პროცესია და მოკლე დროში შეუძლებელი იქნება მისი შეცვლა.

თურქულ - ამერიკულ ურთიერთოებებში ორივე მხრიდან იმატა უნდობლობამ და გაურკვევლობამ.

თურქეთში მანამდეც არსებული ეკონომოკური პრობლემები კიდევ უფრო გაღრმავდა. მაგალითად, 2018 წლის აგვისტოს თვეში წლიური ინფლაციის დონემ 17,9%-ს მიაღწია, რაც ბოლო 15 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო. შედეგად, აგვისტოსა და სექტემბერში თურქეთში ფასებმა თითქმის ყველა პროდუქტსა და სერვისზე მოიმატა. მოსალოდნელი იყო, რომ ინფლაცია მომავალშიც არაერთ პრობლემას შეუქმნიდა თურქეთის ეკონომიკას.

თურქული ლირის დევალვაციის გამო იმატა თურქეთის საგარეო ვალმა ლირებში, საიდანაც 453 მლრდ. აშშ დოლარი სახელმწიფო, ხოლო 245 მლრდ. კი კერძო სექტორზე მოდის.

იმატა ინვესტიციების გადინების პროცესმა თურქეთიდან, რასაც მოჰყვა სამუშაო ადგილების შემცირება. ინვესტორებმა თურქეთში დაიწყეს არსებული ქონების გაყიდვა ლირებში, რითაც შეიძინეს ამერიკული დოლარი და დაიწყეს უცხოეთში მისი გატანა. ამით გაიზარდა მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე, რამაც ქვეყანაში ვალუტის კურსის ზრდა გამოიწვია.

თუ სანქციების შემოღებამდე 1 აშშ დოლარი 4,79 ლირა ღირდა, ა.წ. 13 აგვისტოს 1 აშშ დოლარის ფასი 6,95 ლირა გახდა, ანუ თურქული ლირა დაახლოებით 45%-ით გაუფასურდა.

საქმეს კიდევ უფრო ართულებს ახალი, უფრო მკაცრი ამერიკული სანქციების დაწესების ალბათობა, რის შესახებაც

ვაშინგტონმა უკვე გააფრთხილა ანკარა.

2018 წლის 24 ივნისს თურქეთში გაიმართა ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, სადაც კიდევ ერთხელ მოიპოვა დამაჯერებელი გამარჯვება პრეზიდენტმა რ. თ. ერდოღანმა.

2018 წლის 9 ივლისს ჩატარებული პრეზიდენტის ინაგურაციის შემდეგ თურქეთში ძალაში შევიდა 2017 წლის 16 აპრილს რეფერენდუმის შედეგად მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები (სულ 18 მუხლი), რაც ითვალისწინებდა საპარლამენტო მმართველობიდან საპრეზიდენტო, ერთმართველობით სისტემაზე გადასვლას.

თურქეთის მომავალი მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიის კულტურის კიდევ უფრო გაღრმავებასა და ხელისუფლების მიერ ხალხისადმი ანგარიშვალდებულების პრინციპებზე გადის. არც სამხედრო გადატრიალება და არც ავტორიტარული პოლიტიკური მმართველობა არ არის ის ხაზი, რომელსაც უნდა გაჰყვეს რესპუბლიკური თურქეთი.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ თურქეთის საზოგადოების ევროპიზებული ნაწილი საკმაოდ მრავალრიცხოვანია, ის უკვე მეტად გააქტიურებულია პოლიტიკურად და სეკულარიზმის პრინციპებს იოლად არ დათმობს. ამავე დროს, შეიმჩნევა, რომ თურქული საზოგადოების დასავლური მენტალიტეტის მატარებელი ნაწილი და, განსაკუთრებით, ახალგაზრდობა, თავისი მსოფლმხედველობით და მოთხოვნებით უკვე ათათურქისეულ სეკულარიზმზეც ამაღლდა და იკავებს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მაღალი ევროპული სტანდარტების პოზიციებს. რაც შეეხება პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანს, მართალია, ის რჩება ძლიერ პოლიტიკურ ფიგურად, მაგრამ არ არის გამორიცხული, თურქეთში განვითარებულმა ბოლოდროინდელმა კრიზისმა გარკვეული ხნის შემდეგ მის პოლიტიკურ კარიერას წერტილი დაუსვას.

საკონტროლო კითხვები:

1) დაახასიათეთ თურქეთის საშინაო პოლიტიკური მდგომარეობა 2000-2018 წლებში;
2) ახსენით, რა ადგილს იკავებს რ. თ. ერდოღანი და ისლამური სამართლიანობისა და განვითარების პარტია ქვეყნის ცხოვრებაში;
3) რით არის გამოწვრული საკონსტიტუციო ცვლილებები თანამედროვე თურქეთში?;
4) ისაუბრეთ, სამხედროების როლზე თანამედროვე თურქეთში;
5) დაახასიათეთ რ. თ. ერდოღანისა და ფ. გიულენის პოლიტიკური მოღვაწეობა და მათი ადგილი თანამედროვე თურქეთის საშინაო ცხოვრებაში.

პრაქტიკული დავალება:

1) გააანალიზეთ XXI საუკუნის 10-იანი წლების თურქეთის საშინაო პოლიტიკის ძირითადი საკითხები.

გამოყენებული ლიტერატურა და ვებგვერდები:

1. ადეიშვილი კ., თურქეთის პოლიტიკური პარტიები ხელისუფლებისათვის ბრძოლაში, აღმოსავლეთმცოდნეობა, თსუ შრომები, №341, თბილისი, 2002.
2. ალასანია გ., სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობა თურქეთის რესპუბლიკაში, აღმოსავლეთმცოდნეობა, N4, თბილისი, 2015.
3. ბოკუჩავა თ., თურქული დემოკრატია და თანამედროვე გამოწვევები, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, N8, თბილისი, 2014.
4. კომახია მ., პოლიტიკური ისლამი თურქეთში, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი, №47, თებერვალი 2001.
5. ლებანიძე ტ., თურქეთის პოლიტიკური პარტიების ისტორიული მიმოხილვა, თბილისი, 2011.
6. სვანიძე მ., თურქეთის ისტორია, თბილისი, 2007.

7. მაკარაძე ე., თურქეთის საშინაო პოლიტიკა 1980–2011 წლებში, თბილისი, 2012.
8. მაკარაძე ე., თურქეთის საშინაო პოლიტიკა 2000–2015 წლებში, თბილისი, 2016.
9. მანჩხაშვილი მ., თურქეთი XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დამდეგს, თბილისი, 2014.
10. მანჩხაშვილი მ., მაკარაძე ე., ქემალიზმი და დემოკრატიზაცია თურქეთში, თბილისი, 2014.
11. სანიკიძე გ., ალასანია გ, გელოვანი ნ, ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობა სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.- XXI ს.- ის დასაწყისი), თბილისი, 2011.
12. თურქეთში მმართველი პარტია პარლამენტში უმრავლესობას იბრუნებს. ჟ., ,,ტაბულა,” 1 ნოემბერი, 2015.
13. Киреев Н.Г., История Турции XX века. Москва, 2007.
14. Деловая Турция, Т. XV-XVI. Москва, 2009.
15. Шувалова Н.Б., Турция XX век (сборник обзоров). Москва, 2002.
16. Егоров В.К., Турецкие исламисты во власти. Ислам и общественное раэвитие в начале XXI века. Москва, ИВ РАН, 2005.
17. Aydinli Ersel 2011. Ergenekon. New pacts and the Decline of the Turkish ,,Inner State’’. Turkish Studies, 2012(2).
18. Binali Yıldırım, Vikipedi, özgür ansiklopedi, www.tr.wikipedia.org. 2016.
19. Yayin organi: Zaman Gazetesi, 11.11.2014; 16.01.2015; 17.01.2015; 18.01.2015.
20. Volkan S. Siyasal İslam ve AKP, Ankara, 2002.
21. Türkiye Tarihi, № 5, Bugünkü Türkiye(1980-2003), Istanbul, 2005.
22. Zürcher E. J., Turkey: a modern history. 2004
23. www.turkishdailynews.com.tr
24. www.Türkiye Büyük Millet Meclisi. org.tr
25. www.iimes.ru.

26. www.akparti.org.tr
27. www.chp.org.tr
28. www.mhp.org.tr
29. www.anap.org.tr
30. www.dp.org.tr
31. www.bbp.org.tr

ქრონოლოგია

- 1918 წლის 30 ოქტომბერი - მუდროსის ყურეში ინგლისის სამხედრო გემ ,,აგამემნონზე" ოსმალეთის დელეგაციამ ხელი მოაწერა ანტანტის სახელმწიფოების წინაშე კაპიტულაციის აქტს.
- 1919 წლის 19 მაისი - მუსტაფა ქემალ ათათურქმა ქალაქ სამსუნიდან დაიწყო თურქეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.
- 1919 წლის 20 ივნისი - ამასიის საიდუმლო თათბირი.
- 1919 წლის 23 ივლისი - 7 აგვისტო - ერზრუმში ჩატარდა აღმოსავლეთის ვილაეთების კონგრესი.
- 1919 წლის 4 -12 სექტემბერი – სივასში ჩატარდა კონგრესი.
- 1920 წლის 23 აპრილი - ანკარაში გაიხსნა თურქეთის დიდი ეროვნული კრება.
- 1920 წლის 7 ივლისი - თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ გააუქმა ყველა ხელშეკრულება, კონვენცია და ყველა სხვა სახის აქტი, სულთნის მთავრობას დადებული რომ ჰქონდა უცხოეთის სახელმწიფოებთან.
- 1920 წლის 10 აგვისტო - სევრში დაიდო საზავო ხელშეკრულება.
- 1921 წლის 16 მარტი - რუსეთსა და თურქეთს შორის მოსკოვში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას „მეგობრობისა და ძმობის შესახებ."
- 1921 წლის 13 ოქტომბერი - ყარსში ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და თურქეთს შორის დაიდო ხელშეკრულება ,,მეგობრობისა და ძმობის შესახებ."
- 1921 წლის 10 იანვარი - თურქებსა და ბერძნებს შორის სოფელ ინენუსთან ერთ-ერთი გადამწყვეტი ბრძოლა.
- 1921 წლის 23 აგვისტო - მდინარე საქარიას მარცხენა სანაპიროზე გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა საბერძნეთისა და თურქეთის ჯარებს შორის, რომელიც 22 დღე გაგრძელდა და თურქების გამარჯვებით დასრულდა.
- 1922 წლის 11 ოქტომბერი - მუდანიაში ხელი მოეწერა დროებით ზავს.

- 1922 წლის 20 ნოემბერი – გაიხსნა ლოზანას კონფერენცია.
- 1923 წლის 23 აპრილ - გაიხსნა ლოზანას კონფერენციის II ეტაპი.
- 1922 წლის I ნოემბერი - უკანასკნელი სულთანი მეჰმედ VI ვაჰიდედინი საბოლოოდ ჩამოაშორეს ქვეყნის მართვას.
- 1922 წლის 18 ნოემბერი - უფლისწული აბდულ მეჯიდი აირჩიეს ყველა მუსლიმთა ხალიფად.
- 1923 წლის 29 ოქტომბერი - თურქეთი გამოცხადდა რესპუბლიკად, ხოლო 15 წუთის შემდეგ მუსტაფა ქემალი აირჩიეს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად.
- 1924 წლის 3 მარტი- პარლამენტმა მიიღო კანონი შარიათისა და ვაკუფების სამინისტროს გაუქმების შესახებ და მის ნაცვლად დაარსდა კულტურის სამინისტრო.
- 1924 წლის 20 აპრილი – მიიღეს თურქეთის რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია.
- 1925 წლის 26 დეკემბერი - პარლამენტმა მიიღო კანონი ევროპული წელთაღრიცხვის შემოღების შესახებ.
- 1928 წლის 1 ნოემბერი - თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ მიიღო კანონი ანბანის რეფორმის შესახებ, რომლის საფუძველზე არაბული ანბანი შეიცვალა ლათინურით.
- 1931 წლის 5 მაისი - თურქეთის პრეზიდენტად მესამეჯერ აირჩიეს მუსტაფა ქემალი, პრემიერ – მინისტრად კვლავ დაინიშნა ისმეთ ინონუ.
- 1932 წლის 23 იანვარი - თურქეთსა და ირანს შორის დაიდო სასაზღვრო ხელშეკრულება.
- 1932 წელს თურქეთი მიიღეს ერთა ლიგის წევრად.
- 1936 წლის 22 ივნისი - მონტრიოში (შვეიცარია) გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია შავი ზღვის სრუტეების ახალი კონვენციის შემუშავების საკითხზე.
- 1937 წლის 10 აპრილი - ანკარაში დაიდო თურქეთსა და ეგვიპტეს შორის მეგობრობის ხელშეკრულება.
- 1937 წლის 8 ივლისი – საად-აბადში, რეზა შაჰის სასახლეში, ხელი მოეწერა „ოთხთა პაქტს" (თურქეთი, ირანი, ავღანეთი

და ირანი), რომელიც ცნობილია საად-აბადის პაქტის სახელწოდებით.

- 1938 წლის 10 ნოემბერი - გარდაიცვალა მუსტაფა ქემალ ათათურქი.
- 1938 წლის 11 ნოემბერი - თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს ისმეთ ინონუ.
- 1939 წლის აპრილი - ანკარაში ჩავიდა გერმანიის ელჩი ფონ პაპენი.
- 1939 წლის 12 მაისი - ინგლისმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლითაც ხმელთაშუა ზღვის რეგიონში ომის შემთხვევაში ისინი აქტიურად ითანამშრომლებდნენ და აღმოუჩენდნენ ერთმანეთს ყოველგვარ დახმარებას.
- 1941 წლის 18 ივნისი - თურქეთსა და გერმანია შორის დაიდო ხელშეკრულება – ,,მეგობრობისა და თავდაუსხმელობის შესახებ".
- 1943 წლის 28 ნოემბერი -1 დეკემბერი - თეირანში ჩატარდა სამი დიდი სახელმწიფოს მეთაურის შეხვედრა, სადაც მიიღეს მნიშვნელოვანი დადგენილება დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის შესახებ, ამავე დროს გადაწყვიტეს წინადადებით მიემართად თურქეთისათვის ჩაბმულიყო ომში არაუგვიანეს 1944 წლის 15 თებერვლისა.
- 1945 წლის 23 თებერვალი - თურქეთის მთავრობამ ფორმალურად გამოუცხადა ომი გერმანიასა და იაპონიას.
- 1946 წლის 7 იანვარი - ჯელალ ბაიარმა დააარსა თურქეთის დემოკრატიული პარტია.
- 1946 წლის 5 აგვისტო- მეჯლისმა თურქეთის პრეზიდენტად კვლავ აირჩია ისმეთ ინონუ.
- 1947 წლის 12 მარტი - აშშ-ის პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა სპეციალური მიმართვა გაუგზავნა კონგრესს, რომლითაც თხოვდა მას, თურქეთისა და საბერძნეთისათვის დახმარების გასაწევად გამოეყო 400 მილიონი დოლარი.
- 1952 წლის 18 თებერვალი - თურქეთის მეჯლისის მიერ ნატოში შესვლის ხელშეკრულების რატიფიცირება.

- 1960 წლის 27 მაისი - თურქეთში მოხდა პირველი სამხედრო გადატრიალება.
- 1961 წლის 27 მაისი - დამფუძნებელმა კრებამ მოიწონა კონ-სტიტუციის პროექტი, რომელიც ძალაში შევიდა იმავე წლის 9 ივლისს რეფერენდუმის გზით.
- 1961 წლის 26 ოქტომბერი - თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ ჯემალ გიურსელი აირჩია რესპუბლიკის პრეზიდენ-ტად.
- 1964 წლის 22 ივლისი - თურქეთის მთავრობამ, კვიპროსის თურქული მოსახლეობის დაცვის მიზნით, ჯარის ნაწილები გადასხა კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში.
- 1971 წლის 12 მარტი – თურქეთში მოხდა სამხედრო გადატ-რიალება.
- 1980 წლის 24 იანვარი - თურქეთმა დაამტკიცა თურგუთ ოზალის მიერ მომზადებული, საბაზრო ეკონომიკის პრინ-ციპებზე დამყარებული, ,,ეკონომიკური მოდერნიზაციის პროგრამა,'' რომელმაც რამდენიმე წელში საოცრად შეცვა-ლა თურქი საზოგადოების გარეგანი სახე. სწორედ ამის რე-ალიზაციის გამო უწოდეს თურგუთ ოზალს ე. წ. ,,გარდაქ-მნების მამა.''
- 1980 წლის 12 სექტემბერი - თურქეთში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება.
- 1982 წლის 7 ნოემბერი - სახალხო რეფერენდუმზე დამტკიცდა ახალი კონსტიტუცია.
- 1982 წლის 9 ნოემბერი - თურქეთის რესპუბლიკის პრეზი-დენტი გახდა ქენან ევრენი.
- 1989 წლის 9 ნოემბერი - თურქეთის რესპუბლიკის პრეზი-დენტი გახდა თურგუთ ოზალი.
- 1993 წლის 17 აპრილი - თურქეთის რესპუბლიკის პრეზი-დენტი გახდა სულეიმან დემირელი.
- 1996 წლის 29 ივნისი - „ჭეშმარიტი გზის“ და „კეთილდღეო-ბის“ პარტიის მოლაპარაკების შედეგად შეიქმნა ე. წ. „რეფა-ჰიოლის“ კოალიციური მთავრობა.

- 1997 წლის 18 ივნისი - ს. დემირელის გადაწყვეტილებით ისლამისტი პრემიერი ნეჯმეთთინ ერბაქანი გადააყენეს დაკავებული თანამდებობიდან.
- 1998 წლის 16 იანვარი - თურქეთის საკონსტიტუციო სასამართლომ აკრძალა ისლამური „კეთილდღეობის“ პარტია, ხოლო პარტიის თავმჯდომარეს, ნეჯმეთთინ ერბაქანს, ხუთი წლით აეკრძალა პოლიტიკური მოღვაწეობა.
- 2000 წლის 16 მაისი - აჰმეთ ნეჯდეთ სეზერი აირჩიეს თურქეთის რესპუბლიკის მე -10 პრეზიდენტად.
- 2001 წლის 22 ივნისი - დაიშალა ისლამური ,,სათნოების'' პარტია.
- 2001 წლის ივლის-აგვისტო - თურქეთში ჩამოყალიბდა ისლამური ორიენტაციის - ,,ბედნიერების'' და ,,სამართლიანობისა და განვითარების'' პარტიები.
- 2002 წლის 22 ივლისი - შეიქმნა ,,ახალი თურქეთის'' პარტია.
- 2002 წლის 3 ნოემბერი - თურქეთში ჩატარდა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები.
- 2002 წლის 18 ნოემბერი - თურქეთის პრემიერ-მინისტრი გახდა აბდულა გული.
- 2003 წლის 14 მარტი - თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი გახდა რეჯეფ თაიფ ერდოღანი.
- 2007 წლის 22 ივლისი - თურქეთში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები.
- 2007 წლის 28 აგვისტო - აბდულა გული აირჩიეს თურქეთის რესპუბლიკის მე-11 პრეზიდენტად.
- 2007 წლის 21 ოქტომბერ-თურქეთში ჩატარდა რეფერენდუმი საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ.
- 2007 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება ე. წ. ,,ერგენეკონის საქმის'' გამოძიება.
- 2009 წლის 29 მარტი - თურქეთში ჩატარდა ადგილობრივი არჩევნები.
- 2010 წლის 12 სექტემბერი - თურქეთში ჩატარდა რეფერენდუმი საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ.

- 2011 წლის 12 ივლისი - თურქეთში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები.
- 2012 წელი – ურთიერთობების დაძაბვა რ. თ. ერდოღანსა და ფ. გიულენს შორის.
- 2013 წლის 31 მაისი – გეზის პარკის ამბები.
- 2013 წელი - ფეთჰულა გიულენისა და „ჰიზმეთის“ გააქტიურება.
- 2013 წელი - თურქეთში დაპატიმრეს 40 ჟურნალისტი.
- 2014 წლის 10 აგვისტო - რეჯეფ თაიფ ერდოღანი აირჩიეს თურქეთის რესპუბლიკის მე-12 პრეზიდენტად.
- 2014 წლის 14 დეკემბერი - მედიაზე მოწყობილი რეიდის შედეგად თურქეთის მთავრობამ დააკავა 25-მდე ჟურნალისტი.
- 2015 წლის 15 აპრილი - ფეთჰულა გიულენის მშვიდობაში შეტანილი წვლილისათვის გადაეცა „Gandi-King-Ikeda" – „განდის მშვიდობის ჯილდო“.
- 2015 წლის 7 ივნისი- თურქეთში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები.
- 2015 წლის 1 ნოემბერი - თურქეთში ჩატარდა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები.
- 2016 წლის 22 მაისი - თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა სამართლიანობისა და განვითარების პარტიის თავმჯდომარეობიდან და პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გაათავისუფლა აჰმედ დავუთოღლუ.
- 2016 წლის 24 მაისი - სამართლიანობისა და განვითარების პარტიის თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი გახდა ბინალი ილდირიმი.
- 2018 წლის 24 ივნისს თურქეთში გაიმართა ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, სადაც კიდევ ერთხელ მოიპოვა დამაჯერებელი გამარჯვება პრეზიდენტმა რ. თ. ერდოღანმა და სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ.

ბიბლიოგრაფია

წყაროები:

1. საქართველოს რესპუბლიკისა და თურქეთის რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების ხელშეკრულება, თბილისი, 1993.
2. თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, თურქულიდან თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა გიორგი სორდიამ, თბილისი, 2000
3. Atatürkçülük (üçuncü kitap),Atatürkçü Düşünce Sistemı. İstanbul,1997.
4. Aktüel Yıllık 1996. İstanbul. 1997.
5. Armaner Neda., Atatürk – Din ve Laiklik, Atatürkçülük (ikinci kitap),İstanbul,1997.
6. Atatürk Kemal, Nutuk, c.II, İstanbul, 1973.
7. Atatürk Kemal, Nutuk, c.III , İstanbul, 1975.
8. „Atatürk'ün Söylev ve Demeçler," c.1-3,Ankara,1945-1959.
9. Türkiye Cumhuriyeti Anayasasi, Ankara, 1961.
10. Sendayi Nedin, Atatürk(urduca yayinlarda), İstanbul, 1965.
11. Ататюрк Кемаль. Избранные речи и выступления. Пер. с турецкого, редакция и вступительная статья А.Ф.Миллера. М., 1966.

სამეცნიერო ლიტერატურა

12. ადეიშვილი კ., თურქეთის პოლიტიკური პარტიები ხელი-სუფლებისათვის ბრძოლაში, აღმოსავლეთმცოდნეობა, თსუ შრომები, №341, თბილისი, 2002.
13. ალასანია გ., სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობა თურქეთის რესპუბლიკაში, აღმოსავლეთმცოდნეობა, N4, თბილისი, 2015.
14. აფხაზავა თ., ნაციონალიზმი თურქულ ისტორიოგრაფიაში. დისერტაცია, თბილისი, 2006.

15. ბატიაშვილი ზ., თურქეთის შეიარაღებული ძალები. თბილისი, 2000.
16. ბატიაშვილი ზ., ცნობარი თურქეთზე, საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი, №23, თბილისი, 1999.
17. ბატიაშვილი ზ., არმიის ადგილი და როლი თურქეთის რესპუბლიკაში (1923-2000 წლებში), თბილისი, 2003. საკანდიდატო დისერტაცია.
18. ბატიაშვილი ზ., აშშ-თურქეთის დაძაბული ურთიერთობები – საქართველოსთვის მოსალოდნელი საფრთხეები და გამოწვევები. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, თბილისი, 2018.
19. ბატიაშვილი ზ., ცვლილებები თურქეთის მმართველობის სისტემაში. ექსპერტის აზრი 107. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, თბილისი, 2018.
20. ბაქრაძე რ. საქართველოს მიღმა, ბათუმი, 2003.
21. ბელთაძე მ., იმედაშვილი აბ. ლაცისტური თურქეთი იმარჯვებს. გაზეთი – „საქართველოს რესპუბლიკა“, 92, 23.04.1997.
22. ბოკუჩავა თ., თურქული დემოკრატია და თანამედროვე გამოწვევები, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, N8, თბილისი, 2014.
23. გიგინეიშვილი ო., ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან. თბილისი, 1982.
24. გიგინეიშვილი ო., თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, თბილისი, 1963.
25. გიგინეიშვილი ო., ნაციონალიზმის ქემალისტური დებულება. მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია, თბილისი, 1983.
26. გიგინეიშვილი ო., 1960 წლის სახელმწიფო გადატრიალება თურქეთში, თბილისი, 1963.
27. დათუნაიშვილი ი., ქემალიზმის ეტატისტური პრინციპები და თურქეთის ეკონომიკური განვითარების საკითხები. მახ-

ლობელი და შუა აღმოსავლეთის ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბილისი, 1976.
28. დანგაძე ნ., თურქეთის სახალხო-რესპუბლიკური პარტია 1923-1950წ.წ. დისერტაცია, თბილისი, 2006.
29. დონაძე ვ. აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორია (ნაწილი I, 1918-1945). თბილისი, 1968.
30. თურქეთში მმართველი პარტია პარლამენტში უმრავლესობას იბრუნებს. ჟ., ,,ტაბულა,'' 1 ნოემბერი, 2015.
31. კომახია მ., პოლიტიკური ისლამი თურქეთში, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, ბიულეტენი, №47, თებერვალი 2001.
32. კომახიძე ნ., მეზობელო კარისაო. საქართველო-თურქეთის ურთიერთობების თვისობრივად ახალი ეტაპი, თბილისი, 1994.
33. ლებანიძე ტ., თურქეთის პოლიტიკური პარტიების ისტორიული მიმოხილვა, თბილისი, 2011.
34. ლებანიძე ტ., თურქეთის შიდა პოლიტიკა 1945–1980 წლებში და პოლიტიკური პარტიები, თბილისი, 2003.
35. მაკარაძე ე., თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები. ბათუმი, 2002.
36. მაკარაძე ე., მუსტაფა ქემალ ათათურქის როლი რესპუბლიკურ თურქეთში, ბათუმი, 2009.
37. მაკარაძე ე., მუსტაფა ქემალ ათათურქი და ლაიციზმი. ჟურნალი, „აღმოსავლეთი," „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი," თბილისი, 2005.
38. მაკარაძე ე., მუსტაფა ქემალ ათათურქი და ისლამი, ჟურ. „აღმოსავლეთი და კავკასია",.5. თბილისი, 2007.
39. მაკარაძე ე., თურქეთის საშინაო პოლიტიკა 1980–2011 წლებში, თბილისი, 2012.
40. მაკარაძე ე., თურქეთის საშინაო პოლიტიკა 2000–2015 წლებში, თბილისი, 2016.
41. მანჩხაშვილი მ., თურქეთი XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დამდეგს, თბილისი, 2014.

42. მანჩხაშვილი მ., მაკარაძე ე., ქემალიზმი და დემოკრატიზაცია თურქეთში, თბილისი, 2014.
43. მაჩიტიძე ელ., არმიის როლი თურქეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მე-20 საუკუნის 60-80 - იან წლებში, ორიენტალისტური ძიებანი, II, თბილისი, 1996.
44. მაჩიტიძე ელ., 1980 წლის 12 სექტემბრის სამხედრო გადატრიალება თურქეთში, ისტორიულ–პოლიტიკური ძიებანი, კრებული I, თბილისი, 1993.
45. მაჩიტიძე ელ., ისლამისტური პარტიები თანამედროვე თურქეთში, ორიენტალისტური ძიებანი, კრებული, 3-4, თბილისი, 1995.
46. მაჩიტიძე ელ., თურქეთის რესპუბლიკის ეკონომიკური ვითარება 80–იანი წლების დასაწყისში (სამხედრო რეჟიმის პერიოდში), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოპოლიტიკის კათედრის შრომები, ტ. II, თბილისი, 1999.
47. მაჩიტიძე ელ., თურგუთ ოზალის ეკონომიკური პოლიტიკა. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, ტ.V, თბილისი, 2008.
48. მენთეშაშვილი ალ., საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორია, წ. I-II, თბილისი, 2000.
49. სანიკიძე გ., ალასანია გ., გელოვანი ნ., ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობა სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.-XXI ს.-ის დასაწყისი), თბილისი, 2011.
50. სვანიძე მ., ოსმალეთის ისტორია. ტ. II., თბილისი, 2002.
51. სვანიძე მ., თურქეთის ისტორია. ტ. III., თბილისი, 2003.
52. სვანიძე მ., თურქეთის ისტორია (1299–2000), თბილისი, 2007.
53. სვანიძე მ., დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება საქართველოსა და ქემალის თურქეთის მთავრობებს შორის, ქართული დიპლომატია, წელიწდეული 7, თბილისი, 2000.
54. სორდია გ., თურქეთის ეკონომიკური მდგომარეობის საკითხები, თსუ. შრომები, 2002.
55. სურგულაძე აბ., საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობის ისტორიისათვის, ბათუმი, 1997.

56. ჩოჩიევი გ., უცხოური კაპიტალის მოზიდვის პრობლემა თანამედროვე თურქეთში (80–იანი წლები), მახლობელი აღმოსავლეთის ისტორია, თბილისი, 1989.
57. წულაძე ი., ისლამური ფუნდამენტალიზმი თანამედროვე თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. დისერტაცია, თბილისი, 1999.
58. ჯაფარიძე შ., მუსტაფა ქემალ ათათურქი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. ბათუმი, 1996.
59. Akcül, 1995 - Akcül Ahmet, „Dünyanin Değişmi ve Erbakan Dervimi, - İstanbul;
60. Akşit, 1993 - Akşit N., „Milli Tarih,“ c.II. İstanbul;
61. Aktaş, 1973 - Aktaş R. N., Atatürk'ün bağımsızlık savaşı nasıl başladı? İstanbul;
62. Bilge., 1999- Atatürk Kültür Dil ve Tarih Yüksek Kurumu. Kiş 7. Ankara;
63. Bodgener D., Ankara's pipe dreams come true. Meed, 22 April 1994.
64. Erbil Tuşalp., Şeriatı beklerken. İstanbul, 1996.
65. Türkiye Tarihi, № 4, Bugünkü Türkiye(1945-1980), Istanbul, 2004
66. Türkiye Tarihi, № 5, Bugünkü Türkiye(1980-2003), Istanbul, 2005.
67. Ozal's interview with Die, Welt. 23 August 1990.
68. Özek Ç. Devlet ve dm. Istanbul: A.U.Yoyinlari, 1982.
69. Refah partisi program!. Ankara, 1983.
70. Yaşa D. Atatürk çülüğün esaslari, Ankara, 1999.
71. 100 temel eser özetleri, nutuk, Ankara, İzmir, 2005.
72. Çavdar Tevfık., Türkiye' nin Demokrası Tarıhı. Ankara, 2003.
73. Zürcher E. J Turkey: a modern history**.** 2004.
74. Bbaskin Oran, 2010 - Editör: Bbaskin Oran, Türk Diş Politikasi, cilt II. 1980-2001, Istanbul;
75. Bbaskin Oran, 2013 - Editör: Bbaskin Oran, Türk Diş Politikasi, Kurtuluş Savaşindan Bugüne Olgular, Belgeler, Yorumlar (cilt III. 2001-2012), Bölüm Yazarlari: (Ali Dayioğlu, Baskin Oran, Funda Keskin Ata, Ilhan Uzgel, Kudret Özesay, Mitat Çelikpala, Mithat

Sancar, Mustafa Aydin, Nuri Yeşilyurt, Samim Akgönül, Sanem Baykal, Seyfettin Gürsel, Tuğrul Arat, Ünal Ünsal), Istanbul;
76. Davutoğlu, 2014 – Davutoğlu *A.,* Stratejik Derinlik, İstanbul, Ticaret Üniversitesi, Uluslararası İlişkiler Bölümü Öğretim Görevlisi liberal düşünce Yıl 19, Sayı 75;
77. Uzgel İlhan, 2001 - Uzgel İ., „ABD ve NATO'yla İlişkiler'', Baskın Oran (der.) Türk Dış Politikası, Kurtuluş Savaşından Bugüne Olgular, Belgeler, Yorumlar, Cilt II: 1980-2001, İletişim, Ankara;
78. Sönmezoğlu, 2006 - Sönmezoğlu F., II. Dünya Savşı'ndan Günümüze Türk Dış politikası, İstanbul, Der Yayınları;
79. Çağrı,2003 - Çağrı E., „,ABD'nin Orta Asya Politikası ve 11 Eylül Sonrası Yeni Açılımları";
80. Özel, Yilmaz ve Akyüz, 2011- Özel, Yilmaz ve Akyüz, Turkish – American Relations for a New Era: A Turkish Perspective,Istanbul;
81. Şuhnaz Yilmaz Özbağci, „Tütkiye ve Bati Dün Yasi", XXI. Yüzyilda Türkiye´nin Bölgesel Diş Politika Uygulamalari, Istanbul, 2011.
82. Brzezinski, 2004 – Brzezinski Z., The chois: Global Domination or Global Leadership. New York;
83. Lewis B., The Formation of the Modern Middle East, (New-York: Routledge, 1995).
84. Milton-Edwards B. and Hinchcliffe P., Conflicts in the Middle East since 1945 (London and New York: Routledge, 2004).
85. Clevelend W. L., A History of the Modern Middle East, (Boulder, CO: Westview, 2000).
86. Davutoğlu, 2012 – Davutoğlu A., Principles of Turkish Foreign Policy and Regional Political Structuring, SAM Vision Papers (No. 3, April);
87. Findley, 2010 - Findley, C. V., Turkey, Islam, Nationalism, and Modernity. Yale University Press;
88. Lewis, 2001 - Lewis, B., The Emergence of Modern Turkey. Princeton University Press;
89. Zürcher, 2004 - Zürcher, E.J., Turkey. A Modern History. London-New York : I.B. Tauris.

90. Аралов С.И. Воспоминания советского дипломата (1922-1923). М., 1960.
91. Алибеков И.В. Государственный капитализм в Турции. М., 1962.
92. Гасратян М.А. Орешкова С.Ф. Петросян Ю.А. Очерки истории Турции. М.,1983.
93. Данилов В.И. Турция 20-30-х годов: путь к демократии. Восток. 1997. №2.
94. Данилов В.И. Турция 80-х: от военного режима до «ограниченной демократии». Москва, Наука, 1991.
95. Данилов В.И. Политическая борьба в Турции. Москва, Наука, 1985.
96. Данциг Б. „Турция“ политическая география. М., 1949.
97. Деловая Турция, Т. XV-XVI Москва, 2009.
98. Иванова И.И. Ислам в политической жизни Турции (1950-1980)// Зарубежный Восток: религиозные традиции и современность. Москва, Наука, 1983.
99. Киреев Н.Г. Борьба с террором в Турции. Исламизм и экстремизм на Ближнем Востоке (сборник статей). Институт изучения Израиля и Ближнего Востока. Академия геополитики и безопасности. Москва, 2001.
100. Киреев Н.Г. История Турции XX века. Москва, 2007.
101. Киреев Н.Г. История этатизма в Турции. Москва, 1991.
102. Лавров Н.М. Турция в 1918-1939 гг. М., 1952.
103. Миллер А. Ф. Турция: актуальные проблемы новой и новейшей истории. ,Москва, 1983.
104. Новейшая история стран Азии и Африки XX век. Часть 2. Москва, 2001
105. Новейшая история стран Азии и Африки XX век. Часть 3. 1945-2000. Под . редакцией А.М.Родригеса. Москва, 2001.
106. Новейшая история Турции, Москва, 1968.
107. Розалиев Ю.Н. „Мустафа Кемаль Ататюрк“, Очерки жизни и деятельности. Стамбул; 1997.

108. Шемсудинов А.М., Турецкая Республика, краткий очерк (1923-1961), 1962.
109. Шувалова Н.Б. Турция XX век (сборник обзоров). Москва, 2002.

ელექტრონული მისამართები:

110. www.iimes.ru
111. www.bashbakanlik.gov.tr
112. www.Ataturk.gov.tr
113. www.turkishdailynews.com.tr
114. www.akparti.org.tr
115. www.chp.org.tr
116. www.mhp.org.tr
117. www.dyp.org.tr
118. www.anap.org.tr
119. www.dp.org.tr
120. www.bbp.org.tr
121. www.Türkiye Büyük Millet Meclisi. org.tr
122. www.e-devlet.com
123. www.tr.wikipedia.e_ekonomisi. org.tr
124. www.turkishdailynews.com.tr
125. www. Le Figaro.com.

ბიოგრაფიული ცნობები

მუსტაფა ქემალ ათათურქი - დაიბადა 1881 წელს ქ. სალონიკში მოსამსახურის ოჯახში. დაამთავრა სალონიკის სამხედრო საშუალო სკოლა და სამხედრო ლიცეუმი. 1902 წელს სამხედრო სასწავლებელი (ლეიტენანტის წოდებით), ხოლო 1905 წელს სტამბოლის გენერალური შტაბის აკადემია. უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში ყოფნისას ის გაიტაცა თანზიმათის პერიოდის თურქ ნაციონალისტთა იდეებმა და დაუკავშირდა სულთან აბდულ-ჰამიდ II-ის მიმართ ოპოზიციურად განწყობილ ახალგაზრდა ოფიცრებს.

აკადემიის დამთავრების შემდეგ, მუსტაფა ქემალმა 1906 წელს დამასკოში, შემდეგ კი სხვა ქალაქებში თანამოაზრეებთან ერთად დააარსა „სამშობლოსა და თავისუფლების საზოგადოება," რომელიც მოგვიანებით შეუერთდა „ერთიანობისა და პროგრესის" ორგანიზაციას. მალე იგი დანიშნეს „ახალგაზრდა თურქთა" მიერ შექმნილი „მოქმედების არმიის" შტაბის უფროსად. მონაწილეობდა იტალია-ოსმალეთისა (1911-1912 წ.წ.) და ბალკანეთის მეორე (1913 წ.) ომებში. 1913-1914 წლებში იყო ოსმალეთის სამხედრო ატაშე ბულგარეთში, საიდანაც მოქმედ არმიაში გადაიყვანეს.

პირველ მსოფლიო ომში (1914-1918) ის იბრძოდა სხვადასხვა ფრონტზე. აქ მან მიიღო ფაშას ანუ გენერლის ტიტული.

1919 წლის 19 მაისს მან ქ. სამსუნიდან წამოიწყო თურქი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა. იმავე წელს გახდა რევოლუციური „უფლებათა დაცვის საზოგადოების" სივასის კონგრესის მიერ არჩეული წარმომადგენლობითი კომიტეტის თავმჯდომარე. ინგლისელების მიერ სტამბოლში დეპუტატთა პალატის გარეკვის შემდეგ, მუსტაფა ქემალმა 1920 წლის 23 აპრილს ანკარაში მოიწვია დიდი ეროვნული კრება (მეჯლისი, პარლამენტი), რომელმაც იგი აირჩია პარლამენტისა და მთავ-

რობის თავმჯდომარედ. იმავე დროს მუსტაფა ქემალი სათავეში ჩაუდგა შეიარაღებულ ძალებსაც.

1922 წელს ინტერვენტებზე საბოლოო გამარჯვების შემდეგ მთელი რეალური ძალაუფლება თურქეთში მუსტაფა ქემალის ხელში აღმოჩნდა, რასაც მოჰყვა სახელმწიფო სისტემის შეცვლა, რაც ისტორიაში ქემალისტური რევოლუციის სახელით შევიდა.

მუსტაფა ქემალის ხელმძღვანელობით გატარდა რიგი პროგრესული რეფორმა. 1923 წლის 29 ოქტომბერს თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადდა, იმავე დღეს ქემალი აირჩიეს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტად. 1934 წელს თურქეთში გვარების შემოღებასთან დაკავშირებით დიდმა ეროვნულმა კრებამ მუსტაფა ქემალს ათათურქის („თურქთა მამა“) გვარი მიანიჭა.

მუსტაფა ქემალ ათათურქი გარდაიცვალა 1938 წლის 10 ნოემბერს სტამბოლში. ის დაკრძალეს ანკარაში სპეციალურად აგებულ მავზოლეუმში.

ისმეთ ინენუ - დაიბადა 1884 წლის 24 სექტემბერს ქალაქ იზმირში. ახალგაზრდა თურქების რევოლუციის დროს იყო ათათურქის ახლო თანამებრძოლი. პირველი მსოფლიო ომის დროს იყო პოლკოვნიკი მესოპოტამიის ფრონტზე.

თურქეთში რესპუბლიკური მმართველობის დამყარების შემდეგ გახდა ქვეყნის პირველი პრემიერ-მინისტრი და ეს თანამდებობა ეკავა 1937 წლამდე, ხოლო ათათურქის გარდაცვალების შემდეგ, 1938 წლის 11 ნოემბერს, აირჩიეს თურქეთის პრეზიდენტად და ამ თანამდებობაზე დარჩა 1950 წლამდე. პოლიტიკაში დაბრუნდა 1960 წლის სამხედრო გადატრიალების შემდეგ და ეკავა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა 1961–1965 წლებში. ისმეთ ინენუ პოლიტიკიდან წავიდა 1972 წელს. გარდაიცვალა 1973 წლის 25 დეკემბერს ანკარაში.

სულეიმან დემირელი - დაიბადა 1924 წლის 1 ნოემბერს ისპარტას ვილაეთის სოფელ ისლამქოიში. 1949 წელს დაამთავრა სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტი, ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის სპეციალობით. 1954 წლიდან ს. დემირელი ხელმძღვანელობდა ერთ-ერთ სახელმწიფო ორგანიზაციას – წყალთა მეურნეობის სამმართველოს. 1960 წლიდან კი სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა და 1964 წლამდე ასწავლიდა ანკარის შუა აღმოსავლეთის ტექნიკურ უნივერსიტეტში. 1964 წელს ს. დემირელი აირჩიეს სამართლიანობის პარტიის გენერალურ თავმჯდომარედ. 60 - იანი წლებიდან მოყოლებული ს. დემირელი რამდენჯერმე იქნა არჩეული პრემიერ-მინისტრად. 1983 წელს მისი აქტიური მონაწილეობით შეიქმნა ჭეშმარიტი გზის პარტია. 1987 წელსკი, იგი გახდა ამ პარტიის თავმჯდომარე.

1993-2000 წლებში იყო თურქეთის რესპუბლიკის რიგით მეცხრე პრეზიდენტი.

სულეიმან დემირელი გარდაიცვალა 2015 წლის 17 ივნისს.

თურგუთ ოზალი - დაიბადა 1927 წელს ქ. მალათიაში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტის ელექტრონიკის ფაკულტეტზე, რომელსაც 1950 წელს ამთავრებს. 1952 წელს სასწავლებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში მიემგზავრება. 1960 წელს თ. ოზალი თურქეთის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სპეციალურ ტექნიკურ, ხოლო 1967 წლიდან სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მრჩევლად ინიშნება. 1971 წელს სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ აღნიშნული თანამდებობიდან გადადგა და აშშ-ში გაემგზავრა. 1979 წელს ს. დემირელის მიერ შედგენილ ე. წ. „უმცირესობის მთავრობაში“ თ. ოზალი ინიშნება სახელმწიფო საგეგ-

მო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ. 1980 წლის 12 სექ-ტემბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ თ. ოზალი პრე-მიერ-მინისტრის მოადგილის პოსტს იკავებს (1982 წლის 18 ივ-ლისამდე). გადადგომის შემდეგ, 1983 წელს მან შექმნა დედა-სამშობლოს პარტია. 1989 წლის ოქტომბერში ის გახდა ქვეყნის რიგით მერვე პრეზიდენტი.

თურგუთ ოზალი გარდაიცვალა 1993 წლის 17 აპრილს..

ნეჯმეთთინ ერბაქანი - დაიბადა 1926 წელს სინოპში. დაამთავრა მექანიკის ინსტი-ტუტი, სტამბოლისა და ეიხენის ტექნიკური უნივერსიტეტები. 1948 -1966 წლებში მუშა-ობდა ჯერ ასისტენტად, შემდეგ კი ლექტო-რად მექანიკის ინსტიტუტსა და სტამბოლის ტექნიკურ უნივერსიტეტში. 1951 წელს გახ-და პროფესორი. 1966-1968 წლებში იყო თურქეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ინდუსტრიული დეპარტამენტის დირექტო-რი. 1970 წელს დააფუძნა ,,ისლამისტური ეროვნული წესრიგის“ პარტია, რომელიც მალე აიკრძალა. 1973 წელს ჩამოაყალიბა და სათავეში ჩაუდგა ,,ეროვნული ხსნის“ პარტიას, რომელიც სამ-ხედროების მიერ აიკრძალა 1981 წელს. 1974 წელს იყო ვიცე-პრემიერი და სახელმწიფო მინისტრი. 1975-1977 წლებში კვლავ უკავია ვიცე-პრემიერის თანამდებობა. 1980 წელს ის დააპატიმ-რეს, 1983 წელს ჩამოაყალიბა ,,კეთილდღეობის“ პარტია. 1996 წლის 29 ივლისს „რეფაჰიოლის“ მთავრობაში დაიკავა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა. 1998 წლის თებერვალში კეთილდღე-ობის პარტიის დახურვასთან ერთად ნ. ერბაქანს ხუთი წლით აეკრძალა პოლიტიკური მოღვაწეობა.

ნეჯმეთთინ ერბაქანი 2011 წლის 27 თებერვალს, 85 წლის ასაკში გარდაიცვალა.

აჰმედ ნეჯდეთ სეზერი – დაიბადა 1941 წლის 13 სექტემბერს ქ. აფიონში. 1958 წელს წარჩინებით დაამთავრა აფიონის საშუალო სკოლა. 1962 წელს უმაღლესი განათლება მიიღო ანკარის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე. ა. სეზერმა სავალდებულო სამხედრო სამსახური სამხედრო აკადემიაში რეზერვის ოფიცრის რანგში დაასრულა. 70-იანი წლების დასაწყისში სეზერი დიჯლესა და იერქოიში მუშაობდა სასამართლო სისტემაში, საიდანაც იგი საკასაციო სასამართლოში გამომძიებლად ინიშნება. 1977-1978 წლებში ანკარის სასამართლოს უმაღლეს სკოლაში მან მიიღო ხარისხი სამოქალაქო სამართალში. 1988 წლის 27 სექტემბერს პრეზიდენტმა ქ. ევრენმა იგი საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად დანიშნა. 1998 წლის 6 იანვარს სეზერი აირჩიეს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარედ. 2000 წლის 5 მაისს თურქეთის დიდმა მეჯლისმა მას ანდო თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტი, რომელიც 2007 წლის 28 აგვისტომდე ეკავა. ახმედ ნეჯდეთ სეზერი კავკასიიდან გადმოსახლებულთა ოჯახშია დაბადებული. 2007 წლის 28 აგვისტოდან იგი ჩამოშორდა პოლიტიკურ საქმიანობას.



ბიულენთ ეჯევითი – დაიბადა 1925 წლის 28 მაისს ქ. სტამბოლში. დაამთავრა პრესტიჟული ინგლისურენოვანი რობერტ კოლეჯი (ახლანდელი ბოსფორის უნივერსიტეტი). ცოდნა გაიღრმავა სტამბოლის, ანკარის, ლონდონის და ჰარვარდის უნივერსიტეტებში. 1946 -1950 წლებში მსახურობდა ლონდონში. პოლიტიკაშია 60-იანი წლებიდან. 1961 -1965 წლებში შრომის მინისტრი, 1966 -1971 წლებში სახალხო-რესპუბლიკური პარტიის გენერალური მდივანია, ხოლო 1972-1980 წლებში ამავე პარტიის ლიდერი. 1974, 1977, 1978-1979 წლებში იყო თურქეთის პრე-

მიერ-მინისტრი. 80-იან წლებში, სამხედრო გადატრიალების შემდეგ, რამდენჯერმე იქნა დაპატიმრებული და აეკრძალა პოლიტიკური საქმიანობა. 1987 წელს აკრძალვა მოეხსნა და ორი წლის შემდეგ ის სათავეში ჩაუდგა მემარცხენე-დემოკრატიულ პარტიას. სხვადასხვა დროს იყო ანკარისა და ზონგულდაქის ვილაიეთების დეპუტატი. 1997 წლიდან იყო ვიცე-პრემიერი, ხოლო 1999-2002 წლებში კი პრემიერ-მინისტრი.

ბიულენთ ეჯევითი გარდაიცვალა 2006 წლის 5 ნოემბერს.

დევლეთ ბაჰჩელი - დაიბადა 1948 წელს ქ. ოსმანიეში, ფეთაჰოლულლარებად ცნობილ დიდ თურქმენულ ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება ოსმანიეში, ხოლო საშუალო განათლება სტამბულში მიიღო. შემდეგ სწავლა გააგრძელა ანკარის ეკონომიკისა და მართვის მეცნიერებათა აკადემიაში. 1970-1971 წლებში თურქეთში სტუდენტთა ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივნის მოვალეობას ასრულებდა. 1972 -1973 წლებში იყო ანკარის ვაჭრობისა და ეკონომიკის სამეცნიერო აკადემიისა და მასთან დაკავშირებულ უმაღლეს სასწავლებლებში ეკონომიკის კათედრის ასისტენტი. გაზის უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტის ეკონომიკის დოქტორის წოდების მიღების შემდეგ იმავე უნივერსიტეტში 1987 წლამდე კითხულობდა ლექციებს. 1987 წლის 17 აპრილს ალფარსლან თურქეშის ხელშეწყობით დ. ბაჰჩელს ნაციონალური შრომის პარტიის დიდ ყრილობაზე გენერალური მდივნის მოვალეობა დაეკისრა. 1997 წლის 6 ივლისს ნაციონალური მოძრაობის პარტიის რიგგარეშე კონგრესზე დ. ბაჰჩელს პარტიის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაეკისრა. 1997 წლის 23 ნოემბერს ნაციონალური მოძრაობის პარტიის მე-5 კონგრესზე ის აირჩიეს პარტიის თავმჯდომარედ. 1999 წლის 18 აპრილის საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობის პარტიის გამარჯვების შემდეგ დ. ბაჰჩელი კოალიციურ მთავრობაში შევიდა და მან დაიკავა ვიცე-პრემიე-

რისა და სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა. 2007 წლიდან დღემდე თურქეთის მეჯლისის დეპუტატია.

დენიზ ბაიკალი - დაიბადა 1938 წელს ქ. ანთალიაში. 1960 წელს დაამთავრა ანკარის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. აქვე 1968 წელს გახდა პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოცენტი. 1968 წელს ბაიკალი შევიდა სახალხო-რესპუბლიკურ პარტიაში. 1973 -1980 წლებში იგი იყო მეჯლისის დეპუტატი, ფინანსთა მინისტრი (1974), ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი (1978 -1979). 1980 წლის 12 სექტემბრის სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ დ. ბაიკალი დააპატიმრეს. 1984 წელს კი ის შევიდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. სახალხო პარტიასთან გაერთიანების შემდეგ დენიზ ბაიკალი გახდა სოციალ-დემოკრატიული სახალხო პარტიის თავმჯდომარე. 1989 წლიდან კი - გენერალური მდივანი. 1992 წელს სახალხო-რესპუბლიკური პარტიის აღდგენისთანავე ის დაინიშნა პარტიის გენერალურ თავმჯდომარედ, რომელსაც 2010 წლის 10 მაისამდე ედგა სათავეში. 2010 წელს მის მიმართ სკანდალური „ვიდეო კასეტების“ თემის შემდეგ ის ჩამოშორდა აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას.

თანსუ ჩილერი – დაიბადა 1945 წელს ქ. სტამბოლში. დაამთავრა რობერტის კოლეჯი, სტამბოლის, კონექტიკუტის და იელის უნივერსიტეტები. 1983 წელს გახდა პროფესორი. მსახურობდა სხვადასხვა უნივერსიტეტში, განსაკუთრებით გამოირჩეოდა მისი მოღვაწეობა ბოსფორის უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე. 1990 წელს შევიდა ,,ჭეშმარიტი გზის“ პარტიაში. 1991 წელს აირჩიეს დეპუტატად და დაიკავა ეკონომიკის სახელმწიფო მინისტრის პოსტი. 1993-1996

წლებში იყო თურქეთის პრემიერ-მინისტრი. 1996-1997 წლებში შეთავსებით ეკავა ვიცე-პრემიერის და საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობებზე. ნ. ერბაქანთან კოალიციის დაშლისა და ხელისუფლებაში მ. ილმაზის მოსვლის შემდეგ ჩადგა ოპოზიციაში. 2002 წელს არჩევნებში მარცხის შემდეგ ჩამოშორდა პოლიტიკურ მოღვაწეობას.

მესუთ ილმაზი – დაიბადა 1947 წლის 6 ნოემბერს ქ. სტამბოლში. დაამთავრა სტამბოლის ვაჟთა უმაღლესი სკოლა, ანკარის, კიოლნისა და ლონდონის უნივერსიტეტების პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. 1983 წლიდან რიზეს ვილაიეთის უცვლელი დეპუტატია. 1986-1987 წლებში იყო სახელმწიფო, კულტურისა და ტურიზმის მინისტრი. 1987-1990 წლებში უკავია საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელი. თ. ოზალის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ხდება „დედასამშობლოს“ პარტიის თავმჯდომარე.

1991 წელს სამი თვის განმავლობაში იყო პრემიერ-მინისტრი. 1995 წლის 24 დეკემბრის არჩევნების შემდეგ აყალიბებს კოალიციურ მთავრობას, სადაც მთავრობის თავმჯდომარის პოსტი უკავია. პრემიერის თანამდებობაზე სამითვე დარჩა. 1996 წლის 7 ივნისს გადადგა. ზუსტად ერთი წლის შემდეგ კვლავ ჩამოაყალიბა ახალი მთავრობა.

90-იანი წლების ბოლოს ჩამოშორდა პოლიტიკურ მოღვაწეობას.



აბდულაჰ გიული - დაიბადა 1950 წლის 29 ოქტომბერს ქ. კაისერში. დაამთავრა სტამბოლის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და იქვე მიენიჭა დოქტორის ხარისხი. სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ ლექციებს კითხულობდა საქარიის უნივერსიტეტის საინჟინრო-ინდუსტრიულ ფაკულტეტზე. 1983-1991 წლებში

ეკონომისტად მუშაობდა საუდის არაბეთში ისლამური აღორძინების ბანკში. 1991 წელს მონაწილეობა მიიღო ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში და კეთილდღეობის პარტიის სიით დეპუტატი გახდა კაისერის ვილაიეთიდან. 1992 წელს აბდულაჰ გიული იყო ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრი. 1991-1995 წლებში იყო პარლამენტის დაგეგმარებისა და საბიუჯეტო კომიტეტის წევრი. ნ. ერბაქანის მიერ ჩამოყალიბებულ 54–ე კოალიციურ მთავრობაში ეკავა სახელმწიფო მინისტრისა და მთავრობის სპიკერის თანამდებობები. კეთილდღეობის და სათნოების პარტიის აკრძალვის შემდეგ დაფუძნებულ სამართლიანობისა და განვითარების პარტის თავმჯდომარის მოადგილეა. 2002 წლის 18 ნოემბერს მას პრემიერ-მინისტრად ირჩევენ. 2003 წლის 14 მარტიდან ის არის ვიცე-პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი. 2007 –2014 წლებში თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი. 2015 წლიდან ჩამოშორდა აქტიურ პოლიტიკას.

რეჯეპ თაიფ ერდოღანი – დაიბადა 1954 წლის 26 თებერვალს. 1981 წელს დაამთავრა მარმარას უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. 1994 წლის 27 მარტს ერდოღანი აირჩიეს სტამბოლის მერად, რომელსაც სათავეში ედგა 1998 წლამდე. 2003 წლიდან ის სათავეში უდგას სამართლიანობისა და განვითარების პარტიას. 2011 წელს ის მესამე ვადით აირჩიეს პრემიერ-მინისტრის პოსტზე, 2014 წელს კი აირჩიეს ქვეყნის პრეზიდენტად.

აჰმედ დავუთოღლუ – დაიბადა 1959 წლის 26 აგვისტოს ქ. კონიაში. სტამბოლის ვაჟთა ლიცეუმის დასრულების შემდეგ, 1983 – 1984 სასწავლო წელს დაამთავრა სტამბოლის ბოსფორის უნივერსიტეტი და იქვე მიენიჭა პოლიტიკურ მეცნიერებათა და საერთაშორისო ურ-

თიერთობების დოქტორის ხარისხი. 1999 – 2004 წლებში იყო პროფესორი ბაიქენთის უნივერსიტეტში. 2003 წლიდან ის აქტიურად მოღვაწეობს სამეცნიერო საქმიანობაში.

2009 - 2014 წლებში იყო თურქეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი. 2014 წლის 27 აგვისტოს აირჩიეს ისლამური მიმართულების სამართლიანობისა და განვითარების პარტიის გენერალურ მდივნად, ხოლო 28 აგვისტოს კი - თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ - მინისტრად.

2016 წლის 22 მაისს, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა, აჰმედ დავუთოღლუ გაათავისუფლა - სამართლიანობისა და განვითარების პარტიის თავმჯდომარეობიდან და პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან.



ბინალი ილდირიმი – დაიბადა 1955 წლის 20 დეკემბერს ერზინჯანში. დაამთავრა სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტის გემთმშენებლობის და საზღვაო მეცნიერებათა ფაკულტეტი და ამავე ფაკულტეტის მაგისტრატურა.

1994-2000 წლებში იკავებდა სტამბოლის მეტროპოლიის მუნიციპალიტეტის ზღვის ავტობუსების დეპარტამენტის (IDO) გენერალური მენეჯერის პოსტს.

2002 -2015 წლებში არის თურქეთის მეჯლისის წევრი, მმართველი სამართლიანობისა და განვითარების პარტიიდან.

2015 წლის 24 მაისიდან იყო ტრანსპორტის, ზღვაოსნობის და კომუნიკაციის მინისტრი.

2016 წლის 22 მაისს, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა, ბინალი ილდირიმი დანიშნა სამართლიანობისა და განვითარების პარტიის თავმჯდომარედ და პრემიერ-მინისტრად.

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com